ჟურნალ „მოამბის“ პრემია 1905 წლისა.

მასალები საქართველოს

ისტორიისათვის,

შეკრებილი

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და ძის ძეებისა

1744—1840 წწ.

ტფილისი
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა,
1905. წ.

Дозволено цензурою. 15 октября, 1904 г. Тифлисъ.

მასალები საქართველოს ისტორიისთვის დაიბეჭდა ხელნაწერიდამ, რომელიც აღმოჩნდა განსვენებულ მიხეილ საბინინის წიგნთსაცავში. დედანი დაწერილია—ნახევარი მოთეთრო და ნახევარი მოლურჯო თაბახიანს სქელს ქაღალდზე და შეიცავს სულ 267 გვერდს. სათაურად აწერია: „ნანდეილ ისტორია ესე, აღწერილი მეფის გიორგის პირმშოს ძისაგან დავითის მიერ, ისტორია ესე ახლად შედგენილი ქართლის ცხოვრებისად“. მაგრამ მთლად ეს წიგნი დავითის მიერ შედგენილი არ არის: ხელნაწერის 203 გვერდზე სწერია: „ამავე წელსა (=1819) მაისის 13-ს მიიცვალა მეფის გიორგის ძე პირმშო და მემკვიდრე ქართლისა დავით“. მაშასადამე, დავით ბატონიშვილს შეეძლო ამ მასალების წერა მხოლოდ 1819 წლის დასაწყისამდე. ამის შემდეგ კი მასალები განუგრძვიათ მის ძმებს, მაგალ., ბაგრატს, რომელიც დედანში მრავალგან აცხადებს თავისს სახელს საკუთარის ხელმოწერით. ეს ბაგრატი ფრიად ცრუ მორწმუნე კაცი ყოფილა: ხელნაწერის ბოლო ნაწილი გაუესია ნრავალგვარ სასწაულების აღწერით. უმეტესი ნაწილი ამ აღწერილობათა ხელნაწერის მკითხველს წაუკაზია და ჩვენც აღარ დავბეჭდეთ. დანარჩენი მასალა დაიბეჭდა უცვლელად, თანახმად დედნის მართლწერისა. ა^გვარიეე ხელნაწერი ჰქონია წერა-კითხვის საზოგადოებასაც და მასვე გადავეცით ამ წიგნის დედანიც საბინინის დის პატივცემულ ალექსანდრა გიორგის ასულის მირზაშვილის ნებართვით.

მ. ჯანაშვილი.

მოთხრობა ახალი

(შედგენილი ქართლის ცხოვრებისად)

1. ხოლო წელსა 1744 (ქართულსა ხუთასიანსა ქ^კს ულბ): ჟამსა ამას იქმნა ესრეთ განსაცდელი, რომელ არა სადათ შემთხვეულ არს ესე ვითარი, მით, რამეთუ ყოველთა უბოროტესმან თაზისშვილმან ტარიელ მოკლა კათალიკოზი ხანჯლითა ·ᲘᲙᲝᲚᲐᲝᲖ ხერხეულიძე, და იგი განტოლვილი განიტვინა ქვიᲐᲐ ქვემო სატიოს, რიყესაზედა, ტფილისს; და ნაცვლად მისს ჰყვეს კათალიკოზად ანტონი, მეფის იესეს ძე, რომელიცა იყო ესე დისწული მეფის თეიმურაზისა. და იყო ესე ანტონი ქუთათელად იმერეთსაცა შინა.

2. ხოლო წელსა 1745 (ქართულს ქ^კოს ულგ) განძვინდა გული ნადირ ყეენისა სრულიად სპარსეთსა ზედა მიზეზისათვის ამისსა: ვინათგან ნადირმან ადმოხადნა თუალნი უᲑირველესსა მემკვიდრესა ძესა თვისსა რიზაყულის უბრალოს შესმენისათვის; წარსწერა არბაბი (წელსა ამას დასდებენ ქართუᲚᲚნი ეპოხად ანუ ქორონიკონად, რომელსაცა უწოდებენ არბᲐᲑᲝბის წელად), ხვედრსა ამას ქართუᲚᲚთაცა შეხვდათ ორმოცდაათი ათასი თუმანი, რომლისა გამო მიეცნენ ერნი ᲗᲛუნვასა და დაიწყეს განბნევად უცხოთა ᲭᲣᲚყანათა. მხილველი ამისი მეფე თეიმურაზ წარვიდა იძულებული წინაშე ყეენისა, რათა განარინოს სამეფო თვისი ესე ვითარისა სიმძიმისაგან, და ოდეს მიიწია თავრიზს, მუნ სცნა სიკვდილი ნადირ ყეენისა, რომელიცა მო იკლა მაჰმად-ხან ყაჯარისა ერევნელისათა და მუსაბეგ

წყალსა ზედა. ხოლო ლტოლვილნი იგი ლეკნი მიიწივნენ რა ალაზანსა, მუნ იხილეს ხოჯას ლეკი ვინმე, რომელსაცა ჰყვა შეყრილობაჲ ლეკთა და სწადდა გამოსვლაჲ კახთა ზედა. მაშინ შეერთდენ ესენი ღამესა მას, და დაეცნენ განთიად თავსა ზედა მეფესა, მდგომსა უფადარსა ზედან შუა ზატიკის დღესასწაულსა შინა. გარნა იძლივნენ ლეკნი იგი ფრიად მეფისა მიერ და უკუნიქცნენ თვისადვე სირცხვილეულნი.

6. მაშინ შემოიკრიბნა მუნ მეფემან ირაკლიმ მხედრობანი კახთანი სრულიად, და გორიდამაც ჩამოიტანა ზარბაზანი იგი დიდი ბოჰორმისად წოდებული (რომელიცა სძევს ზარბაზანი ესე თელავს ქალაქსა) და მოადგნენ მეტეხის ციხესა, დაიწყეს სროლა და აღიღეს მეტეხი შემჭირვებითა, ხოლო უკანასკნელ თაბორით იწყეს ცემაჲ ზარბაზნისა მის ქალაქისა ციხესა ზედა, ხოლო შემჭირვებულთა მეციხოვნეთა და ხალხთა, მუნ მყოფთა, იწყეს ვედრებად მეფისა, და მოსცეს ციხე. და აჰყარნა მეფემან ციხელნი იგი თათარნი და წარგზავნა ყოველნივე კახეთად და ციხესა მას შინა შეაყენნა გუშაგნი თვისნი.

სცნა რა იბრაიმ-ხანმან ორგულება ამირასლან-ხანისა, წარვიდა მას ზედა ადრი-ბეჟანად, შეება მუნ ამირ-ასლან-ხან; იძლია იგი იბრეიმ-ხანისაგან და განივლტო ყარადაღად; მუნ შეიპყრეს ყარადაღელთა და მიიყვანეს წინაშე იბრაიმ-ხანისა, რომელმანცა წარკუსთა თავი, და იწოდა იბრაჰმ-ხან ყეენად, ესე იგი იბრაჰმ-შად, და წარვიდა ხორასნად შარუხსა ზედა, სადაცა მხედრობასა მისსა მიუწერა შარუხ. და შეიპყრეს იბრეიმშა გზასა ზედა და მიიყვანეს შარუხისა წინაშე, და მან წარკუსთა მას თავი. ხოლო შარუხსაცა ქურთთა ზაბუშანისათა აღმოხადეს თვალნი და ჰყვეს მათ შინა ხელმწიფედ და იქმნა ზერანელთა შორის ფრიად აღრეულობაჲ, და განისაკუთრეს უგვანთა კაცთა სპარსეთისა ადგილნი და ქალაქნი თვის თვისად და იყო მარადის ურთიერთს ხდომაჲ და ოხრებაჲ, ვინ ვისა ერეოდის. ხოლო ამჟამს მოვიდა მეფე თეიმურაზ სპარსეთით ტფილისსა შინა, წელსა 1748, ქკ´ონს ულვ.

7. ჟამსა ამას მოადგა მაჰმად-ხან ყაჯარი, ერთი იგი მკვლელთაგანი ნადირისა, ერევანს, და ლამოდა დაპყრობასა მისსა. მაშინ ეევედრნენ ერევნელნი მეფესა თეიმურაზს. და წარვიდა ესე მხედრობითა თვისითა, ჰსძლო მაჰმად ხანსა, აღიღო ფრიად ალაფი მისი, და განარინა ერევანი მოოხრებისაგან და მოხარკედ თვისად ჰყო სრულიად ერევანი, რომელსაცა ხარკსა ამას იღებდენ შემდგომად მისსა ძე მისი ირაკლი დროსა მეფობისა თვისისასა და ძე მეფისა ირაკლისა მეფეეე გიორგი მუნ დღემდე, ვიდრე გარდაიცვალა მეფე გიორგი წელსა 1800, და მიერითგან, იწყეს რა რუსთა მართვაჲ საქართველოსა, ამად ერევნელნი განდგნენ ქართველთაგან და მიერთვნენ ბაბახანს ყაჯარსა, ახალს ყეენსა სპარსეთისასა, და შევიდნენ უღელსა ქუეშე მონებისა მისისასა.

8. მოვიდა წელსა ამასვე, 1748, ქკ᾽ონს ულვ, შუშის ხანი ფანა, და გარე მოადგა განჯასა. მსმენელი ამისი წარვიდა მეფე თეიმურაზ ძითა თვისითა მეფის ირაკლითა შველად განჯისა. სცნა რა ესე ფანამ მიმავალობა მეფეთა თვის ზედა, დაუტევა განჯისა გარმოდგომაჲ და უკუნიქცა ყარაბაღადვე. სცნეს რა ესე მეფეთა, შეუდგნენ უკანა მას და შთავიდნენ ყარაბაღს, ეკვეთნენ ყარათაფად წოდებულსა ადგილსა. მუნ იძლივა ფანა-ხან. მიუღეს ზარბაზანნი და თოფხანანი სრულებით, სადაცა მხედრობამან ქართველთამან მოარბიეს ხურდაფირინის ხიდამდე, და ესე ოდენი ალაფი იშოვეს, რომელ ცხვარი ისყიდებოდა აბაზად, ხოლო ცხენი, კამეჩი და ძროხა—ხუთ აბაზად. და უკუნ მოიქცნენ ალაფითა გამარჯვებულნი, და მიხმულნი მისნი ზარბაზანნი მოიღეს და დაჰსდვეს თელავს და გორს ციხეთა შინა და დაწერეს ესე ძლევაჲ მას ზედა.

9. ხოლო წელსა 1749, კ᾽ს ულზ, შეერთდნენ მეფენი აჯიჩალაბისა*) შაქის ხანისა თანა, სადაცა შემოიკრიბნეს მხედრობანი და წარვიდნენ ჭარსა ზედა, და რაოდენ ეევედრნენ

*) ნუხის ხანის გვარი არის ლეკთა შთამომავლობა. აქედამ იწყება ჩამომავლობათა ამათ თანი, რომეთუ ამან ლაიპყრა ნუხი და გახანდა მუნ.

ჭარელნი მონებასა, არა უსმინეს მეფეთა, და, მივიდნენ რა ჭარსა ზედა, მაშინ აჯი-ჩალაბიცა შეერთდა ჭარელთა და განტენა აღთქმა თვისი. იძლივნენ მუნ მეფენი, გარნა მეფენი განერნენ მშვიდობით. ხოლო ალაზანსა შინა ვინაჲთგან გაუჭირდა მეფესა ირაკლის გამოსვლა, რომელ ქვევითნი იგი, რომელიცა მოაქუნდა წყალსა, ეხვეოდნენ ცხენთა განრინებისათვის; მაშინ თავადმან ბებურიშვილმან პაპამ მოსწყვიტნა კაცნი იგი და განიყვანა მეფე მშვიდობით. ხოლო ვინაჲთგან ნაპირი მდინარისა ალაზნისა არს ფლატოიანი, ამად პაპამან მუნ ვერღარა აღიყვანა ცხენი მეფისა და ვიდრე მოატარებდა შორს, ვირე ქვევითსა მეფესა შეემთხვია ბოსტაშვილი მაჩხაანელი და მიართო ცხენი თვისი. და ესრეთ განერა მეფე. ხოლო მეფემან მიუბოძა სახლსა მისსა აზნაურშვილობა და უწოდა კვალადვე გუარისა თვისისა სახელი—ბოსტაშვილობაჲვე სამსახურისა ამისთვისვე.

10. ხოლო წელსა 1749, ქკს ულზ: ამავე წელსა განძლიერდა აზათხან-ავღანი სპარსეთსა შინა, წარმოვიდა ერევანსა ზედა. ეევედრნენ უკუსე ერევნელნი მეფესა თეიმურაზს, რომელმანცა წარუგზავნა ძე თვისი ერეკლე შესაწევნელად სამიათასითა მხედრობითა, ქართველითა და კახითა. მიიწივნენ რაყირხბულახს, რომელიცა შორავს ერევანს ორითა ალაჯითა, იგიცა მოვიდა მუნ, რომელსაცა ჰყვანდა უმეტეს თვრამეტიათასისა კაცისა. იკვეთნენ. მუნ იძლივა აზათ-ხან ქართველთაგან, და განარინეს ერევანი და მოიქცნენ გამარჯვებულნი ფრიადითა ალაფითა ესრეთ, რომელ ხშირად იშოვნეს მრავალთა აკიდებულნი ჯორნი და აქლემნი, ყათრობით საქონელნი და ბანაკი მათი დაშთათ სრულიად. ამჟამად იდგა მეფე თეიმურაზ მარაბდას. მოუხდათ მუნ ფრიადი ლეკთა ჯარი. სძლო მეფემან ლეკთა მათ და მოიკლა ბრძოლასა ამას შინა ქალაქის მოურავი თარხნისშვილი იორამ, ძე ლუარსაბისა, კაცი მხნე და ფრიად სახელოვანი ბრძოლასა შინა. ამავე ჟამსა გარდაიცვალა დედოფალი ანნა, მეუღლე მეფისა ირაკლისა, ზალ აბაშიძის ასული. ამასთან დაშთა ასული ერთი, რომელსა ერქუა თამარი,

და ძე ერთი გიორგი, რომელიცა შემდგომად მისსა იქმნა მეფედ ქართლისა. და ასული იგი მიჰსცა ყაფლანისშვილს დავითს, ძესა რევაზ სარდლისასა, რომელიცა ესე დავით იყო ქეშეჩიბაში მეფისა, და შემდგომად იქმნა სარდლად მხნე და მამაცი ფრიად.—ხოლო მეფემან ირაკლიმ იქორწინა მესამედ დადიანის ასულსა ზედა, რომელს ერქუა დარეჯან.

11. მხილველთა ხანებთა ადრი-ბეჟანისათა ძლევისათვის აზატხანისა სთხოვეს მეფესა თეიმურაზს, რათა წარვიდეს მხედრობითა დასაპყრობელად ადრიბეჟანისა, და თანა წარიტანოს ესენიცა. თანხმობილი ამას ზედა მეფე თეიმურაზ შთავიდა რა განჯას ძითურთ ირაკლითა, მაშინ მოვიდნენ წინაშე მეფისა ხანი განჯისა, შაქისა, და შირვანისა და ყარადაღისა, გარნა ნებითა მეფისა ირაკლისათა შეიპყრეს ხანნი ესე, თუმცა-ღა არა სწადდა მეფესა თეიმურაზს ესე ვითარისა უგუნისა საქმისა ქმნაჲ, და ვერცაღა წინააღუდგა ძესა თვისსა. რამეთუ ჯიმშერ ჩოლაყაშვილი, რომელიცა იყო ნაიბი არაგვისა, აბირებდა ესე მეფესა ირაკლის ესე ვითარისა უგვანსა საქმესა, რამეთუ იყო იგი ფრიად საყვარელ ირაკლისა და სანდო. ესე იყო ფრიად ანგარი და ჰგონებდა შეპყრობითა მათითა მოიხვეჭდა მრავალთა ნატყვენავთა მათთა. სცნა რა ესე ძემან აჯი-ჩალაბისამან ალაქიშიმ, გამოვიდა მტკუარსა შაქის, შირვანის და ლეკის ჯარით, ეკუსეთა მეფეთა, რომელთაცა ამხილა ღმერთმან ესე ვითარისა უსამართლოებისა ქმნაჲ; და დაყარნეს მუნ პყრობილნიცა იგი ხანნი და ივლტოდნენ ძლეულნი, რომელთაცა მიეცათ ფრიად ნაკლულევანებაჲ, და ესრეთ ძლეულნი მოვიდნენ ტფილისს წელსა 1751.

12. ხოლო იქმნა ესე წელსა 1751, ქკს ულთ. მაშინ ძლევა შემოსილი ალაქიში მიიწივა რა სახლად თვისად, შეკრიბნა მუნ მხედრობანი შაქისა, შირვანისა და ლეკთანი, და წარმოვიდა წელსავე ამას, ამოვლო განჯაჲ, და თან წამოიყვანა ხანი განჯისა მხედრობითა თვისითა, ამოვლო შამშადინი და ყაზახი და მოვიდა ბაიდარს. სცნა რა ესე მეფემან თეიმურაზ, წარგზავნა ძე თვისი ირაკლი სტეფან-წმინდას და მოუწოდა მხედრობასა

ჩერქეზთა და თაგაურ-ქურთაულთასა. მოვიდნენ მხედრობანი მათნი წინაშე ირაკლისა და წარმოვიდნენ ტფილისს. განვიდნენ რა მეფენი ტფილისით, მცნობმან აღაქიშიმ იწყო უკან ქცევაჲ. მაშინ მეფენი ეწივნენ შამშადილსა შინა, თულქითაფად წოდებულსა ადგილსა, იკვეთნენ მუნ ფიცხელად, გარნა მსწრაფლ დაკვეთებულ იქმნა აღაქიში. მხნედ იყვნენ ბრძოლასა ამას შინა ჩერქეზნი და კახნი, რომელნიცა მიჰყვნენ გაქცეულთა კაფითა ვიდრე შანქორადმდე. ხოლო ერთმან ქიზიყელმან კაცმან, ბოდბურმან პატამ ბალაშვილმან მას დღესა მოკლა ხლმითა მხოლო ცხრა კაცი და დაიჭირა სამი ცოცხალი. და მრავალთაცა ქართველთა და კახთა თავადთა და აზნაურთა, და გლეხთა და თათართა ყაზახ-ბორჩალოთა ჰყვეს მრავალნი სიმხნისა მამაცობანი და სახელნი, რომელიცა სიგრძისათვის დავიდუმე. ხოლო მხედრობათაგან მეფისათა ამა ბრძოლასა შინა იქმნენ ფრიად მცირე დახოცილ. ხოლო მეფენი ძლევა შემოსილნი მოიქცნენ ტფილისს, და განუტევა მეფემან ჩერქეზნი თვისად ნიჭითა დიდითა და ეგრეთვე ყოველთავე მხედრობათაცა თვისთა, თავადთა და გლეხთა, ანიჭნეს შესაფერნი ღირსებისამებრ მათისა, ვითარცა სახელონი და ყმანი, ეგრეთვე ნივთნიცა. და განუტევნა თვის თვისად ყოველნივე.

13. ხოლო წელსა 1751, ქკ^ს უმა მოვიდა ნურალი-ბეგ ავარელი, ესე იგი ხუნძახის ბატონი მუცალი, შემოვლო შიგნით კახეთი და გარდავლო თიანეთი ფრიადითა მხედრობითა და მოადგა მჭადისჯვარს. გარნა ერთმან მოხუცმან დედათაგანმან დაუწუა მათ შვიდი საფარი, მიტანილი ციხესა ზედა. სძლეს მუნ მეფეთა მათ და მოჰსწყვიტნეს ფრიადნი ლეკნი, და სირცხვილეული უკუნ იქცა ნურალიბეგ სახლადვე თვისად.

14. ხოლო წელსა 1752, ქკ^ს უმბ შეიკრიბნა ამანვე მხედრობანი ლეკთანი და მოადგა ყვარელსა. მაშინ ციხესა ყვარელისასა შეაშველა მეფემან და უთავა მათ თავადი ბებურიშვილი პაპა, მდივანი სოლომან ქობულოვი, თაყაშვილი ფარემუზ, რატიშვილი ბეჟან, ნამორაძე ერასტი და სხვანიცა მრავალნი

კეთილ-შობილნი და გლეხნი და განამაგრეს ციხე იგი, და ლეკთა, ვინათგან ვერა რაიმე ჰყვეს, უკუნ-იქცნენ სირცხვილეულნი.

15. ხოლო წელსა 1755, ქკ^ს უმე იქმნა კათალიკოზი ანტონი, ძე მეფის იესესი, შეცთომილ და მიიღო სარწმუნოება კათოლიკისა, რომელიცა განძებულ იქმნა მეფის თეიმურაზის მიერ რუსეთად. მიიწივა რა იგი რუსეთად, მუნ უწყალობა ელისაბედ პეტროვნამ იმპერატრიცამ არხიეპისკოპოზობაჲ ვლადიმერისა და იერაპოლისა შემწეობითა მეფის ბაქარის ძის ალექსანდრესითა, რომელიცა იყო ბიძაშვილი ამ ანტონისა. ხოლო ნაცულად მისსა დაადგინეს კათალიკოზად რუსთუ^ლი იოსებ ჯანდიერიშვილი, კაცი ღირსი და წმინდა და სასწაულთა მომქმედი.

ჟამსა ამას მოვიდნენ ლეკნი, შთამოსრულნი მთით. გამოვიდნენ ალაზანს, წარმოვიდნენ უკანამხრით და გარდავლეს მთა გორისა, მოაოხრეს რუისპირი და ჩაიარეს შიგნით კახეთი. გაჰყვნენ უკანა კახთა მდევრობანი და ქიზიყელნი, ეწივნენ ქიზიყის ბოლოს ყარღაჯშია, იქმნა ბრძოლა ძლიერი. სიმცროისაგან მხედრობისა ჩუ^ენის იძლივნენ კახნი და მოსწყდნენ მრავალნი. ამა ბრძოლასა შინა მოკუდა ბებურიშვილი გორჯასპი, კაცი მხნე და ერთგული მამულისა თვისისა, და სხვანი თავადნიცა რაოდენნიმე.

ჟამსა ამას აიყარნენ ბორჩალოველნიცა და გლეხნი და დასახლდნენ ერევანს ყარასუდ წოდებულსა ადგილსა. მაშინ მეფემან ირაკლიმ შეიყარა მხედრობა, მიუხდა ერევანს და აჰყარნა იგინი და გარდამოასახლა ბორჩალოდვე.

წელსა ამასვე კვალად შეყრილობანი ლეკთანი მოვიდნენ ღართის კარს, წარტყვენეს ქარვანი ქართლისა და მოკლეს მუნ მუხრანის ბატონი კოსტანტინე. მიმავალთა მათ ლეკთა კახეთს მსმენელმან მეფემან ირაკლიმ შეუკრნა გზანი და მოსწყვიტნა სრულიად ნაფარეულშია.

კვალად ამ ჟამსავე მოვიდნენ ლეკნი ქიზიყს და მოაოხრეს სოფელი ჯუგაანი. მაშინ მეფენი თეიმურაზ და ირაკლი იმყო-

ფებოდნენ ქიზიყს, და შეუდგნენ მეფენი უკანა, მიეწივნენ მახლობელ დანღისისა იორზედ, და მოსწყვიტნეს ლეკნი და მიუღეს ყოველნი იგი ნატყვენავნი.

წელსა 1756 მიიცუალა მეფის ირაკლის პირმშო ძე მისი ვახტანგ ყუავილითა ტფილისს აჰსაკითა 20 წლის. და დაფლეს მცხეთას, რომელიცა ჰყვა პირველსა ცოლსა თანა ხეიძის ქალთან.

16. ხოლო წელსა 1757, ქკ-ს უმზ, იქმნა ფრიად სიყმილი ერთა, რომელ ერნი იზრდებოდნენ მდელოჲთა და განიბნივნენ მრავალნი მცხოვრებნი საქართუელოსნი უცხოთა ადგილთა შინა.

ამჟამსა შინა გამოვიდა მაჰმად-ხან-ჰასან ყაჯარი ასტრაბათით, რომელმანცა დაიპყრა უმეტეს ნახევარი სპარსეთი, მოვიდა და მოადგა შუშის ციხესა. ამან იხმო თვისთანა მეფე თეიმურაზ, რომელმანცა იწყო მზადებად წარსვლად მისთანა. ხოლო გამოჩნდა რა შირაზსა ქარიმ-ხან-ზანდი, მაშინ უკუნიქცა ესე შუშით მაჰმად-ასან-ყაჯარი მის ზედა, სადაცა გარ მოდგომასა ქალაქისასა დაეფანტა ჯარი, და თვითცა ლტოლვილი მოიკლა მსახურისაგან თვისისა, რომელმანცა მოჰკუეთა თავი და მიართუა ქარიმ-ხანს და ნაცულად ესე ვითარისა ბოროტმოქმედებისათვის ბრძანა მონისაცა მისისა სიკუდილი. და გახემწიფდა სპარსეთსა შინა და უწოდა თავსა თვისსა ვექილად (ესე იგი ხელმწიფეთა ნაიბად) და არა ხემწიფედ. ესე იყო ფრიად მშვიდი და უსისხლო კაცი და ფრიად მოწყალე და უხვი ხალხთა ზედა. ამან დაამშვიდა სპარსეთი და განარინა ოხრებისა და ურთიერთას ხდომისაგან. ესევე ექმნა ფრიად მეგობარ მეფეთა ქართლისათა და ნიჭვდა ფრიად ქართუელთა ხალხთაცა.

17. ჟამსა ამასვე განავრცეს ლეკთა ხდომაჲ. და გამოხდა ჩონჩოლ მუსა, ბელადი დაღისტნელი. მაშინ ორნივე მეფენი იყვნენ კრცხინვალს, მოვიდნენ ლეკნი ზღუდრს. ხოლო მეფეთა ვერა თავს იდვეს პირის-პირობაჲ, ვინათგან არა ჰყვათ მხედრობანი მუნ. იქმნა მცირედი კინკლაობაჲ, გატრიალდნენ მუნით ლეკ-

ნი, მივიდნენ და აღიღეს ალი, და აღვიდნენ ახალციხეს და მუნით ჩამოვიდნენ, სადცა განიყვნენ ორად: ჩონჩოლ-მუსა მოადგა ავნევს, ხოლო კოხტა ბელადი ატოცსა; მაშინ მეფეთა იხმეს იმერთა მეფე სოლომან, ძე ალექსანდრე მეფისა, შეელად, რომელიცა გარდმოვიდა იმერთა მხედრობითა. მეფემან თეიმურაზ და ირაკლიმ მოიკრიფნეს მხედრობანი ქართლისა და კახეთისანი, შეერთდნენ იმერთა თანა, დაეცნენ თავს ლეკთ ატოცსა და მოსწყვიტნეს ფრიად ლეკნი. ჩონჩოლ-მუსაჲ, მხილველი ამისი, განივლტო ღამესა მას და ესრეთ განერა. მრავალთა ლეკთა იხილეს სასწაული წმიდისა მთავარ-მოწამისა გიორგისა, რომელიცა ასვენია ატოცს ხატი წმიდისა მთავარ-მოწამისა გიორგისა სასწაულთ-მოქმედი, და იტყოდნენ ლეკნი მის მიერ ბრძოლასა და დაკუპთებასა. ხოლო ესე იყო წელსა 1758, ქკსა უმე.

18. უწინარეს წლისა ამისა აშენებდა რა მეფე თეიმურაზ ციხესა პატარძეულისასა, მუნ მოვიდნენ ლეკნი. ხოლო მეფემან ირაკლიმ მოსწყვიტნა აზანბურს უმეტეს სამასისა. მუნ მოიკლა ბრძოლასა შინა საამიშვილი ედიშერ.

19. ხოლო წელსა 1759, ქკს უმზ მოვიდნენ ლეკნი ტეზერს. მუნ ჰსძლო მეფემან თეიმურაზ. გარნა ამა ბრძოლასა შინა მოკუდა ციციშვილი გლახა, გერი მეფისა თეიმურაზისა.

20. და წელსა 1760, ქკს უმს წარვიდა მეფე თეიმურაზ რუსეთს. მისრული ყიზლარს, მყოფობასა მისსა მუნ ამ წელს დაბნელდა მზე. ამავე წელს კუალად ჰსძლო მეფემან ირაკლიმ ლეკთა სუჰყულიანსა შინა ფრიად მრავალთა და მოსწყვიტნა იგინი მრავლად. — მისრული მეფე თეიმურაზ პეტერბურხს, ფრიად პატივჰსცა იმპერატრიცამ ელისაბედ პეტროვნამ მეფურისა პატივისცემითა და აღუთქვა შეწევნაჲ და მიცემაჲ მხედრობისა და ვიდრე საქმე ესე სრულ იქმნებოდა, გარდაიცუალა იმპერატრიცა ელისაბედ დეკემბრის 23 1761 წელს. რომლისათვისცა ფრიად მწუხარე იქმნა მეფე თეიმურაზ და მიზეზითა ამით ესეცა გარდაიცვალა პეტერბუხს შემდგომად სიკვდილისა მის დღეთა 22-სა და წელსა 1762 ქკს უნ,

თუსა იანვარსა 8. ხოლო გვამი მეფისა წარმოიღეს მისთანა მყოფთა თავადთა, და ენებათ ქართლსა გარდატანად და ვინათგან ვერღარა უძლეს გზის სიშორისაგან გარდატანად იგი, ამად დაფლეს გვამი მისი ასტარხანს, სობოროსა შინა, სადაცა იყო დაფლულ სიმამრი მისი მეფე ქართლისა ვახტანგ (6).

ხოლო ირაკლი, ძე მისი, იწოდა ქართუსლთაცა ზედა მეფედ და შეერთა ქართლი და კახეთი, განყოფილი ფრიად ჟამისა. ამან კვალად მოიყვანა კათალიკოზი ანტონი რუსეთით და ჰყო კვალად კათალიკოზადვე. ამან განაწყვნა შკოლანი ტფილისს და თელავს ახლისა ფილასოფიითა ბაუმეტი-ტერისა, რომელიცა ეთარგმნა კათალიკოზსა რუსულით ქართულსა ზედა ენასა რუსეთს მყოფობასა თვისსა, და განაშუსნაცა წერილნი საეკლესიონი სრულიად მჰსგავსათ რუსთა ეკლესიითა შესწორებითა და ტიბიკონითა. ამანვე განავრცო წერა მხედრული ღრამატიკისა კანონსა ზედა. თვით წერთიდა ტფილისს სკოლასა შინა მოწაფეთა თვისთა და ასწავლა მრავალთა. ხოლო თელავს სკოლასა შინა დაადგინა სომეხთა მღვდელი ტერ ფილიპე ყაითმაზაშვილი, ფრიად მეცნიერი და ფილასოფოსი, ვითარცა ძველისა მცოდნე ფილასოფისა, ეგრეთვე ახლისაცა ფრიად გამოცდილ. რომელიცა სკოლა ესე იყო მიერ ჟამითგან აქამომდე თელავს, და სწავლობდნენ მრავალნი კეთილშობილნი და სამღვდელონი ფრიად გულ-მოდგინედ ვიდრე დაპყრობადმდე რუსთაგან საქართუსლოჲსა.

21. ხოლო ამ ჟამს განძლიერდა ქარიმ-ხან-ზანდი სპარსეთსა შინა. მაშინ ლტოლვილი აზატ-ხან მოვიდა მეფისა წინაშე და ევედრა შეწევნასა, ხოლო ამან შეიპყრა და წარუგზავნა ქარიმ-ხანს, რომელმანცა ნაცულად სამსახურისა ამის უძღვნა მეფესა მადლობაჲ საბოძვარითურთ.

ჟამსა ამასვე აღდგა ფათალი-ხან-ავშარი, მოიკრიბნა მხედრობანი ადრიბეჟანისანი, და მოადგა შუშას, და ჰსთხოვა მეფესა შეწევნაჲ. ამან მიაშველა მხედრობაჲ, და ოდეს წარემართა მათ ზედა ქარიმხან, მაშინ არღარა წარჰყვნენ მკედრობანი ქართუსლთანი და მოიქცნენ უკანვე, და განარინეს შა-

ვერდი-ხან განჯისა, რომელიცა ჰყვა პყრობილად შუშის ხანს ფანასა, რომელიცა გამოიყვანა ფათალი-ხანმა მუნით. ესე შა-ვერდი-ხან ‘ოვიდა მეფისა ირაკლისა წინაშე და სთხოვა შე-წევნაჲ, ვინაჲთგან განჯელთა არა ნებავდათ ხანობა მისი. ამის-თვის მეფემან წარატანნა მხედრობანი ქართველთანი. მის-რულთა აღიღეს კვალაღ განჯა და ჰყვეს ესე შავერდი ხანად; გარნა ჟამისა რაოდენისამე შემდგომად მოიყიდეს განჯელთა მსახური შავერდი-ხანისა. ამან მოკლა შავერდი-ხან, ხოლო განჯელთა აღადგინეს აბოხი და გამოაძნეს განჯით ძენი მისნი, რომელნიცა მოვიდნენ წინაშე მეფისა ირაკლისა. ხოლო მან წარატანნა მხედრობანი. აღიღეს კუალად განჯა და ჰყვეს ჰირ-მშო ძე შავერდი-ხანისა მაჰმად-აჰსან ხანად.

კუალად სძლო მეფემან ირაკლიმ ყარაისა ზედა ლეკთა, რომელთაცა განერყვნათ გორს გარემონი, და დააყრევინა მუნ ყოველნი ნატყვენავნი.

კვალად სძლო ახმეტას ლეკთა, და მოსწყვიტნა ფრიად, რომელნიცა დაეცნენ ახმეტას.

კვალად შეყრილობანი ლეკთანი მოვიდნენ და სწადდათ ზედა დასხმაჲ სამაჩაბლოჲსა. სცნა მეფემან, შეუკრნა კეხვი და მოსწყვიტა სრულიად.

კვალად მოვიდნენ შეყრილობანი ლეკთანი და დაეცნენ ბორჩალოს და მოსტყვენეს სოფელი აღმამადლი. მუნ იძლიენენ ბორჩალოველთაგან. მუნ იყო მხნედ თარხანი გიორგი, ძე ლუარსაბ თარხნისა, მოურავი მათი, და მოსწყვიტნეს მრავალნი ლეკნი და უკუნიქცნენ სირცხვილეულნი.

22. წელსა 1765 თუესა ნოემბერსა 16-სა მეფემან ირაკლიმ ჰყო კრება სასულიერო თანახმობითა ანტონი კათალიკოზისათა და კვალად სამღვდელოთა, მღვდელთ მთავართა და არხიმან-დრიტთა და მღვდელთა თანა დასწრებითა და განატევებინეს რჯულის კანონისამებრ დაჲ მეფისა ელისაბედ, რომელიცა ჰყვა ძესა დიმიტრი ამილახვარისშვილს გიორგის. ესე დიმიტრი იყო სალთხუცესი მეფისა. ვინათგან ვერა სრულ მყოფელი სამისა წლისა მეუღლეობითისა შეყოფისა საჭურისების გამო, ამის-

თვის განიჩინა მათგან განაჩენი განტევებისა. და ესე მეფის დაჲ ელისაბედ აქორწინეს მეორედ კაცია დადიანსა ზედა, რომელმანცა განუტევა ცოლი თვისი შარვაშიძის ასული და შეირთო ესე სიმდიდრისათვის: ვინაჲთგან მიჰსცა მეფემან ფრიადი სიმდიდრე მზითვათა. გარნა შემდგომად ერთისა წლისა მოკუდა მეფის ასული ელისაბედ, მეუღლე დადიანისა, და შემდგომად მისსა იქორწინა დადიან კაციამ წულუკიძის პაატას ასულზედ ანნა ზედა. და არღარა მოსცა მზითევი იგი მეფესა, ვინაჲთგან არ დაშთა შვილი დადიანისაგან.

23. ხოლო წელსა 1767, ქკ-სა უნე შეითქუნენ მეფესა ზედა თავადი ამილახვარიშვილი დიმიტრი, ვინაჲთგან გულსა დაედვა სირცხვილად განტევება რძლისა თვისისა მეფის ასულისა ელისაბედისა, რათა ამისა მუქაფათ აგოს რაჲმე ენებაჲ მეფესა ირაკლის, და იბირნა ციციშვილი გლახა, და თაქთაქიშვილი ელისბარ და დიასამიძე. ამათ მისცეს პირობაჲ პაატას ბატონიშვილსა, ბუშსა მეფისა ვახტანგისასა, რომელიცა მას ჟამს მოსულიყო სპარსეთით და იმყოფებოდა მეფისა წინაშე დიდითა პატივითა; გარნა იყო კაცი ესე ფრიად მეცნიერ და განსწავლული ანგლიასა და როსიასა შინა, რომელიცა როსით წარსრულიყო სპარსეთს ქარიმ-ხანისა თანა, ხოლო მათ არა ეგრე პატივისა მყოფი მოქცეულიყო ქართლადვე და იყო მეფისა წინაშე. ამას აბირეს, რათა წარწყმინდოს მეფე ირაკლი და ჰყონ ესე მეფედ ქართლისად. ჰსცნა რა ესე ჰეშმარიტად მეფემან, შეიპყრა იგინი; შეკრბნენ ქართველნი, სამღვდელონი და საერონი და განაჩინეს სიკვდილი მათი. თუმცაღა არა ჰსწადდა მეფესა მოწყვეტა მათი და მრავალ გზისცა ენუკვა ხალხთა განტევებასა მათსა, გარნა ხალხთა არა უსმინ,ს მეფესა, და მოჰკვეთა თავი პაატას ერისთავმან გიორგი ყულარაღსმან, ხოლო აბდულა ბეგის შვილს დავითს—ნაზირმან ბარამ კახთ-მორდლის შვილმან, და თაქთაქიშვილი ელისბარ დაწვეს ცეცხლითა, ხოლო დიმიტრი სალთხუცესი ამილახვარიშვილი შეურაცხჰყვეს ალჯდომითა მისითა კარაულსა ზედა, და მოჰკუტეთეს ძესა მისსა ალექსანდრეს ცხვირი და გლახა ციციშვილს

ენაჲ და დიასამიძეს აღმოხადეს ცალი თუალი და მოჰკვეთეს მარჯვენისა ცერი.

მოიკრიბნა კვალად მეფემან მხედრობანი და დაეცა ქურთთა ერევნისათა, წარტყუჱნა, და მოიქცნენ ქართველნი ალაფითა დიდითა. ამჟამს ფანბაკ იყო ოხერ. გამოსთხოვა ჰირმშომან ძემან მისმან გიორგიმ და აღაშენა. კვალად შეიყარნენ ფრიად ლეკნი და დაეცნენ თუშეთს. გარდაეშველნენ ფშაველნი და ეგრეთვე კახეთით გაღმამხრისა მხედრობით მიეშველა მოურავი მათი დურმიშხან ჩოლაყაშვილი. სძლეს ლეკთა და მოსწყვიტნეს ლეკნი უმეტეს ორი ათასისა და წარიელტნენ სირცხვილეულნი.

23. წელსა 1767 იქმნა იმერთა შინა აღრეულებაჲ: გარდაგდეს მეფე სოლომან ალექსანდრეს ძე და ჩამოიყვანეს ოსმალნი. აბაშიძე ლეონმა და რაჭის ერისთავმან როსტომმან მისცეს ციხენი ოსმალთა ქუთაისისა, შორაპანისა, ბაღდადისა და ცუცხუთისა. და დასვეს ოსმანთა მეფედ თეიმურაზ, ბიძა წული მისი. ლტოლვილი მეფე სოლომან შეიწყნარა წერეთელმან ნიკოლაოზ და დამალა მოდანახისა ციხესა შინა. შემდგომად წარვიდა დაღისტანსა შინა წერეთელი ნიკოლაოზ; და მოიყვანნა მუნით მხედრობანი ლეკთანი. მსმენელნი ამისნი იმერნი შეკრბნენ წინაშე მეფისა. და უყვეს ზედა დასხმაჲ ოსმალთა მრავალ გზის. მოსცა ძლევა ღმერთმან მეფესა სოლომანს, განჰსდევნა იმერეთით მხედრობანი ოსმანთანი და მოკლეს მუნ აბაშიძე ლეონცა, გარნა ციხენი, რომელნიცა აქუნდათ ოსმანთა, ვერ აღიღო. შეიპყრა თეიმურაზ და პატიმარ ჰყო ციხესა შინა მუხურისასა, რომელსაცა დაეცა მეხი მუნ და მოკუდა. ხოლო ვინათგან რაჭის ერისთავი როსტომ იყო სიცბილი ყოვლისა ამის ბოროტებისა და არცა ერჩდა-ღა მეფეს სოლომანს, და განესაკუთრებინა რაჭა თჳსადვე, და რაოდენ გზის აწვია მეფემან მონებასა თვისსა ზედა და მან არა ინება, ამისთვის იხმო კვალად მეფემან მხედრობაჲ ლეკთა და წარტყვენა რაჭაჲ და ალაფითა და ტყვითა სავსენი ; უკუნიქცნენ თვისად ლეკნი. მაშინ მცნობმან ამა ამბისამან მეფემან ირაკლიმ შეუკრნა

განასავლი იორისა, სადაცა მოსწყვიტნა სამასნი ლეკნი და მიუ-
ღო ყოველივე ნატყვენავნი, და ტყვენიცა რაჭველთანი, რო-
მელიცა დაასახლნა კახეთს სოფელსა შალაურსა შინა. დასჭრეს
ამა ბრძოლაში რატიშვილი ბეჟან, მხნე, მამაცი.

24. ამისა შემდგომად მეფე სოლომან ეეედრა კარსა რუსე-
თისასა, რათა მოჰსცეს მხედრობაჲ შესაწევნელად. მსმენელმან
ამისმან იმპერატრიცამ ეკატირინამ წორმოუვლინა ღენერალი
გრაფი ტოტელბენი ნემენცი ექუსი ათასითა მხედრობითა, წელ-
სა 1769, ქკ-ს უნზ. სცნა რა მოსვლაჲ მათი მეფემან ირაკლიმ,
მიეგება წინა, კოპს. შეითქუნენ მეფე და ტოტელბენი, რომე-
ლიცა არღარა წარვიდა იმერეთად, არამედ წარვიდნენ ორნივე
ახალციხესა ზედა. რომელთა ვერაგთა კაცთაგან და უფრორე
მეფისა სოლომონისა მიერ წარმოიშვა შორის მეფისა და გრა-
ფისა სანდურავი, ვინაჲთგან არა სწადდა მეფესა სოლომანს
განდიდებაჲ მეფისა ირაკლისა და მარადის მზირ ეყვის მას,
რჲთა ჰსცეს ნაკლულევანებაჲ რაიმე მეფესა. სადაცა აწყურით
დაუბრუნდა მეფესა რუსის ჯარი. ხოლო იხილეს რა ქარ-
თუსლთა დაბრუნებაჲ რუსთა, უკუნიქცნენ და იწყეს ლტოლ-
ვაჲ. რომელთაცა შეემთხვიან მხედრობანი ოსმალთანი (სახელ-
დებით დელუბაშთანი), იქმნა ბრძოლა მათ ზედა და მსწრაფლ
დააკვეთნა მეფემან იგინი, მოვიდა და დაიბანაკა ასპინძს.
ჰსცნეს რა თურქთა უკუნქცევა ქართუსლთა და რუსთა,
ჰგონეს თურქთა, რეცა შიშისაგან ლტოლვაჲ ქართველთა, და
შეუდგნენ უკანა მრავალნი მხედრობანი ლეკთა და თურქ-
თანი, რამეთუ ჟამსა ამას ფრიად იმყოფებოდნენ ლეკნი ახალ-
ციხეს. ღამესა მას განვიდნენ მხედრობანი თურქთანი და ლეკ-
თანი მტკუარს ხიდსა ზედა ნახევარი ასპინძას და ნახევარნი-
ცა ლამოდნენ მეორესა დღესა გამოსულად. ხოლო ღამესა მას
წარგზავნა მეფემან ალაბაბა ერისთვისშვილი, სვიმონ მუხრა-
ნის-ბატონის-შვილი ნასახჩი-ბაში და ხუდია ბორჩალოელი და
მამაცი ყოველთა საქართველოსა შინა, და ამცნო მათ, რათა
აჰყარონ ხიდი ასპინძისა; და მათ სრულ ჰყვეს ყოველივე: რო-
მელთაცა მოსწყვიტნეს მცველნი იგი ხიდისა მის. დღესა მეო-

რესა იქმნა რა ბრძოლა, იძლიენენ თურქნი და ლეკნი და ძლეულთა მათ მიმართეს ხიდსა, და, იხილეს რა ხიდი აყრილი, ესრეთ უკუს იყვნენ შიშვნეულ, რომელ ერთი მეორესა ჰყრიდა ხიდის ისართაგან მტკუარსა შინა, რომელიც მდინარე იგი განდიდებულიყო ფრიად. დღესა მას მოკლა მეფემან ხელითა თვისითა კოხტა-ბელადი, რომელიცა იყო ჩინებული მძლეანი ლეკთა, და მოიშთუნენ, უმეტეს წყალთა შინა, უმეტეს ორისა ათასისა ლეკნი და თურქნი. მხნედ იყვნენ ხევსურნი და თუშნი ბრძოლასა ამას შინა ფრიად და სახელოვნად, რომელთაცა ჰყვეს მრავალნი სახელნი, ღირსი ხსოვნისანი, და ეგრეთვე ქართველნი და კახნი თავადნი და აზნაურნი და გლეხნიცა, და მოიქცნენ ალაფითა დიდითა გამარჯვებულნი და სავსენი სიმდიდრითა.

შთაეიდა რა გრაფი სურამს, გარდავლო მთაჲ საფიჩხისა და შთავიდა იმერეთს. მოეგება მეფე სოლომან, მიუძღუა და აღიღეს ციხენი იმერეთისანი, რომელიცა ეპყრათ ოსმალთა, ესე იგი ციხე ცუცხვათისა, შორაპანისა, ბაღდადისა და ქუთაისისა, რომელიცა შემუსრნა მეფემან სოლომან.

ხოლო წელსა ამასვე 1770: წელსა ამას, შემოდგომაზედ, გამოჩნდა კუდიანი ვარსკულავი ტფილისს, სახე აქუნდა მჰსგავსი ლოქოს თავისა. სიგრძით იყო 200 ღრადუსი და სიგანით 20. იყო თავითგან ბოლომდისინ ასი ათას ფერად; ასეთი ბრწყინუალე იყო, რომ დღესავით ანათებდა ღამესა, თითონ ფერით იყო ჯიგრის ფერად და ეს ვარსკულავი დიახ ძირს ჩნდა. პირველად შუაღამისას გამოჩნდა, 2 ღამეს უფრო გვიან და 3 ღამეს დილას განთიადზედა და მერმე არღარა გამოჩნდა. ამის გამოჩენის შემდგომად ერთ თვეს უკან გამოჩნდა ჰირი მსგრელი, ვითარცა ქვემო მოვიხსენეთ. სახე ამ ვარსკულავისა ესრეთი იყო ამ ჟამსა*). იქმნა საშინელი მომსრველი სენი საქართველოსა და იმერეთს შინა. მასჟამს, მოასტუსნეს რა წმინდა ლახუარი უფლისა ჩუსნისა იესო ქრისტესი ეჩმიაძინით, მსწრაფლ

*) ვარსკვლავის სახე ავტორს გამოსახული აქვს ხელნაწერის აშიაზე.

განქარდა ჭირი იგი მომსვრელი სასწაულითა მისითა. ამ ჟამად გამოცუალეს ღრაფი ტოტელბინი და ნაცულად მისს მოვიდა ღენერალ სუხოტინი. მოსრული სუხოტინი შთავიდა ფოტს. გარნა ოდეს ვერ უძლო დაპყრობაჲ, უკუ მოიქცა. ხოლო ამა ჟამსა შინაცა გაჩნდა სრულიად დაღისტანშია და ძირობაზედა მომსვრელი სენი. და მრავალნი მოსრნა და განძლიერდა. მსმენელთა ლეკთა სასწაულისათჳს წმიდის ლახვრისა, წარვიდნენ ეჩმიაძინს და სთხოვეს ლახვრისა მისვენებაჲ ორქივატერს სვიმონს, ხოლო მან გაუკეთა მაგალითი რკინისა, და მისცა მათ, და მათ მიასვენეს რა იგი, მჰსწრაფლ განიკურნენ და ჭირიცა გარდავარდა და მოისრა მხოლოდ ტფილისსა შინა ამა სენისაგან 5000 სული თჳნიერ სოფლებისად.

ხოლო ამ ჟამს წარვიდა კუალად მეფე ირაკლი ქურთთა ზედა, მოარბივნა იგინი, და მოვიდნენ ქართუ̈ლნი ალაფითა დიდითა.

25. წელსა ამას—1772, ქ̇კს უჲ—რუსნიცა უკუნიქცნენ რუსეთადვე. რომლისა გამო მეფემან ირაკლიმ წარგზავნა რუსეთად ძეჲ თვისი ლეონ და კათალიკოზი ანტონი, ძე მეფისა იესესი.

წელსა ამასვე წარმოემართა სარასკარი თურქთა მხედრობითა დიდითა, ვინადგან ნახეს თურქთა უკუნქცევაჲ რუსთა მხედრობისა. რომელნიცა მას ჟამს დაზავდნენ რუსნი და ოსმანნი და მისცეს ოსმალთა კუალად იმერეთიცე. ჩამოსრულს ოსმანთ მიეგება წინა ერისთავი რაჭისა როსტომ და ქაიხოსრო აბაშიძე, ძე ლეონისა და შეერთდა სარსკარსა. თუმცაღა დადიანი კაციაც და გურიელიც შეერთებულიყვნენ ოსმალთათანა, გარნა ქუ̈ს საქმისა გამხედვალნი სპვრეტდენ საქმესა მეფისასა. მსმენელმან ამისმან მეფემან სოლომან მოიკრიფნა მხედრობანი იმერთანი, ეწყო მეფე ოსმალთა ხრესილსა ზედა, განვრცა ბრძოლა ძლიერი, მოსცა ღმერთმან ძლევა მეფესა, იძლიენენ ოსმალნი და მოიკლა მუნ სარასკარიცა; ესრეთ მხნედ იყო მეფე, ვითარცა ლომი და განბძარნა რაოდენნიმე თურქნიცა ხელითა თვისითა, და ეგრეთვე ძმაცა მეფისა არჩილ ფრიად

მამაცი და მხნე მბრძოლიყო, რომელსაცა იღლიით აღმოართუჱს შეყინულნი სისხლნი, რომელ ეცა თურქთათჳს ეგოდენი ხმალი, რომელ ხმალისაგან მისისა ჩასრული შეჰყინვოდა ღლიასა შინა. ხოლო ლტოლვილნი თურქნი წარვიდეს გურიის კერძო, სადაცა ოდიშართა და გურიელთა შეუკრნეს გზანი და მოსწყვიტნეს სრულიად, და მცირედნიღა განერნეს. დაშთათ ბანაკი მათი, ფრიად მდიდარი, ესრეთ, რომელ არა სადა ნახულ არს ეგოდენ ტურფაჲსა ნივთისა ნახვაჲ, და იავარ ჰყვეს იმერთა ნატყვევნავი მათი და სიმდიდრე მათი. მხილველი ამისი რაჭის ერისთავი როსტომ მიიქცა რაჭად და ქაიხოსრო აბაშიძე წარვიდა ახალციხეს და იქიდამ სტამბოლს. იძულებული როსტომ ერისთავი ეევდრა მეფესა შეცოდებისა მიტევებას. რომელსაცა მიუწოდა მეფემან სოლომან ვარციხეს. მისრული მუნ—ოდეს სწირა კათალიკოზსან იოსებ, შეჰფიცა მეფემან ბარძიმსა ზედან უვნებელობაჲ—და ესრეთ მიტყუებით შეიპყრეს იმერთა როსტომ და აღმოხადნეს თულნი და ეგრეთვე ძეთა მათთა, ხოლო გიორგის, პირმშოსა ძესა მისსა, შეარჩინა ცალი თუალი მთხრელმან მან და ესრეთ განარინა გიორგი, რომელიცა ესეცა წარვიდა სტამბოლს, და იყო იგი მუნ ვიდრემდის გარდაიცუალა მეფე სოლომან. ხოლო მეფემან სოლომან მიუღო რაჭა სრულიად, თვინიერ წესისა და ბარაკონისა, და განუყო თავადთა იმერთასა, რამელთაცა მსახურეს მას ჟამსა მწირობისა მისისასა, და დანაშთი რაჭისა ჰყო სახასოდ თჳსად. ამან მეფემან სოლომან გარდააყენა ნიკოლოზ წმინდელი ეპისკოპოსი რაჭისა გერმანე წულუკიძე, ვინაჲთგან იყო მოყვასი როსტომ ერისთვისა და მოადგილედ მისსა დასო სილიბისტრო ღოღობერიძე. ესე სილიბისტრო მოკლა მუნებურმან გლეხმან ნადირაძემ მიზეზისა ამისთვის: ვინათგან ჟამსა აღრეულებისა რაჭისასა ერთი გლეხის ცოლი შთავარდნილ იყო ტყვედ და ლეკთაგან დაესხნა ამა ნადირაძეს და შეერთო თჳთ ცოლად. ესე მიუღო და მისცა ძველსავე ქმარსა მისსა, და ამისა გამო ჰკრა თოფი ახალს ნაწირავს ეკლესის კარზედ და მოკლა იგი. და კვალად დასვეს გერმანე.

კვალად მოსრულმან სტამბოლით მოიკრიფნა ახალციხეს ლეკნი და თურქნი რაოდენნიმე მხედრობანი ქაიხოსრო აბაშიძემ და წარმოემართა დასაპყრობელად იმერეთისა. მსმენელი მეფე სოლომან მიეგება წინა სპითა თჳსითა, შეება ჩიხორს, იძლია ქაიხოსრო მეფისაგან, მრავალი მოკლეს იმერთა და ტყვე ჰყვეს, და ბანაკიცა მათი დაშთათ იმერთა, და ესე სირცხვილეული მივიდა ახალციხესვე ქაიხოსრო. ხოლო მამული მისი მიუღო მეფემ და არს სახასოდ მოდღეინდელად დღედმდე.

წელსა ამასვე მოვიდნენ კუალად შეყრილობანი ლეკთანი ქართლსა. მუნ იყვნენ მხედრობანიცა ქართლისა და კახეთისანი, რომელსაცა მწყსიდა ამილახვარი იესე. გარნა იკვეთნენ უფლის ციხეს, იძლიენენ ქართველნი და მოსწყდნენ მრავალნი, განვიდნენ ლეკნი გორის ბოლოს ლიახვსა შინა და წარვიდნენ ახალციხესა. და კუალადვე ჩამოვიდნენ ლეკნი, მოადგნენ გრცხინვალს, მოაოხრეს გარდა ციხისა, და მრავალი ტყვე ჰყვეს.

ხოლო იყვნენ განძვინებულნი თურქნი საქართველოსა ზედა და იყვნენ ლეკნი მრავალნი ახალციხესა შინა, და სტყვევნიდნენ ქართლსა, გარნა ჩვენიცა მარადის უხდებოდიან ჯავახეთსა ესრეთ, რომელ ძეთა მელიქისათა გიორგიმ და ავთანდილ შეიპყრეს უმეტეს ხუთასისა ორასითა კაცითა მდევარნი თურქთანი. კუალად უხდებოდის და აოხრებდის ჯავახეთსა და ჩხშირად ზედა დასხმასა უყოფდის ლეკთა ხუდია ბორჩალოელი. რომელთაცა მოიყვანეს კერძონი ახალციხისა და ყარსისა ძრწოლასა შინა.

ამ ჟამს შეკრბნენ ყაზახნი ბორჩალოველნი და ფანბაკელნი, წარვიდნეხ და მოსტყვენეს ნახჩევანი და სძლეს ხანსაცა მუნებურსა შუქურ-ალის, რომელიცა ეწივა მდევრად, და მოიქცნენ ალაფითა დიდითა.

შემთხვევასა ამას შინა ექმნა ორგულ ფაშასა ახალციხისასა სულეიმანს ათაბაგსა იბრეიმბეგ ხერთვისისა, რომელმანცა მოსცა ციხე მეფესა, და ვინათგან შეაყენა მეფემან მუნ მცტველნი ალანი, კუალად მიუღეს ციხე თურქთა და ტალათა მათგანი

რომელნიმე ტყუს ჰყვეს და რომლნიმე განილტნენ. რომლისათვისცა მეფემან ირაკლიმ მოუწოდა მეფესა სოლომანს იმერთასა, და შეკრიბეს ორთავე მეფეთა მხედრობანი ქართველთა და იმერთანი, მივიდნენ ახალქალაქს და მოერტყნენ გარს; იქმნა უძლებ მეფე სოლომან, რომლისა გამო უკუს მოიქცნენ უკან, გარნა ქართუსლთა მოსტყვენეს ჯავახეთი; მუნით წარმოსრულნი, შთამოვიდა მეფე ირაკლი კრცხინვალს. ამ ჟამად, ოდეს ჯდა სადილად მეფე, მოვიდა ფრიად შეყრილობანი ლეკთანი,და დაესხნენ ხვითეს. აღმხედრდა მეფე ამალითა თვისითა და ჰსძლო ლეკთა ფრიად, და მოსწყვიტნა მრავალნი. მუნ იყო მხნედ ქიზიყის მოურავის პაპუას ძე იესე ენდრონიკაშვილი, რომელმანცა მოკლა ოთხი ლეკი. ხოლო აბაშიძეს იოანეს, ცოლის ძმასა მეფისასა, მოსწყვიტნეს თითნი ლეკთა მათ ხლმითა. და ესრეთ წარვიდნენ სირცხვილეულნი ლეკნი. განვრცნა რა ხდომაჲ შორის ქართლისა და ახალციხისა, ორნივე კერძონი, შემჭირვებულნი ფრიად ამას ზედა, ზავ ჰყვეს ურთიერთარს. და წარგზავნა მეფემან ირაკლიმ კარსი ზედა სულტანისასა დესპანი თვისი მირზა გურგინა სომეხი ენაკოლოფაშვილი, ყარაბაღელი, კაცი ესე ფრიად ბრძენი და განსწავლული მრავალთა ენათა მიერ. რომელიცა მოერთვა სულთან აჰმადისაგან ორგზისვე ქურქი, ხმალი და აღკაზმული ოქროითა ცხენი, ხოლო ვეზირისაგან—საათი ძვირფასი, მოოქვილი თვლითა.

ხოლო ახალქალაქსა ყოფასა მეფისასა მოვიდნენ ლეკნი ჭარელნი და მუნ კერძოჲთ, და წარტყვენეს სოფელი ფხოველი და წარიყვანეს ტყვედ მოურავის შვილის ენდრონიკაშვილის პატა თოფჩიბაშის მეუღლე, რომელიცა შეირთო უსეინ ხანმან შაქისამან.—კუალად შეიყარა ხუნძახის ბატონმან ნურალი ბეგმან (ესე იგი მუცალიმ) მხედრობაჲ დიდი ლეკთა, და შთავიდა შაქისა კერძო, მუნით უეცრად წარვიდა და დაესხა ქიზიყის სოფელს ბოდბეს და იავარ ჰყო რაოდენნიმე უბანი. მაშინ მხნედ იყვნენ ბაღაანნი. რომელთაცა სიმხნითა თვისითა დაიცუეს ბოდბე. აღმოვიდა სილნაღით მოურავი რევაზ ენდრონიკაშვილი, ძე პაპუა მოურავისა, მაღაროს, შემოიკრიბნა მუნ

ქიზიყისა მხედრობაჲ, ეკვეთა ბოდბეს უკანა მხრით ლეკთა და იქმნა ბრძოლა ძლიერი. მას ჟამს წმინდის ნინოს მონასტერში იმყოფებოდნენ მრავალნი მოსწავლენი სამღდვლოდ შეგირდნი, რომელსაცა ზრდიდა გარსევანაშვილი მღვდელ-მონაზონი თომა. ესე გაუძღუა შაგირდთა თვისთა და აღიყვანა მაღლა ქედსა ზედა, პირისპირ ბოდბისა, და თითოსა ჯოხსა ზედა აეშუათ მათ ხელცახოცი და მისცა მათ ბაირახად. მჴვრეტთა ლეკთა, იხილეს რა ესენი, ჰგონეს ფრიად მხედრობისა მოსვლაი, მსწრაფლ შექნეს ლტოლვაჲ, სძლეს ფრიად ქიზიყელთა და მოსწყვიტნეს ლეკნი უმეტეს ათასისა, და შეჰსწირესცა სისხლი თვისი მამულსა თვისსა ორთა ძმათ ბაღაშვილებმა, რომელნიცა მოსწყდნენ მუნ. ამ ჟამად მუხ ლეკმან ერთმან შეიპყრა დედაკაცი ერთი ტყვედ და ენება დამდაბლებაჲ მისი; წააძრო ხანჯალი ლეკსა მას და მოკლა ლეკი იგი დიაცმან მან, და ესრეთ განერა დიაცი იგი. დჰ წარვიდა ნურალი სირცხვილეული სახლად თვისად.

კუალად შთამოვიდა ნურალი-ბეგ, და წარვიდა შამახიას, რომელსაცა უსტუმრა ფათალი-ხანმან ყუბელმან, უღალატა და მოკლა იგი ნურალიბეგ.

ჟამსა ამასვე მოვიდა ფათალიხან დარბანდით უსენ-ხან შაქელსა ზედა. ეხე ეევედრა შეწევნისათვის მეფესა. ამან მიაშველა მხედრობა თვისი და უთავა ქსნის ერისთვისშვილი ყულარაღასი გიორგი; და განარინა უსეინ-ხან. ხოლო ამ ჟამს დაზავდნენ ფათალი-ხან, მეფე ირაკლი და უსეინ-ხან შაქისა.

იქმნა ამ ჟამს კუალად საკვირველი შემთხვევაჲ: ჟამსა ამას რომელ ბირებითა ეშმაკისათა განიელტო დავით გარესჯით მონასტრით მონოზონი დაყუდებული. ხოლო ესე იყო იმერელი; მივიდა ლეკთა შინა, მოუძღუა ლეკთა, და ვინაჲთგან ციხის კარნი იყენენ მონასტრისანი დახშულ, მუნ ვერა შესრულმან, აღიყვანა ლეკნი წმინდის ნიკოლოზის ეკლესიის ხვრელით, დაფარულის გზით, და წარტყვენა მონასტერი ესე და მრავალნი მღვდელ-მონაზონნი ჰყო ტყვედ; და იავარ იქმნა სიმდიდრე მისი.

26. წელსა 1778, ქ^ნკს უჯვ შეითქვნენ მეფენი ირაკლ-ნი და იბრემ-ხან ყარაბაღისა, აღიღეს განჯა და შეიპყრეს მაჰ-მად-ხან მიზეზისა ამისთვის: ვინაჲთგან უფროსი ძმა მისი მაჰმად ასან-ხან იჯდა ხანად, ხოლო ესე მოკლა მოწამლითა ძმა თვი-სი და თვით დაჯდა ხანად არა ჩებითა მეფისათა, და ბიძაცა ამისი რიზა-ყული-ხან, როცა იყო მზეველად სპარსეთსა შინა ქარიმ ხანთან და ესე მოქცეული მუნით, არა უტევა მ^ნ განჯასა შინა, რომელსაცა მეფემან ირაკლიმ უბძანა, რათა მისცეს სარჩო, და იყოს განჯასა შინა. ხოლო მანცა აღუთქუა ყოველივე ბრძანებული მისდა და, მიიტყუა რა რიზა-ყული-ხან, მისრულსა მუნ,—ღამესა ერთსა შეიპყრა იგი სახლსა თვისსა და-აღმოხადნა თუალნი. მიზეზითა მით შეიპყრა ხანი განჯისა მაჰ-მად სახლეულითურთ თვისით, რომელიცა მიაბარა იბრეიმ-ხან-სა, რათა პატ^მარ ჰყოს ციხესა შინა შუშისასა. ხოლო განჯა-სა შინა დაადგინა გამგედ მეფემან ირაკლიმ ენდრონიკაშვილი ქაიხოსრო მდივან ბეგი, და იბრეიმ-ხანის კერძოდ დაადგინა აზრად-ყული-ბეგ მარტყოფელი, რათა ურთიერთას კითხვითა მართონ საქმენი განჯისანი. ხოლო ხარკსაცა განჯისასა ჭყოფ-დნენ საშუალ მეფე და იბრეიმ-ხან და ეპყრათ ასე ორთავე განჯაჲ წელი რაოდენმე. ხოლო მაჰმად-ხან პყრობილი მო-კუდა შუშისა ციხესა შინა.

ხოლო ჟამსა ამასვე ქართლით მომავალს ქიზიყის მოურა-ვის ასულს მეფის რძალს ქეთევანს, მეუღლესა პირმშოისა მე-ფის ძის გიორგისასა, დაუხვდნენ ლეკნი ღართის კარს ვიდრე ხუთასადმდე, და მეფის რძალს ქეთავანს არა ჰყვა თანა უმე-ტეს სამასისა მხედრობანი, მორიგედ წოდებულნი, რომელნიცა თანა გამყოლად ახლდნენ მას, და არცა ვინ ჰყვა თვისთანა მეცნიერი ბრძოლისა; მაშინ თვით იქმნა თავი მხედრობისა თვი-სისა, და განამხნო იგინი, ეწყო და იძლივნენ ლეკნი და მოს-წყვიტნეს მრავალნი ლეკნი. ჰსცნა რა მეფემან ირაკლიმ ესე ვითარი სიმხნეჲ სძლისა თვისისა, მხიარულ `იქმნა ფრიად, და შეიყვანა ტფილისს დიდისა დიდებითა და ზარბაზანთა სრო-ლითა. ხოლო ღამესა მას ყოველსა ქალაქსა იყო ჩირაღოვანი.

ჟამსა ამას უკუუდგა ყულარ აღასი გიორგი ერისთავი ქსნისა, და რაოდენ გზისცა აწვია მეფემან, რათა დაუტეოს უგვანი ესე საქმე და მოვიდეს მონებასა ქუჩუშე, გარნა მან არა უსმინა მას, და ვინაჲთგან ქალიცა თვისი ანასტასია მიეცა მეფესა ძისა მისისა რევაზისათვის, ამის გამო არა ჰსწადდა დამდაბლებაჲ მისი, და ვინათგან ვერა რაიმე შეაგონა მას მეფემან, — ამას ზედა განწყრა, და წარავლინა ძე თვისი უპირველესი გიორგი და ლეონ, რათა დააცხრონ ამბოხი მისი. მისრულთა ამათ ლიახვსა ზედა აწვიეს კუალად მორჩილებასა ზედა მეფისასა, გარნა მან განამაგრა ციხე სიათისა ლიახვსა ზედა, და მოელოდა ლეკთაცა შემწედ ახალციხით. მხილველთა ამისთა მეფის ძეთა, ვინათგან ვერა რაიმე მიიღეს მისგან პასუხი დამშვიდებისა მისისა, უყვეს ზედა დასხმაჲ, აღიღეს ციხე სიათისა, რომელიცა არს ფრიად მაგარსა კლდესა ზედა, შეიპყრეს იგი მუნ და მოიყვანეს მეფისა წინაშე. თუმცაღა ჰსწადდა მეფესა დაჰსჯაჲ მისი, გარნა კუალად მიუტევა შეცოდებაჲ მისი, და მიუღო ქსანი და ლიახვი, მთისა ადგილნი სრულიად, ვინაჲთგან მთათა მათ შინა ინახვიდა ლეკთა მხედრობასა და მუნით არბევდა ქართლსა, ვითარცა ავაზაკი. ამის გამო მიუღო მათ ადგილნი იგი, რათა არა იქმნას მათ შორის მახმედინობაჲ და რათა არ იყოს მუნ ლეკთა სადგური, ვინათგან მისცემდა ზემო ქართლსა ფრიადს ვნებასა. ხოლო ესე მთისა ადგილნი განჰყო მეფემან: ქსანი მისცა უფროსსა ძესა თვისსა გიორგის, ხოლო ლიახვი უმრწემესსა ძესა თვისსა იულონს, და გვერდისძირი მისცა სარჩოდ ძეთა დავით ერისთვისათა და ძეთა ალაბაბასათა, რომელთაცა არარაჲმე შესცოდეს მეფესა მას ჟამსა შინა. ხოლო ყულარაღასი გიორგი დაშთა ტფილისსა შინა უპატიოდ, ვითარცა ტუსაღი.

ვინაჲთგან ლეკნი მარადის აოხრებდიან ქართლსა, იღონისძია მეფემან და განაწესა ყოველთა სახლთაგან კაცის თავს ერთი — რაოდენიცა იყვნენ სახლთა შინა, — რათა მსახურონ თითოსა თვესა მამულსა თვისსა, და უწოდა მათ მორიგეედ ხარჯითა თვისითა, და ეგრეთვე განაწყო ოფხანა მებრ რუსეთის

კანონითა, და განასწავლა თოფჩებიცა, რომელიცა განაწყო ესენი ქიზიყის მოურავის შვილმა ენდრონიკოვმა პაატამ. ეს პაატა წარსრულ იყო როსიად შემდგომად დატყვებისა მეულლისა თვისისა და ესწავა ამას მოსკოვს მუნ თოფხანისა გაწყობაჲ, და ჩამოსხმაჲ ზარბაზანთა და ზართა, და ყუმბარათა, და იყო ფრიად მეცნიერ, და თვითცა მეფე ძეებითურთ თვისით დაეწერა მორიგედ, და იხდიდა თვითცა თუᲡსა უკუᲡ ერთსა ყოველთვის. უკეთუ გლეხთა დაიყოვნიან, მაშინ იგინი წკეპლათა შინა განატარიან, რაოდენ დღესაცა დაიყოვნიან, ეგოდენ გზის, და უკეთუ თავადთა და აზნაურთა დაიყოვნიან, ეგოდენ დღე პატიმარ იქნებოდიან. ხოლო ესე იქმნა ქართლისა სასარგებლო ფრიად მით, რომელ მეფემან მხედრობითა ამით მრავალ გზის აოტნა ლეკნი, და ეგრეთვე მეფის ძემან გიორგიმ რაოდენგზისმე ღართიკარსა და იორსა ზედა, და მეფის ძემანცა ლეონმაცა არაგვის პირსა მისაქციელსა შინა, სადაცა მოკლეს ყაფლანიშვილი დიმიტრიცა, და ქიზიყელთაცა მრავალ გზის შეიმოსეს ძლევა ლეკთა ზედა, და მსგავსადვე თვით მორიგენიცა აოტებდნენ მარადის გამომსვლელთა ლეკთა. ესრეთ იქმნენ შიშვნეულ ლეკნი, რომელ ვერ-ღარა სადა იკადრეს გამოსვლაჲ, და ესრეთ დამშვიდდა ქვეყანაჲ, რომელ ღართის კარსა შინა და სხვათა სამტეროთა ადგილთა დედაკაცნი ვიდოდეს თვინიერ კაცისა, და აშენდაცა მრავალი მოოხრებულნი სოფელნი, ვითარცა კახეთსა შინა, ეგრეთცა ქართლსა და სომხითსა შინა და ლორესაცა.

27. ხოლო წელსა 1779, ქკ᾽ს რაჲ᾽ არღარა ინება ხანმან ერევნისამან უსეინ ალი-ხან ხარკისა მოცემა ქართველთა მეფისა, რომლისა გამო წარვიდა მეფე მას ზედა. იქმნა მუნ ბრძოლაჲ, ვინაჲთგან ერევნელნი იყვნენ ფრიად გამაგრებულ ციხესა შინა, სადაცა მუნ მხნედ აღმოჩნდა მეფისა ირაკლის ძე გიორგი. მუნ ჰსძლო მეფემან ერევნელთა მხედრობასა.*) მო-

*) ხოლო მოიკლა ამა ბრძოლასა შინა სახლთხუცესი ჩოლაყაშვილი გივი ღ მაჩაბელი გოგიას ძე კეკე.

ხარკე ჰყო, და აჰყარნა მრავალნი სომეხნიცა, რომელნიცა დაასახლნა ყარიასა ზედა. და ვინაჲთგან მუნ ვერღარა უძლეს ჰაერისაგამო დგომა, აჰყარნა და დაასახლნა ავლაბარსა შინა, ტფილისს, გორს, თელავს და სიღნაღსა. და მსწრაფლ მოიქცა ამად, ვინაჲთგან იყო სამდურავი მეფისა შორის ირაკლისა და მეფისა შორის იმერთა სოლომანისა. და ამან სოლომან წარგზავნა სპარსეთს გაბაშვილი ბესარიონ, ძე ზაქრიას მოძღვრისა, რომელი ესე იმყოფებოდა ექსორია ქმნილი მამითურთ თვისით იმერეთს, ანტონის გამო კათალიკოზისა. მოაყვანინა ძე ბაქარისა და ძის ძე მეფისა ვახტანგისა ალექსანდრე შირაზით; რომელიცა ესე ალექსანდრე წარსრული რუსეთიდამ იყოფოდა ქარიმ. ხანისა წინაშე და ლამოდა დაპყრობასა ქართლისასა, და ამის გამო აბირა მეფემ სოლომან და აღუთქმიდა შეწევნასა და დაპყრობასა ქართლისასა. ხოლო ვინაჲთგან ქართველთა არა თავს იდეს მეფობა მისი და მტკიცედ ჰსდგნენ ერთგულებასა ზედა მეფის ირაკლისასა, ამად ალექსანდრე უღონო წარვიდა რაჭის გზით და გარდავლო დიდგორი, მივიდა ჩერქეზთა შინა, და იქიდამ შამხალთან, ხოლო იქიდამ დარბანდს ფათალი ხანისათანა. მას ჟამსა შინა ციხე დარბანდისა ეპყრათ რუსთა. მისრული მუნ ალექსანდრე შეიპყრა ფათალი-ხანმან და მასთანავე ცხვირ მოკუმთილი ალექსანდრე ამილახვარიშვილიცა, რომელიცა იყო მისთანა და აბირებდა, რათა შურაგოს მეფესა ირაკლის მის გამო. ხოლო რუსთა აქუნდათ ბრძანებაჲ იმპერატორიცა ეკატერინასი, რათა სადაცა იხილონ ალექსანდრე, შეიპყრან იგი. მაშინ მიუხვნეს იგინი ფათალი ხანსა რუსთა და წარგზავნეს როსიად. მისრული მოსკოვს ალექსანდრე ბაქარის ძე წარგზავნეს პატიმრად სმოლენსკის ციხესა შინა და მოკუდა მუნ, ხოლო ალექსანდრე ამილახვრიშვილი ძმითურთ თჳსით ევგენით წარგზავნეს ვიბურლს ციხესა შინა, და იყო წელი რაოდენიმე.

ამავე ჟამსა ურჩ ექმნა უკუმ ძე თვისი მეფესა იმერთასა სოლომანს ალექსანდრე ბირებითა მერაბ ნიჟარაძისათა, რომელ მეფესა სოლომანს არც ესვა თვინიერ მისა ძე. და მოვი-

და მეფისა წინაშე. ამან შეიწყნარა და პატივ ჰსცა და აგო მამასა თვისსა. ამან ალექსანდრეს შეირთო ცოლად ასული ევგენ აბაშიძისა, რომელიცა არა სთნავდა მეფესა სოლომანს.— რომლისა გამო ზავ ჰყვეს და მეფემანცა სოლომან განუტევა მას ჟამს ძე ბაქარისა ალექსანდრე (რომლისაცა მოთხრობა მისი დავჰსწერეთ ზემორე).

ჩასრულსა ალექსანდრეს მეფის სოლომანის ძეს იმერეთს გააშვებინა მამამან თვისმან ცოლი, ევგენ აბაშიძის ქალი, ვინაითგან მტერ იყო აბაშიძეებისა, და შერთო ბერი წულკიძის ქალი დარეჯან და აქორწინა; რომელიცა წლისა ერთისა მოკუდა ალექსანდრე და უმკვიდრო იქმნა სახლი მეფისა სოლომანისა. ამის გამო შურ აგო ნიჟარაძე მერაბს და აღმოხადნა თჳალნი მეფემან. ხოლო სამღუდელოთაცა კრებათა არა აუფლეს მეფესა დამარხუა ძისა თვისისა, ვინაითგან კრულ ჰყვეს იგი "განტევებისათვის ცოლისა და უჯეროისა ქორწინებისათვის, თუმცაღა მეფე ევედრა მრავალთა ეპისკოპოსთა, გარნა არა უსმინეს მას და ერთისა მღვდლისა წინა გაძღოლითა დაფლეს იგი გარეგან ეკლესიისა.

28. წელსა 1781, ქკ"ს უჯთ: ჟამსა ამას მოვიდა თავრიზით მცბიერი ვინმე. ამან იჩემა გაკეთება ქიმიისა და იწოდაცა შაჰზადად, ძედ ალიშაჰისად, რომელსაცა მისცა შესაბამი პატივი მეფემან ირაკლიმ და ოდეს ვერა რაჯმე აღმოაჩინა მოქმედებაჯ თვისი და სცნეს სიცბილი მისი, ამად შეჭამა თრიაქი და წარიწყმინდა თავი თვისი.

ამავე წელსა შეედუა მწუხარებაჯ მეფისა სახლსა სახელოვანისა ძისა მისისა, მხნისა ჭაბუკისა, სიკუდილი ლეონისი, რომელიცა გარდაიცვალა კახეთს, ვეჯინსა, სახლსა ივანე აბაშიძისასა, თუსსა თებერვალსა 5 დღესა.

წელსა 1782, ქკ"ს უჯი გარდაიცუალა მშობიერობის მიზეზით მეფის რძალი ქეთევან, ქიზიყის მოურავის პაპუას ასული, მეუღლე პირმშოისა ძისა მეფისა ირაკლისი გიორგისა, ივნისის 3 და დაფლულ არს დავით გარესჯის მონასტერსა შინა

ხოლო ამან გიორგიმ შეირთო მეორე ცოლი, ქალი გიორგი ციციშვილისა, რომელსაცა ხათათ უხმობდნენ.

კუალად წელსა ამასვე 1782, ქკ-ს უჟი, თფ(ს)ა მარტსა წარვიდა მეფე იმერთა სოლომონ, ძე ალექსანდრესი, მხედრობითა თვისითა გურიასა ზედა. მაშინ ოსმალთა აუწყა მიმავლობა მეფისა დადიანმან კაციამ. რომელსაცა მზირ ეყვნენ ოსმალთა მხედრობანი. ჩასრულსა ჩაგვს მეფესა, რომელმანცა მოაოხრა და წარტყვენა ჩაგვი იგი, უკუნქცეულსა შეუკრნეს ოსმალთა ვიწრონი იგი გზანი, რომელიცა არს ადგილი ესე ფრიად მაგარი, ჯანგლიანი და იწრო, კლდიანი. და ეგრეთვე უღალატა მეფესაცა გურიელმან და მანცა შეუკრნა უკანით გზანი. იძლივნენ იმერნი მუნ და მოსწყდნენ მრავალნი თავადნი, და აზნაურნი, და გლეხნი, რომელ ძლივღა განერნენ მცირედნი-ღა, და დაიკოდა ამა ბრძოლასა შინა წერეთელი სარდალი პაპუნა, და ძლითღა განერა მეფეცა მათგან. მოსრულსა მეფესა მწუხარებითა ამით დაეცა დამბლა და გარდაიცუალა მსწრაფლ ქუთაისს თფ(ს)ა აპრილსა 23. ხოლო ვინაჲთგან არა დაშთა შვილი მეფესა სოლომანს, და არცა ძალედვა სიმცროისა გამო ძმის წულსა მისსა არჩილის ძეს დავითს, რომელსაცა ზრდიდა პაპა თვისი მეფე ირაკლი ქართლსა, ამის გამო მოიყვანეს ძ(ს) გიორგისა და ბიძაშვილი მეფისა სოლომანისა დავით და ჰყვეს მეფედ იმერთა.

კუალად ამ ჟამს მოკუდა ხანი ერევნისა უსეინ-ალი და ჰყო მეფემან ირაკლიმ ძე მისი ყულა-მანი-ხან. ვინაჲთგან ესე იყო გონება მსუბუქ, მოკლეს ესე ერევნელთა, სადაცა იძულებულმან მეფემან წარგზავნა მირზა გურგინა ენაკოლოფაშვილი, და ჰყვეს უმრწმესი ძე უსეინ ალი-ხანისა მაჰმად ხანად ერევნისა, და განამტკიცეს ესე ბრძანებითა მეფისათა ხანად ერევნისა.

29. წელსა 1783, ქკ-ს უოა შევიდა მეფე ირაკლი საფარველსა ქუ(ს)ე რუსეთისასა, რომელსაცა წარუგზანა იმპერატრიცამ ეკატერინამ ნიშანნი სამეფონი (გრამატა) და ორნი ბატალიონნი რუსთა მხედრობისანი ეგირად ხმობილნი, რო-

მელნიცა შეიკრნენ უცუალებელითა პირობითა, ხოლო დედოფალსა დარეჯანს, მეუღლესა მეფისასა, კავლერია წმიდისა ეკატირინასი ძვირფასი ბრილიანტითა, და პირმშოსა ძესა მისსა გიორგის კავლერია ალექსანდრე ნევსკისა და ეგრეთვე ანტონის კათალიკოზსა, ძესა იასე მეფისასა, უბოძა შუბლზედან ჯვარი ბრილიანტისა და პანაღია ძვირფასი, და ეგრეთვე მოხელეთაცა მეფისა კარისათა უბოძა ღირსებისა-მებრ მათისა საჩუქარნი. ესენი ყოველნივე მიიღო მეფემან ირაკლიმ ტფილისს, რომელიცა იდღესასწაულეს დღესასწაულობითა დიდითა სიონის ეკლესიასა შინა. და გარდაიხადა წირვა და პარაკლისი ანტონის მიერ კათალიკოზისა, რომელმანცა მოახსენა მეფესა შესხმა ჩინებული მის დღისა. ხოლო დღესა მას იყო ნადიმი დიდი მეფისა მიერ და სროლაჲ ზარბაზანთა მთელსა დღესა. ხოლო ღამესა მას იქმნა ქალაქი გაჩირაღვანებული, დაკურაჲ სამხიარულოთა საყვირთა და ცეცხლის სათამაშო, ვითარცა რუსთაგან, ეგრეთვე ქართველთაგანცა.

ხოლო წელსა ამასვე წარგზავნა კარსა ზედა როსიისათა ელჩად ეშკალასბაში თვისი ქაქაავაძე გარსევან, და მას წარატანნა ორნი ძენი თვისნი, ანტონი მონოზონი მთავარდიაკონი და მირიან. მისრულთა იასს პატივ ჰსცა კნიაზ პოტემკინმან გრიგოლი ალექსანდრიიჩმან, რომელიცა ჟამსა მას განდიდებულ იყო ფრიად და მართვიდა ყოველსავე საქმეთა რუსეთისათა, იყო ნაიბიცა რუსთა ხელმწიფისა. ხოლო მირიანს მისცეს პოლკოვნიკობა და განაწესეს იგი ცხენოსანს პოლკშია, და ანტონი წარავლინეს პეტერბურღშია, რომელიცა მიიღო იმპერატრიცამ დიდის პატივით, და შემდგომად წლისა ერთისა აკურთხეს, თხოვნითა მეფის ირაკლისათა, უწმინდ(ს)მან სინოდმან მღვდელთ-მთავრად ნინოწმინდლად, რომელიცა აკურთხებინა იმპერატრიცამ თვით საზაფხულოსა სასახლის კარის ეკლესიასა შინა ცარცკისელოს.

მსმენელი ამა შეერთებისა რუსთა თანა ახალციხისა ფაშამან სულეიმან აღადგინა აბოხი ქართლსა ზედა და განძვინდაცა, აღუწოდა ლეკთა მრავალთა, და იყო ოხრება ქართლისა.

ჟამსა ამას მოვიდა ტფილისს კავკასიის ლინიის უპირველესი მართებელი ღიანარალ პორუჩიკი პავლე სერგიიჩი პოტემკინი. ამან აწვია მეფესა ირაკლის, რათა მისცეს მათ სრული ნებაჲ და მართონ რუსთა საქართუ̈ლოი რუსთა მებრ წესითა, და ჰქონდეს კახეთი თავისუფლად და ჯამაგირი ეგოდენი, რაოდენიცა შემოსდიოდა ქართლით. მსმენელმან ამისმან მეფემან ირაკლიმ არა ინება თანხმობა ამისი, და უპასუხოდ განუტევა იგი რუსეთადვე. ხოლო მან დაუტევა მეფესთან ღიანარალ მაიორი სამაილოვი და თვით წარვიდა რუსეთადვე. შეითქვნენ უკვე ესენი ჭარსა ზედა და წარვიდნენ საქართველოჲსა და რუსთა მხედრობითა. მიიწევნენ რა ურდოსა, მუნ შეემთხვიათ მცირენი მხედრობანი ლეკთანი, სადაცა უქმნეს მათ მხედრობათა ქართუ̈ლთა და რუსთა მ̇ცირედ რაჲმე ვნებაჲ, და მოკლეს პრინცი ღესსენარეინფელისა, სახელად გეეს, პოდპოლკოვნიკი, ცოლის ძმა პავლე იმპერატორისა, პარველისა ცოლისა მისისა. და დასჭრეს მისკარბაში იოსებ, და ზაალ საამისშვილი, კაცი მამაცი, ბრძოლასა შინა, და მოკლეს დიმიტრი აბხაზიც, და მრავალნი სხვანიცა, და მუნით ვინაჲთგან ვერღარა განვიდნენ მდინარესა ალაზნისასა სიდიდისა გამო, მოიქცნენ უკანვე. ხოლო სამოილოვი ღიანარალი წარვიდა კუალად რუსეთადვე.

განვრცნა უკუ̈ლ ტყვენვაჲ ახალციხით ლეკთაგან: სადაცა კუალად შეკრბნენ უმეტეს ორიათასისა მხედრობანი ლეკთა და ოსმალთანი, მოვიდნენ და აღიღეს საქაშეთი დღესა დიდსა ხუთშაბათსა ვნების კვირიაკისასა, და ტყვე ჰყვეს სახლეულნი დიასამიძისა. ესე ანბავი აცნობა იესე ამილახვარმან რუსთა, რომელნიცა იდგნენ მას ჟამსა შინა სურამს: — როტა ერთი და ორი ზარბაზანი საქართველოს არტირელიისა. ხოლო თვით ამილახვარიც შეუდგა უკანა მორიგითა ქართველითა. მოეგებნენ, ჭალას იქმნა მუნ ბრძოლა ძლიერი რუსთა და ლეკთა, მხნედ იყვნენ ქართველნი ბრძოლასა ამას შინა, იძლიენენ ლეკნი და ოსმალნი, და მოკლა მუნ დიმიტრი რუსთა შერჟენტმან 12 კაცი შტიკითა. და ესრეთ შეშინდნენ ლეკნი,

რომელ უფონოდ მტკუართა შინა შესრულნი მოიშვთნენ უმეტეს ათასისა კაცისა. მუნ დიაცმან ერთმან ტყვეთაგანმან ქართველმან შეიპყრა შემპყრობი თვისი ლეკი და მოიყვანა მხედრობასა შინა ქართველთასა. ხოლო ძლევა შემოსილთა მათ მიუღეს ყოველივე ნატყვენავნი და ალაფნი მათნი. მსმენელმა ამისმა იმპერატრიცამ ეკატირინამ უბოძა პოლკოვნიკსა მათსა ბურნეშოვს, რომელიცა იყო ესე ტფილისს მინისტრათაცა, კართაგან რუსეთისა კარსა ზედა მეფისასა, წმიდისა გიორგისა ჯვარი მეოთხე ხარისხი. ხოლო მაიორსა მას ნემეცსა სენენბერხს, რომელმანცა განიმარჯვა, ჯვარი ვლადიმერისა, და სალდათთაცა ფრიად საბოძვარი. ხოლო მეფემანცა ირაკლიმ ანიპნა ნიპნი დიდნი, ვითარცა მხედართ მძღუანთა რუსთასა, ეგრეთვე ქართველთაცა მხედართ მძღუანთა და მხედრობასა მათსა.

კუალად შეკრბენ ლეკნი და თათარნი და მოვიდნენ ფხოვნიისს, და ვინაჲთგან მუნ ვერა რაჲ ჰყვეს, უკუნიქცნენ, სადაცა—მოხისს—შეეშთხვათ რუსნი და ქართველნი და სძლეს ლეკთა მათ ფრიად. და უკუნიქცნენ სირცხვილეულნი ლეკნი და თათარნი.

30. ხოლო წელსა 1785, ქკ-ს უოგ, გამოვიდა ომარ-ხან ავარელი, ძე ნურალიბეგისა, ხუნძახის ბატონი, და ჰყვა მხედრობანი ლეკთა ოციათასი. მოვიდა და დაიბანაკა მდინარესა ზედა ალაზნისასა. მსმენელმან მეფემან ირაკლიმ შეიკრიბნა მხედრობანი თვისნი და ეგრეთვე მხედრობანიცა რუსთანი, მივიდნენ და დადგნენ ქიზიყსა შინა. ამ ჟამად აიყარა ომარ-ხან და განვიდა ალაზანსა და წარემართა იორით ყარაიასა ზედა. თუმცაღა მეფესა სწადდა შებმაჲ მისი, გარნა რუსნიცა არა ეთანხმავნენ შებმასა მისსა, ვინათგან პოლკოვნიკი მათი ბურნეშოვი იყო კაცი ომსა შინა გამოუცდელი და მოშიშარიცა ფრიად, და ეგრეთვე ნაზირიცა იოანე ყორჩიბაშიშვილიცა შლიდა შებმასა მისსა,—რომელი ესე იყო ფრიად საყვარელ მეფისა და მისანდო მისი. გარნა ქართველთა, განხურებულთა სულითა მამაცობისათა ერთგულობისათვის მამულისა, სწადდათ

შებმა. და ვინათგან არა აუფლეს მეფე ვერაგთა მათ კაცთა, ამისთვის კუალად შეუდგა მათ მეფე უკანა მხედრობითა თვისითა. ხოლო ომარ-ხანსა, მოსრულსა ყარაიასა ზედა, სწადდაცა წარტყვენაჲ წმიდათა მონასტერთა ნათლისმცემელისა და დავითგარეჯისა, გარნა ღმერთმან დაიცუა იგინი უვნებელად, ვინაითგან სთხოვა პური მონაზონთა, რომელთაცა მიართუჱს მას რაოდენნიმე ტვირთნი, და რქუა მათ: „ვინათგან ხართ თქვენ განშორებულნი და მლოცავნი ღვთისანი, ამად გულდებულ იყვენით, რომელ არა ჯერ არს წარტყვენა თქვენი.“ და განუტევნა ბერნი იგინიცა საჩუქარითა, განვიდა მტკუარსა იედიბოლუქზედ, რომელ ადგილი ესე შორავს ტფილის აღაჯითა უკუჱ ხუთითა, და მოადგა ბორჩალოს ციხესა. მაშინ ციხე იგი განამაგრა მოურავმან მისმან დავით მაჩაბელმან გოგიას ძემან ბორჩალოელითა და ბაიდრელის ხალხითა, და ვინაჲთგან ვერღარა უძლო ციხისა მის აღება, ამისთვის აღიძრა და აღვიდა, და მოადგა მადანსა ვერცხლისასა, რომელ ამაშია სხვა ხალხნი არა იპოვებოდეს თვინიერ ბერძენთა, და ესენიცა ომისა გამოუცდელნი. რამეთუ იყვნენ ესენი მადნის ხელოვანნი მუშანი, და იდგნენ რაოდენიმეცა მორიგენი, რომელთა თავად ჰყვათ სესია ბარათაშვილი. თუმცაღა გამაგრდნენ რაოდენნიმე დღენი, გარნა უქმ იქნა სიმაგრე მათი. აღიღეს ციხე იგი ნალმითა და მოკლეს მუნ სესიაცა, და მოსწყვიტნეს მრავალნი ბერძენნი და სრულიად დაატყვევეს დედა წული მათი და, აღძრულმან მუნით, აიარა ხევი უზუნლარისა, და მოადგა ლორეს. მუნ მხნედ იყო მოურავი მათი მალაქია გლურჯიძე და ბეჟან საგინაშვილი, რომელთაცა განამაგრეს ციხე იგი, და ვინაითგან ვერღარა აღიღო ციხე ლორისა, აღიყარა და აღვიდა ახალციხეს. კუალად ამავე შემოდგომას ჩამოვიდა ომარ-ხან ახალციხით და მოადგა ვახანს. მსმენელი მეფე ირაკლი წარემართა მის ზედა, და ვიდრე მეფე მიიწეოდა, აღიღო ვახანიცა და დაატყვევა ევგენ აბაშიძის შვილნიცა და წარვიდა ახალციხესვე. ერთი იგი ქალი თვით შეირთო ცოლად აბაშიძისა, რომელსა ერქვა მაია, ხოლო უნცროსი და მისი მისცა სიძესა

ოვისსა იბრეიმ-ხანს შუშისასა. და თვით იზამთრა ახალციხეს. და გაზაფხულს აიყარა, ჩავლო გოქჩა და ჩავიდა ყარაბაღს. და დაეზავა მუნით მეფესა ირაკლის, რომელმანცა განუჩინა როპიკად ხუთასი ოქრო: რათა დასცხრეს ოხრეპა ლეკთაგან საქართველოსა შინა. მოვიდა ყარაბაღით და მოაოხრა შანქორი და განვიდა მუნ ამ მტკუარსა და წარვიდა სახლსა თვისსა.

ჟამსა ამასვე უკუდგა განჯაცა, და გამოყარნეს მოურნენი მეფისა და იბრეიმ-ხანისაცა. განიელტო შუშით ძე შავერდიხანისა რაჰიმ-ხან, რომელიცა ჰყვა მას ჟამს პყრობილად იბრეიმ-ხანსა, მივიდა და იქმნა ხანად განჯასა შინა. ხოლო მოსრულმან იბრეიმ-ხანმან განჯასა ზედა, სთხოვა შეწევნა მეფესა. ძიაშველა მეფემანცა მხედრობანი თვისნი და უთავა ივანე აბაშიძე და ალი-სულთანი შამშადინისა. მისრულთა აღიღეს კუალად განჯა. და ვინაითგან არა ეგებოდა დაპყრობა მისი, ამად ნებითა მეფისათა ჰყვეს ძე შავერდი-ხანისა ჯავად ხან, რომელიცა მაშინ ჰყვა მას პყრობილად, და მოხარკედ თვისად ჰყო მეფემან ირაკლიმ.

31. წელსა 1786, ქკ-ს უოდ: მაშინ ნახიჩევნელთა ჰყვეს შფოთი და განაძეს ნახიჩევნით ხანი ღ-ვისი ქალბალი. იგი მივიდა, ეევედრა ხანსა ერევნისასა მაჰმადს, და მაჰმად-ხან ეევედრა მეფესა, რათა შემწე ექმნას. მაშინ მეფემან წარავლინა სიძე თვისი მუხრანის ბატონი იოვანე მხედრობითა და ზარბაზნებითა. შეერთდნენ ესენი ერევნელთა თანა, ბივიდნენ ნახიჩევანს და იკვეთნენ. იძლივნენ ნახიჩევნელნი და ეევედრნენ მხედრობასა ქართველთასა: უკეთუ უკუნიქცევიან ნახჩევნით, კუალად ჰყოფენ ნახიჩევნელნი ხანად თვისადვე ქალბალის. თანხმობილნი ამისნი ქართველნი მოიქცნენ ერევანს და ერევნით ქართლადვე, ძლევა შემოსილნი.

ხოლო წელსა ამასვე მოვიდა სტამბოლით იმერეთს ნებითა მეფის დავითისითა სიძე მისი გიორგი, რაპის ერისთვის შვილი, და ჰყო კუალად ერისთავადვე. შესრული გიორგი ოსებსა შინა გლოლას, მოკლეს მუნ ოსთა.

აიყარა ყაზახი სრულიად და წარვიდა შუშას და შამშადინი განჯასა. შემდგომად წლისა ერთისა წარვიდა მეფე ირაკლი მხედრობითა რუსთათა და ქართველითა, რათა აჰყაროს ელნი თვისნი და ხამსისა მელიქნიცა, რომელთაცა აქუნდათ პიროობაჲ მეფესა თანაი. მიიწია რა განჯას, წარგზავნა მხედრობითა ძე თვისი იულონ. მიიწივნენ რა ზეიბას, შეემთხვათ მათ მხედრობანი ყარაბაღელთანი. იძლივნენ ყარაბაღელნი და მოსწყვიტნეს უმრავლესნი ყარაბაღელნი ქართველთა. ჯი მოწყალებასა ღვთისასა რომელ, ამა ბრძოლასა შინა არავინ მოკუდა ქართველთაგანი არცა თავადი და არც გლეხი, თჳნიერ ერთისა ზაქარიასა ნიკოლაოზ კარის მღვდლის შვილისა, რომელიცა ესეცა მოკლა ისევ ჩვენგან მხედართაგანმან, ბორჩალოელმან არაზოღლი ისმელიმ, რომელ ვერ იცნა იგი და ეგონა ყარაბაღელი ტანისამოსის გამო. შემთხვევასა ამას მოვიდა ჩაფარი რუსეთით, სადაცა იხმეს მხედრობანი რუსთანი. პირველად. ვინათგან უკუნიქცა მხედრობანი რუსთანი, არღარა რაცხა მეფემან წარსვლა ყარაბაღსა ზედა, და მიუწერაცა ძესა თჳსსა იულონს, მდგომს ზეიბასა ზედა, რათა იგიცა უკუნიქცეს. აღიყარნენ განჯით და უკან მოიქცნენ, და დაშთათ ელნი აუყრელნი და ეგრეთვე მელიქნიცა. ხოლო რუსნიცა წარვიდნენ რუსეთადვე წელსა 1787, ქკს უოვ.

32. ხოლო წელსა 1788, ქკს უოზ მიიცუალა კათალიკოზი ანტონი, ძე იესე მეფისა, ტფილისს, ნაკში თებერვლის 29. და დაფლეს მცხეთას და მოვიდა რუსეთითცა ძე მეფე ირაკლისა ანტონი ნინოწმინდელი წელსა 1789, ქკს უოᲦ. ესე მოსრული მცირესა ჟამსა გამოარჩიეს კრებათა და ჰყვეს კათალიკოზად. ამავე წელსა დაეზავა მეფე ირაკლი ოსმალთა ახალციხის ფაშასა სულეიმანს, რომელიცა სულთანიდამ მოუტანეს ხალათათ ქურქი, ხმალი და ცხენი ოქროჲთა აღკაზმული. ესენი მოართვეს მეფესა, ბოლნისსა მდგომსა, ოკდომბრის 5, ხაზინადარმან ახალციხის ფაშისამან ხანიბეგმა.

33. ხოლო წელსა 1789, ქკს უოᲦ იქმნა სასწაული წმიდის ნიკოლოზის მიერ ესრეთ: კახეთის სოფელს არტოზანს

ინება არხიმანდრიტმან შუამთისამან, მოძღუართ მოძღურმან მდივნიშვილმან ნიკოლოზ აღშენება ეკლესიისა წმიდისა ნიკოლოზისა და ოდეს ჩადგეს საკირე დიდი ქვისა და შიგ შეგზავნეს კაცი ერთი, რათა აღაგზნას ცეცხლი, მსწრაფლ ჩამოიქცა საკირე იგი და დაფარა ქუამან სრულიად კაცი იგი. მივიდნენ სოფელნი და ამოყარეს ქუა იგი და ჰპოეს კაცი მრთლად უვნებელი. ჰკითხეს კაცსა მას, ვითარ დაშთიო მთლად. ხოლო მან რქუა მათ: ოდეს საკირე იგი დამექცა, მაშინ მოვიდა ბერი ერთი მოხუცი და გარდამეფარა ზედა და დავშთი მშვიდობით. ესე იქმნა ნამდვილი, რომელ მრავალნი მუნ დამსწრენი გუამნი აღიარებდენ ამას.

ხოლო წელსა ამას მოკუდა დადიანი კაცია და დაჯდა დადიანად პირმშო ძე მისი გრიგოლ. შემდგომად წლისა ერთისა ამა გრიგოლს დადიანს მისცა ბეფის ძემ გიორგიმ ასული თჳსი ნინო ცოლად, დიდისა სიმდიდრითა და მზითჳთა. და წარიყვანა ესე ბიძამან მისმან ჟყონდიდელმან ანტონიმ ტფილისით.

34. წელსა 1789, ქ^კს უოთ წარგზავნა მხედრობანი თჳსნი განჯასა ზედა მეფემან და ძე თჳსი ვახტანგ. მივიდნენ შანქორს, მოარბიევეს ჩინგალი და აჰყარეს შამშადინი და მოიყვანეს კუალად ადგილსავე თვისსა. უკანასკნელ ჩავიდა მეფეცა შანქორს. მუნ მოვიდა ფათალი ხანცა დარუბანდისა და მაჰმად ხან შაქისა; დაასკვნეს წასვლაჲ სამთავე ყარაბაღსა ზედა ამად, ვინაითგან დაივიწყა იბრეიმ ხანმან კეთილობაჲ მეფისა ირაკლისა: რაოდენ გზის განარინა იგი ხელისაგან ფათალი ხანისა და ანუ ვითარ შემწე ექმნა, ოდეს დაიპყრა მან ყარაბაღი და გილანი! ამათ შეიერთეს ჯავად ხანცა, რომელსაცა ეპყრა კერძოჲ იბრეიმ ხანისა, გარნა უგრძნო განზრახუასა მათსა უძლებ ყოფაჲ ფათალი ხანისა, და უკუნიქცნენ თვისადვე.

35. წელსა ამას 1789 მაისის 22, დღესა ამაღლებისასა მზე დაბნელდა ესრეთ ძლიერად, რომელ შუადღისას ვარსკულავნი იხილვებოდეს ცაში, ვითარცა ღამეშია და ესე იყო მომასწავებელ ტფილისისა უბედურებისა და ეგრეთცა სპარსთა

სამფლობელოთაცა მრავალთა ადგილთა ოხრებისა, რომელ წელსა ამას განძლიერდა ხოჯა ალამაჰმად ხან, ძე მაჰმად ასან ხანისა ყაჯარი, და დაიპყრა მრავალნი სპარსეთისა ადგილნი და მოსწყვიტნა მრავალნიცა ჩინებულნი გუამნი სპარსეთისანი წინა ალმდეგნი თვისნი, და იწოდა სპრსთა ხელმწიფედ.

გარნა ძე არჩილისა დავით, ძმის წული სოლომან მეფისა, იპოებოდა მაშინ გამოდევნილი მეფისა წინაშე და იზრდებოდა სახლსა შინა მეფისასა, ვინაჲთგან იყო ასულის წული მისი. იქმნა უკუს სანდურავი ორთავე მეფეთა შორის და შორის მეფისა დავითსაცა და დადიანის გრიგოლისაცა, და იქმნა შუარი, და განვიდა მეფე დავით, და მოსწუა ოდიში. შემთხვევასა ამას წარატანა მეფემან ირაკლიმ ძის ძესა თვისსა გიორგისასა დავითს ძეი არჩილისა დავით, რათა წარგზავნოს იგი ოდიშშსა, და მან წარგზავნა იგი ოდიშსა. იხილეს რა ოდიშელთა ძე არჩილისა, შეკრბნენ მისთანა, და მისცა გრიგოლ დადიანმან დაჲ თჳსი მარიამ ცოლად მას. სცნა რა ესე მეფემან დავით, ამანცა შეიკრიბნა მხედრობანი იმერთანი და მივიდა ხუნწსს, მაშინ ძის ძემანცა დავით ჰყო მოძრაობაჲ სამძღვართა ზედა ზემო იმერთა. ჰგონეს კუალად ქართველთა რეცა სწადთ გარდასვლაჲ მუნ. ესამსა ამას შინა სახლიცა წერეთლისა იყო ორგულ მეფისა დავითისა. იკვეთნენ ხუნწს, იძლივა მეფე დავით და განივლტო ახალციხეს. შემდგომად ძეი არჩილისა ჰყვეს იმერთა მეფედ და უწოდეს სახელი სოლომან მეორეჲ. ხოლო მეფე დავით, ჩამოსრული ახალციხით, მივიდა ტფილისს მეფისა ირაკლის წინაშე, და ამან დააგო მეფისა იმერთასა წინაშე და ჰყვეს ზავი, და მისცეს რაოდენიმე სოფელნი სარჩოდ მას.

კუალად მოვიდნენ ახალციხით შეყრილობანი ლეკთანი და დაეცნენ ძეევრას, გარნა მეფის ძის ძემან დავით ჰსძლო მათ და განაბნივნა იგინი.

იყო უკუს ხდომა ლეკთაგან ახალციხით და რყვნიდიან ქართლსა მარადის და სომხითსა მით: რამეთუ აღვიდნენ ძენი ქსნის ერისთვისანი ახალციხეს—მიხაილ დავითის შვილი და მირ-

მანოზ და ელიზბარ და ზაქარია ციციშვილი აღიყვანეს მათ; ესე იყო სიძე მათი, და ენებათ მეფობა ამისი. მოვიდნენ და დაეცნენ ხელთუბანს და წარტყვენეს იგი. კუალად ამ ჟამსავე მოუხდნენ ხიზიყს ჭარელნი, წინამძღომითა იბრეიმ რაფიოღლისათა. რამეთუ ესე რაფიოღლი იყო ყაზახით განლტოლვილი მუნ. სძლეს ხიზიყის მოურავსა ზაქარიას ენდრონიკაშვილს და მოსწყვიტეს სამასისა უფრო ქიზიყელნი უკანამხარშია. მაშინ მოუძღუა ლეკთა შეყრილობასა ფრიადსა ახალციხით ზაქარია ციციშვილი და ერისთვს ძენი, მოვიდნენ და დაეცნენ ყარალაჯს, და მოკლეს მუნ გივი ამილახვარიშვილი, ნათესავი მეფისა. მყოფნი გორს მეფის ძე იულონ და ძმის წული მისი იოვანე განვიდნენ მტკუარს, ეწივნენ ზედაველაზედ, იქმნა უკუს ბრძოლა მუნ, მხნედ იყო მეფის ძის ძე იოვანე, იძლივნენ ლეკნი და წარვიდნენ სირცხვილეულნი. ამა ბრძოლასა შინა მხნედ იყო ყორღანაშვილი დავით, და მოიკლაცა, და დაიკოდა ომან მდივანიც ხერხეულიძე. კუალად მოუძღუა არღუთაშვილი მიქელა და მოსტყვენა ყალაჩა, სადაცა წარიყვანეს ლეკთა უმეტეს ორასისა ტყვენი სომეხთანი. ესე მიქელა გულნაკლულ იქმნა მეფესა ზედა: ვინაჲთგან დასჴრა ესე ჩხუბსა შინა ალანდარბაშმა ქაიხოსრო ჯომარდიძემ, რომელს მეფემან არარაიმე ანიჭნა სამართალი, ამისგამო წარვიდა ახალციხეს და აოხრებდა ქართლსა მარადის და სომხითსა.

კუალად შეკრბა ლეკთა და თათართა მხედრობა, მოვიდა და აღიღო რუსთავი. ხოლო მეფე იძულებული წარვიდა მათ ზედა, სადაცა წარგზავნა ძის ძე თჳსი დავით, რათა უყოს ზედა დასხმაჲ, ხოლო მან წარავლინნა გატეხილსხიდს ზევით შეყრილობაჲ თათართა, და მოარბიევეს ჯავახეთი, და მოვიდნენ გამარჯვებულნი ალაფითა დიდითა, და ლეკთა მათ განვლეს ტყით და წარვიდნენ მშვიდობით ახალციხეს მით, რამეთუ მეფემან არღარა ამჯობინა მისვლა ტყეთა შინა ლეკთა ზედა.

36. წელსა 1789, ქკ~ს უოთ ბრძანებითა მეფისათა მიუხდა მეფის ძის ძე დავით ყარსსა ათასითა კაცითა და მოსტყვენა ინჯადარა, ფალდერევანი და ჯომუშლი, და აიალაფეს უფროს ათასისა ტყვენი და ქონებანი მათნი. მაშინ მოეწიათ უკანა მხედრობანი დიდი, თურქთა, მძღუანელობითა ალიბეგისათა, და მაჰმად ბეგ ძე ხათუნისა. მუნ იყო მხნედ თვით მეფის ძის ძე დავით, რომელმანცა მოკლა ხლმითა თვისითა თიქნელელი ხანი თოფანგჩიბაში, რჩეული მხედარი თურქთა შორის, უკანასკნელ მოვიდა მის ზედა იშაყბეგ, გამოჩენილი მხედარი ყოველსა ყარსსა და ქურთთა შორის, საბ~ცა მეფის ძესა დავითს სცა შვიდი ხმალი, გარნა დაიცტა იგი ჯაპუმან, ვინაჲთგან აქუნდა დაფარულ ტანი ჯაპვითა. უკანასკნელ მოიკლა ესეცა ხელითა მეფის ძისათა. ესე იყო ამ ჟამ წლისა 23 და გამოუცდელ ბრძოლისა, რომელსა სიმხნესა ზედა განჰკვირდნენ ორნივე მხედრობანი. გარნა ბრძოლასა ამას დაეფლა ცხენი და გარდამოხდა რა იგი ცხენით, გაიქცა ცხენი იგი, რომელიცა შეიპყრა და მოართუა გულ ბაჰმადამ სარვანელმან, ძემან შარიფისამან და აღჯდა კუალად მუნ; შემთხვევასა ამას მასთანა მყოფნი, რომელთაცა დაჰფარეს ქვეევითად დაშთომილი მეფის ძის ძე დავით მხნედ მბრძოლთა ორთა ბებურისშვილთა, გიორგი და ომან მოკლეს მუნ და შეჰსწირეს სისხლი თვისი ერთგულებასა ზედა პატრონისა თვისისასა. და მოიქცნენ გამარჯვებულნი მშვიდობით, სადაცა იდღესასწაულა მეფემან ირაკლიმ ძლევა ესე დღესასწაულობითა დიდითა.

კუალად მოუძღუა არღუთაშვილი მიქელა ახალციხით ლეკთა, მოსტყვენა გაურარხი და დურნუკი, სადაცა ეკუსთა საბარათიანოს სარდალი დავით ყაფლანიშვილი მხედრობითა თვისითა დურნუკს. მუნ იძლივა სარდალი დავით, და მოკუდა მუნ უმეტეს ასისა და შეპყრობილ იქმნენ ლეკთაგანვე უმეტეს ასისავე.

ამჟამადვე შემოვიდნენ ლეკნი საგურამოსა შინა, ათასი კაცნი, რომელნიცა განიყვნენ ორად: ნახევარმან წარიღო ნახირი პირუტყვთა დედოფლის დარეჯანისა ქალაქის მახლობელ

ავლაბრით ხოჯა მელიქის საყდრის გვერდიდამ, სადაცა ქიზიყს მყოფმან მეფის ძემან იულონ შეუკრა იორი, განაბნინა ლეკნი იგი და მიიღო მათ ნატყვენავნი მათნი, და მოიკლა ამა შემთხვევასა შინა ომანაშვილი დავით. ხოლო ნახევარმან მხედრობამან ლეკთამან აღიღო ფრეზეთი და წარვიდა საგურამოჲთ დაღისტნად. მაშინ მეფის ძის ძე დავითმან, მყოფმან მატანსა შინა, მოიკრიბნა მხედრობანი ახმეტელნი ვიდრე ორასადმდე, შეუკრა გზანი ჭინჭრისა განსაელი ილტო მდინარისა, სძლო მათ და მიიღო ყოველივე ნატყვენავი და ტყვენიცა. ესრეთ შიშვნეულ იქმნენ ლეკნი, რომელ ოდეს იწყეს ლტოლვაჲ, ერთი მეორესა ჰყრიდნენ ფლატესა ზედა ილტოსასა, ვინ წინ უსწრობდის ურთიერთსა. ხოლო იყვნენ ლეკნი ესე უმეტეს ხუთასისა კაცისა და ეგოდენი მოსწყვიტნეს ლეკნი, რომელ სისხლმან მათმან შეღება წყალი ილტოისა, და მცირედნიღა განერნეს მშვიდობით.

იქმნა კუალად სამდურავი მეფისა სოლომანისა და დავითისა: ვინაჲთგან მოკლა გარდმოგდებითა კლდეზედ მასხარაშვილი ბუბუა მეფემან სოლომან, საყვარელი იგი მონა მეფისა დავითისი. აღვიდა დავით ახალციხეს, და შემოიკრიბნა ლეკნი და, ჩამოსრულსა მუნ იმერეთს, მიერთვნენ იმერნიცა. ამჟამსა ვაკელმან დალაქიშვილმან დაჰსცა ბუკსა აბოხისასა და აღადგინა შფოთი დიდი იმერეთს. რომელ ამა დალაქიშვილსა ეპყრა მხარე მეფის დავითისა და მრავალნი იმერნი მივიდნენ დავითისა წინაშე, ჰსძლო მეფესა სოლომანს და დაიპყრა იმერეთი 1790 წელს კ̄ეს უპ. წელსა ამასვე 1790 არაბთა შორის გამოჩნდა კაცი ერთი, სახელით სუალ ვაჰბი. ამან განყვნა არაბნი მახმედიანთაგან სარწმუნოებით, და დაუდვა თვისი ჰსჯული და მიერითგან იქმნა თათართა და მათ, შორის ფრიადი განხეთქილებაჲ და ხდომა ურთიერთა შორის. შემოკრბენ კუალად ოდიშარნიცა და აფხაზნი მით, რამეთუ მანუჩარ დადიანსა, ძესა კაციასასა, აქუნდა ამასთან შეკრულებაჲ და ორგულ იყო ვითარცა ძმისა თვისისა დადიანის გრიგოლისა, ეგრეთვე მეფისა სოლომანისა. მხილველმან ამისმან მეფემან ირაკლიმ მიაშველა

ძის ძე თვისი იოვანე მეფესა სოლომანს. მაშინ მეფე სოლომან დამაგრებულიყო სახლსა პაპუნა წერეთლისასა ამისგამო, ვინაითგან წერეთელი პაპუნა და ზურაბ იყო ორგულ მეფისა დავითისა. იქმნა ლოსიათხევს ბრძოლაჲ. იძლივა მუნ მეფის ძის ძეს იოვანესგან მეფე დავით, რომელსაცა ჰყვანდა უფროს ათი ათასისა იმერნი თვინიერ ლეკთა, აფხაზთა და ოდიშართა, და ქართველნი არა იყვნენ უფროს ხუთასისა, და აქუნდათ ორი ზარბაზანიცა მით, რამეთუ ზარბაზანმან დასცა მათ ზარი დიდი. განივლტო დავით მეფე კუალად ახალციხესვე, და დასვეს კუალად მეფე სოლომანვე მეფედ იმერთა და განამტკიცეს ქართველთა კუალად ტახტსავე ზედა. ხოლო ამა შლილობასა შინა მოკუდა წერეთელი პაპუნაცა. ხოლო მეფემან მოსწყვიტნა ყოველნი ურჩნი თვისნი და დაამშვიდა იმერეთივე.

ამავე ჟამს მეფის ძის ძემან დავით შემოიკრიბნა ხიზიყელნი, მიუხდა ბაიამათლოს და მოსტყვევნა. დღესა მას სამგზის სძლო ლეკთა მდევარს გამოსრულთა, და მოვიდა გამარჯვებული და ალაფითა სავსე.

ხოლო ვინათგან აქუნდათ შური ხანსა განჯისასა ჯავადს ალი-სულთნისა შამშადილისასა, რომელიცა არა მორჩილებდა და ძმასაცა მისსა უკუდგა, პირველ მაჰმადხანობასა მისსა აყარა შამშადილი და მოიყვანა შულავერს, ხოლო მუნით მისრულსა შამშადილადვე, დაესხა მაჰმად ხან მხედრობითა, გარნა ჰსძლო მან მაჰმად ხანს, და გარდა ამისსა მრავალ გზის იძლივა იგი, ვითარცა ხანი, ეგრეთვე განჯელნიცა ალი სულთნისაგან. თუმცაღა მრავალგზის უკუ უბრუნა და მისცა მეფემან განჯელთა შამშადილი, გარნა არა ემონნენ. ამად დაიცა დროჲ, და მიუხდა ჯავად ხან განჯურისა მელიქებისა მხედრობითა და მოსტყვენა შამშადინი, რომელსაცა ჰყვა უმეტეს სამი ათასისა მხედრობანი. მაშინ გარდაეშველნენ ყაზახნი, სადაცა შეკრბნენ ყაზახნი და შამშადინელნი უმეტეს არა სამასისა, ჰსძლეს ჯავადხანს, და შეიპყრეს უმეტეს რვაასისა განჯელნი, და დაუშთა ჯავად ხანს თვისი ყოველივე ბარგი კიდებული

ჯორ აქლემითა და ძლივღა თვით ჯავათ ხანცა განერა, რომელიცა განლტოლვილი მივიდა სირცხვილეული სახით თვისად.

კუალად მიუხდა ბაიამოათლოველთავე მეფის ძე ალექსანდრე და მოსტყვენა იგინი.

ხოლო გარდაიკუალა რა ქარიმხან სპარსეთს, და ზაქი ხანცა, ძმა მისი, მოკლეს სპარსთა ბარბაროზებისა და ტირანობისათვის, რომლისაცა შემდგომად დაიპყრა სპარსეთი ალი მურად ხანმან ზანდმან, და ოდეს გარდაიკუალა ესე, ამისა შემდგომად გამოჩნდა აღამაჰმადხან წოდებული, ძე მაჰმად ხანისა, გუარითა ყაჯარი, რომელიცა ჰყო საჴურისად ალიშამ, ძმისწულმან ნადირისამან. ამან ჰსძლო ჯაფარ ხანს ზანდსა, და დაიპყრა არაყი და მოვიდა ადრიბეჟანსა შინა, ადგილსა მუშკაბარსა ზედა, მუნით აბირა მეფესა ირაკლის მეგობრობასა ზედა და უკუნ იქცა შირაზად.

37. ხოლო წელსა 1792, ქ^კს უპბ გამოჩნდა კუდიანი ვარსკულავი აღმოსავლეთისა მხარეს: დღისით, შუადღისას, მზესთან მახლობელად იდგა მოწმენდილს ჰაერზედ, თებერვლის 6 (სახე ამისი)*). ამ ჟამსა შინა ვინაითგან შირაზი ეპყრა ლუთვალი ხანსა, ძესა ჯაფარ ხანისასა, ესე გამოვიდა პირის პირ მისსა, და ვიდრე იწყებდენ ბრძოლასა, იქმნა აბოხი შორის მხედრობისა ამისსა, რომლისაგამო განიბნივნენ მხედრობანი ლითუალი-ხანისანი, და მივიდა ქირმანს. განვლო ხოჯამან, აღიღო შირაზი, წარვიდა და მოადგა ქირმანს და დაიპყრა იგი. განივლტო მუნით ლითუალი ხან, რომელმანცა განარღვია ერთი კერძოჲ მხედრობისა ხოჯასი, ვინაჲთგან იყო ესე ლითუალი ხან ჟამსა ამას ესრეთ მხედარი და მხნე, რომელ მჰსგავსი მისი ყოველსა შინა სპარსეთსა არა იპოებოდა. ხოლო მისრული ბამს შეიპყრეს ბამელთა და მიიყვანეს ხოჯისა წინაშე, რომელსაცა აღმოხადნა თვალნი.

---

*) ტექსტში გამოსატულია თვისი სახე კუდიანის ვარსკვლავისა.

38. ხოლო წელსა 1792 ქ^კს უპბ, სეკდემბრის 20 დღესა, დღესასწაულსა წმიდისა დიდისა მოწამისა ევსტატისასა ერთაწმიდის ეკლესიაში იქმნა ესე საცვიფრო საძწაული. იყო რა ხალხთა სიმრავლე ეკლესიასა შინა წირვაზედ, საყდრისა საშუალ იდგა სვეტი ერთი ქვისა, ადლითა 4 და სიგანეცა აქუნდა ადლი ერთი, სადაცა დღესასწაულთა შინა აღვიდის მთავარ დიაკუანი და წარიკითხევდა სახარებასა. ხალხისა სიმჴდროთი წარიქცა სვეტი იგი, და არცა ერთი კაცი იქმნა მისგან დაზიანებული. ესე ვიხილე თვალითა ჩვენითა.

ჟამსა ამასვე იქმნა შფოთი ოდიშსა შინა დადიანის გრიგოლისა და დედისა მისისა ანასი. ამან აბირა სიძესა თვისსა მეფესა სოლომანს, და უკუდგაცა ქაიხოსრო გელოვანი მოურავი ლეჩხუმისა: მიუხდა მეფე ოდიშს, მოწო და მოაოხრა რაოდენიმე სოფელნი, გარდააგდო დადიანი გრიგოლ და დასო მანუჩარ, ძმა მისი, დადიანად, შევიდა ლეჩხუმს, აღიღო ციხე ჭყვიშისა და შეაყენა ციხესა გუშაგნი თვისნი, მიუხდა მურს, და ვინადგან აქუნდა გამაგრებული ციხე მურისა დადიანს გრიგოლს, ვერღარა აღიღო მეფემან ციხე მურისა და უკუნ იქცა იმერეთადვე, მიუხვნა ჭყონდიდელობა ბესარიონს და დაადგინა ჭყოდინდელად ცაგერელი იოვანე, ძე კაცია დადიანისა და ძმა გრიგოლისა, ხოლო გრიგოლ დადიანი წარვიდა ლტოლიელი ფოტს, და ფოტიდამ ახალციხეს, და იყო მუნ ჟამი რაოდენიმე. ხოლო ჟამსა ამასვე მოვიდა მეფისა ირაკლისა წინაშე გურიელი ვახტანგ, ლტოლვილი მეფის სოლომანისაგან, და ეგო მუნ ჟამ რაოდენმე. ხოლო გურიასა შინა დასვეს გურიელად მამია, ძმის წული მისი.

ხოლო წელსა ამასვე მეფემან ირაკლიმ განუყვნა მამულნი ძეთა თვისთა: თითვეულსა მისცა ათას ათასი კომლი ქართლსა და კახეთში ელებითურთ, ხოლო უფროსსა ძესა თვისსა გიორგის ძეთათვის თვისთა მისცა ოთხი ათასი კომლი, რომელ განყოფა ესე ექმნა მიზეზ დამხობისა სამეფოჲსა სახლისა საქართუ(ბ)ლოჲსა.

39. წელსა 1795, ქ^ს უპგ, მოიცალა რა საქმისაგან სპარსეთისა ხოჯამან, მოვიდა და მოადგა შუშასა მით, რამეთუ არა ერჩდა მას ხანი შუშისა იბრეიმ, ძე ფანახანისა, და ედგა გარს ოთხი თვე ციხესა და ვერ უძლო აღება მისი სიმაგრისა გამო, და ამჟამსვე აღიყარნენ მუნით ყაზახნიც და სხვანიცა ელნიც და მოვიდნენ ქართლადვე განლტოლვილნი შიშითა ხოჯისათა. მაშინ ძემან მეფისამან იულონ და ალექსანდრე მიუხდნენ განჯას და მოსტყვენეს. მსმენელი ამისი ხოჯა განძვინდა ფრიად, ვინაჲთგან ჯავად-ხან, ძე შაევრდი-ხანისა, მიეგება მოსვლასა მისა წინ არეზზედა და პატივ ჰსცა მას ფრიად და უხმობდა ბიძად თვისად. ამან შეჰსჩივლა წარტყვენაჲ განჯისა და აბირა ქართლსა ზედა. რომელიცა წარმოემართა ყარაბაღით ტფილისსა ზედა. ჟამსა ამას ძე არჩილისა მეფე იმერთა სოლომანც იმყოფებოდა ტფილისს შემწედ პაპისა თვისისა. მოვიდა ხოჯა და დადგა ყაზახში ახსტაფას ზედა და დაუტევა მუნ ბანაკი თვისი და სამძიმარნი ტვირთნიცა და წარმოემართა ოცდა თხუთმეტი ათასის მსუბუქის ჯარით ტფილისსა ზედა. მაშინ მეფე ირაკლი და სოლომან იდგნენ სოღანლუღსა შინა, სადაც მეფემან ირაკლიმ წარავლინა ფარეშთხუცესი თვისი ნათალიშვილი გორჯასპი ყარაულად და თანა წარატანნა თორმეტნი მხედარნი რჩეულნი კახნი და ქიზიყელნი. მისრულთა ამათ იაღლუჯაზედ შეხვდათ ყარაულნი ყიზილბაშთანი, თუმცაღა მხნედ ბრძვეს თარაშვილმა დავითმა და სხვათაცა, გარნა მოსწყდნენ სპარსთა ხელთაგან, ხოლო გორჯასპიმ მოკლა თურქმანი ერთი, და გარდაჯდა ცხენსა მისსა, და ესრეთ განერა მხოლოდ იგი. მოსრულმან ხოჯამ დაიბანაკა სოღანლუღსა შინა. პირველსავე დღესა იკვეთნენ ველსა გრწანისისასა მეწინავენი სპარსთანი და ქართველთანი, სადაც მეწინავეთა შორის იმყოფებოდა მეფის ძის ძე დავით, მუხრანის ბატონი იოვანე, წერეთელი ზურაბ, ამილახვარი ოთარ და ქიზიყის მოურავი ზაქარია ენდრონიკასშვილი. დღესა მას მხნედ იყვნენ ესენი და ქართველნი და იძლიენენ სპარსნიცა მეწინავენი. ხოლო დღესა მეორესა, ვინაჲთგან იმერთა იწყეს ტყვენვაჲ

აყრილთა მათ მცხოვრებთა ტფილისისათა, ამისგამო არღა უვი-
ოდათ ორთავე მეფეთა მხედრობაჲ უმეტეს ათას ხუთასისა
კაცისა. იქმნა ბრძოლა ველსა ზედა გრწანისისასა. იძლიენენ
ქართველნი და იმერნი ცოდუათა ჩვენთათვის, განივლტნენ მე-
ფენი. და აღიღეს ტფილისი წელსა 1795, ქ-კს უპგ, თვეს
სეკდემბერსა 11, დღესა სამშაბათსა, და მიუღეს ყოველივე
თოფხანაჲ მეფესა. დღესა მას იყო მხნედ მეფის ძის ძე იოვანე
და მაჩაბელი დავით, მოურავი ბორჩალისა ჯანდიერ ჯანდიე-
რიშვილი და სინჯია ქევხა საქობოსი ქიზიყელი. ესრეთ უკუ-
იყვნენ, ესე თუ არა იპოებდნენ მუნ, შეიპყრობდნენ მეფესა
ირაკლის აბანოს კარსა ზედა, რომელთა სძლით გამოიყვანეს
მეფე ავლაბარსა შინა. ხოლო მეფის ძემანცა დავით ჩაყარნა
ხევსა საგუბარისასა ზარბაზანნი იგი, რომელიცა აქუნდა მას
თაბორის კერძოსათა, რათა არა დაუშთეს სპარსთა. აღიღეს
ტფილისი, იავარ ჰყვეს ყოველივე ქონება მეფისა და დაი-
კარგა მკლავიცა წმიდისა მოწამისა ევსტატისა სასწაულთ
მოქმედი, რომელიცა ესვენა მასჯამს მეფისა სენაკსა, და ხატი-
ცა ყოვლად წმიდისა მღვთის მშობელისა ქალაქის მეტეხის
ეკლესიისა სასწაულთ მოქმედი. მოწვეს ტფილისი და მრა-
ვალი ტყვე ჰყვეს, და დარჩა ხოჯა რვა დღე სოღალულსა ში-
ნა. ხოლო მეფე ირაკლი განლტოლვილი აღვიდა არაგვზედ
მთიულეთს, და იყო მუნ. მსმენელმან ამისმან ხოჯამ გამოარ-
ჩივნა რვა ათასი მხედრობაჲ, და უთავა მათ სარდალი ქალბა-
ლი ხან ნახჩევნისა და გზის მცოდნედ განატანა თანა მეფისა
საზანდარი აღაჯან ყულამანიშვილი, რომელიცა შეეპყრათ
ტფილისს, რათა დაესხას მთიულეთს მეფეს, შეიპყრას და მოგუა-
როს მუნ. მისრულთა მცხეთას, განჰყო მხედრობა თვისი ორად
ქალბალი ხანმან, ნახევარი წარგზავნა გორს, ხოლო ნახევარი
აღიყვანა თვით, განვიდა არაგუსა და წარემართა საგურამოს
გზით. მისრულსა ჟინვალს, იდგა მუნ ალი სულთანი შამშადი-
ნისა. ამან შეიკრიბა შამშადინელნი სამასი კაცი ცხენოსანი,
ხოლო არაგვისა პირისა კაცნიცა, და ეგრეთვე ფშავ ხევსურნი-
ცა შეკრბნენ მუნ ალი სულთანთან ორას კაცადმდე, ეწყვნენ

მუნ ქალბალი ხანსა, აოტნეს სპარსნი, და უკუნაქციეს ქალბალიხან. ხოლო გორს წარსრულთ მხედრობათა კვერნაკის მთაზედ მოასწრეს თამაზს ეშყაბაშს ყაფლანისშვილსა, იავარ ჰყვეს ყოველივე ქონება მისი. მაშინ მხნედ იყო ზაალ და დათა ნაზირიშვილი და ლეკი ორი. ამათ მოარჩინეს ცოლშვილი თამაზისა. ხოლო დაიკარგა ცოლშვილი ბუკუიაშვილის იოანესი და სხვანიცა. თუმცაღა ენებათ ქსანსაცა ზედა შესვლა, სადაცა მივიდნენ ლამისყანასაცა, მუნ იდგა მხედრობითა მცირითა მეფის ძის ძე იოვანე, ვინაჲთგან ქსანი მას ეპყრა მას ჟამად. ამან აოტნა აქაცა ყიზილბაშნი. და უკუნიქცა. თუმცაღა ხოჯამან აწვია მეფესა კუალად სოღანლულით, რათა დაზავდეს მეფესა და უკუნუქცევს ყოველსავე ტყვესა ტფილისისასა. რომელსაცა წარუგზავნა მირზა ყარამან, ძე მირზა გურგინასი. რამეთუ ესე ყარამან შეეპყრათ აღებასა ტფილისისასა. მისრულმან არაგუსა ზედა, არწმუნა მეფესა ესე ვითარისა აღსრულება ხოჯასაგან. მაშინ მეფემან ირაკლიმ წარავლინა წინაშე მისსა ქაიხოსრო სუფრაჯი კახი ავალიშვილი; მისრულსა ქაიხოსროს პატივ ჰსცა დიდად და არწმუნაცა, უკეთუ ემონების მეფე და მისცემს ძესა ერთსა მძევლად, უკუნუქცევს ყოველსავე ტყვეთა ტფილისისათა და მინაღებსაცა ნატყვენავსა, და განუტევა ყაზახით ამა სიტყვითა. თუმცაღა ენება ხოჯას, რათა დააქციოს ხიდიცა გატეხილ ხიდად ხმობილი, გარნა თხოვითა ქაიხოსროვისათა აღარა შეეშუსრა იგი. მოსრულმან ქაიხოსრომ აუწყა ესე ყოველივე მეფესა. თუმცაღა ქართველთა ენებათ შეერთება სპარსთა თანა, გარნა ვინაჲთგან ხოჯა იყო მცბიერი და დაუნდობელი, ამად ვერ ენდო მეფე მას, და კუალად ადრიდანვეცა შესრულ იყო ეფე საფარველსა როსიისასა და ეფუცაცა ერთგულებასა ზედა როსიისასა, ამად არა ინება შეერთება სპარსთა თანა. თუმცაღა უწინარეს მოსვლისას თხოვა შეწევნა კავკასიის ლინიის მთავარსა ღრაფს ღუდოვიჩსა ივან ვასილიჩსა ტრაკტატისა მებრ ძალითა, რომელიც რუსთა აღეთქუათ პირობის წიგნსა შინა: უკეთუ მტერ ძლიერ მოვიდეს, შემწე ეყოს ლინიის მთავარი მეფესა. რომელსაცა

არა ენება მოცემა და არცა მოსცა მეფესა შეწევნა აბისთვის, რომელ ხოჯა უელინებდის ფეშქაშსა და ნივთსა მრავალსა, რათა არა შემწე ექმნას მათ იგი და მეფესა არწმუნებდის ღრაფი შეწევნასა. რომელიცა ატყუა და ესრეთ შეემთხვა მეფესა. ამ ტფილისის აღებაზედ ეწამა ქრისტესთვის გარგარეთელი სვიმონ, დიაკონი იოვანე ოსყოფილი ხარებისა და სხვანიცა მრავალნი კაცნი და დედაკაცნიცა, ვითარცა ქართველნი, ეგრეთვე სომეხნიცა. ხოლო რძალი ქიტესა ამბარდნისა წარიყვანეს ტყვედ თავრიზს და აიძულებდეს უარის ყოფასა ქრისტესსა, ხოლო მან არა ინება, და ჩასვეს ტომარასა შინა და ჯგვლემითა შუბთათა მოკლეს და დაფლეს მუნვე. რომლისა მადლითა მრავალნი სნეულნი იკურნებიან მისრულნი საფლავსა ზედა მისსა. ხოლო ხოჯა აღა მაჰმად ხან უკუნქცეული წარვიდა ხორასანსა ზედა.

ამასვე დროსა შეკრბნენ ლეკნი ოთხიათასადმდე და ენებათ თავს დასხმა პანკისსა შინა აყრილთა ხალხთა კახეთისათა, რომელნიცა გამაგრებულ იყვნენ ხოჯისა დროსა აღებასა ტფილისისასა. მაშინ ვინათგან ხოჯა უკუნ იქცა, აღიყარნენ კახნიცა მუნით და დაეშენნენ კუალად ადგილთა თვისთა. მოსრულთა ლეკთა ვინათგან მუნ ვერა რაჲმე პოეს, მოვიდნენ მთის გზით და მოადგნენ ნორიოს, გარნა იძლიენენ ფრიად მოურავისაგან მათისა ზაალ ენდრონიკაშვილისა მიერ, რომელიცა იყო სიმხნითა აღმოჩენილი ფრიად ყოველსა საქართველოსა შინა. მუნით განვიდნენ ლეკნი იგი მტკუარს, ავლეს დიღომს, აღვიდნენ დიდგორზედა, და მივიდნენ კოთელიას. მას ჟამსა იჯდა ფაშად ახალციხისა საბუთ, სიძე სულთანისა, რომელსაცა მიუწერა მეფის ძემან გიორგიმ, მყოფმა ტფილისსა შინა, რომელიცა აკეთებდა ხიდსა და ასახლებდა ხალხთა ტფილისსა შინა, რათა არა შეუშვას მან ლეკნი იგი. მსმენელმან ამისმან ფაშამ არღარა უტევნა ლეკნი იგი სადგურად მუნ. მუნით უკუნ ქცეულთა ჩამოვლეს ბოლნისსა, და დაესხნენ გაურარხს, და წარტყვენეს ცხვარი გაურარხელთა. მაშინ მეფის ძის ძე დავით იმყოფებოდა ბორჩალოსა შინა. მსმენელმან ამის-

მან მოიკრიბნა ბორჩალოველნი ვიდრე ორას კაცადმდე, ეწია-
იედიბოლუქსა, სძლო მათ და მიუღო ყოველივე ნატყვენავი
თუსა დეკემბერსა. ესრეთ შიშვნეულ იქმნენ ლეკნი იგი, რომელ
მოიშთვნენ მტკუარსა შინა უმეტეს სამასისა. ხოლო სცნეს რა
ესე საგარეჯოველთა, მათცა შეუკრეს ოორი და მოსწყვიტნეს
დანაშთნი იგი ლეკთანი რაოდენნიმე, ხოლო რაოდენნიცა გა-
ნერნენ, მათცა ქიზიყელთა შეუკრეს დანღისი, და ესრეთ სრუ-
ლიად მოსწყვიტნეს, რომელ ჩვიდმეტიღა კაცი განერა ლეკ-
თა. ხოლო მეფის ძის ძე დავით შემოვიდა დღესა მეორესა
ტფილისს გამარჯვებული, რომელმანცა შემოიტანნა ჯორთა
ზედა აღკიდებულნი საპალნითა თავნი ლეკთანი. ამას ზედა
გამხდნენ მოქალაქენი ტფილისისანი და იწყეს კუალად მო-
ოხრებულთა შენობაჲ. ამჟამს მოვიდა ოორი ბატალიონი შემ-
წედ რუსთა მხედრობათაგან წინაძღომითა პოლკოვნიკის სი-
რიხნევისათა, რომელსა ზედაცა ფრიად მხიარულ იქმნა მეფე
ირაკლი.

40. წელსა 1796 ქ-კს უპზ მოვიდა იბრეიმ ხან შუშისა
განჯასა ზედა და მოადგა გარს განჯასა, ვინაჲთგან ხანი განჯი-
სა ჯავად იყო მიზეზი აოხრებისა ყარაბაღისა და ტფილისისა,
სთხოვა მეფესა ირაკლის შეწევნაჲ. რომელმანცა წარუვლინა
ძე თვისი ალექსანდრე და ძის ძე თვისი დავით. მივიდნენ ესე-
ნი ქალაქსა ზედა, აღიღეს განჯა ქალაქი თვინიერ ციხისა, და
მოწვეს, და რაოდენგზისცა გამოვიდნენ ციხით განჯელნი,
ეგოდენ იძლეოდიან. სადაცა ფიცხელად ბრძოდიან ქართველ-
ნი, რომელ სიმხნესა მათსა განკვირვებულ იყვნენ ყარაბაღელნი,
და ლეკნი. უკანასკნელ მაისში შთავიდა თვით მეფეცა ირაკლი,
გამოართო ყოველნივე ტყვენი საქართველოსანი, დროსა ხო-
ჯასასა ტყვე ქმნილნი უმეტეს ათასისა, ზავ ჰყვეს განჯელთა
თანა, და კუალად მოხარკედ ჰყვეს განჯაჲ, და უკუნიქცნენ
თვისადვე.

ჟამსა ამას მოვიდა მხედრობაჲ რუსთა ოცდაათი ათასი
მძღუანველობითა ღიანარალ შეფის ვალერიანე ზუბოვისათა.

ამათ დაიპყრეს დარბანდი, შამახია, ბაქუ და სალიანი 1796, ქ-კს უპზ.

ამჟამად იქმნა იმერთა შინა მცირედი აღრეულებაჲ: ენებათ რომელთამე ჩინებულთა თავადთა და გენათელს ეფთვიმის, რათა ჰყონ მეფედ იმერთა გიორგი, ძე-ალექსანდრესი, ბუში, და ძის ძე მეფისა დიდისა სოლომონისა, და გარდააგდონ მეფე სოლომან არჩილის ძე. ამა გიორგისა ჰყვანდა ცოლად გურიის ერისთვისა ქალი დარეჯან. ესე იყო ძმის წული გენათლისა. ამან აწვია დადიან გრიგოლსაცა, რომელიცა იყო მას ჟამსა კახეთს მეფისა ირაკლის წინაშე გამოძებული მამულით თვისით, რომელი ახლად მოსრული ახალციხით, იყო მუნ, რათა მივიდეს იმერეთს, და შეერთდეს გიორგის, და გარდააგდონ. მეფე სოლომან. წარსრული დადიანი იმერეთს, ვერლარა მიუსწრო. რომელ სცნა მეფემან ესე ამბავი სანადიროსა შინა, შეიპყრეს გიორგი წერეთელმა ქაიხოსრომ და ორთა ძმათ წულუკიძეთა ოტიამ და სეხნიამ, ვინათგან იყვნენ ესენი ფრიად ერთგულ მეფისა სოლომანისა. და პატიმარ ჰყვეს გიორგი ციხესა შინა მუხურისასა. მცნობმან ამისმან დადიანმან გრიგოლ, უღონო ქმნილი მივიდა მეფისა სოლომანის წინაშე ქუთაისს, ვინათგან მუნ ჰყვა დედაწულნიცა თვისნი. მსმენელთა ოდიშელთა მოსცეს პირი კუალად დადიანს გრიგოლს და ეგრეთვე ქაიხოსრომანცა გელოვანმან, განაპარეს ღამესა ერთსა დადიანი გრიგოლ ქუთაისით დედაწულითა თვისითა, და განიყვანეს ოდიშსა და ჰყვეს კუალად დადიანადვე. ხოლო მანუჩარ, ძლეული, მოვიდა მეფისა წინაშე. თუმცაღა მეფემან კუალად ინება დასმა მანუჩარისა და დალაშქრა ლეჩხუმიცა, არამედ ვინათგან მტკიცედ სდგნენ ერთგულად ოდიშელნი და ლეჩხუმელნი დადიანის გრიგოლისათვის, ამად მეფემან, ვერარაისა მყოფელმან, დააზავა ძმანი, მანუჩარს მისცა საბატონისშვილო რაოდენნიმე სოფელნი, ხოლო დადიანობა გრიგოლსა, და იყვნენ ჟამ რაოდენნიმე ამა მშვიდობასა შინა.

ამავე ჟამსა მივიდა ხორასანს, ქალაქი აღიღო მაშადი ხოჯა აღამაჰმად ხანმან, და ტყვედ ჰყო ძის ძე ნადირისა, ძე რი-

ზაყულისა, ესეცა უთვალო შარუხ, და მიუღო უმრავლესი ნაქონები, ხოლო უკანასკნელ მოკლა ესეცა.

ხოლო ზუბოვმანცა წარმოგზავნა მხედრობითა ღიანარალ მაიორი კორსიკოვი. ამან დაიპყრა განჯა, მუნ დაუტევა მცველად მხედრობაჲ და მოვიდა თვით ტფილისსა მხედრობითა. წელსა ამასვე იქმნა სიყმილი ფრიად, ვითარცა საქართველოსა შინა, ევრეთვე განჯა ყარაბაღსაცა შინა, აღიყარნენ მრავალნი მუნით და დასახლდნენ კახეთსა და სხვაგან. ამჟამს აშენდა ძველი გალავანიცა თელავს ბრძანებითა მეფის გიორგისათა.

ხოლო წელსა ამასვე 1796, ქ^კს უპჯ, აგვისტოს ᲧᲨ გამოჩნდა სპარსეთისა მხარეს დილას განთიადზედა ვარსკვლავი ერთი ცეცხლის ფერი და კუდგრძელი, სახე ამისი*) მფრინავი, შსგავსად შუშხუნისა. წარმოსრულმან მუნით ვარსკვლავმან მან გამოვლო ზღვა კასპიისა, შუადღისას იხილეს მომფრინავი ქალაქსა ასტრახანს, ხოლო სამხრობის ჟამსა იხილეს ქალაქსა მოსკოვს, და ჩასვლისა დროსა მზისასა იხილეს ქალაქსა პეტერბურღს, რომელმანცა გარდაველო სახელმწიფოს სასახლეს, ზიმნიი დვარეცად წოდებულსა, განვიდა ნევას, მივიდა ციხესა შინა პეტრე პავლისასა სასაფლაოსა, რუსთა^იმპერატორთასა, და უჩინო იქმნა მუნ ვარსკულავი იგი. ხოლო ციხე იგი არს პირის პირ სასახლისა ხელმწიფისასა.

41. ხოლო წელსა ამასვე 1796, ნოემბრის 6 გარდაიცვალა იპერატრიცა ეკატერინა და დაჯდა ძე მისი პავლე იპერატრად. ესე არს პავლე პირველი ამან უკუ აქცივნა მხედრობანი რუსეთისანი ყოველნივე—ვითარცა შაქიშირვანით, ევრეთვე საქართველოდამაცა—რუსეთადვე.

ოდეს მოიცალა ალამაჰმად-ხანმან საქმისაგან ხორასნისა და სცნა უკუნქცევა რუსთა მხედრობისა შაქიშირვანით და ქართლით, წარმოემართა და მოვიდა შუშას. სცნა რა იბრეიმ-ხანმან, ძემან ფანასმან, მომავლობა მისი, განიელტო სახლეულითურთ თვისით ბელაქნად, ხოლო ალამამად.ხანმან ხოჯამან

---

*) ღეღანში გამოსახულია თვის ვარსკვლავი.

დაიპყრა ციხე შუშისა, რომელსაცა ენება წარტყვენა სრულიად ქართლისა, გარნა ღმერთმან განათავისუფლნა ქართველნი, რამეთუ ღამესა მას მოკლეს მსახურთა მისთა მძინარე შუშის ციხესა შინა: ხუდადამ და ამხანაგთა მისთა ბირებითა შაღაღის ხანის მუსტაფისათა წელსა 1797, ქ^კს უპე, თვესა ივნისსა 12. და უკუნიქცნენ სპარსნი თვისადვე^და დისვეს ყეენად ძმისწული მისი ბაბა ხან და უწოდეს ფათალი შაჰ — სასწაული წმიდისა დიდისა მთავარ მოწამისა გიორგის მიერ, რომელიცა ხატი ამისი ასვენია ეკლესიასა შინა ალავერდისასა: ამჟამს, ოდეს ხოჯა მოვიდა მეორედ და შევიდა ციხესა შინა შუშისასა, რომელიც ზემო მოვიხსენეთ, შეიძრწუნდნენ შიშითა მისითა კახნი და იწყეს ხიზვნა ადგილთა სიმაგრეთა შინა. მაშინ კათალიკოზი ანტონი, ძე მეფისა ირაკლისა, იყო რა ალავერდს, ვინაითგან აქუნდა ალავერდობაცა ამასვე, ჩამოასვენა ხატი იგი. წმიდისა გიორგისა, და ენება დახიზვნა მისი, და რაოდენიცა შეუშვირეს ბუდე ფარჩისა დიდი, არა ჩასვენდა ხატი იგი ხოლო ყოფასა მისსა ეკლესიასა შინა ალავერდისასა, რომელნიცა განჰკვირებულ იყვნენ ყოველნივე სამღვდელონი და საერონი საქმესა ზედა ხატისასა, მიუვიდა მახარობელი, დიმიტრი გურამიშვილი, მილახვარი, მეფესა და აუწყა სიკვდილი ხოჯა ალამაჰმად ხანისა, რომელსა ზედაცა ფრიად მადლობელმან ღვთისამან გარდაიხადა პარაკლისი, და ესრეთ განერა კახეთი ხელისაგან მისისა უსჯულოჲსა, ხოლო ხატი იგი ზურგით კერძო მოსჭედა კათალიკოზმან ანტონიმ და დასწერა ესე მას ზედა და სასწაულითა მისითა განრინება სრულიად საქართველოჲსა.

ხოლო წელსა ამასვე გაჩნდა ჟამი მსვრელი ტფილისს და სხვათა გარემოთა სოფელთა შინა, და მრავალნი სულნი მოისრნენ.

ჟამსა ამასვე იქმნა უძლებ მეფე ირაკლი წყლის მანკიერებით თელავს. ჟამსა ამას ჩამოვიდა დალისტნით ომარ ხან, ძე ნურალისა. ესე მოვიდა და მოადგა ყვარელს, ხოლო ციხე ყვარელისა ვინათგან აქუნდა გამაგრებული მეფის ძის ძეს იო-

ვანეს და იყო თვითცა შიგან, ამათ ომარ ხანმან ვერა ერისა მყოფელმან, მოწო ველისციხე და მუკუზანი, და უკუნ იქცა და შთავიდა შაქად.

42. და წელსა ამას 1798, ქ^კს უპ: მეფემან ირაკლიმ კახთა და ქართველთა ზედა 41 წელი იმეფა. იანვრის 11 გარდაიცვალა მეფე ირაკლი წლისა 80 თელავს და დაფლეს მცხეთას და გამეფდა პირმშო ძე მისი გიორგი. ესე იყო სიყრმითგანვე ღვთის მოყვარე, სამღვდელოთა ფრიად პატივის მცემელი, ქვრივ-ობოლთა მოწყალე და ყოველითა სათნოებითა სრული და მსჯავრთა შინა პირ უთნებელ, რომელ დიდნი და მცირენი სწორ იყვნენ. ჟამსა ამასვე მოვიდნენ შეყრილობანი ლეკთანი, და დაეცნენ გრცხინვალს, და ვერა რაჲმე ჰყვეს, გარნა უკუნ იქცნენ რა, შეემთხვათ მეფის გიორგის ძე იოვანე დირბს, და იძლიენენ მათგან. მუნ მოიკლა ბრძოლასა შიგან წინამძღუარი ლეკთა, ჩინებული, ალიფოლად წოდებული.

ხოლო წელსა ამასვე, მეფობასა გიორგისასა 1798, ქ^კნს უპ, განძლიერდა რა ჟამი მომსვრელი ყოველგან საქართველოსა შინა, წარგზავნა მეფემან კაცი ღუკაზ ორქივატერთან, და მოსტუნეს წმიდა ლახვარი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და მსწრაფლ განქარდა ჭირი იგი ყოველივე.

წარმოიშვა კუალად სანდურავი შორის ქართლისა და ყარსისა. მაშინ წარგზავნა მეფემან გიორგიმ ძენი თჳსნი დავით და იოვანე ლეკთა მხედრობითა, რამეთუ ამჟამს მოიყვანა მეფემ ორი ათასი კაცი ლეკთა მხედრობისა. მიუხდნენ ყარსსა, მოსტყვენეს გარე ყიზილ ჩახჩახისანი, გარნა გამოვიდა მხედრობითა დიდითა ალიბეგ, და იძლივა ქართველთაგან ოსმანნი ესრეთ, რომელ სდიეს ორი ალაჯი ქართველთა ოსმალთა ხოცითა და ჭერითა, და შემოიქცნენ ქართუელნი ალაფითა დიდითა მძლეველნი თურქთანი.

ხოლო წელსა ამასვე განძლიერდნენ ფრანცუცნი; წარგზავნა რესპუბლიკამან მათმან სარდალი თჳსი ღიანარალ ნაპოლიან (ესე იგი მონაპარტე) დოსკანელი, მხედრობითა ოცი-ათასითა. მივიდა და აღიღო ქალაქი ალექსანდრია, შევიდა

ეგიპტეს და დაიპყრა იგიცა; თუმცაღა უსუფ ფაშამ ვეზირმა, რომელი იყო ქართველთა ტყვეთაგანი, ბრძო ფრანცუცთა, გარნა იძლია ფრანციელთაგან განვრცა უკუს ბრძოლა მათი წელსა. სადაცა ახალციხესა მყოფნი ლეკთა მხედროპანიცა წარვიდნენ სამასნი კაცნი ეგიპტელ ბრძოლად ფრანცუცთა. მისრულთა მუნ ლეკთაცა ბრძვეს, გარნა ცუდ იქმნა შრომაჲ მათი, რამეთუ მსწრაფლ დაკვეთებულ იქმნენ ოსმალითურთ ფრანცუცთაგან.. ხოლო მონაპარტემან იავარ ჰყო, სრულიად მისირისა სიმდიდრე აღიღო და უკუნიქცა. მისრულმან ფრანციასა შინა, კუალად განახვნა კარნი წმინდათა ეკლესიათანი, და აღმართნა ხატნი და ჯვარნი. ოდეს ფრანციელთა მოკლეს მეფეჲ თჳსი ლუდოვიკ წელსა 1792 და სახლეულნი მისნი და განაძეს ძჳანი მათნი, მიერ დღიდგან განდგნენ ღვთისაგან, მოსწყვიტნეს ყოველნივე სამღვდელონიცა და დახშეს ეკლესიანიცა. ამან მონაპარტემ მრავლისა ცდითა კუალად აგო პირველსავე ქრისტიანობაზედა, რამეთუ დროსა ამას ფრიად განდიდებულ იყო იგი და ერჩდენცა ფრანციელნი სიტყვასა მისსა ფრიად.

43. წელსა ამასვე 1798, ქ-კს უპდ წარმოუვლინა ბაბა-ხან ყეენმან მეფესა გიორგის ფარეშ-ბაში თვისი მამად ხან ყაჯარი, და აწვია მოხებასა ზედა თვისსა, და სთხოვა ძეცა თვისი ერთი, რათა იყოს მისთანა და აღუთქვა მიცემა ვითარცა შაქი შირვანისა, ეგრეთვე განჯა ერევნისაცა. მსმენელმან ამისმან მეფემან გიორგიმ, რომელიცა იდგა მაშინ კახეთს, თელავს, წარუვლინა ძღვენი, სიმამრი თვისი, სარდალი გამოღმა მხრისა, გიორგი ციციშვილი, და აღუთქუა ყოველივე სრულყოფაჲ, უკეთუ მოსცემს იგიცა ტყვეთა მათ ტფილისისათა, რომელნიცა იყვნენ დროსა ბიძისა მისისასა წარსხმულ ნი ტფილისით. ხოლო ოდეს მივიდა გიორგი ციციშვილი და ელჩიცა ბაბა ხან ყეენისა ყაჯარი მაჰმად ხან ფაბაკსა, მუნ ესმათ ანბავი სპარსეთით აღრეულობისა, რამეთუ ესმა ამას ბაბა ხან ყეენი მოსრულიყო ადრიბეჯანსა შინა და იდგა ხოის. ესმა ამას განდგომა ძმისა თვისისა ულინ-ყული ხანისა, რომელიცა მყოფობდა მა-

შინ არ.აესა შინა, და ამა აღრეულებისა გამო ბაბახან ყეენი მიიქცა არაყადვე. მსმენელი ამისი გიორგი ციციშვილი უკუ მოიქცა ერევნით, ხოლო მაჰმად ხან მუნით განუტევა ბაბა ხან ყეენთან. მისრულმა ყეენმა სძლო ძმასა თვისსა, შეიპყრა იგი და აღმოხადნა თუალნი. მსმენელმან ამისმან იმპერატორ-მან როსისამან პავლემ მსწრაფულ წარმოუვლინა წერილი თვი-სი მეფესა გიორგის და აღუთქუა შეწევნაჲ და, რაიცა ნებავს, საქმისა სრულ ყოფაჲ, რათა არა მიერთოს მეფე სპარსთა. ჟამსა ამასვე წარგზავნა მ_ფემან გიორგიმ როსიად ავალიშვილი გი-ორგი, ძე იოვანე მეითრისა, და მიუწერაცა მანდატურსა თჳსსა ჭავჭავაძე გარსევანს, რათა იყოს იგი მუნვე მინისტრად, რამე-თუ ჟამსა მას იზყოფებოდა მინისტრი წარგზავნილი მეფისა ირაკლის მიერ. და შეიტანა თავი თვისი მეფემან კუალად მფარველობასა ქუეშე რუსიისასა პირობითა მით, ვითარცა განეწესათ პირობისა წერილი (ესე იგი ტრაქტატი) იპერატ-რიცა ეკატირინას და მეფესა ირაკლის, რათა პირობა იგი იყოს მტკიცედ, და ეგოს მეფობა ბაგრატიონთა საუკუნოდ ქართლსა შინა მემკვიდრითი-მემკვიდრედ. ხოლო ამან წარ-მოუვლინა დესპანად კავალინცკი პეტრე ივანიჩი და სამეფო-ნი ნიშანნი და ღრამატაჲ, რათა შედგომად მისსა იყოს მემ-კვიდრედ ძე მეფისა გიორგისა დავით, და ერთი პოლკი იეგირისა წინაძღომითა ღიანარალ ლაზარევისათა. ესენი, მოს-რულნი წელსა 1799, მიიღო მეფემან დეკემბრის 5 ტფი-ლისს, და იდღესასწაულა ღდე იგი ეკლესიასა შინა ანჩიხატი-სასა. ხოლო ამისა შემდგომად კუალად მოვიდა ერთი პოლკი-ცა მუშკათირი წინაძღომითა ღიანარალ გულაკოვისათა. ხო-ლო ჟამსა ამასვე განამაგრა ციხე სურამისა უნტროსმან ძმამ მეფისა გიორგისამან ფარნაოზ ბირებითა ერისთვის შვილის ყულარაღასის ძის ელიზბარისათა, ვინათგან იყო ოლის ძმა მისი და იყო კაცი ეს მცბიერი და მეშფოთე. და უკუდგა მეფი-საგან ამაზედა წარგზავნა ძე თვისი დავით. მისრულმან აღი-ღო ციხე სურამისა და შეაყენნა გუშაგნი თვისნი და განუტე-ვა ფარნავაზ მშვიდობით.

ხოლო წელსა 1779, ქ^კს უპზ მოკუდა ორქივატერი ღუ-
კაზ და სწადდათ სომეხთა სტამბოლის პატრიარხის დანიელის
დასმა, ხოლო მეფემან გიორგიმ არა აუფლა იგი, არამედ მოი-
ყვანა რუსეთით არლუთაშვილი ოსეფ ვარტაპეტი. რომელთაცა
ჰსწადათ ამათ ორთავე შეერთება ბერძენთა და სომეხთა სარ-
წმუნოებისა. და იგი იყო დანიშნულ ორქივატრად და ვიდრე
ესე მოიწეოდა ტფილისად, მოკუდა მეფე გიორგი, ხოლო
ოსეფცა მოკუდა ტფილისს, ორისა თვისა შემდგომად, 1801, და-
კუალადვე სომეხთა სწადდათ დანიელ ორქივატერად, ხოლო
მეფის ძემ დავით, ვინაადგან მართებდა მას ჟამს საქართველოსა,
ამან აკურთხებინა ორქივატრად დავით ვარტაპეტი, საქართვე-
ლოთა სომეხთაგანი, ენაგელი. აღადგინეს ამას ზედა აბოხი სო-
მეხთა ყოველგან, და აკურთხეს სტს დანიელ ორქივატერად
და წარიყვანეს ეჩმიაძინსა სულთნისა ბრძანებითა, ხოლო და-
ვით ორქივატერი, ვინაადგან იყო საფარველსა სპარსთასა, ამან
სთხოვა შეწევნა ერევნის ხანს მაჰმადს, ძესა უსეინ ალი ხანი-
სასა. ესე მოეხმარა მას. მოსრული დანიელ შეიპყრა ხანმან და
მისცა დავით ორქივატერსა. ხოლო მან მოჰპარსა წვერი და
პატიმარ ჰყო დანიელ ეჩმიაძინსა შინა. მსმენელთა ამისთა
მცხოვრებთა როსიისა სთხოვეს იმპერატორსა, რათა ჰყოს და-
ნიელ ორქივატერად, ხოლო ეფრემცა არაჯნუთად როსიისა.
მსმენელმან იმპერატორმან მიუწერა საქართველოს მთავარსა
ღუდოვიჩს, რათა გარდაადგოს დავით და დასოს დანიელ. ეს
ჰყვეს რუსთა. და დავით მივიდა ლტოლვილი ბაბა ხან ყეენ-
თანა და იყო მუნ.

44. ხოლო წელსა 1800, ქ^კს უპ^ბ ყეენმან ბაბა ხან,
მსმენელმან ამისმან შემოსვლისათვის რუსთა მხედრობისა სა-
ქართველოსა შინა, წარმოავლინა დიდ შემძლე თვისი სარდალი.
მოვიდა და დადგა ნახჩევანსა შინა და აწვია მუნით მეფესა,
რათა უკუნ აქციოს რუსთა მხედრობაჲ და ემონოს ყეენსა.
მსმენელი ამისი ძმა მეფისა გიორგისა ალექსანდრე წარვიდა
შულავრით და მიერთო სარდალსა მიზეზისა მისგამო, ვინაად-
გან განეწესებინა მეფესა ირაკლის შემდგომად სიკვდილისა

მისისა, რათა იყოს მემკვიდრეობა ძმათა ზედა და არა რჯულიერ მემკვიდრესა ზედა. ამას ზედა გულ ნაკლულ იყვნენ ძმანიცა მისნი, ვინაჲთგან დავითს, ძესა მისსა, მისცა პავლე იპერატორმან მემკვიდრეობა. რამეთუ ესე დავით იყო რუსეთს ღვარდიასა შინაცა წელი ორი, და ემსახურა მუნ, და იყო ღიანარალ მაიორიცა რუსეთისა. და ეგრეთვე წარმოიშოცა შფოთი მეფისა გიორგისა და დედინაცვლისა მისისა დარეჯან დედოფლისა და ძმათა მისთა: ვინათგან ალექსანორე, ბირებითა მისითა, წარვიდა სპარსეთს, და დროსაცა მეფისა ირაკლისასა, ვინაითგან დიდათ სძულობდა, სდევნიდა გერსა თვისსა გიორგის დედოფალი დარეჯან, და მიმდგომთაცა გიორგისათა თავადთა და აზნაურთაცა ამდაბლებდა, ვითარცა უყოთ დავით სარდალსა ყაფლანიშვილსა: მიუღო სალთხუცობაჲ და მისცა იოვანეს მუხრანის ბატონს სიძესა თვისსა, ვინაჲთგან ჰყვა დაი მეფისა გიორგის თამარ; და ქიზიყის მოურავს რევაზის ძესა პაპუასასა, რომელიცა იყო ცოლის ძმა მეფისა გიორგისა, მიუღო ქიზიყი სამოურაოდ და მისცა სიძესა თვისსა ზაქარიას ძესა თამაზისასა; ხოლო სამღვდელონიცა რომელნიმე გამომხტა ეპარხით და რომელნიმე ექსორია ჰყენა, ვითარცა ამათგანნი იყვნენ მიხაილ თბილელი, მხატვრის ივანეს ძე, და მროველი იონა გედეონის ძე, არხიმანდრიტი გაიოზ თაყაშვილი, კაცი ესე ფრიად განსწავლული და სხვანიცა მრავალნი, რომელნიცა სიგრძისათვის დავიდუმე.—და გლეხთა სტყეენეიდა და აოხრებდა და ნამეტნაოად ძმა მეფისა გიორგისა ვახტანგ, რომელი იყო მაშფოთებელი ძმათა რომელსაცა ებირებდა ბაბანაშვილი გლახა არაგველი, თანაშესდილი მისი და მისანდო, რომელი ესე იყო თავი ყოვლისა ბოროტებისა და სიცბილისა ძმათა შორის, რომლისა მიზეზისა გამო დაეცა ტახტი სამეფო ბაგრატოვანთა. მისრული ალექსანდრე ნახჩევანს, არა ეგრე პატივ ჰსცა სარდალმან მან და ამ ჟამსავე ბრძანებითა ყეენისათა უკუნ იქცა სარდალი ნახჩევნით, და დაშთა მუნ ალექსანდრე, რომელიცა იძულებული მუნით წარვიდა ყარაბაღსა და იყო იბრემ ხანთანა.

ხოლო წელსა ამასვე 1800, ქ-კს უპრ მეფე გიორგი აჰედინებდა რა ხატსა გაბრიელ ოქრომჭედელსა ტფილისელსა, თელავის წმიდის გიორგის ბოკორმისასა, რომელიცა იყო ფრიად ძველი მოჰედილი, და აახლებდა მას. ესე ხატი ესვენა თელავს ქეთევან დედოფლის ეკლესიაში, და მრავალნი სულნი უკეთურნი და სნეულნი იკურნებოდეს მის მიერ. აჰყარეს რა ვერცხლი მკერდსა ზედა, მაშინ გამოჩნდა მკლავი წმიდისა მთავარ მოწამისა გიორგისა, რომელიცა არვინ უწყოდა. ესვენა ხატსა მას მკერდსა ზედა. ხოლო მოჰედეს რა ხატი, იგივე ჩაესვენეს მუნვე წმინდა ნაწილი იგი; ჟამსა ამასვე მოეფინა მშვიდობა საქართველოსა ზედა

კუალად წელსა ამასვე 1799 ვინათგან მეფე იმერთა მარადის მცდელობდა, რათა დასჩაგროს და გარდააგდოს დადიანი გრიგოლ, ამისთვს კუალად გარდაბირა მეფემ ქაიხოსრო გელოვანი, მოურავი ლეჩხუმისა. მსმენელმან ამისმან დადიანმან მიიყვანა თვსთან გელოვანი და ღალატით მოკლა იგი, და წარუგზავნა თავი მეფესა იმერეთს. თუმცალა მეფემან იწყინა და მიუხდა ლეჩხუმს, დადიანს ვერა რაიმე უყო და მოიქცა უკან.

ჟამსა ამას სნეულად მყოფი მეფე გიორგი აღვიდა მცხეთას ოკტომბრის 1-ს, დღესასწაულსა მისსა სალოცველად. მოვიდნენ ლეკნი და წარტყვენეს ღარეიკარში რაოდენიმე ურემნი, მომავალნი ქართლით. მაშინ სიძე მეფისა სალთხუცესი იოვანე მუხრანის ბატონი გამოუდგა მცხეთით. მიეწია რა არგვის პირზედ, მუნ დაჰყარეს ყოველივე მინაღები ლეკთა. განვიდა რა მუხრანის ბატონი არაგვს, გარდმოვარდა ცხენით და მოკუდა მყისვე უცეფათ.

ხოლო ჟამსა ამასვე ჩამოვიდა ომარ ხან ბირებითა იბრეიმ ხანისათა, და ჰყვა ჩვიდმეტი ათასი ლეკთა მხედრობაჲ, რათა მწე ეყოს ალექსანდრეს მეფესა გიორგისა ზედა. მოვიდა და დაიბანაკა ურდოსა ზედა, ალაზანზედ. მუნ მივიდა მეფის ძე ალექსანდრეც ყარაბაღით. ხოლო ქართლსაცა შინა მყოფთა მეფის ძეთა იულონ და ვახტანგმა შეიკრიბნეს რაოდენნიმე ქართველთა მხედრობანი, მოვიდნენ და დადგნენ ავჭალას, და

ენებათ დედოფლის დარეჯანისა წაყვანაცა ქართლად, ვინაით
გან მოელოდნენ ომარ ხანს, რათა წარეტყვენათ ქალაქი და
იავარ ეყოთ მეფეცა გიორგი სახლეულითურთ თვისით. რო-
მელიც იყო მეფე გიორგი მაშინ სნეულ ფრიად და მდებარე
მცხედარსა ზედა. მსმენელმან ამისმან მეფემან არა უტევა დე-
დოფალი წარსვლად; და წარავლინაცა ორი ბატალიონი რუსთა
მხედრობისა ღიანარლებითურთ, და თანა წარატანა ძეცა თვსი
იოვანე, რათა მივიდეს ქიზიყსა და აცნობოს ძმასაცა თვისსა
ბაგრატს, რომელი ესე იყო გამგედ დადრგენილი კახეთსა ში-
ნა და იყოფებოდა თელავს, რათა მანცა მოიკრიფნოს კახთა
მხედრობანი და თუშთა, ხევსურთა და ფშაველთანი, და შე-
ერთდეს ქიზიყს, და ბრძონ ომარ ხანს. მისრულმან იოვანემ
აუწყა ესე ძმასა თვისსა. მაშინ იგიცა წარვიდა მხედრობითა თვი-
სითა და შეერთდა ქიზიყს ძმასა თვისსა. ამჟამს გამოვიდა
ომარ ხან ალაზანს, და დადგა ყარალაჯშია. მსბენელნი ამისნი
რუსნი და მეფის ძენი ჩაეგებნენ წინა ძველს ანაგასა, რომელი
შორეედა ბანაკსა ლეკთასა სამსა ვერსსა ზედა. მხილველი ამი-
სი ომარ ხან აღიყარა ღამესა მას და წარვიდა უკანა მხრით
საგარეჯოსა ზედა. რათა დაისადგუროს მუნ და შეერთდენცა
მეფის ძენი იულონ და ვახტანგ მუნ, და მერმე წარმოემართ-
ნენ ტფილისსა ზედა. მცნობნი მეფის ძენიცა იოანე და ბაგ-
რატ შეუდგნენ უკანა მხედრობითა რუსთა და კახელითა, რო-
მელთა არა ჰყვათ უმეტეს ორი ათასისა მხედრობა რუსითურთ.
ეწივნენ ნიახურასა ზედა ნოემბერს 7, მოვიდნენ ლეკნიცა და
დასდგნენ იორ გაღმა პირის პირ ნიახურისა. იქმნა მუნ კუს-
თებაჲ ურთიერთარს, და განგრძელდა ბრძოლაჲ სამს საათსა.
იძლიენენ ლეკნი ომარ-ხანითურთ და ალექსანდრეთი და დაი-
კოდაცა ომარ-ხან ბარკალთა შინა. მხნედ იყვნენ კახნი ბრძო-
ლასა ამას შინა და მოსწყდნენ ლეკნი ეგოდენნი, რომელ
რიცხვ არა ეგებოდა, და შეიპყრეს მრავალნიცა. ამა ბრძოლა-
სა შინა არა მომკვდარა არცა ერთი თავადიშვილი, მხოლოდ
დაიკოდა იოსებ ბებურიშვილი, და მოკუდა მხოლოდ სალდა-
თი ერთი მუშკატირი, და კახნი თუშითურთ მოსწყდნენ ოც-

და ცამეტნი. უკუნქცეულნი სირცხვილეულნი ლეკნი ალექ-
სანდრეთურთ მიუხდნენ განჯასა, და მუნცა იძლიენენ ჯავათ-
ხანისაგან, ხოლო მუნით დანაშთნი მივიდნენ იბრეიმ-ხანთანა
ყარაბაღს, და არცა განუტევნა იგინი. ამის გამო უკუნ იქცა
ომარ ხან სახლად თვისად და მისრული მოკუდა ბელაქანსა
შინა მწუხარებითა. ხოლო ალექსანდრე დარჩა ყარაბაღსა ში-
ნა იბრეიმ ხანისა თანა. მსმენელმან იპერატორმან პავლემ ძლე-
ვისა ამისთვის უბოძა მეფის ძეს იოვანეს და ბაგრატს ჯვარი
იოვანე ნათლისმცემლისა, და ეგრეთვე მუნ მყოფთა ღიანა-
რალთა და აფიცართაცა, ხოლო ბატალიონსა მას მუშკატი-
რისასა უბოძა ბაირახნი, რომელსა ზედა წერილიყო ესრეთ
დამარცხებისთვის ავარიის ხანის ომარისა, და სალდათთაცა
ანიჭნა უმეტესნი წყალობანიცა სიმხნისა ამათისათვის.

ხოლო წელსა ამასვე 1800, ქ-კს უპ-ს გარდაიცუალა მე-
ფე გიორგი ტფილისს, დეკემბრის 28 დღეს, და დაფლეს მცხე-
თას. მეფემ გიორგიმ 12-ემ 2 წელი იმეფა. ხოლო იხილეს რა
მეფის ძეთა იულონ და ვახტანგმან გარდაცუალება ძმისა თვი-
სისა, შეიკრიბნეს ზემო ქართველნი და არაგველნი და წარე-
მართნენ ქიზიყისა კერძ. მისრულთა ქიზიყს თუმცაღა მიერ-
თენენ რაოდენნიმე კახნი და ქიზიყელნიცა, გარნა ცუდ იქმნა
შრომაჲ მათი მით, რამეთუ მაშინ შემდგომად მამისა თვისისა
განაგებდა მეფის ძე დავით ქართლსა. ამან შეუყენა ძმა თვისი
იოვანე და საბარათიანოს სარდალი იოვანე მამიდაშვილი თვი-
სი და თანა წარატანა ერთი ბატალიონით რუსთა მხედრობი-
თა ღიანარალ გულაკოვი. მისრულთა რუსთა მარტყოფს
შეიპყრეს მეფის ძე მირიან, ძმა მათი, რომელი ესე მოსრულ
იყო რუსეთით, ხოლო ესეცა არამც თუ მამშვიდებელი ძმა-
თა, არამედ იყო მაშფოთებელი და მცბიერ ძმათა და ძმის
წულთა შორის. რომელიცა განატევებინა ძმისწულმან მისმან
იოვანემ უვნოდ და უკუნქცეული მივიდა არაგვსა ზედა. და
შთავიდნენ ქიზიყს. მსმენელთა მეფის ძეთა იულონ და ვახ-
ტანგ დაუტევეს ქიზიყი და იწყეს ლტოლვა ქართლადეე.
ხოლო ამჟამს სახლეულნი მეფის ძის იულონისანი ყოფენ

ლიახვზედ ბელოთს, რომელიცა აქუნდა ამას მამული ესე საბატონიშვილოდ. მსმენელმან ამისმან მეფისძემანცა დავით შუნ წარგზავნა ქსნის ერისთვის შვილნი, რათა განსდევნონ მუნითცა იულონ, და დაიპყრან ლიახვი თვისად. მისრულთა ზემო ქართლის ჯარითა ჰყვეს ყოველივე ნაბრძანები მისდა, ხოლო მეფის ძე იულონ და ფარნაოზ გარდვიდნენ იმერეთს დედაწულით თვისით დისწულისა თვისთანა მეფეს სოლომანთან და მან დაასადგურა ქალატყესა და განუწესა საზრდოჲ. ხოლო ალექსანდრეს, მყოფს ყარაბალსაშინა, ესმა რა სიკვდილი ძმისა თვისისა მეფის გიორგის, ესეცა წარმოემართა შველად ძმათა თგისთა მცირითა მხედრობითა და მოვიდა რა ყაზახსა შინა, სცნა ამბავი ესე და გალტოლვა ძმათა თვისთა იმერეთს, ამან დაუტევა მხედრობა თვისი და მცირითა კაცითა გამოვიდა ყარაიაზედ, ავლო მცხეთას და გარდვიდა იგიცა ძმათა თვისთა თანა იმერეთს. ხოლო ვახტანგ მირიანითურთ დაშთნენ არაგუსა ზედა, ვინაჲთგან არაგვი იყო მათდა საბატონიშვილოდ, ხოლო დედოფალი დედა მათი დარეჯან და ძე მისი კათალიკოზი ანტონი დაშთნენ ტფილისსა შინა. ხოლო დავითმან შეიპყრა მიმდგომნი ბიძათა მისთანი და მაშფოთებელნი მათნი ამილახვარი ოთარ და რაოდენნიმე კახნი თავადნიცა, და ჰყო პატიმრად ციხესა შინა ტფილისისასა.

ხოლო შემდგომად მისსა ჰყვეს გამგედ და მართებელად ქართლისა პირმშო ძე მისი დავით ბრძანებითა იპერატორისათა, ვინაჲთგან ჯერ იყო მებრ ტრაკტატითა, ესე იგი აღთქმისა პირობითა, დებულთა შორის ეკატირინას იმპერატრიცასი და მეფისა ირაკლისა, რათა ბრძანებითა რუსთათა კარისათა დაიდრგინებოდეს მეფე. ამან იწყო მართუა ქართლისა, ვინაჲთგან იყო ესე აღზრდილი მეცნიერებასა შინა, ვითარცა საღმრთოთა და საფილასოფოსოთა, ეგრეთვე სამხედროჲსა შინაცა, ვინაჲთგან უწყოდა მან ვითარცა კანონი სამოქალაქოჲ, ეგრეთვე ევროპიისაცა. გარნა ვინაჲთგან იყვნენ ქართველნი და კახნი და ეგრეთვე ჩინებულნი სამღვდელონიცა იყვნენ გაყოფილნი ორს მხარედ, დაეპყრათ რომელთამე კერძო დავი-

თისა და რომელთამე დედოფლის დარეჯანისა და ძეთა მათთა და იყო მარად ხდომა ურთიერთა შორის. მხილველთა ამისთა რუსთა იცეს ჟამი მარჯვე, ვინაჲთგან ჰსწადდათ დაპყრობა საქართუ(ბ)ლოჲსა ადრითგანვე, და მოიბირნეს თავადნი რაოდენნიმე და სამღვდელოننი, და აღუთქუ(ბ)ს ნიჴი დიდი; დაუტევეს ამათ მხარენი თვისნი და მიერთვნენ რუსთა, რომელნიცა იყვნენ უპირველესნი თვით ესენი*) რუსთა. ხოლო რუსთა ღიანარალ ლაზარევმან მიუღო ყოველივე ნებაჲ დავითს თანა განზრახვითა ქართველთათა თავადთა და სამღვდელოთათა და აუწყა ესე მთავარ მართებელსა ჭნორინგს და იწყეს მიერით რუსთა მართვაჲ საქართუ(ბ)ლოჲსა ჟამ რაოდენიმე. მას ჟამს გიორგი ავალიშვილი, ძე ივანე მეითრისა, და მდივანი ელიაზარ ფალავანდიშვილი, რომელნიცა იყვნენ მინისტრად რუსეთისა კარსა ზედან მეფის გიორგის მიერ წარგზავნილნი გარსევან ჭავჭავაძითურთ, ესენიც ამჟამ მოსრულიყვნენ რუსეთით და თხოვითა გარსევან ჭავჭავაძისათა, რომელიცა იყო რუსეთს მინისტრად, რათა აღიღონ მეფობა და ჰყონ ღუბერნიად, ვინათგან გარსევან ფრიად მტერ იყო დავითისი. ამის გამო მხარენიცა მისნი მოსურნე იყვნენ ესე ვითარისა. მოსრულთა გიორგიმ და ელიაზარ მოუტანეს უქაზი ლაზაროვს, და რომელთაცა წარიყვანეს კარსა ზედა რუსისასა შემთხვევისათვის რაოდენიმე თავადნი და აზნაურნი დეპუტატად საქართველოს მიღებისათვის, მიერით იწყეს მართვა საქართველოსა რუსთა წელსა 1801, ქ-კს უპთ.

*) აქ ფურცელში გაცხადულია: ვინაითგან იყო ესე ფრიად მალალობელი. ესე შეაცთუნეს თანა შეზრდილთა მისთა და აბირნეს მრავალსა უგუანსა საქმისა ქმნაი, რომელიცა არა თავსეღო ამისსა მეფეთა შთამოს სისრვაჲ, და ეგრეთვე ჰირისაცა უმტკიცოება იქმნა მიზეზ ღალატობისა მისისა და სამეფოისა საქართველოისა, თუმცალა მრავალნი ჩინებულნი მოხუცნი სწუხდნენ მისთვის და ურჩევდნენ, რათა უსმინოსთ მათ, გარნა არა შემგონებელი მათი და მიმდო თავისა თვისისა არავის უსმენდის და რაიცა სწადდის, მას იქმოდის. მხილველთა ქართველთა ამისთა ღუტევეს ღავით და მიერთვნენ.

მაშინ მეფის ძეთაცა ყოველთა მოუვიდათ ბრძანება იმპერატორის პავლესი, და მიეწოდნა რუსეთად თვის თანა, და წარვიდნენ ამავე წელსა მარტის 9 ესენი პირველად: მეფის ძე იოვანე, ბაგრატ და მიხაილ, და გაჰყვნენ თავადნიცა ესენი. და აზნაურნი: 1) ჩოლაყაშვილი იოსებ, ცოლის ძმა მეფის ძის ბაგრატისა, 2) ენდრონიკაშვილი ზაზა, ძე მარტყოფის მოურავისა ზაალისა, 3) კახთ მდივნის ძე ქობულოვი მდივანი იოვანე, 4) რატიშვილი გაბრიელ ბეჟანის ძე, ეშკალაბაში მეფის ძის იოვანესი, სარდალი გაორგი ციციშვილი, სიმამრი მეფის გიორგისა. ხოლო აზნაურნი ესენი: 1) გარაყანიძე ნიკოლოზ, 2) ექიმი იოვანე ყარას ძე, 3) ჭარუაშვილი პეტრე ექიმი, 4) ბანცურისშვილი იოსებ ძე ანდუყაფარისა, 5) ნაბიჭვრიშვილი პეტრე, 6) კლიმიაშვილი როინ, 7) გვერწითელი არჯევან, 8) მწერალი ონიკაშვილი ნიკოლოზ, 9) მღვდელი დეკანოზი კარის ზაქარია ლალიხანისშვილი თელაველი, მსახურნი: 1) ხიზანაშვილი დავით, 2) დალაქი ნინია, 3) ისროლის ხეველი აშატურელი ოსი რევაზა ხუბულური, 4) იმერელი გოგიტელა, 5) მზარეული ნორიელი განჯაშვილი ზარიძე. ხოლო პრისტავად იყო (ესე იგი მემანდრედ) ქილაშვილი ვასილი, მათე მღვდლიშვილი, მოზდოკელი, კაცი განსწავლული ვითარცა რუსულისა, ეგრეთვე ქართულისა. ხოლო ესენი. მისრულთა მოზდოკს, მოეგებათ წინა უპირველესი მართებელი კავკასიის ლინიისა ღიანარალ ლეიტენანტი კნორინღი კარლი ფეოდორიჩი, და პატივ ჰსცა ფრიად და განუსვენა კვირა ერთი მუნ, თვისთანა ნაურსა შინა. ხოლო წარემართნენ რა პეტერბურღისა კერძო, მიწევნილთ ეწიათ კურიელი იეგორეცკის ქალაქსა, რომელმანცა აუწყა გარდაცუალება იპერატორისა პავლესი, რომელიცა ჯერეთ არ იყო განხსნილი ღუბერნიად საქართველო, არამედ კითხვითავე მეფის ძის დავითისათა ჰმართვიდენ რუსნივე ამან გამოსცა მანიფესტი, რათა ყოველნივე საქმენი და განწესებანი ყოვლისა ქვეყანისანი იყოს მდგომარეობასა ზედა განწესებისამებრ, იმპერატრიცა ეკატირინასასა.

და გახემწიფება ძისა მისისა ალექსანდრესი მარტის 12, 1801, ქ-კს უპთ. მისრულთა პეტერბურხს მეფის ძეთა სცა ფრიადი პატივი იმპერატორმა ალექსანდრემ. ამჟამს გარდვიდა კნორინღი ქართლსა შინა. ამან გარდააყენა დავით მართებლობისაგან სრულიად და განაწესნა რუსითურთ მართებლობა საქართველოჲსა თანახმობითა ქარველთათა, რამეთუ ამჟამს რუსთა მხედრობანიცა შეესრულიყენენ ქართლს ათი ათასისა. ვინაჲთგან ჰსძულობდენ ქართველნი მხარენი გარსევანისანი დავითს და რაოდენნიმე გუამნი თავადნი და აწვიეს რა, ესე იგი ყაფლანიშვილი სარდალი იოვანე, ძე დავით სარდლისა, მამიდაშვილი დავითისა, სოლომან თარხნიშვილი, ძე ზაალ ყორ-იასაულბაშისა, ქალაქის მელიქი დარჩია, და ზალ ბარათაშვილი მდივანბეგი და სხუანი რაოდენნიმე კახნიცა და მოქალაქე სომეხნიცა, კნორინღს, რათა ჰყოს ქართლი ღუბერნიად, რომელმანცა აღუთქუა აღსრულებაჲ ამისი, და უკუნიქცა რუსეთადვე კნორინღი. მისრულმა პეტერბურხს, აუწყა ყოველივე საქმე საქართველოჲსა იმპერატორსა, რომელსაცა არა ჰსწადდა არაოდეს აღება მეფობისა საქართველოით, ვინათგან იყო ესე კაცი მოწყალე და ლმობიერი, ხოლო იპერატორიცა თანახმა ქმნილმან თხოვნითავე ქართველთა თავადთაგან და ნამეტნავად ჭავჭავაძე გარსევანისაგან, რომელიცა იყო მას ჟამს პეტერბურხს დესპანად და რომელიცა იყო ფრიად განდიდებულ ყმითა და მამულითა მეფის ირაკლის მიერ, ამან დაივიწყა სიყვარული სამეფოჲსა*) სახლისა ვითარცა არს ჩვეულება ქართველთა თავადთა, ვითარცა მოუთხრობს თვისსა ისტორიასა შინა ქართლისასა ბატონიშვილი ვახუშტი.

45. ხოლო წელსა 1801, ქ-კს უპთ: ამჟამს, სეკტემბრის 15, აკურთხეს მოსკოვს ხელმწიფედ იმპერატორი ალექსანდრე პავლეს ძე. ამან გამოსცა მანიფესტი და მიიღო ქართლი. მოვიდა კუალად კნორინღი ტფილისს, გახსნა გუბერნიად ქართ-

---

*) ჲქ ღეღანში გახაზულია სიტყვები: ღ ი ქ მ ნ ა სიცბილი ყოვლისა ბოროტებისა, რომელსაცა აღუთქვეს რუსთა წყალობაჲ ფრიად ღ ა ზ ნ ი შ ი ნ ობაჲ საქართველოისა ღ ა ვერა-რაისა მიმთხვეული ღ ა შ თ ა ყ ო ვ ლ ი თ ურთ უნუგეშო რუსთაგან ღ ა მოექცა სიცბილი თვისი თავსავე ზედა მისსა.

ლი და კახეთი*) და გაჰყო ხუთ მაზრად: 1) გორი, 2) ლორე, 3) თელავი, 4) სიღნაღი, 5) დუშეთი არაგვითურთ. აფუცა ერნი სიონსა შინა კათალიკოზის ანტონითურთ და ყოველნი სამღვდელონიცა ქართლის და კახეთისანიცა, და განაწყვნა ყოველნიენ სასამართლონი და შემოსავალნი რუსთა კანონისამებრ, და მოასვენა ამან ჯვარი იგი წმიდის ნინასი, რომელიცა წარელო არშის ციხით რუსეთად მთავარ ეპისკოპოზსა რომანოზ არაგვის ერისთვის ძესა, და შემდგომად მისს აქუნდა ჯვარი ესე ბაქარის ძის ძესა გიორგის ალექსანდრეს ძესა. ამას მიულო იმპერატორმან ალექსანდრემ და მოსცა ქართველთა

ხოლო წელსა ამასვე 1802, ქ^კს უე იქმნა აღრეულება ახალციხესა შინა: გარდააგდეს საბუთ ფაშა და დასვეს სულეიმან ფაშაშვილი ათაბაგი შარიფ. ჩამოსრული საბუთ ფაშა ტფილისს, არა შეიწყნარეს რუსთა; გარდვიდა იმერეთს მეფეს სოლომანთან არჩილის ძესთან, რომელსაცა ჰსწადდა მუნით წარსვლა სტამბოლსა შინა სულთანისა წინაშე, ვინაჲთგან იყო სიძე სულთნისა და ჰყავდა დაჲ სულთნისა. მსმენელმა ამისმა შარიფ ფაშამ იხმია ესე ცბიერება, აღუთქუა მეფესა სოლომანს ქრთამად სამოცი ქესა თეთრი, რათა მოკლას საბუთ ფაშა. მსმენელმან ამისმან მეფემან სოლომან იკადრა უგვანი ესე საქმე, რომელ არა შუსნის მეფეთა ესე ვითარი ტირანობაჲ, შეიპყრა შეხიზნული ფაშა საბუთ და შესო მუხურის ციხეში, ხოლო შემდგომად რაოდენისამე დღისა მოჰკვეთა თავი ფაშასა და წარუგზავნა ახალციხეს შარიფ ფაშასა ხელითა ჯორაშვილის ნინიასითა, რომელსა თავბერად უხმობდნენ. ესე თავბერა იყო მილახვარი მეფის ძის ალექსანდრესი, რომელიცა თვით ალექსანდრე მას ჟამს მუნ იყო. ხოლო მხილველმან ამისმან შარიფ ფაშამ განკიცხა მეფე და არღარა მოსცა აღთქმული იგი ქრთამიცა.

წელსა ამასვე 1802, ქ^კს უე აღადგინეს აბოხი კახთა შემჭიდროებისაგამო რუსთასა, და წარუვლინეს კაცი მეფის ძეს იულონს იმერეთს, რათა მოვიდეს კახეთს და ჰყონ მეფედ მისრულნი ესე კაცნი მეფის ძეს ვახტანგთან დუშეთს, ამანცა მისწერა ძმასა თვისსა იულონს, რათა მოვიდეს და ესეცა მწე ეყოს მას არაგვთა მხედრობითა. მსმენელთა რუსთა ტფილისით წარავლინეს ღიანარალ-მაიორი დუჩკოვი, რათა შეიპყრან, და თანა წარატანეს თარხნის შვილი სოლომან, ზაზა ყორიასაულბაშის შვილი. მისრულთა ამათ, სცნა ვახტანგმა და გაიქცა დუშეთით, აღვიდა გუდამაყარს და მუნ გამაგრდა. გარნა ვინაჲთგან ხალხმა მუნებურმან და ეგრეთვე ფშავ ხევსურთაცა არა მისცეს პირი, ამად უძალო ჩამოვიდა ტფილისს და პატიმარ ჰყვეს რუსთა ავლაბრის სასახლესა შინა დედოფლისასა ვიდრე მოსვლადმდე ციციანოვისა, ხოლო მან მსწრაფლ წარავლინა

რუსეთად. მისრულმან ღენერალ ლაზარევმა დაამშვიდნა კახ-
ნიცა.

კუალად იქმნა მეფისა და დადიანისა გრიგოლისა სანდუ-
რავი მიზეზითა დედისა მისისათა. მაშინ მეფე მიუხდა ოდიშს
და მოწო, ხოლო დადიანი გრიგოლ ძლეული შევიდა ლეჩხუმ-
ში; და მეფემან სოლომან დაადგინა ოდიშს დადიანად ტარიელ,
უნცროსი ძმა მისი. შეუხდა ლეჩხუმს მეფე და დაიპყრა რაო-
დენნიმე ციხენიცა ოდიშისანი, გარნა შური ვერ აღიღო. სა-
დაცა გამაგრდა თვით დადიანი დედაწულით თვისით, და უკუნ
იქცა მეფე იმერეთადვე. ხოლო ამავე ჟამსა წარვიდა იმერეთით
მეფის ირაკლის ძე ალექსანდრე ახალციხეს და ახალციხით
მივიდა ერევანს, და ერევნით განჯას, ხოლო განჯითცა გან-
ვიდა ჰარსა შინა, და იყო მუნ თუს ოთხი. და მეფის ძე თეი-
მურაზ, ძე გიორგი მეფისა, მივიდა მის თანა ლტოლვილი
ციციშვილისაგან.

46. წელსა 1803, ქრ-კს უჟა მოვიდა ციციშვილი პავლე
უპირველესი მართებელი ტფილისს თებერვლის 6 *). ჟამსა ამას
იყვნენ ძენი ქართუელთ მეფისანი მიწოდებულნი როსიად.
იწყეს რა მათ მზადებაჲ, არამედ დაესხა ღამე ვითარცა ავაზაკი,
შეიპყრა და წარგზავნა რუსეთად დავით და ვახტანგ. შემდგო-
მად, აპრილის 18, ღამესა მას შეუსია მხედრობაჲ ღენერალ
მაიორის ლაზარევითურთ დედოფალს, ციციშვილის ასულს,
მეუღლესა მეფის გიორგისასა შესმენითა სომეხი ზურაბა აფრია-
მაშვილისათა და იოსებ მუშრიბის კალატოზისშვილისათა, რო
მელთაცა შეასმინეს ციციშვილს, ვითარმედ დედოფალი იპარე-
ბისო ფშავშიაო, რომელიცა ყოვლადვე უბრალო იყო დედო-
ფალი მარიამ: რათა იძულებით წარგზავნოს იგი რუსეთს. იქმნა
მუნ შფოთი, სადაცა რუსთა დაჰკოდეს დედოფალი ფრიად
მხარსა და ხელსა შინა ხლმითა და ამ შფოთსა შინა მოკლეს
ლიანარალ ლაზარევიცა ხანჯლითა, რომლისა არა სად ცხად
იქმნა მომკულელი მისი, და დედოფალი დაკოდილი ბრალეულ

*) მთავარ მართებლობა 2. ამან იმთავრა წელი 3.

ჰყვეს, რეცა მან მოკლა იგი, და შვილებითურთ თვისით, რომელნიცა იყვნენ მას ჟამ ფრიად წვრილნი ასაკითა, წარიყვანეს როსიად, რომლისა ჰვრეტა მჰვრეტელთათვის იყო საზარო; და დააპატიმრეს დედოფალი მარიამ ძეებითურთ თვისით მონასტერსა შინა ბელიღოროდისასა, რომელიცა არს კურსკის ღუბერნიასა. ვინაჲთგან განუნახველობითა თვისითა ციცი შვილმან შეამთხვია ესე ვითარი ძვირი სახლსა სამეფოსასა და დასდვა სირცხვილიცა დიდი რუსეთსა, და დასწამაცა სიკვდილი ამისი დედოფალსა და ამ მიზეზისათვის დააპატიმრეს მუნ იგი. ხოლო დედოფალი დარეჯან, მეუღლე მეფისა ირაკლისა, ფრიად მოხუცებული, დაშთა ტფილისსა შინა.

ხოლო ესეცა შესანიშვნელ არს, რომელ დროსა მეფისა ირაკლი 2-სა ქალაქსა გორსა იყო გლახა ერთი, რომელსაცა სახელად ეწოდებოდა თვით გლახავე, მართლმადიდებელი, ხოლო უკეთუ ვინმე ჰკითხის რაიმე, არა რაჲ სიტყვა მიუგის, თვინიერ ამისსა: უნდა განძლიერდესო რუსეთი და საქართველოო. ესე მომითხრა თვით გორელმა ზურაბ ულუნბიაშვილმა თოფხანის დალიბაშმა მეფის ირაკლისამან, რომელიცა არის ამ დროს ესე ზურაბ წლისა 67-სა, თვით ჭეშმარიტი ქრისტიანე და მოხუცი კეთილი, მეფის ძე ბაგრატი.*)

ხოლო ამან ციცი შვილმანვე წარგზავნა პოლკი ორი მუშკატირისა წინაძღომითა ღენერალ გულაკოვისათა, და ეგრეთვე შეკრბნენ კახნიცა და ქიზიყელნიცა სრულიად, და წარვიდნენ ბელაქანსა ზედა. მისრული ურდოს, ფონსა ზედა ვერ განვიდნენ, ვინაჲთგან აქუნდათ ლეკთა გამაგრებული ფრიად განსავალი კიდე ალაზნისა, უკუნიქცნენ უკან, და განიყვანეს ქიზიყელთა ანაგის ბოლოს ალაზანს და ესრეთ წარემართნენ ტყის გზითა და მივიდნენ ბელაქნის ბოლოს. თუმცაღა ლეკთა ექმნათ მუნ შესავალსა შინა სანგალი, გარნა მცირესა ჟამსა აღილეს იგი რუსთა, და მოკლეს მუნ არღუთაშვილი მიქელა და პოიაზალიშვილი ავთანდილ, რომელიცა იყვნენ მუნ მყოფნი მეფის

*) ეს ცნობა აშიაზე წაუწერია ბაგრატ ბატონიშვილს.

ძეს ალექსანდრესთან. თუმცაღა კუალად ბრძო ალექსანდრემ ლეკთა მხედრობითა, გარნა იძლიეა იგი მუნ. ხოლო მეფის ძესა თეიმურაზს გაექცა ცხენი და დაშთა იგი ქვეითად, რომელსაცა ნოშრევან ნოდარიშვილმა, მილახვარმან დედოფლის მარიამისამან, მიართო ცხენი, და მით განერა იგი რუსთა, ხოლო ნოშრევან დაშთა ქვეითი და შეიპყრეს რუსთა, რომელიცა პატიმარ ყოფილი მოკუდა ციხესა შინა ტფილისს. შევიდნენ რუსნი ბელაქანს და აღიღეს და მოწვეს ბელაქანი ვიდრე წაბლოვანადმდე, და მიუღეს ყოველივე ნატყვენავი და ალაფი ტყვითურთ კახთა, რომელთაცა აზღვიეს სისხლი თვისი კახთა; და ალაფითა ღიდითა მოიქცნენ გამარჯვებულნი. ესე იყო წელსა 1803, ქ^კს უჟა, მარტის 13. ხოლო ალექსანდრე და თეიმურაზ, ლტოლვილნი მუნით, წარვიდნენ ყარაბაღს და ყარაბაღით თავრიზს და თავრიზით თეირანს და გაჰყვნენ რაოდენნიმე ჩინებულნიცა, თავადნი და აზნაურნი გლეხითურთ, ვითარცა კახეთით, ეგრეთვე ქართლით. ჩასრულთა თერანს პატივ ჰსცა ფრიად ბაბა-ხან ყეენმან და აღუთქუა შეწევნაჲ. და იყვნენ მუნ ჟამ რაოდენიმე.

ხოლო კუალად ჩამოსრულთა ლეკთა ახალციხით დაეცნენ ქარელს და წარასხეს პირუტყვი მათი. იდგა მუნ როტა ერთი ეეგირისა. მიეწივნენ რუსნი ლეკთა მათ და ვინაჲთგან არა აქუნდათ ზარბაზანი, ამად იძლივნენ რუსნი და მოსწყვიტნეს სრულიად ლეკთა.

კუალად წელსა ამასვე მიუხდნენ ლეკნი კავთიხევს, მოსტყვენეს ჩივაძიანთ კარი და წარასხეს უმეტეს ,ასისა ტყვენი.

კუალად ბელაქნის ბოლოთი ქარელთ რუსთა ცხენნი უმეტეს ხუთასისა და ეგრეთვე მახლობელ ქალაქისა წარიღეს უმეტეს ოთხასისა ცხენი და წელსა ამასვე 1803 აღაშენეს რუსთა ციხე მიწისა ურდოს, ფონსა ზედა ალაზნისასა, და განდვეს ხიდი ალაზანსა ზედა, და დადგა მუნ ღენერალ გულაკოვი მხედრობითა თვისითა.

ხოლო წელსა ამასვე სიფიცხითა და განუნახველობითა ციცისშვილისათა ვნებულ იქმნენ უმრავლესნი თავადნი და აზნაურნი კახეთისანი, და წარვიდნენ სპარსეთს.

ხოლო ჟამსა ამასვე იქმნა მომსვრელი სენი ტფილისს და შეედვათ რუსთაცა და ყოველსა საქართველოსა შინა, რომელნიცა მოისრნენ უმრავლესნი სულნი რუსითურთ საქართველოსა შინა.

ხოლო დედოფალი დარეჯანც,—შესმენითა ქსნის ერისთვის ძეთასა, რომელიცა ციციშვილი ფრიად სწყალობდა სახლთა მათ და ყოველსავე მათ უსმენდა და თვინიერ მათსა არა რაჲსამე ჰყოფდა ქართლსა შინა, ამათ აბირეს და გაასტუმრებინეს დედოფალი დარეჯან, მეუღლე მეფის ირაკლისა, ფრიად მოხუცებული, წლისა 70. და წარიყვანეს რუსეთსა. ხოლო ვინაითგან იყო ოხრება ლეკთაგან ქართლისა, ამის გამო ჯეროვნად რაცხა ციცისშვილმან შენობაჲ წალკისა, რათა მით აღვირასხა ლეკთა და დაასახლა მუნ რაოდენნიმე მოსახლენიცა, და დაუყენა პოლკოვნიკი სვიმონოვიჩი სერბელი მუნ მხედრობითა თვისითა. ხოლო მხილველთა ამისთა ლეკთა დაესხნენ ღამესა ერთსა წალკას და გარეგან ციხისა მოსტყვენეს ახალ დასახლებულნი იგი, ვინაჲთგან წალკისა ციხესა შინა იდგნენ მხოლოდ რუსნი, და წარასხეს ტყვედ ყოველნივე. ამას ზედა განრისხნა ციციშვილი და მიუწერა სვიმონოვიჩსა, რათა დაესხას ლეკთა საკირეს, სადაცა იდგნენ ლეკნი. იქმნა ბრძოლა მუნ, იძლევნენ რუსნი სივიწროვისა გზის მიზეზითა, და მოსწყდნენ რაოდენნიმე; უკუნ იქცნენ, დააგდეს წალკა, და მოვიდნენ ტფილისს რუსნი. მხილველთა ლეკთა ესე ვითარისა ძლევა შემოსისათა, წარმოვიდნენ მუნით და წარტყვენეს ნიჩბისი. მხილველმან ამისმან ციციშვილმა მიუწერა მისკარბაშს იოსებს, ძესა აღაშელიქისასა, ყაზახსა შინა, ვინაჲთგან ესე იყო მას ჟამს მოურავი, რათა შეიკრიბოს ყაზახელი და მოსტყვენოს გარემონი ახალქალაქისანი. მსმენელმან მისკარბაშმან ჰყო ესე, და წარტყვენა გარემონი მუნ. მაშინ ლეკთა, კუალად წარმომართებულთა, მოვიდნენ სოღალღოს და წარტყვენეს რუსთა

ჯოგი პოლკისა. ამის მიზეზისათვის შესწამეს ცილი მიშკარ-
ბაშსა, რეცა მიზეზითა მისითა დაიკარგა ჯოგი სახელმწიფო,
და მიუღეს უჯეროდ შვიდასი თუმანი თეთრი ფული მისკარ-
ბაშს. ხოლო ვინათგან ცდილობდა ციციშვილი დამშვიდება-
სა ლეკთასა, გარნა ვერ უძლო მან და ვერცა მომდოვრნა
ლეკნი იგი.

47. ხოლო ვინათგან მეფე იმერთა სოლომან მარადის
სტყვენვიდა ოდიშსა და ლეჩხუმსა, და სდევნიდა დადიანს
გრიგოლს, ამად უძალო ქნილმან დადიანმა გრიგოლ შეიტანა
თავი თვისი მფარველობასა ქუტაშე რუსეთისასა, და აუწყა ცი-
ციშვილსა. მსმენელი ამისი ციციშვილი ფრიად მხიარულ იქმნა,
ვინაჲთგან სწადდა დაცემაცა იმერთა მეფისა, და დაპყრობა
იმერეთისა. ამან ყოველივე თხოვილი მისი აღუსრულა. და გა-
მოვიდა ყირიმით პოლკი ერთი ბელეცკის მუშკატირისა. წინა
ძღომითა ღიანარალ გრიგოლიევისათა, მოვიდნენ ზღვის პირს
და ააშენეს ციხე ყულევს და დადგნენ მუნ. ხოლო დადიანსა
გრიგოლს დაუმტკიცა იმპერატორმან ალექსანდრემ კუალად
ოდიში საშვილიშვილოდ უცუალებელად და ანიჭა დადიანს
კავალერია ანნასი ღიანარალ-მაიორობითურთ და დროშაცა სარ-
დლობისა. ხოლო წელსა ამასვე იწყო ციციშვილმან კეთება
გზისა დარელისა ვლადიკავკასიდგან, რომელიცა შემდგომად
ჩისა შეასრულეს მონაცვლეთა მისთა მთავარ მართებელთა,
წელსა 1804, ქ^კს უეპ.

ხოლო წელსა ამასვე 1804, ქ^კს უებ გამოაპარეს ახალ-
ციხით რა ვახტანგ გურიელი პყრობილი ციხით, კუალად შე-
იპყრეს მდევართა ფაშისათა, ხოლო ვახტანგ ვინაჲთგან იყო
მდედრგული, ამან აუწყა ფაშასა სელიმს ხიმშიაშვილსა აპა-
რელსა, რეცა პიზეზითა მუნებურის ეპისკოპოზის ეგნატის მიერ
განიპარა იგი მუნით, შეიპყრა ესე ეგნატი და მღვდელნიცა
მუნებურნი ორნი ფაშამან და აიძულებდა უარის ყოფასა ქრის-
ტესსა, ხოლო მან, არა ზნებებელმან ამისმან, ეგნატი მოჰკიდა
ძელსა და მოაშთო, ხოლო მღვდელთა მათ წარკუტეთა თავი.
და მიიღეს მღუდელ მოწამეობისა გვირგვინი. ჰოი საკვირველი:

ღამესა ამას დაბნელდა მთოვარე, ხოლო მათ დაადგათ ზეგარ-
დამო ნათელი. ხოლო მხილველთა, მუნ მცხოვრებთა ამისთა,
ლათინთა იყიდეს წმინდანი გვამნი მათნი ფაშისაგან და დაფ-
ლეს მუნვე, ახალციხესა შინა, წმინდის მარინის ეკლესიაში,
და მიერითგან ძალითა მათითა არის სასწაულნი მრავალნი და
სენთა ოტებანი. ესენი იწამნეს თებერვალსა ივნისსა 17.

მხილველმან ამისმან მეფემ სოლომან, ვინაჲთგან დადიანი
გრიგოლ მიერთო რუსთა, ამანცა ინება შეერთება რუსთა
თანა, და შეეყარა ციციანოვს ქვიშხეთს: აფუცა მეფე ერთგუ-
ლებასა ზედა იპერატორებისასა, და მისცა ალექსანდრეს კავა-
ლერია, მოვოკვილი ალმასითა, და აღუთქუა კუალად გება მე-
ფედვე, და სთხოვა ძენი მეფისა ირაკლისანი იულონ და ფარ-
ნაოზ, რათა წარავლინოს რუსეთს, და სთხოვა ძეცა მეფისა და-
ვითისი კოსტანტინე, რომელიცა ჰყვა მას პყრობილად მუხურის
ციხესა შინა, და წარგზავნაცა მუნ ციციანოვმა ღიანარალ
ლითვინოვი, რათა მართებდეს იმერეთს, და ამას მოსცეს ძენი-
ცა მეფისანი. მისრულმან მეფემ მოსცა ძე დავითისა კოსტან-
ტინე და ბიძანი თვისნი ჯერეთ არა, და გაგზავნაცა კარსა
ზედა როსიისასა მდივანბეგი სოლომან ლიონიძე, კარგი ყმა
მეფისა ირაკლისა, რომელიცა გარდასრულ იყო დროსა ღუბერ-
ნიის გასხნისასა და იყოფებოდა მეფისა სოლომანისთანა და
მიეცა მუნ მეფესა რაოდენნიმე სოფელნი აგარაკებითურთ სარ-
ჩოდ. ესე იყო ფრიად განსწავლულ და გონიერ ვითარცა ქარ-
თულისა, ეგრეთვე რუსულისაცა, და გამოცდილ ფრიად საქმეთა
შინა დროსა ირაკლი მეფისასა. მისრულს მუნ სოლომანს სცა
პატივი იპერატორმან და ვიდრე საქმე ამისი სრულ იქმნებოდა
კარსა ზედა როსიისასა, არღარა მომცდელმან ანბისამან მეფემან
სოლომან წარგზავნა კარსა სულთანისასა დესპანი თვისი და
სთხოვა საფარველი. მცნობმან ამისამან იპერატორმან ალექსან-
დრემ უკუნ აქცივა უპატიოდ დესპანი მეფისა სოლომანისა,
მდივანბეგი სოლომან, და მიუწერაცა ციციშვილს, რათა აგოს
მეფესა ნაცუალ გებითი ესე ვითარი უგვანი, რომლისა გამო

ციციშვილმან ჰყო მისდა ფრიადი წინააღდგომობაჲ და ვერა რაჲმე აჰნო ჯერეთ მეფესა.

ხოლო წელსა ამასვე 1804 მოკუდა დადიანი გრიგოლ, ძე კაციასი, და მოიყვანა ციციანოვმან ძე მისი ლეონ, რომელიცა აფხაზეთს იყო მძევლად ქელეშბეგ შარვაშიძესთან, და დაადგინა დადიანად ბრძანებითა იპერატორისათა. და მისცეს პატივი იგი ჩინითურთ და ნიშნები, ვითარცა აქუნდა მამასა მისსა, და თავისუფლებითი ფლობაცა მამულისა თვისისა, ვითარცა წინაპართა მისთა.

ხოლო წელსა ამასვე 1804 იქმნა გურიასა შინა აღრეულებაჲ: გურიელმან მამიამ მოიბირნა რაოდენნიმე ჩინებულნი თვისნი, და შეიპყრა გურიელი ვახტანგ და პატიმარ ჰყო ჩაგვს ციხესა შინა, და თჳთ გურიელი მამია შევიდა რუსთა საფარველსა ქუშეშე, რომელსაცა მისცეს ლიანარალ მაიორობაჲ და კავლერია ანნასი. ესე ვახტანგ გააპარეს ჩაგველთა, და მივიდა ახალციხეს სელიმ ფაშას ხიმშიაშვილთანა აპარელთა. ამა ხიმშიაშვილმან გარდააგდო ზორბით შარიფ ფაშა, ძე სულეიმან ფაშისა, ათაბაგი, და თვით დაჯდა ფაშად. ამას მისცა მამია გურიელმან ქრთაბი და კუალად შეაპყრობინა ვახტანგ გურიელი, რომელიცა პატიმარ ჰყო ციხესა შინა ახალციხისასა *).

48. და წელსა ამასვე 1804, ქ-კს უეგ, შეიკრიბნა ციციშვილმან მხედრობანი და მოადგა განჯას; ვერ წინააღუდგა ხანი განჯისა ჯავად ამად, რომელ არღარა იპოებოდა მუნ უმეტეს ხუთასისა მეთოფე, მომსვრელისა გამო სენისა, ვინაჲთგან მათცა შეედვათ სენი და აღსწყვიტნა მრავალნი მუნ მცხოვრებნი ჭირმან. ამის გამო აღიღეს ციხე განჯისა რუსთა იერიშითა დღესასწაულსა მათსა, რომელიცა განთენდებოდა ორუჯ ბაირამი მათი, წელს 1805, ქ-კს უეგ, იანვრის 3, და მოკლეს ჯავათ ხანცა და ძე მისი უსეინ ყულიცა, და იავარ ჰყვეს ქალაქი-

*) წელსა 1804 ფრანცუცთა აკურთხეს ნაპოლეონ (ესე იგი მონაპარტე) იპერატორად თვისად. ამან შეირთო ცოლად კეისრის ქალი მარია ლუიზა კეისრის ფრანცისა, და განუტევა პირველი ცოლი თვისი.

ცა რუსთა მიზეზისა ამისთვის, ვინაითგან განჯელთაცა მოსწყვიტნეს ხუთასისა ოდენ სალდათნიცა, და ეგრეთვე ქართველთაცა ფრიად იალაფეს და დაწვეს განჯაჲ, ვინაითგან იყვნენ ფრიად ტკბილეულ ქართველნიცა განჯელთაგან ჟამსა მას აღოხრებისა ტფილისისასა ხოჯას მიერ, და მოსწყვიტნეს მრავალნი სულნიცა განჯელნი, და სრულიად აიალაფეს. თუმცაღა კუალად მეცადინემან ციციშვილმან დაასახლა კუალად დანაშთნი განჯელნი და ქმნა უეზდის ქალაქად, და უწოდაცა სახელად ელისაბედპოლი, გარნა ჟამ რაოდენმე მოეგნენ კუალად წარმართებასა თვისსა განჯელნი. ხოლო ციციშვილსა აღებისათჳს განჯისა მიუბოძა იპერატორმან ალექსანდრემ ღიანარალ შეფობაჲ.

ხოლო წელსა ამასვე წარგზავნა ციციშვილმან ურდოსა მდგომი ღიანარალ გულაკოვი დასასჯელად ჰარელთა. მიიწია რა ზაქათალას, იძლივა გულაკოვი ჰარელთაგან, რომელიცა თვით გულაკოვიცა მოკლეს მუნ ხლმითა ჰარელთა და მოსწყვიტნეს უმრავლეს მხედრობანი რუსთანი, და ეგრეთვე ქიზიყელნიცა, რომელნიცა გადაყარეს ჰარელთა იწროსა კლდესა ზედა შიშვნეულნი რუსნი ქართველითურთ. გარნა დაშთა მშვიდობით უკანა მისა მძღვანი რუსთა მხედრობისა ყაფლანიშვილი დიმიტრი ღიანარალი, ძე ზაალ ყაფლანიშვილისა, და ამან უკუნ აქცივა დანაშთნი რუსთა მხედრობანიცა ჰარით და დადგა კუალად ურდოსავე ზედა.

49. ხოლო წელსა ამასვე 1805, ქ^კს უჟგ, გაზაფხულსა ამას წარვიდა ციციშვილი ერევანსა ზედა, დასაპყრობელად ქალაქისა მის. მიიწია რა ეჩმიაძინს, მუნ შეემთვა ძე ყეენისა აბაზ მცირედითა მხედრობითა. თუმცაღა წარმოიშვა მათ შორის მცირეჲ ბრძოლაჲ, გარნა უძალო ქმნილი სპარსნი გაეცალნენ, და მივიდნენ გარნიისს, ხოლო ციციშვილიცა განვიდა ზანგისა მდინარესა და მოადგა ციხესა ერევნისასა. მცნობმან ამისმან ყეენმან ბაბა ხან მოირთო ძალი, მოვიდა გარნიისს ზედა. ჟამსა ამას დაეშა მხედრობაცა ციციშვილს. წარგზავნა მანტრეზორი მაიორი ორასითა მხედრობითა და ერთითა ზარბაზნითა ფაბაკად,

რათა მოართოს მან მუნით აზუხაჲ. სცნა რა ყეენმან წარსელაჲ მისი, აცნობა ფაბაკს მდგომს სარდალსა თვისსა ფირყული ხანსა,—ვინაითგან დგა ციხესა ყარაქილისისასა, სადაცა რუსთა აქუნდათ სურსათი და ტყვია-წამალი, და შესრულ იყვნენ მუნცა მცხოვრებნი სომეხნი ფაბაკელნი და ლორის ხეობისანიცა,—რათა შეიპყრას იგინი. ამჟამ მეფის ძე ალექსანდრე, და ფარნაოზ და თეიმურაზცა იყვნენ ფაბაკსა შინა ფირყული ხანთან შეკრებული საქართველოს ელის მხედრობითა. მისრულთ რუსთა დარბაზს დაესხა ფირყული ხან და მოსწყვიტნა სრულიად, და მიუღო ზარბაზანნიცა, და წარუგზავნა ყოველნივე ტყვენი ზარბაზნებითურთ ყეენსა, რომელმანცა მიუბოძა ფრიად საბოძვარი ვითარცა სარდალსა, ეგრეთვე მეფის ძეთაცა, და მიუწერა ალექსანდრეს ყეენმან, რათა წარავლინოს ძმა თჳსი ფარნაოზ არაგუსა ზედა, რათა შეკრნას მუნ გზანი არაგვისანი და არღარა უტეონ რუსნი მუნით. რამეთუ იულონ და ფარნაოზ იყვნენ ამჟამს იმერეთს, მსმენელთა მოსველისათვის ყეენისა ერევანს, ესენიცა წარმოემართნენ მუნით, რათა მივიდნენ წინაშე ყეენისა. მოსრულთა ულევს, ეწერსა შინა, იმერეთს, დაისდგურეს რა მუნ, აცნობა ერთმან იმერელმან მდგომთა რუსთა სურამს მიმავლობა მათი ერევანს; მაშინ წარემართა როტა ერთი ივეგირისა წინაძღომითა გოგი ამირეჯიბის რამინის შვილისათა, რომელმანცა არწმუნა რუსთა შეპყრობა მათი. მისრულნი რუსნი დაესხნენ დილას განთიადზედ პეტრეპავლობის დღეს, ივნისის 29, და მოსწყვიტნეს მისთანა თარხნიშვილი ტეტია, ძე ბეციასი, და ჩერქეზიშვილი ფირან, და კეზელი დათუა ძითურთ თვისით; მისწვდნენ მეფის ძესაცა იულონს, რათა მოკლან იგიცა რუსთა, რომელსა ზედა გარდაეფარა თავსა აბაზაძე დავით, ფარეშთხუცესი მისი, და მისთვის შტიკი რუსისა მოხვდა საფეთქელსა და დაიკრა, და მით განარინა სიკუდილსა იულონ, რომელიცა შეიპყრეს რუსთა; ხოლო ფარნაოზ და ძენი იულონისნი ლეონ და ლუარსაბ განივლტნენ მუნით. ფარნაოზ და ლევან ჩავიდნენ აწყურს ლეკთა თანა, ხოლო ლუარსაბ, ვინაჲთგან იყო ასაკითა მცირე, მივიდა ზურაბ წერე-

თელთანა, რომელმანცა შეიწყნარა იგი. ხოლო ამათ გარდავ-
ლეს ახალციხე და მას ჟამს ბივიდნენ ფაბაკს სარდალს ფირ-
ყული ხანთანა, სადაცა დახვდა ძმა მათი ალექსანდრე და ძის
წული მისი თეიმურაზ. კუალად პირველსავე სიტყვისთან მო-
ვიდეთ. წარსრული ფარნაოზ ფაბაკით გარდავლო მთაჲ ქსილი-
სისა, განვიდა მტკუარსა შინა და აღვიდა არაგუზედ. თუმცაღა
მონაცვლემან ციციშვილისამან კნიაზ ვალხონსკიმ, რომელიცა
იმყოფებოდა ტფილისს, წარგზავნა ღიანარალ მაიორი ტალი-
ზინი მხედრობითა რუსთათა და თანა წარატანნა ელიზბარ
აღაბაბაშვილი ქსნის მხედრობითა, რომელთაცა გარდავლეს ლო-
მისა და მივიდნენ ბურდულთ კარს, გარნა ვინათგან არაგველ-
ნი და ფშავ ხევსურნიცა იმყოფებოდნენმ ეფის ძეს ფარნაოზ-
თან შეკრებულნიცა, და ეგრეთვე რაოდენნიმე ჩინებულნიცა
თავადნი აღვიდნენ კახეთით მასთანა და იწყეს მაგრება ფრიად.
ვინაითგან არღარა მოელოდეს ციციშვილსა ერევნით, სადაცა
შემოწყვეტივა ყეენმან იგი მუნ.*) ამად უყვეს რუსთა ზედა
დასხმაი არაგველთა, სადაცა არაგველთაგან იძლიენენ რუსნი
ფრიად, და მიუღეს ზარბაზნებიცა, და დასჭრეს ელიზბარ ძე
აღაბაბასიცა, და უკუნ იქცნენ რუსნი დანაშთნი მუნით. ხო-
ლო ციციშვილმანცა, ვერარისამე მყოფელმან, დაუტევა ღამე-
სა ერთსა ერევანი და უკუნიქცა მცირედითაღა მხედრობითა
და ყეენი ბაბახანცა არღარა შეუდგა უკანა, ვინაჲთგან ჰსცნა
ორგულებაჲ სპასპეტისა თვისისა სულეიმანისაგან, რომელსაცა
ჰსწადდა სიკუდილი მისი იდუმალ, და წარვიდა ყეენი თერა-
ნად, ხოლო ციციშვილიცა მოვიდა ტფილისს, და აღვიდა არა-
გუსა ზედა დუშეთს, და ეზრახა ფარნაოზს, რათა მივიდეს მის-

---

*) ხოლო ამჟამს მყოფნი თავადნი ციციანოვთან ივანე სარდლითურთ, ყაფლანისშვილი შიშვნეულნი ყიზილბაშთაგან დაუტევეს ციციშვილი ერევანს და გამოპარვით წარმოვიდნენ ქართლსა. შეემთხვენენ აბარანზე გუშაგთა ყიზილ-ბაშთა და შეიპყრეს ყიზილბაშთა იგინი მუნ და მიართვეს ყეენსა და მასთან მყოფნი მრავალნი ვაჭარნიცა ტფილისისანი სომეხნიცა მოსწყვიტნეს, ვინაითგან ჭგონებდნენ ერევნისა აღებასა და საშოვარსა ფრიადსა, სადაცა აქუნდათ მათ თანა ოთრიცა ფრიად სყიდვისათვის საქონლისასა.

თანა; ხოლო მან, არა მნებებელმან, იწყო სიმაგრედ მთათა შინა. ამჟამს შემოვიდა ხევს პოლკი ერთი წინაძღომითა ხეველის ყაზიბეგიშვილის გაბრიელისათა. თუმცაღა თაგაურთა იწყეს ზედა დასხმაჲ, გარნა იძლიენენ რუსთაგან, და მეფის ძეს ფარნაოზსაც გაეცალნენ კახნი და მივიდნენ ციციშვილისა წინაშე. ამისა მხილველთა არაგველთაცა იწყეს საუბარი ზავისა რუსთა თანა. მხილველი ამის ფარნაოზ წარემოთ მუნით, ჩავიდა მთის გზით მანავს და განვიდა დავითგარეჯის მონასტერში, ხოლო მუნითცა განვიდა ყაზახში, და აღვიდა სომხის სოფელში, აღდანს. მსძენელმან ᲯᲐᲛᲘᲡᲛᲐᲜ სოლომან ავალიშვილმა, გარსევან ესკაბაშის ცოლის ძმამან, რომელი ესე იყო მასჟამს მოურავი ყაზახისა, შეუყენა მას ორასი ყაზახელი კაცი უკანა, წინაძღომითა დონღუზჩი-ოღლის სოჟხისათა დაეცა ღემესა ერთსა დაღალულთა ოავს, და შეიპყრა იგი მუნ ფარნაოზ თავადებითურთ თვისით, და მოგურა ციციშვილსა პავლეს ტფილისს, და მან პატიმარ ᲰᲧᲝ იგი მუნ, და მან წარგზავნა იგინი რუსეთად; იულონ დააპატიმრეს ტულის ქალაქსა შინა, ხოლო ფარნაოზ—ვარონიჟსა შინა.

ხოლო წელსა ამასვე, შემოდგომაზედ, წარვიდა ციციშვილი დიდს ლიახვზედ საბრძოლველად, და შეევიდა რა მუნ, მიუხვნა ყაზახნი, რომელნიცა დროსა არაგვის აღრეულობისასა შესცდეს, ვინაჲთგან არღარა სცეს მუნ გზაჲ, ამად გარდვიდნენ იგინი მუნით წინაძღომითა ტფილისელის სულგუნაშვილის მიკირტუმასათა, რომელიცა მოსწყვიტნეს სხვანი ოსთა, და ესენი შეიპყრეს მუნ, და მინაქონიცა ხაზინა რუსეთით აიკლეს მუნ, ხოლო მუნითცა ვერა რაჲსამე მყოფელი უკუნიქცა ციციშვილი ცალიერი, ტფილისათვე.

59. ხოლო წელსა 1805, ᲥᲙᲡ უჟგ, მოვიდა ბაბახან ყეენი არდეველს. შიშვნეული ამისგან ხანი შუშისა იბრეიმ მოვიდა განჯას ციციანოვისათანა, რამეთუ მასჟამს ციციანოვი იმყოფებოდა მუნ. შიშვნეული ყეენისაგან შეევიდა საფარველსა ᲥᲢᲡᲨᲔ რუსეთისასა, სთხოვა ციციშვილსა მხედრობაჲ დასაცველად ციხისა შუშისათვის, რომელსაცა მისცა ხუთასი

მხედრობაჲ რუსთანი. მოვიდა ბაბა ხან ყეენიცა არეზსა ზედა, მუნით წარგზავნა ძე თვისი აბაზ საქართველოსა ზედა არა ძლიერითა მხედრობითა. მოიწივნენ რა ყარაბაღს თართარის წყალსა ზედა, მსმენელმან ციციშვილმან, მყოფმან განჯასა შინა, წარგზავნა მუნით ათასნი რუსნი კარეგინის პოლკოვნიკის მძღუანველობითა. შეემთხვნენ ქურაგსა, იძლიეა კარეგინი ყიზილბაშთაგან, რომელ კნინლა გარდაურჩა ოცდაათითა სალდათითა, და თვითცა ფრიად დაიკოდა კარეგინიცა. ჰსცნა რა ესე ციციშვილმან, წარვიდა ოთხი ათასითა მხედრობითა მას ზედან; გარნა სპარსთა გარდავლეს ზემორე გზაჲ და რუსნი დაუტევეს ქვემორე გზასა ზედან, მივიდნენ განჯას ყიზილბაშნი და აჰყარეს მუნ მოსახლენი განჯელნი მაჰმადიანი, რომელიცა წარგზავნეს თავრიზს, ხოლო თვით მიიწია შამშადილსა. თუმცაღა სწადდათ მისვლა ტფილისსა ზედან, გარნა არა იქმნა სრულ საწადელი მისი მით, რამეთუ მოერთო ბაბახანისაგან, მამისა თჳსისა, ბრძანებაჲ უკუნქცევისათვის. შევლო მან ყაზახის ბეობაზედ. აღსტაფას, ვიწროსა მას კალთასა მთისასა, დახვდნენ მუნ ყაზახელნი და ფრიად ვნება მისცეს სპარსთა. მაშინ აღაჯოღლიმ სულეიმანამ გამოაპარა სარდალი იოვანე ყაფლანიშვილი მუნ გზით, რომელსა ეფიცა ძელი ჭეშმარიტ ზედა ალექსანდრესთვის და ეგრეთვე ერთგულებასა ზედა ბაბახან ყეენისასა, ოდეს ერევანს შეიპყრეს იგი ციციანოვთან, და იყო აბაზ მირზასთან პატივცემითა, და თანა ჰყვა ამჟამადვე, და სხვანიცა რაოდენნიმე თავადნიცა გამოაპარეს ყაზახთა მუნით, ხოლო ბაბახან უკუნ იქცა გილანად ამად, რომელ რუსთა მხედრობანი განვიდნენ გილანად ზღვით მძღუანველობითა ღიანარალ ზავალიშინისათა. გარნა მისვლადმდე ბაბახანისა მუნ იძლიენ გილანელთაგან რუსნი, და ლტოლვილნი მოვიდნენ ბაქუსა ნავითა და დადგნენ მახლობლად ბაქუსა.

ხოლო წელსა ამასვე 1805 აიშალნენ ფრანცუცნი და ნემენცნი. მოვიდა იპერატორი ფრანციისა მონაპარტე, მოადგა ვიანას და აღიღო სატახტო ქალაქი ვიანა კეისრისა. თუმცაღა

რუსნიცა მოეხმარნენ კეისარს ფრანცს, გარნა ვერარაისამე დამკლებელნი ფრანცუცთანი დაზავდნენ, სადაცა იპერატორმან ნაპოლეონ სრულიად მიუღო იტალია კეისარს და დაიპყრა თვსად, და უკუნიქცა, რომელიცა მიერ დღიდამ ამაღლდა სახელი მისი ყოველს ევროპასა შინა, და შეეძოთ დიდი ძრწოლაცა სრულიად ევროპიელთა.

კუალად წელსა ამასვე 1805 ბაბახან ყეენმან წარგზავნა ელჩად იპერატორს მონაპარტესთან პარიჟს ასკარხან ყაჯარი ძღვნითა დიდითა, და მიუღოცა ხემწიფობაჲ ფრანციისა. ხოლო მანცა წარუგზავნა ელჩად ღიანარალ ლაჟარ. და თანა წარატანნა ნიჭნი შემგზავსებულნი, და ეგრეთვე სამეოცი ოსტატნი არტირელიისა და რეგულისა, რათა ასწაონ სპარსთა საქმენი სამხედრონი ჩუსულებისამებრ ფრანცუცთა მხედრობისა, რომელსაცა ზედა ფრიად მადლობელ იქმნა ყეენი ბაბახან, და მიერ ღღით იწყო განწყობა მხედრობისა თვისისა და არტირელიისა მჰსგავსად კანონისამებრ ევროპიისა.

წელსა ამასვე წმიდას სვეტიცხოველსი კუალად აღმოვიდა წმინდა სამირონეში წმინდა მირონი, რომელიცა იყო მრავალს წელს მიფარული. ესე მიბრძანა უწმინდესმან კათალიკოზმან ანტონიმ, ძმამ მეფისა ირაკლისამან: „მცხეთის დეკანოზმან ივანე მაღალაშვილმა ჩამომიტანა ტფილისში, დიდი სულნელება ჰქონდაო, და კურნებდა მრავალთა სნეულთა, გარნა ცოდუათა ჩვენთაგან, რაოდენსამე ღღეს უკან არღარა იწყო აღმოდინებაო და კუალად მიეფარაო“.

51. ხოლო წელსა 1806, ქ-კს უჟდ განვიდა ციციშვილი მტკუარსა განჯას მხედრობითა, მივიდა ნუხას, მუნ ნუხის ხანი მაჰმად ასან ხან უთვალო, რომელიცა აღმოხადნა აღამაჰმადხანმან, და იყო ნუხას, მიუხვნა ამას ხანობაი; და დაადგინა ხანად მუნ ჯაფარ ყულიხან, ხოის ხანი, რომელიცა იყო ლტოლვილი ბაბახან ყეენისაგან, და მსახურაცა ამან დროსა ერევნისასა, სადაცა შემწყვდეული ესე მის მიერ განთავისუფლდა ციციშვილი. ხოლო ხელმწიფემანცა ალექსანდრემ ანიჭნა მას ღიანარალ ლეიტენატობაი და ჯილა ალმასისა, და ბაირახი, და

დასდო შაქის ციმეტი ათასი ოქრო ხარკად, ხოლო დანაშთი მისცეს მას სრულიად. ჩავლო მუნით და მივიდა შამახიას. მუნ ვერ წინა აღუდგა ხანი შამახიისა მუსტაფა, რომელიცა შევიდა ესეცა საფარველსა ქუჩაშე როსიისასა, და ანიჭნეს რუსთა ამასაცა ჰატივი იგი, ვითარცა ჰატივი ჯაფარყულიხანსა, და დასდვეს მასაცა ხარკად წელიწადში რვა ათასი ოქრო ღალანდიისა. ჩავლო რა შირვანი, მივიდა ბაქუს. საწადელი მისი იყო ესრეთ, რათა დაიპყრას ბაქუი და მუნით გამოიტანოს აზულაი ასტარხანით შესაწევნელად საქართველოსა შინა მყოფთა მხედრობათა თვის, ვინაითგან ვერა კმა უყვეს აზულისა მიცემითა ქართუალთა რუსთა. და მისრულმან მახლობელ ბაქუისა, დაიბანაკა ერთსა ფარსანგსა, და მიუწერა ხანსა ბაქუსასა უსეინს, რათა მან მოართუას კლიტეი ქალაქისა. რაოდენ ევედრა ხანი იგი, რათა არა დასდოს ესე ვითარი სირცხვილი, რომელიცა ფრიად სირცხვილად აღუჩნდა ხანსა მირთმევა ხელითა თვისითა კლიტისა, და არა თანახმა ექმნა ციციშვილი, და უკანასკნელ მიუწერა ხანმან, ვინაითგან ვიშვიშვიო და არა ძალმიცს მოსვლად მხედრობისა თქუენისა, ამად გთხოვ მოვედ შენ ორითა უკუნე კაცითა მახლობელ ციხისა და მეცა მოვალ ორითა მონითა ჩემითა, და შემთხვევასა ურთიერთისასა მოგართუამ კლიტესა. ვერ ცნა უგუნურმან მცბიერობაი ხანისა და მსწრაფულ წარვიდა ორითა ყაზახითა, და ელიზბარ აღაბაბას ძისათა ხანისა კერძ, ხოლო ხანიცა მოვიდა ორითა მონითა; გარდახდნენ ორნივე ცხენით, უანბორეს ურთიერთარს. მოართუა რა ხანმან კლიტეი, მაშინ მათ ორთა ძათ მონათა ხანისათა სტყორცნეს თოფნი ციციშვილსა, და მოკლეს, და მისთანა მოკლეს ელიზბარცა ერისთვის შვილი ძე აღაბაბასი, თვესა თებერვალსა 8- ყველიერის ხუთშაბათ დღესა, და წა-რ კუჩთეს თავი და რუგზავნეს ბაბახან ყეენსა. ხოლო ამავე ჟამსა მოსრულ იყო შემწედ ბაქუსა ფირყული ხან, სარდალი ყეენისა. მოკლეს რა ციციშვილი, ესეცა ზედა დაესხა ბანაკსა ციციშვილისასა რუსთა, ხოლო რუსნი შემჭიდროებულნი ყიზილბაშთაგან, ვინაითგან არღარა ჰსცეს ნებაი საქართველოს

გზით, შევიდნენ ნავთა შინა ბაქუს და ზღვით განვიდნენ ყიზ-ლარს.

ხოლო წელსა ამასვე განაწესეს მონაცვლედ ციცი-შვილისა ღრაფი ივან ვასილიჩი ღუდოვიჩი, რომელი იყო პირველ კავკასიის მართებელი ღიანარალ შეფი.*) და ვიდრე ესე მოიწეოდა ტფილისს, ღამესა ერთსა დაესხა თავს იბრეიმ ხანსა ყარაბაღისასა, რომელმანცა მისცა ციხე და თავი თვისი მონებასა ქუჩუშე რუსეთისასა. არა მომლოდნელ შემთხვევისა ამის, იდგა გარეგან ასკარანის ციხისა ცოლშვილითა თვისითა კარავთა შინა, ვინაითგან იყო ფრიად სიცხეჲ. ღისანევიჩი პოდპოლკოვნიკი დიმიტრი ტიხინიჩი, განზრახვითა ჯორაშვილის ნინიასითა,— რომელსა თავბერად უხმობდნენ და რომელიცა იყო მეფის ძის ალექსანდრეს მილახვარი და მისანდო მისი, და უღალატა სპარსეთით და მოსულიყო მას ჟამს ყარაბაღს, — დაესხა ესე თავსა ღამე, და მოკლეს იბრეიმ ხან რუსთა თავს დასხმით ზარბაზნებითა, და დედაწულნიცა მისნი მოსრნეს სრულიად, და იალაფეს ფრიად სიმდიდრე მისი. მოსრული ღუდოვიჩი მოვიდა ტფილისს, და შეიტკბნო ქართუსლნი ფრიად და შეიყვარნა ყოველნივე, და დიდსა პატივსა უყოფდა, თუმცაღა ძემან იბრეიმ ხანისამან მეითიმ იჩივლა უბრალოდ სიკვდილი მამისა თვისისა რუსთაგან, გარნა ვერა რისა მყოფელი ეეედრა ღუდოვიჩს, რათა ჰყოს ხანად ყარაბაღისად, რომელსაცა ეთანხმავა და დაადგინა იგი ხანად და დასდო ხარკიცა,— წელიწადში თოთხმეტი ათასი ოქრო ღალანდიის. და მისცეს ხანსა ამას პატივი ღიანარალ მაიორობისა, და ყარაბაღისა ჩინებულთა გუამთაცა შესაბამნი ჩინნი რუსეთისანი, აფუცეს ერთგულებასა ზედა და განუტევნეს. ხოლო ციხე შუშისა ეპყრათ რუ თა.

ხოლო წელსა ამასვე ბელაქნელთ, ჭარელთ და კატეხელთ ძირობითურთ თვისით დაიდვეს ხარკი კომლზედ ერთი ოქრო ღალანდიისა და ერთი ჩარექი აბრეშუმი და შევიდნენ უღელ-

*) მთავარ მართებლობა 3. ამან იმთავრა წელი.

სა ქუთაშე მონებისასა-რუსთასა, რომელიცა ლუდოვიჩმან მეიყვანნა ესენი მორჩილებასა ქუთაშე თვისსა.

ხოლო წელსა 1806 შეჩენითა რუსთათა აძრახეს გენათელს ეფთვიმის, რათა გამოაპაროს გიორგი ძე ალექსანდრესი, ძის ძე დიდისა, მეფის სოლომანისა რომელიცა ჰყვა პყრობილად მუხურის ციხესა მეფესა სოლომანს, არჩილის ძესა. ესე გიორგი იყო სიძე გენათლისა, რომელსა ჰყვა ძმისწული გენათლისა ცოლად დარეჯან. ამან შეუჩინა მსახური თვისი ანდრია ბუცხრიკიძე. ამან შეუტანა ბაწარი ერთი, ხოლო მან გასტეხა ბორკილი და აღვიდა კოშკსა ერთსა, რომელიცა ფრიადვე შეუძლებელ იყო გაპარვა მისი მუნით, რეცა ილოცავს მუნ. ჩამოუშვა ბაწარი იგი და აღზიდა მუნ, ტილო გამოაბა ფანჯარას და ჩამოუშვა ძირს. ხოლო მათ მოიყვანეს გიორგი ქუთაისს ლიანარალ გრიგოლიევთან და მან წარგზავნა ტფილისს ლუდოვიჩთანა, ხოლო მანცა წარავლინა რუსეთს იპერატორთანა, რომელსაცა მისრულსა პატივ ჰსცეს ფრიად.

ხოლო წელსა ამასვე 1807, ქ-კს უქე, ივნისში, მოიკრიბნა მხედრობანი თვისნი და ქართველნიცა, და წარვიდა ჯავახეთს ახალქალაქსა ზედა, ვინაითგან მასჯამსა რუსთა და თურქთა აქუნდათ აშლილობაჲ. მივიდა და მოადგა ახალქალაქსა. მიუდგეს რუსთა კიბენი და ლამოდნენ გარდასვლასა ციხესა შინა. გამოხდნენ თურქნი, აოტნეს რუსნი ჩასრულნი ციხესა შინა და მოსწყვიტნეს ვიდრე ხუთასადმდე და ოდეს ვერ უძლო დაპყრობა ციხისა გუდოვიჩმან, უკუნიქცა და მოვიდა ალგეთად.

ამავე წელსა 1807 მოერთვა ამბავი ნესვეტევს ლიანარალ მაიორისაგან ყარსით, რომელიცა წარეგზავნა ლუდოვიჩს ოთხითა ათასითა მხედრობითა ყარსსა ზედა, ვითარმედ იძლივა იგი უსუფ ფაშისაგან, და ძლეული მისგან შეივლტო მცირედითა გარდარჩომილითა მხედრობითა ციხესა გუმრისასა, და სთხოვა შეწევნაი. წარვიდა ლუდოვიჩი. მიიწია რა არფაჩაის, მუნ წარმოიშვა ბრძოლაჲ შორის თურქთა და რუსთა; იძლივნენ თურქნი და უსუფ ფაშაი, და დაშთათ თურქთა თოფხანა სრულიად,

და მივიდნენ ძლეულნი ყარსს. ხოლო ლუდოვიჩი მოვიდა ტფილისს, და მიუბოძა იპერატორმან ალექსანდრემ ფერთმარ-შლობაი ლუდოვიჩს. თუმცაღა თურქთა კუალად სწადდათ ბრძოლაჲ, გარნა მოერთუათ უკუჴ ანბავი კოსტანტინეპოლით ენგიჩართაგან, რომელთაცა მოკლეს სულთან სელიმ მესამე და ნაცვლად მისს ჰყვეს სულთანად ბიძაწული მისი მუსტაფა, ძე აჰმადისა, და შემდგომად ექვსისა თვისა მოკლეს იგიცა ენგიჩართა და ჰყვეს სულთანად მაჰმუდ.

ხოლო წელსა ამასვე 1807, ქ^კს უჟე, ფრანცუცნი და პრუსიელნი აღიშალნენ. მოვიდა იპერატორი ფრანციისა ნაპოლეონ, მოადგა ბერლინის ქალაქს, სატახტოსა პრუსიისასა. განვიდა პირის პირ მისსა პრუსიის კოროლი ვილგეიმ. იქმნა ბრძოლა ძლიერი და საშინელი, იძლივნენ პრუსიელნი და მიუღეს სრულიად თოფხანა და ბავრაყნი, და დღესა მას აღიღეს ქალაქიცა ბერლინი ფრანცუცთა. ხოლო ლტოლვილი კოროლი პრუსიისა მოვიდა პეტერბურხს იმპერატორს ალექსანდრესთან, დასთხოვნა შეწევნაჲ, ამანცა მოახმარა მხედრობა თვისი. და წარემართნენ ორნივე ზოგად, მივიდნენ და ბრძოლა ჰყვეს აუსტრელსა შინა, კუალად იძლივნენ პრუსიელნიცა და რუსნიცა ერთად, სადაცა დააზავნა იპერატორმან ალექსანდრემ პრუსელნი ფრანცუცთა. რომელიცა პრუსიის კოროლი შეიყვანა მონაპარტემ უღელსა ქუჴშე მონებისა თვისისა და წარიყვანა პარიზსა შინა. ხოლო იპერატორი ალექსანდრეცა დაეზავა ფრანცუცთა და უკუნ იქცა როსიადვე.

52. წელსა ამასვე 1807, ქ^კს უჟე, ნოემბრის 1 გამოჩნდა ვარსკულავი კუდიანი და არა კომეტა (სახე ამისი იყო ესრეთ: *) ესე აღრიცხეს ზომით პეტერბურხს აკადემიის პროფესორთ ვარსკულავ მრიცხველთა და დაამტკიცეს, რომელ სიგრძე ამისის კუდისა არისო 500 ღრადუსი, ხოლო ერთსა ღრადუსსა შინა იპოების ვერსი 119).

---

*) გამოსახულია ღელანში თვით ვარსკვლავი.

წელსა ამასვე 1807, ქ-კს უქე, ნოემბრის 8-ს, გარდაიცუალა დედოფალი დარეჯან, მეუღლე მეფისა ირაკლისა, საკთ-პეტერბურხსა შინა. რომელიცა დაფლა იპერატორმან მეფურის პატივით ნევსკის მონასტერსა შინა, ხარების ეკლესიაში ხოლო ამავე თვესა, ნოემბრის 20-ს, მოკუდა ყვავილით ბატონის შვილი გიორგი, ძე ალექსანდრესი, დიდისა მეფის სოლომან იმერეთისა, საკთ-პეტერბურხსა შინა, დაფლეს ნევსკის მონასტერსა შინა.

53. ხოლო წელსა ამასვე 1804, ქ-კს უქე, იყო იმერეთს, რაჭას მთასა შინა, ბერი განშორებული, ჯაფარიძე ზაქარია. ესე ხლებოდა კათალიკოზს იმერთასა, მაქსიმეს აბაშიძეს რუსეთს კიევს, და მიცვლილ იყო რა იგი მუნ, გარდმოსრული მუნით დაყუდებული იყო მთათა შინა რაჭისასა. ესე იყო ფრიად წმინდა და მლოცავ, რომელ კვრასა ერთს მიიღის საზრდო. ამის სათაყვანოდ მივიდა მეფე სოლომან, არჩილის ძე, და მიუთხრა რა ბერმან მან მას: „მეფეო, ვიხილე ჩვენება ესე: მოვიდა ვეშაპი დიდი, წითელი, რომელმანცა შთანგთქა შენ, და გიჩნდა ოდენ ფერხნი.“ ამანვე განუმარტა ჩვენება ესე: „აღდგების მეფობა შენი და მიეცემი მწეხარებასა დიდსა და განსაცდელსა დიდსა, და გმართებს მოსვლად სინანულად და ვედრებად ღვთისა, რათა განერო ამ განსაცდელისაგან, ხოლო ხალხნი სამეფოისა შენისანი იქმნებიან დიდსა ჭირსა შინა და ვალალებასა, რომელ აღდგების მომსვრელი სენი და ფრიად სიყმილი.“ ესე ყოველივე აუწყა ბერმან მან. გარნა მეფესა, არა რაისამე შემგონებელსა, ეწია ესე ყოველივე ხალხითა თვისითა, რომელნიცა შემდგომად მეფისა მოისრა ჭირითა უმეტეს ნახევარ იმერეთი, და სიყმილითა.

წელსა ამასვე გარდაიცუალა მეფის ირაკლის პირმშოს ძის ვახტანგის მეუღლე ქეთევან, ასული კოსტანტინე მუხრანბატონისა, და არა დაშთა ძე და არცა ასული, მარტის 4, და დაფლეს ნევსკის მონასტერში, საკთ-პეტერბურღს.

ხოლო წელსა ამასვე აღიშალნენ რუსნი და შვეთელნი ბრძვეს წელიწად ნახევარი და მერე დაზავდნენ, ხოლო რუს-

თა მიუღეს სრულიად ვიფლანდია და კურლანდია, დანაშთიცა, და ეკურთხა მუნ იპირატორი ალექსანდრე მუნ მეფედ მათდა და მიიღო სრულიად მონად თვისად.

ხოლო წელსა ამასვე 18 8, ქ^ს უფე, სეკდემბრის 30, დღესა ოთხშაბათსა, საათსა 9 ღამისასა, ცისკრისა ჟამსა გაჩნდა უეცრად ცეცხლი იერუსალიმს, —რომელიცა ჰყვეს სომეხთა დაწვაჲ მისი შურითა ბერძენთათა, რათა შემდგომად დაწვისა აღეშენებინათ თვთ და განესაკუთრებინათ თვისად იერუსალიმი, — დიდს ეკკლესიასა შინა. სადაც არს წმიდა საფლავი ქრისტესი. და დაიწო სრულიად და ყოველნი ნივთნიცა, მდებარენი მას შინა, ურიცხვნი განძნი და ეგრეთვე ადგილნიცა მას ეკკლესიასა შინა, რომელიცა ეპყრათ ფრანგთა და სომეხთა იგიცა სრულიად დაიწო და დაიქცა, დიდი ეკკლესიისა გუმბათიცა ჩამოვარდა, რომელი იყო ტყვიისა, ხოლო დარჩა უნოდ ცეცხლსა მას შინა, სადაცა იპოვნეს ძელი ჭეშმარიტი, ადგილი იგი და საპყრობილე უფლისა, და წმიდა საფლავი თვისითა კარებითა დაცულ იქმნა უვნოდ, და რაოდენნიცა მუნ დაიწვნეს ანუ დაიქცეს და წახდეს, ჰსცანით კოსტანტინეპოლის კალინიკეს პატრიარხის მოწერილის კონდაკისაგან, რომელიცა ამის აღშენებისათვის ჰსწერს ყოველსა ქრესტიანასა შეწევნისათვის ქრისტიანეთა, და იერუსალიმის პატრიარხის პოლიკარპოსის კონდაკისაგან.

წელსა ამასვე 1808, ქ^ს უფე, ოკტომბრის 5 წარვიდა ღრაფი ღუდოვიჩი მხედროპითა თვისითა ერევანსა და ეგრეთვე ქართველთა მხედროპითა დასაპყრობელად. მისრულმან აიღო ქალაქი და დადგა ქანაქირს. მაშინ ციხე აქუნდა ერევნისა სარდალსა ყეენისასა გამაგრებული ფრიად. ვინაითგან მაჰმად ხან მუნებური მოსვლისა ჟამს წარიყვანა ყეენმან ცოლშვილითა თჳრანს და არღარა უტევა ერევანს, ვინაითგან იყო მაჰმად ხან ორპირი და შეურჩელი, ამისთვის ყეენმან, ვერა დაპარწმუნებელმან მისმან, შეაყენნა ციხესა მცველნი თჳსნი და ჰყო გამგედ ერევნისა სარდალი თჳსი. მაშინ მსჴენელმან აბაზ-მირზამ, ძმან ყეენისამან, რომელიცა იყო გამგედ ადრიბეჟა-

ნისა და იდგა თავრიზსა, წარმოემართა მხედრობითა თვისითა
და ეგრეთვე ახალის გა[ნ]სწავლულის სპარსთა რეგულის ჯარითა
და არტირელიითა, რომელნიცა განასწავლეს ფრანცუცთა;
მოსრული აბაზ მირზა ნახჩევანს შესაწევნელად ერევნისად,
დადგა მუნ. მსმენელმან ღრაფმან ღუდოვიჩმან წარავლინა პოლ-
კი ორი, — ერთი ტროიცის მუშკატირისა და მეორე ეიგრისა.
მისრულთა რუსთა ნახჩევანს შემოეპა აბაზ მირზაჲ. იქმნა მუნ
ბრძოლა ძლიერი, და სძლიეს მცირედ ყიზილბაშთაგან, ვინაჲთ-
გან მხნედ ბრძვეს ახლად განსწავლულთა ყიზილბაშისა რე-
გულთა, ხოლო ღუდოვიჩმანცა უბრძანა სალდათთა, რათა მი
იდგან კიბე და აღვიდნენ ციხესა ზედა ერევნისასა. მაშინ სალ-
დათნი აღვიდნენ კიბესა ზედა, ფიცხელად დაიწყეს ციხით თოფ-
თა ცემაჲ ყიზილბაშთა და ზარბაზანთა. იძლიენენ რუსნი, და
მოსწყვიტნეს ორისა ათასისა. ხოლო ჟამსა ამასვე ყოფასა ღუ-
დოვიჩისასა ერევანს, მაშინ გარდაყენებული იქმნა ღუდოვიჩი
და ნაცულად მისსა განიწესა ღიანარალ შეფი ტორმოსოვი
ალექსანდრე პეტროიჩი. მისრული ესე ტფილისს, წარვიდა ერე-
ვანს და მივიდა მუნ. ესმა რა ესე ღრაფ ღუდოვიჩსა, გამოც-
ვლა თვისი,*) თუმცაღა ჰსწადდა კუალად მიტანა იერიშისა
ციხესა ზედა, გარნა მწყინავ გარდაყენებისა თვისისა, აღიყარა
მუნით მხედრობითა და წარმოვიდა აბარანის გზით. მაშინ იყო
ფრიად მძაფრი ყინელი, რომელ მრავალნი სულნი მოსწყდეს
სიცივითა აბარანსა ზედა, ვინათგან ზამთარ არა გარდაისვლე-
ბის მთასა მას ზედა თოვლისა გან და არცა იშოების შეშა.
მსმენელი აბაზ მირზაცა, მდგომი გარნისს, ესეცა შეუდგა უკა-
ნით რუსთა ვიდრე აბარანდმდე, სადაცა მოსწყვიტნა მრავალნი
და იალაფა ბარგი მათი და ავნო დიდათ რუსთა და ქართველ-
თა, რამეთუ იყო მას ჟამს თვე დეკემბრისა და ძლით გარდ-
ვიდნენ დანაშთნი რუსნი ფაბაკად და ქართველნიცა. ხოლო
აბაზ მირზა უკუნიქცა ერევანს, განამაგრა კუალად ერევანი და
დაჰპატა მხედრობასა ერევნისასა, და იზამთრა მუნვე. ხოლო

---

*) მთავარ მარეებლობ, 4. ამან წელი იმთავრა 3.

ლრაფი ლუდოვიჩი წარვიდა რუსეთს, რომელსაცა მისცეს მოსკოვს უპირველესი მართებლობაჲ, და დაშთა გამგედ ქართლისა ტორმასოვი.

54. ხოლო წელსა 1809, ქ^კს უეჭ, წარგზავნა უკუჩ ტორმოსოვმან მხედრობანი თვისნი, მყოფნი იმერეთსა შინა წინაძღომითა დიმიტრი ყაფლანისშვილისათა და მიუწერაცა ცოლსა გრიგოლ დადიანისასა მთავრინასა ოდიშისასა მეფის გიორგის ასულსა ნინას, რათა ესეცა შეერთდეს მხედრობითა თვისითა და წარვიდნენ და აღიღონ ციხე ფოტისა, რომელიცა აქუნდათ თურქთა ფრიად გამაგრებული. რამეთუ ესე ნინო იყო ფრიად მხნე დედათაგანი და უშიში ბრძოლისა და ვიდოდა ყოველთვის მხედრობითა თვისითა, რომელსაცა მრავალგზის პირველ რუსთაცა ყოფისა შეემოსა ძლევა იმერთა ზედა. წარსრულნი მოადგნენ ფოტსა, და ადგნენ სამ თვე, ვინაჲთგან ციხე ფოტისა დგა ფრიად მაგარსა ადგილსა და ჭანჭრობიანსა, რომლისა ახლო მისელაჲ ფრიად შეუძლებელ არს მხედრობათაგან. მას ჟამსა რუსთა მუნ მდგომთა მოაკლდათ ტყვია და წამალი. მცნობპან ტორმოსოვმან ამისმან წარაველინნა ტფილისით ტყვია წამალითურთ, და თეთრიცა მხედროპისათვის და თანა წარატანა როტა ერთი გრანადირისა. მსმენელმან ამისმან მეფემან სოლომან, რომელსაცა აქუნდა პირი შეკეთული თურქთა თანა და სწადდაცა რუსთა ვნებაჲ, უბრძანა ზემო მხრის სარდალსა წერეთელს ქაიხოსროს, ძესა პაპუნასასა, რათა წარვიდეს და მიუხვნას რუსთა მინაქონი იგი ფოტს. მისრულმან წერეთელმან ქაიხოსრომ წარაველინნა კიკნაძენი და თანა წარატანა მხედრობანი, რათა დაესხას რუსთა მათ გზასა ზედა და მოსრან იგინი, და შიუღოს მათ ყოველივე მინაქვანი. მისრულთა ლელოვანსა ლოსიათხევის გზაზედ კიკნაძეთა ლეონ აბაშიძითურთ, ძისა სვიმონისათა, უყვეს ზედა დასხმაჲ რუსთა, რამეთუ რუსნი, არა მგონებელნი ღალატისანი, იდგნენ უშიშრად, ვინაჲთგან მეფე იმერთა შეერთებულიყო რუსთა თანა. მხილველთა რუსთა ესე ვითარისა შემთხვევისათვის იწყეს მათცა თოფთა ცემაჲ. გარნა ვერ უძლეს პირის პირობაჲ რუს-

თა იმერთა და არცა აქუნდათ თანა ზარბაზანნი, და მოსწ-
ყვიტნეს იგინი იმერთა მუნ, ხოლო რაოდენნიმე რუსნი, გარ-
დარჩომილნი, შევიდნენ და გამაგრდნენ მუნ ეკლესიასა შინა
და ეველრნენ იმერთა, რათა განუტეეონ მშვიდობით, რამეთუ
არიან იგინი ქრისტიანენი და არა შეუბნის მათ ესე ვითარი
საქმისა ქმნაჲ, ხოლო იმერთა არწმუნეს ფიცით უვნებელობაჲ
და გამოსრულნი საყდრით მოსწყვიტნეს იგი რუსნიცა სრუ-
ლებით და მიუღეს ყოველივე მინაქუნი მათ იმერთა, და ია-
ლაფეს. მსმენელი ამისი ტორმოსოვი განჰკვირდა ამა უკუანსა
მოქმედებასა მეფისასა, და არცა ჰგონებდა ამას, ვინაითგან ეფუ-
ცა მეფესა ერთგულებასა ზედა იმპერატორისასა. და მიუწერა
მეფესა შერისხვით ტორმოსოვმან და ჰკითხა, რაი მიზეზი
არსო უბრალოთა კაცთა მოწყვეტაჲ, გარნა მეფემ თუმცაღა
არწმუნა, ვითარმედ ძის მიერ არა ეწარმოვა საქმესა ამას,
არამედ ავაზაკთაგან იქმნაო, გარნა ტორმოსოვი, არა მრწმუ-
ნებელი ამისი, შევიდა აზრსა, რათა ჰყოს ნაცუალი ამისი და
შეიპყრას მეფეცა.

ხოლო რუსთაცა აღიღეს ფოტის ციხე, სადაცა ფრიად
მხნედ გამოჩნდა მთავრინა ნინაცა, და შეაყენეს ციხესა შინა
გუშაგნი თვისნი და უკუნ იქცნენ რუსნი და ოდიშელნი.

55. წელსა 1810, ქ^ს^ს უეᲘ, მოვიდა ძე ყეენისა ბაბა-
ხანისა მაჰმად ალიხან*). ამან აჰყარა ფანბაკი სრულიად და
დაასახლა ერევანს, წარმო მართა მუნით, მოვიდა ალჯაყალას
და დადგა თულქითაფასა ზედა. მოსტყვევნა დამანისადმდე და
კოდადმდე, და უკუნიქცა. თუმცაღა რუსთა მხედროპაი იდგა
გატეხილ ხიდზედა, გარნა არა წარმოიშვა მათ შორის ბრძო-
ლაჲ, და ეგრეთვე რუსთაცა, შიშვნეულთა სპარსთათა, ვერ წარ-

*) ესე მამად ალიხანი ჰყვა ბაბახან ყეენსა თუშის ციკარაშვილის ქალ-
თან, რომელიცა ჯუეულ წარეყვანთ ლეკთა თუშეთით და განეყიდეთ სპარსეთში,
რომელიცა ეყიდნა მას და მშვენიერების გამო შეერთო ცოლად და ესე მამად
ალიხან ამისგან ეყოლა. ესე არის პირველი შვილი ბაბახ.ნ ყეენისა.

გზავნეს მათ ზედა ცხენოსანნი თვისნი მით, რამეთუ ფრიად უხვარ არიან საქართველოსა შინა ცხენოსანნი რუსთანი.

ხოლო წელსა ამასვე 1810, ქ-კს უფ0, კუალად ლამოდა მეფე სოლომან წინა აღდგომობასა რუსთასა და აწვევდა აზრუმის სარასკარსა, რათა ჩამოვიდეს ოურქთა მხედრობითა და დაიპყრას იმერეთი და გაჰნყარონ რუსნიცა. მსმენელმან ტორმოსოვმ-ნ ამისმან იხმო წერეთელი საღლთხუცესი ზურაბ და გენათელი ეფთვიმე, და არწმუნა მათ, რათა ჰყონ მშვიდობაჲ შორის მეჯისა და რუსეთისა. რამეთუ დროსა ამას წარსვლად იყო გამზადებული ტორმოსოვი არეზსა ზედა ყარაბაღს, რამეთუ მოსრულ იყო ყეენიდამ ვეზირი მირზა ბუზურგ, რათა ჰყონ ურთიერთთა ზავი და მშვიდობაჲ, და დაუდონ საზღუარნიცა ქართლსა და სპარსეთსა. ჩასრულმან წერეთელმან და გენათელმან არწმუნეს მეფეს სოლომანს ფიცით და ღიანარალ მაიორმანცა სვიმონოვიჩმა, რომელ იდგა მხედრობითა ქუთაისს, უვნებელობაჲ მისი და მტკიცედ პყრობაჲ იმერეთისავე. ამათმან დამრწმუნებელმან მეფემან სოლომან მიუწოდა ტორმასოვსა, რათა იხილონ ურთიერთი და ჰყონ ზავი მტკიცე. მსმენელი ამისი ტორმასოვი იქმნა ფრიად მოხარულ, და მიუწერა მეფესა, რათა წარმოემართოს იგი იმერეთით და იხილონ ურთიერთი ქართლს, სოფელსა დირბსა. მოსრული მუნ მეფე სოლომან, დახვდა მუნ ტორმოსოვცა, და პატივ ჰსცა, ვითარცა ჯერ იყო, ხოლო ღამესა მას შემოახვია ჯარი და ეანსტეხა ფიცი თჳსი და შეიპყრა მეფე, აპრილის 14-ს, და მოიყვანა ტფილისს და დააყენა ყარაულნი; ხოლო საქმე იმერეთისა მიანდო ღიანარალ სვიმონოვიჩსა და ზურაბ წერეთელსა, რათა ურთიერთარს ჰკითხვითა მართებდნენ იმერეთსა. ჩასრულთა ამათ იმერეთს აფუცეს ყოველთა იმერთა, სამღუდელოთა და საეროთა, ერთგულებასა ზედა ხელმწიფისასა, და მიერით დაიპყრეს რუსთა იმერეთი. ესე ყოველი აუწყა ტორმასოვმან იპერატორსა, და თჳთ წარემართა არეზისა კერძ, ხოლო მეფე დაუტევა ტფილისს ღუბერნატორის ახვერდოვისათანა. მაშინ წერეთელმან ქაიხოსრომ, ძემან პაპუნასამან, მოიყიდა დესეტნიკი ერთი

იმერთაგანი, ესე იგი ასასი ტფილისისა: უკეთუ განაპარებს მეფესა, მისცემს მას მეფე შესაბამსა პატივსა. მსმენელმან მისმან დესეტნიკმან აღუთქუა ესე მტკიცედ ყოფად, და ამცნო მათ, რათა იგინი, აღჭურვილნი, დასდგნენ მზად განჯის კარისა კერძო ხევსა შინა. ხოლო ღამესა მას, მაისის 13-ს, რომელი თენდებოდა შუა ზატიკის დღესასწაული, ამცნო ესე მეფესა წერეთელმან. მაშინ დესეტნიკი შევიდა 'მეფისა თანა და შემოსა სამოსელი თვსი, აჰკიდა ტიკჟორა ღვინოჟათა სავსეი და წარიმძღუანა წინა. ხოლო მეფემან ამცნო შინა ფარეშსა თვსსა, რათა ჩაწვეს იგი ქუჩშსაგებსა მეფისასა, რეცა ჰგონონ მუნ მყოფთა ყარაულთა მეფისა მუნვე ყოფნაჲ. მაშინ მსმენელი ამისი ფარეში იგი ჩაწვა საგებელსა მეფ-სასა და შესწირა სისხლი თვსი ერთგულებასა ზედა პატრონისა თვსისასა. მაშინ დესეტნიკმან მან განიყვანა მეფე სოლომან აბანოს კარსა ზედა, და მიჰგუარა იმერთა, რომელნიცა შეთქმულიყვნენ. თავადნი და აზნაურნი, რიცხვით 30, ასხდნენ ცხენთა ზედა და წარვიდნენ უძოს გზით თრიალეთისა კერძო. ხოლო განრავიდნენ თრიალეთს, ემთხვიათ ლეკთა მხედრობაჲ, წინაძღომითა ნურ მაჰმად ბელადისათა ოსოქოლელისათა ვიდრე სამასადმდე. თუმცაღა შეკრთნენ იმერნი მათგან, გარნა მსწრაფლ რა აუწყეს მას, მოვიდა ნურმაჰმად და 'თაყვანი ,სცა მეფესა, რომელსაცა იცნობდა იგი. წარუძღვნენ წინა და აღიყვანეს ახალციხეს შარიფ ფაშისა ათაბაგისა თანა, რომელმანცა მოაგება ცხენი ოქროთი აღკაზმული მეფესა, და შეიყვანა ქალაქსა შინა დიდისა დიდებითა. თუმცაღა მეორესა დღესა შეუდგნენ რუსნიცა უკანა წინაძღომითა რევაზ გერმანოზის შვილისათა, რომელსა დუცალიდ უხმობდნენ, რათა შეეპყრათ მეფე, გარნა უქმ იქმნა შრომაჲ ,მათი და უკუნ იქცნენ. ხოლო ღუბერნატორმან ჰკითხა მეჯინიბესა მეფისასა, ვითარ გაიპარა მეფე. რომელმანცა პასუხ უგო ესრეთ, მეჯინიბემან: „აჰა ცხენი მეფისა, რომელი მებარა მე, და მეფე შენ გებარა, რაი უყაო. ამას ზედან ხალხთა გაეცინათ, და განუტევეს მეჯინიბე იგი. ესე ყოველი აუწყა ღუბერნატორმან ტორმოსოვსა, რომელიცა მას ეამს, არა თან ხმობილნი

ზავისანი ყიზილბაშნი უკუნიქცნენ, ხოლო ტორმოსოვიცა მოკიდა ტფილისსა, და შეიპყრა პოლიცმეისტარი (ესე იგი ნაცუალი) გოსტაშაბისშვილი დავით, და ნინია სუბატისშვილი, და ეგრეთვე უბრალო სულნი, დესეტნიკნი, 1) პენტელაშვილი მაქსიმე ივანეს ძე, 2) გოგია იმერელი, 3) აზნაური ფალავანდიშვილი, 4) გორელი სომეხი იოვანე. ესენი უბრალონი და არარისა შემცოდენი,—შესმენითა ღუბერნატორისა ახვერდოვის მიერ განძჟნდა ტორმოსოვი,—და დახვრიტნა თოფითა ტფილისს ავლაბრის რიყესა ზედა, რათა ამითგან ემართლებინა თავი თჳსი, სამნივე დესეტნიკნი. ხოლო დაფლეს რა ესენი ავლიბარშივე, ხოჯა მელიქის საყჳრის გარდაჰსწჳრივ მინდორსა ზედა, და დააყენეს ყარაული რუსთა, რათა არა მოიპარონ გვამნი მათნი ქართველთა. ჯ საკჳრველი, რამეთუ ღამესა მას საფლავთა მათთა დაადგათ ნათელი ზეგარდამო, რომლისა გამო შეშინდნენ მცუსლნი იგი სალდათნი, და დაეცნენ მუხლთა ზედა, და თაყვანი სცეს მათ. ესე ყოველივე აუწყეს სალდათთა მათ ტორმასოვსა, რომელიცა ფრიად შეშინდა და იწყო სინანულად, და უბრძანა სალდათთა მათ, რათა არვის უთხრან ხილვა იგი. გარნა მცხოვრებელთაცა ტფილისისა და ავლაბრისათა იხილეს მრავალთა საქმე იგი, და ადიდებდენ ღმერთსა. ხოლო დავით გოსტაშაბიშვილი და ნინია სუბატისშვილი ფარეშითა მით, რომელი ჩაწუა ქუსლშსაგებსა შინა მეფისასა, წარავლინეს ციბირს სალდათთ; მისრულნი დააყენეს პერმს. ფარეში იგი მოკუდა მუნ, ხოლო ნინია სუბატოვი, უბრალოდ დასჯილი, განუტევა იპერატორმან, და დავით გოსტაშაბისშვილიც შემდგომად ორის წლისა ისიცა განუტევეს მუნით.

56. წელსა 1810, ქ-კს უეს, მოკუდა სომეხთა ორქივატერი დანიელ, და იპერატორმან აღექსანდრემ დასო ორქივატრად ეფრემ. ამან ეფრემმან დროსა ხოჯასასა, ოდეს აღიღო ტფილისი, დაიხნა ტყვენი მუნებურნი თეთრითა თჳსითა, ას სულამდინ, ვითარცა სომეხნი, ეგრეთვე ქართუსლნიცა. ესე იყო არაჯნურთი რუსეთისა, და დასვეს ორქივატრად.

ხოლო წელსა ამასვე 1810, ქ"ეს ჟეს, სცნეს რა იმერთა მეფისა აღვსელად ახალციხეს, შეიქმნა მათ შორის აღრეულობად და ადგილ ადგილ ამბოხი, უმეტეს ზემო მხარსა შინა, რომლისა ამბოხ-ს თავი იქმნა ქაქუჩელა აბაშიძე, საქარელი. მაშინ სვიმონოვიჩმან ღიანარალმან, ვინადთფან იგი მართებდა იმერეთსა შემდგომად შეპყრობისა იმერთა მეფისასა, წარგზავნა მას ზედა მაიორი კალატოზის შვილი პაველ ორასითა სალდათითა და ზარბაზნებითა. მოვიდა იგი ზაქარას. ძუნ წარმოიშუა შორის მათსა ბრძოლად, იძლივნენ რუსნი, და მოკლეს მაიორი იგი. მას ჟამსა შინა მეფემანცა სოლომან მოიკრიბნა რაოდენნიმე, ახალციხესა მყოფნი ლეკნი, და შთავიდა იმერეთს ავალიშვილებში. მუნ მოერთვნენ სრულიად იმერნი და განძლიერდა შფოთი. ღიანარალ სვიმონოვიჩი, შიშვნეული იმერთაგან, გამაგრდა ქუთაისს, და იხმო შემწედ თვსად დადიანი ლეონ მით, რამეთუ დადიანსა და მეფესა შორის იყო ფრიად მტერობად ამად, რომელ მეფემან ეწინარეს რუსთა შთასვლისა მოწუა სრულიად ოდიში და სწადდა აღწყვეტად დადიანთა სახლისა. რომლისა გამო იძულებული და შიშვნეული სახლი დადიანისა შევიდა საფარველსა ქუსშე რუსთასა, ვითარცა ზემო მოვიხსენეთ. სცნა რა ესე ტორმასოვმან, წარგზავნა საშველად სვიმონოვიჩისა ღიანარალ მაიორი დიმიტრი ყაფლანისშვილი. ავიდა რა სურამს, მუნ განჰყო მხედრობად თვისი, ნახევარი წარგზავნა კორტოხტის მთის კერძო საშველად წერეთლის ზურაბ, უპირველესის გვამისა იმერეთისა და სახლთუხუცესისა მეფისა. ესე ზურაბ ორგულ ექმნა მეფესა და მივიდა რუსთა თანა. და თკთ დიმიტრი ყაფლანისშვილი მივიდა ზედა უბანსა; ხოლო ნახევარი ესე, მივიდნენ რა კორტოხტსა, დახვდა მუნ ენდრონიკაშვილი მელქისედეკ, სიძე მეფისა, და წერეთელი როსტომ, ძე პაპუნასი, იმერთა მხედრობითა. იქმნა მუნ ბრძოლად ძლიერი, იძლივნენ რუსნი და მოსწყდნენ უმეტეს ხუთასისა რუსნი, და დანაშთნი დამაგრდნენ სიმაგრესა შინა, და მოადგენ გარს იმერნი. სცნა რა ყაფლანისშვილმან, წარავიდა ზედა უბანითა საშველად მათდა, და, მივიდა რა, გაეცალნენ

იმერნი. მოიკრიბნა ყაფლანისშვილმანცა დანაშთნი მხედრობანიცა რუსთანი, უკუნიქცა და კუალადვე მოვიდა სურამს და მუ'ით წარკიდა საფიჩხის გზითა. იმერთა უკუნ ჩაეხერგათ საფიჩხე. განვლო სროლითა და მივიდა ნებოძარს, მუნითცა ალიყარა, შთავლო სროლითა, და მივიდა ზედა უბანსა, მუნ ჰსცნა იმერთაგან გარმოდგომაჲ ჩხერის ციხისა მაშინ, რომელიცა ეპყრა რუსთა, ვინაჲთგან მეფესა ჟამსა პატიმრობისასა გამოართვეს ყოველნივე ციხენი. წარვიდა საშველად მათდა წითელ-კლდის გზითა, ჩავლო დიდისა გაჭირებითა, ვინაჲთგან იმერნი მარადის ბრძოდიან და მივიდა ჩხერსა. მუნ მოვიდა ბარონ როზინი ღიანარალ ლეიტენანტი მთავრად დიმიტრისად მხედრობასა ზედან მით, რამეთუ დიმიტრი ყაფლანისშვილი ვინაჲთგან იყო კაცი უმეცარი და მსგავსი პირუტყუთა და ვერ უძლოდა მხედრობასა მას კარგითა მძღუანეელობითა. იქმნა მახლობელ ჩხერისა ომი ფრიად, იძლივნენ იმერნი. მუნ მოკლეს მძღუანი იმერთა აბაშიძე დიმიტრი, ძე სვიმონისი, რომელიცა იყო განლტოლვილ მით, რამეთუ მოკლა მან ძითურთ თვსით ლეონით ბიძაწული თვსი დავით და იოსებ ერთსა ურემსა ძნასა ზედა. მუნ მოიბირნა ბარონ როზინმან რაოდენნიმე კიკნაძენი, და მოვიდა მუნით ლოსიად ხეუადმდე. გზასა ზედახ დასწვეს რუსთა ჩხეიძენი. მუნით შთავლეს ზესთაფონსა და მივიდნენ ცხრა წყაროს, მუნცა იქმნა ბრძოლაჲ, და ოდეს რუსნა ვერლარა იშოვეს გზაჲ მისვლად ქუთაჲსს, მოვიდნენ მუნით ბურღნალსა და მუნით ქიშურას. იქმნა მუნ ბრძოლაჲ ძლიერი, გარნა იძლივნენ იმერნი. მაშინ მეფე სოლომან იმყოფებოდა ვაკეში და იდგა მაღლაკს პირის პირ დადიანსა, ვინაჲთგან იგი მოვიდოდა შველად რუსთა, ხოლო დადიან ლეონცა მოვიდა ჯიხაიშსა, მუნ მოერთო აფხაზთა მხედრობაცა, და მუნით მოვიდა კვახის წყალსა და მუნით ნამშევსა. მუნ შთავიდა დადიანისათანა ხუთასი რუსი პირისპირ მეფისა. წარმოიშუა მუნ ბრძოლაჲ შორის იმერთა და ოდიშართა, მუნ იძლივნენ ოდიშარნი. მუნით დადიანი და წერეთელი აღმოვიდნენ ქუთაისს. მ-ნ მოვიდა ბარონ როზინიცა სვიმონოვიჩთანა. მაშინ წარუძღუა დადიანი და წერე-

თელი ზურაბ რუსთა მეფესა ზედან. სცნა რა მეფემან, ულო-
ნო ქმნილმან, ვინაჲთგან ვერ ძალ იდვა ბრძოლაჲ, წარვიდა ხა-
ნის მთით ახალციხედ და გამოუტევა მუნით გზით მეუღლე
თჳსი დედოფალი მარიამ და დაჲ თჳსი მაია, რომელნიცა მი-
ვიდნენ ოდიშს, სამშობლოსა თჳსსა, სახლსა დადიანისასა. ხო-
ლო ოდიშართაცა მოსწვეს სრულიად ვაკე იმერეთი და მოს-
ტყვენეს, და სახლიცა აგიაშვილისა, ყოველთა იმერთა შორის
წარჩინებული, დასწვეს და დაუქცეს ციხეც ქვითკირისა. ხო-
ლო ტორმასოვმან ჰსთხოვა დადიანსა ცოლი მეფისა დედოფა-
ლი მარიამ, და გარდაიყვანეს ტფილისს მეფის დით მაჲათი,
რომელიცა იყო მეუღლე ენდრონიკაშვილის მელქისადეკისი,
და მუნით ორნივე წარგზავნეს რუსეთად და პატიმარ ჰყვეს
ვარონიჟისა ქალაქსა შინა.

ხოლო ოდეს მეფე შთავიდა იმერეთს, ამან თანა შთაიყ-
ვანა მეფის ძის იულონის ძე ლეონ და შეგზავნა რაჭის მთით
მთათა შინა ლიახვისთა ოვსეთს, რათა მან აღძრას ოვსნი პი-
რის-პირ რუსთა.

ამან, მისრულმან ლიახვსა ზედა, შემოიყარნა ოვსნი და
მოვიდა მახლობელ გრცხინვალისა. სცნა რა ესე ახვერდოვმან,
ღუბერნატორმან ქართლისამან, აღვიდა გრცხივალს რუსთა
მხედრობითა და ოდეს ვერ უძლო ბრძოლაჲ ოვსთა, დამაგრდა
ციხესა შინა ცხინვალისასა. მაშინ ოვსთა მოწვეს და მოაოხრეს
გარემონი ცხინვალისანი და თჳთ გრცხინვალიცა, და უკუნ
იქცნენ. მაშინ ტორმასოვმან შეგზავნა ჰვრივს ფრიადი მხედ-
რობაჲ რუსთა და მათ მოსწვეს ჰვრივი, და ვერღარა დადგა
ლეონ კოშკას და აღვიდა ნარას; ნარელთა ჰსცეს მას პატივი,
ვითარცა პატრონსა თჳსსა. შემგომად შეიპყრეს რუსთა მაჩა-
ბელი ლუარსაბ და ბაადურ ბორტის შვილი; მაჩაბელი ლუარ-
საბ წარგზავნეს პყრობილად რუსეთსა შინა და ბაადურ მოკუდა
ციხესა ტფილისისასა პყრობილად, და შთამოართუს თავიანთი
ყმა და მამული და დადვეს სახელმწიფოდ, ვითარცა ჯავახიშვი-
ლის ესტატისა და თარხნისშვილთა, ძეთა დიმიტრისათა. მაში
იჩინა ტორმოსოვთანა მუხრანის ბატონისშვილმან ერმიმ, ძემან

სეიმონ ნასახჩიბაშისამან, რათა იგი წარაველინოს ოესეთსა და იგი შეაპყრობს ლეონს მუნ. რომელსა ზედა თანხმობილ იქმნაცა ტორმოსოვი და წარგზავნა იგი მუნ. მისრული ერმი ნარას, სწადდა შეტყულითა შეპარება ლეონისა, რათა მან წარწყმინდოს იგი. სცნა ესე ლეონ, შეიპყრა იგი და ლამოდა თავის წარკუსთასა მისსა, ხოლო ოსთა არა ინებეს სიკუდილი მისი, არამედ დაასხნეევინეს ორას თუმნათ თეთრ ფულად თავი და განუტეევეს; რომელსაც რუსთა არა რაჲმე მისცეს მას, არამედ თეთრითა თჳსითა დაისხნა თავი თჳსი, და მიექცა სიცბილი თჳსი თავსა ზედა თჳსსა.

ხოლო დროსა ამასვე, წელსა 1810, ქკს უეᲑ, წარუვლინა მეფის ძემ ალექსანდრემ ერევანით ლეონს მთასა შინა დოლაძე იესე, კაცი მართალი და წმინდა, ვინაჲთგან იყო გაზრდილი მისი ლეონ, და თანა წარატანნა ტანისამოსი და რაოდენნიმე თეთრი. მოსრული დოლაძე სასირეთს ისტუმრა ტარიელ გლურჯიძემ და განუსვენა ღამესა მას, ხოლო დღესა მეორესა, წარვიდა რა დოლაძე, ამცნო ესე გორს ციციშვილს დავითს, ძესა ზაქრიასასა, რამეთუ ესე დავით იყო მასჟამსა მარშალი (ესე იგი მაზრის მოურავი). ამან შეუკრნა გზანი დოლაძეს, შეიპყრა იგი და მიჰგვარა რუსთა, და მიუღო მინაქუანიცა იგი. ესე აცნობეს რუსთა ტორმოსოვს გორით, და მიუწერა კამენდატსა გორისასა, რათა მოაშთოს იგი მუნ, რამეთუ ტორმოსოვი იყო ფრიად მოსისხლე კაცი. ეევდრა დოლაძე კამენდატსა, რათა ჰსცეს ნება აღსარებისა და ზიარებისა, ხოლო მანცა აღუსრულა ესე; რომელმანცა აღუარა აღსარებასა შინა ერთგულება რუსთა და სიწმინდით ყოფნაჲ დედის მუცლით თჳსითგან, და ჭეშმარიტად მტკიცედ პყრობაჲ სარწმუნოებისა ქრისტესისა, და ესრეთ ეზიარა წმინდისა სისხლსა და ხორცსა მაცხოვრისასა და შეევედრა სული თვისი უფალსა. მაშინ დამოჰკიდეს ძელსა და მოაშთუᲑს იგი მუნ და დაუდგინეს მცუᲑლად ყარაულნი რუსთანი. ხოლო ღამესა მას დაადგრა ნათელი ზეგარდამო გუამსა მისსა ზედა. მხილველთა მცუᲑლთა მისთა, იხილეს რა ესე, შეშინდნენ ფრიად, და დაჰსცვივდნენ

მიწასა ზედა, და თაყვანი სცეს მათ, წარვიდნენ და აუწყეს ესე კამანდეტსა. მსმენელი ამისი კამენდანტი წარემართა და იხილა თვთცა ნათელი მას ზედა, და ეგრეთვე გორის ხალხთაცა მრავალთა. მაშინ ეეედრა მთავარეპისკოპოსი იუსტინე მაღალაშვილი, რათა მისცეს ნებაჲ დაფლვსა მისისა. და ნება ჰსცა კამენდატმანცა. მაშინ შემურეს წმინდა იგი გვამი მისი, და დაფლა იგი მთავარ ეპისკოპოსმან სასაფლაოსა ზედა გორს ეკლესიასა შინა, და შეირაცხა წმინდათა შორის და იხარებს წინაშე სამებისა და მეოხ არს ჩუენთვის და შეირაცხა წმინდათა შორის; ესე იყო თუესა ნოემბერსა.

57. ხოლო წელსა 1810, ქკს უეს, ტფილელი არსენის, ნაიბის ძეს,— და ვინაჲთგან განადიდეს ესე რუსთა ფრიად მეტოქედ კათალიკოზისად, ვინაჲთგან არღარა სწადდათ რუსთა, რათამცა ძე მეფისა ყოფილიყომცა მუნ და აღარც სწადდათ, რათა ყოფილიყო კუალად სხვა ვინმე კათალიკოზად, გარნა თჳნიერ თჳსთა რუსთა არქიერი, ამის მიზეზისათჳს,— რომელსაცა მცსცეს თეთრი ბარტყულაჲ ჯვარითურთ და კავლერიაცა ანნასი. ამან აღამაღლა თავი თვისი ტფილისსა შინა და არღარა მორჩილ ექმნა კათალიკოზსა ანტონის, არამედ ხადოდა მხოლოდ სინოდსა. ამან დღესა შობისა იპერატორისასა, დეკემბრის 12, ოდეს სიონსა შინა ჰსწირევდა კათალიკოზი და იყო მუნ ტორმოსოვიცა და სხვანი ჩინებულნი, შეკრებულნი მას ჟამს საკურთხეველსა შინა, გალახა რუსთა პროთა პოპი ალექსი პეტრიეევი ჯოხითა და დამშლელსა მისსა არხიეპისკოპოზსა ვარლაამს, რომელიცა იყო ახლად გარდასრული რუსეთით და იყო სინოდის ჩლენიცა, აგინა მას უშვერად. ამის გამო იჩივლა ალექსიმ ტორმოსოვთანა. რომელიცა მიუწერა კათალიკოზსა, რათა ჰყოს კრება სამღვდელოთა და კადნიერებისა ამისთჳს დასაჯონ ტფილელი არსენი. მსმენელმან ამისმან კათალიკოზმან შემოკრიბნა მღვდელთ მთავარნი, და არხიმანდრიტნი, და მღვდელნი და ქმნეს კრებაჲ. ესენი ისხდნენ კრებასა ამას შინა: მთავარეპისკოპოსი იუსტინე მაღალაშვილი, ბოდბელი მიტრაპოლიტი იოვანე მაყაშვილი, რუსთველი სტეფანე ჯორჯაძე,

წილკნელ სამთავნელი გერვასი მაჰავარიანი და სხვანი არქიმანდრიტნი და მღვდელნი. თუმცალა კათალიკოზი კრებითურთ აწვევდნენ მრავალგზის ტფილელსა, რათა მოვიდეს და დაეგოს შემკოდეთა მათ, გარნა, არა მნებებელმან ამისმან, არა რადმე შერაცხა კრება იგი და არცარა უსმინა მან, ვინაითგან იყო თავხედი, და აპარტავანი, და გულ ფიცხი. ამად კრებამან გაჰკვეთეს იგი და მიუღეს ტფილელობაცა, და განუწესეს, რათა წარკიდეს მონასტერსა შინა და იყოს ექვსი თჳ მუნ უწირაკად. ხოლო მანცა. არა ამისმან მნებებელმან, განამგარა სახლი თჳსი და არა რად შერაცხა შერისხვაჲ კრებისა; ამისთჳს სრულიად მიუღეს ყოველივე ნებაჲ. მხილველთა რუსთაცა ესე ვითარისა განხეთქილებისათვის საღვდელოთა შორის აუწყეს იმერატორსა, რომელსაცა ებრძანა, რათა დაამშვიდონ მუნ იგინი, და ნებითა ხელმწიფისათა მიუწოდეს კათალიკოზს ანტონის პეტერბურღს, ვინაითგან რუსთა არღარა ჰსწადდათ, რათამცა ყოფილიყო მუნ კათალიკოზი და აღეხო

ბამან მეექუსემან წმიდისა მსოფლიოსამან შეჩვენებით, რაცა არა აღიღოს არავისგან ქართლს კათალიკოზობაჲ და იყოს თავისუფალ ყოველთაგან, და აქუნდეს პატივი იგი, ვითარცა აქუთ პატივი ოთხთ მსოფლიოთა პატრიარქთა. 1-ლი კათალიკოზი იყო პეტრე, რომელმანცა მიიღო ტახტი საკათალიკოზო ქრისტეს აქეთ წელსა 473, და ამიერ დღითგან იჯდა კათალიკოზი თავისუფლად აქამომდე. ესე ანტონი კათალიკოზი იყო 111 კათალიკოზი ქართლისა, რანიცა ისხდენ. აღიღეს რუსთა კათალიკოზობაჲ 1810 წელსა.

58. ხოლო წელსა 1810, ქ^კს უეᲩ, წარვიდა სპარსეთით მთავარი ერევნისა ჰუსეინ ყული ხან ორი ათასითა მხედრობითა სპარსთათა და მივიდა ახალქალაქს, ჯავახეთს. მუნ მოელოდა ახალციხისა ფაშასა შარიფს მხედრობითა თვისითა და მეფის ძესაცა ალექსანდრეს. და სწადდა ზედა დასხმაჲ სომხითისა. წარვიდა ტორმასოვი რუსთა მხედრობითა და დადგა წალკას, მუნით წარგზავნა ღიანარალ მაიორი იტალიანელი, მარკიზად სახელდებული, რომელიცა ჰყვა დეეურნის ღიანარალად,—ათასითა სალდათითა და ხუთასითა ქართუᲩლითა. მივიდნენ ღამით წინამძღომითა სარვანელის თათრის ელიაზა იბრემ ხალილაშვილისათა და დაეცნენ ახალქალაქსა სპარსთა და განაბნივნეს სპარსნი. მხილველი ამის ფაშა ვერღარა მოვიდა სარდლისა თანა, და სარდალიცა უკუნიქცა ერევნად. მაშინ ძე ყეენისა აბაზ მირზა იდგა გარნისს, მუნით განივლტო მეფის გიორგის ძე თეიმურაზ ჯვარის ამაღლების დღეს, 14 სეკდემბერს, რომელიცა იმყოფებოდა ძესთან ყეენისასა აბაზ მირზაჲსათანა დიდითა პატივითა თავად თოფხანათა ზედა, ახლად განსწავლულთა რეგულთა ზედან სპარსთასა. და მივიდა ტორმასოვთან, რომელიცა იდუმალ ტორმასოვი ეზრახოდა და შეუჩინა გამზდელი ლალა მისი პეტრე ლარაძე აზნაური, რომელმანცა მოაცთუნა და მოიყვანა მუნით. ხოლო მოვიდა რა ტფილისს, წარგზავნა იგიცა რუსეთსა შინა..

კუალად წელსავე 1810, სეკდემბრის 16, რუსთ გაემარჯვათ ბაბახან ყეენის შვილზედ აბაზ-მირზაზედ ფანბაკს, ჰამამლუს სოფელს.

წელსა ამასვე 1811, ქ^კს უჟთ, აპრილის 5 მოკუ^ლა ჭავ-ჭავაძე გარსევან ეშყაბაში წყალმანკით პეტერბურხს, გამცემი მეფობისა და მაძულისა თვისისა ორგული.

წელსა ამასვე 1811, მაისის 14, მზე დაბნელდა შუადღის შემდგომად 4 საათს, კვირას დღეს. რომელიცა დაუსახვიდა მოსკოვს დიდს უბედურებას.

წელსა ამასვე 1811, ივნისის 14, ღამესა ოთხშაბათს დაბ-ნელდა მთოვარე ვითარცა წყვდიად ღამე უკუნი, ხოლო მთო-ვარე იყო რიცხვით 6 კუალად ამ წელსავე განათავისუფლა იმპერატორმან ალექსანდრემ დედოფალი მარიამ, მეუღლე მე-ფისა გიორგისა, პყრობილი. ბელიგოროდის მონასტრით მო-იყვანეს მოსკოვს.

წელსა ამასვე 1811, ქ^კს უჟთ, აგვისტოს 28, ღამესა საათსა 10, გამოჩნდა ვასკულავი კომეტა (და იდგა ნოემბრის გასვლადმდე ვარსკულავი ესე ყოველსა ღამესა. ესეცა დაუსახ-ვიდა მოსკოვისა ქალაქსა დიდსა ვნებასა, და რუსთა და ევრო-პიელთა შორის დიდსა სისხლისა ღვრასა, რომელიცა იქმნა შემდგომსა წელსა ამის გამოჩენისასა. სახე აქუნდა ამ გურად. და გაშლილი ბოლო ვითარცა ფარშავანგსა, გრძლად). ხოლო გამოჩენიდამ ამა ვარსკულავისა განსრული იყო წელი 513, რომელ არღარასად იხილეებოდა ვარსკულავი ესე.

ხოლო წელსა ამასვე 1811, ქ^კს უჟთ, ვინაადგან ველარ დასდგა ლეონ ოვსეთსა შინა, წარმოვიდა ახალ^ციხეს მეფის სოლომანისთანა; მიიწია რა ხეობას, პეტრეს ციხეში მოკლეს ლეკთა, მომავალთა ქართლს სადავლაოდ, მინდობითა. ჰსცნა რა ფაშამან ახალციხისამან შარიფ, მოაშთუნა ლეკნი იგინი სრუ-ლიად, და გუამი ლეონისა აღატანინა მეფეშან სოლომან და დაფლა აწყურს, ეკლესიასა შინა, ხოლო ლეკთაცა დაღის-ტანსა შინა, მსმენელთა სიკვდილისათვის ლეონისა, გუარ-ტო-მობისა მისისათვის აღწყვიტნეს სოფელსა მათ შინა მკულელ-თა მათ სახლეულნიცა სრულიად.

ხოლო წელსა 1811, ქ^კს უჟთ, მოიკრიბნა ტორმასოვმან მხედრობანი ამერ-იმერთანი და მხედრობანიცა რუსთანი, თფ^ლისა

ნოემბერსა აღვიდა და მოადგა ახალციხესა. გარ მოდგომილი-
ყო თუჩსა ერთსა, და აწარმოეს ციხეთა ზედან ყუნბარისა
სროლაჲ. განმჰხდნენ თურქნი და იძლიენენ რუსნი და იმერნი,
შესრულნი ციხესა შინა, და მიუღეს ორიცა ზარბაზანი თურქთა
და ბავრაყოცა წმიდისა მეფისა დავით აღმაშენებელისა, რომე-
ლიცა თანა აქუნდათ იმერთა, მით, რამეთუ კერძოსა ძლით
იმერთასა იძლიენენ რუსნი. უკუნქცეულთა რუსთა ვერღარა
დევნა უყვეს თურქთა. მაშინ ქართჩლნი რუსითა და სხვითა
წარსრულიყვნენ ასაყრელად კოთელიისა, ვინაჲთგან კოთე-
ლიელთა ჰსწადდათ გარდასახლებაჲ ქართლად. ჰსცნეს რა მათ
უკუნქცევაჲ ტორმასოვისა, დაუტევეს კოთელია და უკუნ
მოიქცნენ. ამცნეს ესე კოთელიელთა ფაშასა უკუნქცევაჲ
მუნ მყოფთა ქართჩლთა მიზეზითა მით, რათამცა გონი-
მართლონ თავნი თჳსნი თურქთა წინაშე. ბრძანა ფაშამან
შედგომაჲ უკანა. ეწიენენ მათ თურქნი და მოსრნეს სრული-
ადვე სამას კაცადმდე ქართჩლნი, ხოლო თავნი მათნი და
რუსთა მხედრობათაცა თავნი, რაოდენიცა მოსრნეს ახალცი-
ხეს, ბრძანა ფაშამან გატენა მათი ბზითა, და წარუგზავნა სულ-
თანსა სტამბოლს. ხოლო ტორმასოვმან ძლევა თჳსი თურქთა-
გან მიაწერა ჭირსა, რომელიცა იძულებით მოატანინა ჭირი
და გააჩინა ვითარცა ტფილისსა, ეგრეთჩ ქართლსა, კახეთსა
და იმერეთსა შინა, რომლისა გამო მოისრნენ ურიცხვნი სულ-
ნი, ვითარცა ქართჩლთანი, ეგრეთვე უმრავლესნი რუსთა
მხედრობათანი, და განგრძელდა ჭირი იგი საქართჩლოსა ში-
ნა ვიდრე ოთხს წელამდისინა; გარნა იმერეთსა შინა ყოველ-
გან ასწყდა უმრავლესი სული, რომლის რიცხვი შეუძლებელ-
არს აღწერად, რომლისა გამო აღიფხერენ მრავალნი სოფლებ-
ნი იმერეთსა შინა ძირითურთ. ჟამსა ამას გენათელმან ეფთი-
მიმ ესოდენ იღვაწა, რომელ ჭირსა ამას შინა მოსილი ერისა
კაცის ტანისამოსით დადიოდა და უვლიდა მრავალთა სნეულ-
თა, აზიარებდის და მარხევდის, ხოლო ხალხთა მშიერთა, რაჲ-
ცა ეპოეპოდის საზრდოჲ, აძლევდის; რომელიცა იყო ფრიადი
სიყმილი ჭირის გამო იმერთა შინა, და სწყდებოდნენ მრავალ-

ნი ხალხნი, გახიზნულნი იმერთა შინა, სიყმილითა, და ეყარათ გუამნი მათნი დაუფლეულ ყოველგან და არვინ იყო მწე მათდა ცოდუათა ჩუენთათვის.

58. წელსა ამასვე 1811, ქ^ს უეო, გამოესცუალეს ტორმასოვი და წარგზავნეს მარკიზი პაულიჩი, იტალიელი, ღიანარალ ლეიტენანტი, აგვისტოში, კაცი ელამი*) რაგვარათაც თუალითა, ეგრეთვე სულითაცა და მოქმედებითა, ვინაჲთგან აქუნდა მას სული იტალიანური. და იწყო ამან მართუაჲ საქართუელოჲსა. ამან წარგზავნა მხედრობანი რუსთანი ზამთარს ახალქალაქსა ზედა წინამძღომითა პოლკოვნიკის კიტლერევეკისათა. რომელთაცა თანა წარიღეს კიბენი გორის ქალაქით; წინაძღომითა ჯავახიანთათა გარდაელეს თრიალეთი ფრიად თოვლიანი, მიუდგეს ღამე კიბენი ახალქალაქსა და აღიღეს იგი დეკემბრის 8, ვინაჲთგან ზამთრისა გამო დაეშინებულ იყვნენ თურქნი. ხოლო რუსთა შეაყენეს მხედრობაჲ თჳსი ციხესა მას შინა გუშაგად, ხოლო კიტლერევეკი მოიქცა უკან, რომელსაცა მისცა ამისა ჯილდოდ ღიანარალ-მაიორობაჲ. ხოლო წელსა ამასვე მარკიზი ეზრახა იდუმალ ბეგლარ ბეგსა ერევნისასა ჰუსეინს, რომელსაცა რწმუნებოდა ერევანი ყეენისაგან. ამას არწმუნა მარკიზმან, უკეთუ მისცემს ციხესა და ქალაქსა ერევნისასა, ესე მისცემს მას დინაშთსა მცხოვრებთა ერევნისა სამფლობელოსა სრულიად ყმად. აღუთქუა ესე ჰუსეინ ხანმან მიცემაჲ ციხისა, გარნა ვერა ჰსცნა სიცბილი მისი მარკიზმან, წარგზავნა ღიანარალ-მაიორი ღისანდვიჩი ორი ათასითა მხედრობითა. მაშინ ჰუსეინ მოიკრიბნა მუნ გარემოს მხედრობაჲ და დამალა ჭრმიაძინსა. მიიწივნენ რა რუსნი, ეკუსთნენ სპარსნი და აოტნეს რუსნი, და სირცხვილეულიქმნა მარკიზი ესე ვითარისა უგუნურისა შეცთომისათჳს.

გარნა იყო ფრიად შეჴირვებაჲ საქართველოსა შინა რუსთა მიერ, რომელ ძვრათლ დაჰშთათ ხარი საქარუელოსა შინა რუსის ბეგარისა ზიდვისა ძლით, და მსგავსად ხარკი-

*) მთავარ მართებლობა ნ. ამან წელი იმთავრა 1.

თაცა იქმნენ დამძიმებულ, და ოდეს აზუხასა მიჰყიდდენ, ნაცულად კოდისა ერთისა იწონდიან კოდნახევარსა, ხოლო ფასთა აძლევდიან კოდში ხუთ აბაზსა, ხოლო კოდი პური იყო მას ჟამს ექვს მინანთულათ თეთრს ფულად მით, რამეთუ წელსა ამას 1812, ქ^კს ფ, იქმნა ფრიად სიყვილი საქართველოსა შინა და იმერეთსაცა, და ჭირიცა ფრიად განგრძელებულიყო, რომელიცა ტორმასოვმან შთამოიტანა ახალციხით, და ოდეს არღარა აქუნდათ პური მცხოვრებთა, და ვერ ძალ იდვეს მისყიდვად, ნაცვლად პურისა ევედრებოდნენ მცხოვრებნი, რათა მიიღონ დედაწულნი მათნი. მაშინ ტირანმან მარკიზმან ჩაუყენა ყოველსავე სოფელსა ეკზეკუცია (ესე იგი იასაულად სალდათნი) და იყო ჭირვებაჲ და ვალალებაჲ ერთა ზედან. ხოლო თჳთ წარვიდა ყარაბაღს და რა მივიდა მუნ, მოეგება მეით ხან მუნებური და მიართუა ძღვენი დიდი, ვინაჲთგან ყარაბაღიცა ეპყრა რუსთა და მართებდა თჳსივე ხანი. ხოლო ბირებითა მეითი-ხანისათა შეიპყრა მარკიზმან ძმისწული მისი, ძე მაჰმად ასანისა ჯაფარ ყული აღა, ვინათგან ბიძა მისი იყო მისი მტერი ოდეს იგი ცდილობდა მემკჳდრეობასა ზედან. ვინაჲთგან იყო იგი უფროსის ძმის შვილი; ხოლო იგი განივლტო საპყრობილით და მივიდა წინაშე აბაზ მირზაჲსა თავრიზსა, და მარკიზიცა განვიდა მტკუარსა მოსახილველად შაქისა, შირვანისა, და დარბანდისა, და ბაქუსი, მით, რამეთუ ეპყრათ რუსთა ყოველნივე ესე ადგილნი; მაშინ მახლობელ შუშისა იდგა, ასკარან წოდებულსა ადგილსა, რვა ასი რუსი დასაცუსლათ ყარაბაღისა. წარუძღუა აბაზ მირზას ზემოჰხსენებული ჯაფარყული, მივიდა აბაზ მირზა, დაესხა თავსა რუსთა, იქმნა მუნ ბრძოლაჲ, იძლივნენ რუსნი სპარსთა რეგულთა სალდათთაგან (სარბასტად სპარსებ წოდებულად), რომელცა თანა ჰყვა აბაზ-მირზას, მით, რამეთუ ხშირად შემოიღეს სპარსთა განჰსწავლება ფრანგთა მჰსგავსად მხედრობისა. მუნ იძლივნენ რუსნი, ოთხასნი უკუს მოსწყვიტნეს, ხოლო ოთხასნი შეიპყრეს ტყუსდ და წარიყვანეს თავრიზად, და ჰყვეს თჳსად სალდათად, მით, რამეთუ სხუაცა მრავალი ჰყვა აბაზ-

მირზასა რუსნი, რომელნიცა მარადის განიელტოდიან ქართლით
და მივიდოდიან წინაშე მისსა, რომელიცა ფრიად პატივსა
ყოფდა მათ. ხოლო მისვლადმდე მარკიზისა ყუბას, წარმოიშუა
მცირედ ბრძოლაჲ შორის ხანბუთაჲსა და ფათალი ხანის შვი-
ლის შვილისა დარბანდის ხანისა და რუსთა. ხოლო ესე მიხა-
ლი იყო ხანი დარბანდისა, რომელსაცა რუსთა მიუღეს ყო-
ველნივე ადგილნი, გარნა მუნც იძლივნენ მცირედ რუსნი,
და იგინიცა უკუნიქცნენ დაღისტნადმდე.

მაშინ იყო შემჴირვებაჲ დიდი ქართველთა ზედან მარკი-
ზისაგან, ესრეთ: ართმევდიან ხშირად ურემთა და ხართა სახმა-
რად მხედრობისა, რომელ კნინლა დაჰშთათ ხარი სოფელთა
შინა; ეგრეთცა სადაცა განელიდიან რუსნი, ამჴირვებდიან სოფ-
ლებთა ცემითა, ტაცებითა და რთმევითა, თჳნიერ თეთრისა,
და იყო ესრეთცა სიყჳლი, რომელ კოდი ჭური იყო ექვს
მინანთულათა თეთრს ფულად. მაშინ მარკიზმან უბრძანა წარ-
სრულისა ორისა წლისა ჭურისა მოკრეფაჲ სურსათისა კახთა-
გან, ვინაჲთგან სიმცროისაგამო მოსაელისა ვერ ძალ ედუთ
მიცემაჲ, და ბრძანა ყოველსავე სოფელსა ეკზეკუციისა შთა-
ყენებაჲ (ესე იგი იასაულთა),—ორასისა და სამასისა თითო სო-
ფელთა, და სადაცა მივიდოდიან, იყო ვაებაჲ მათ ზედან მით,
რამეთუ ჰსცემდიან დედაკაცთაცა, და ხელითა ჰკიდებდიან, და
ართმევდიან ჭურთა ძალითა. თუმცაღა კახნი ეევედრებოდიან,
რომელ მიიღონ ნაცვლად ჭურისა ექვსი მინანთული კოდში,
და რომელთაც არა აქუნდათ თეთრი შაშინ, ძეთა და ასულთა
თჳსთა აძლევდიან, გარნა უქმ იყვის ვედრებაჲ მათი, და იყო
ვალალებაჲ ერთა შორის. გარნა სხუათაცა ბოროტ მოქმედე-
ბათა შორის ესეცა ჰქმნეს, რომელ თიანეთს მთრუალთა აფი-
ცართა შეიპყრეს დედაკაცი და საშოსა შინა შთაასხეს ძაბრი-
თა ღვინო. ვერღარა მოითმინეს თიანელთა ესე ვითარი სირ-
ცხვილი, და იქმნა შფოთი შორის რუსთა და ქართველთა.
ხოლო პირველად მისცეს მიზეზი შფოთისა რუსთა, მით, რამე-
თუ დაკოდეს თიანეთს ამბოხსა ამას თიანელნი რაოდენნიმე.
იხილეს რა ესე თიანელთა, მოსწყჳტნეს ყოველნივე რუსნი,

ვიდრე ას ორმეოცდაათადმდე, და მუნით შთავიდნენ მატანსა. მაშინ არაგვს პირმანცა აღადგინა შფოთი პირისპირ რუსეთისა; შთაეხმარნენ ფშ.ველ ნი, და მოჰსწყვიტნეს ყოველნიკე მუნ მყოფნი რუსნი ფასანაურსა და ანანურსა, ხოლო კამენდანტი ანანურისა გამაგრდა ციხესა შინა. მაშინ ბარონ კლოტმან ღიანარალ-მან, რომელიცა იყო მოადგილედ მარკიზისა ტფილისსა, ვინაითგან მარკიზი ჟამსა მას იმყოფებოდა ბაქუს, წარავლინა არაგვიანთა ზედა პოლკოვნიკი უშაკოვი ათასითა მხედრობითა და მუხრანის ბატონისშვილი კოსტანტინე, ძე იოვანე მუხრან ბატონისა, წარატანა თანა, რამეთუ ესე კოსტანტინე იყო ფრიად ერთგული რუსთა და არა კეთილობისა მოსურნე საპყართა ქართუ-ლთა, და მოვიდა კობიანთ კარს, და დაესხა კობიანთ თავსა, იქმნა მუნ ბრძოლა ძლიერი, იძლივნენ რუსნი, და მოკლეს რუსი ასორმოცდაათი კაცი, და სიღამემან გაჰნყარნა. მაშინ კოსტანტინემან დაუწყო ტკბილი საუბარი, მიიტყუა ფიცით სამოცდა ათნი კაცნი არაგვის პირისანი— ჯი ესჯულო სკნიდისი!—და (რულიად მოაშთობინნა იგინი რუსთა, და მოწუა კობიანთ კარი და დუშეთი, გარდავიდა რუსთა მხედრობითა, მოწუა ანანური, პავლეური და ციხის ძირი. ჟამსა ამას მოვიდა ბულაჩაურზედა სხვა ახალი სამასი კაცი რუსთა მხედრობა. იქმნა მუნ ბრძოლაჲ, იძლივნენ რუსნი ბულაჩაურითგან, მოკლეს წინამძღუარი მათი მალალაშვილი სოლომან, ძე დავითისი, და დაჰკოდეს კაპიტანი საგინაშვილი ზურაბ, ძე პაპუასი. ჰსცნა რა კოსტანტინემან, გარდაუძღუა ანანურით რუსთა, და მოაწვევინა ბულაჩაური სრულიად. ხოლო ოდეს შთავიდნენ თიანელნი მატანს, შემოეყარნენ ამათ მატნელნი და ახმეტელნი სრულიად. მუნ მყოფნი რუსნი და რაოდენნიმე ტუსისშვილნიცა მოჰსწყვიტნეს მით, რამეთუ ეპყრათ მათ კერძოჲ რუსთა. ჰსცნეს რა ესე ყოველივე კახთა, აღადგინეს შფოთი დიდი სრულიად კახეთსა შინა, და იწყეს სვრა ყოველთა სოფელთა რუსნი, რომელნიცა იდგნენ მათ შორის იასაულად პუ რისათჳს. მივიდნენ და მოადგნენ თელავს. მაშინ გარდაიყვანეს კახთა მეფის ძის იოვანეს შვილი გრიგოლ ქართლით, და მოკ-

რბნენ ლეკნიცა ვიდრე ოთხი ათასადმდე შეჴლად კახთა. და ჰყვეს თჳს ზედა კახთა თავადი ქობულოვი ოთარ მდივანი. ჰსცნა რა ესე პარტნეგინმან ღიანარალმან, რომელიცა იმყოფებოდა საგარეჯოს, გარდააშველა თელავს მყოფთა რუსთა სამასი სალდათი ცხენოსანი დრაგუნი. მივიდნენ რა ვარდის უბანს, იქმნა მუნ ბრძოლაჲ და სრულიად მოისრნენ რუსნი იგი კახთა მიერ, და რუსთა მძღუანიცა მათი მაიორი ესიპოვი მოკლეს, და ერთიცა სხვა მაიორი და ორნი აფიცარნიცა. და მცირედნი დანაშთნი შევიდნენ ციხესა თელავისასა, რომელიცა აქუნდა რუსთა გამაგრებული, და იყო მათთანა ალექსანდრეცა მაყაშვილი, ძე სვიმონისა, ეშკაღსბაში მეფისა გიორგისა. და გარს მოადგნენ კახნი და მოკლეს პაატა ჯანდიერიშვილი მუნ ციხით რუსთა.

მაშინ ქიზიყელთაცა მოჰსწყვიტნეს რუსნი, და დანაშთნი გამაგრდნენ ციხესა სიღნაღისასა ორ დღე; შემდგომად ორისა დღისა ევედრნენ რუსნი, რათა განუტეონ მშვიდობით, და გარდაუყარესცა ფული ციხით ქიზიყელთა, რომელთაცა იავარ ჰყვეს ყოველნივე ფული იგი. მაშინ ვინაჲთგან ქიზიყელთა ვერღარა გამოუღეს ციხე სიღნაღისა, შემოსნეს მღვდელნი და მიჰსცეს სახარება და ჯვარი და შეჰფიცეს, რათა მისცენ ციხე და განუტეონ მშვიდობით რუსნი. შემჭირვებელნი რუსნი ერწმუნენ მღვდელთა მათ და გამოვიდნენ გარე. მხილველთა ქიზიყელთა უყვეს ზედა დასხმაჲ და განტეხეს ფიცია და მოჰსწყვიტნეს სრულიად, და კამადეტიცა მუნებური მოკლეს და სუდიეები (ესე იგი რუსთა მუნებურნი მდივანბეგნი), და კაპიტან ისპრავნიკიცა, და იავარჰყვეს ხაზინაჲ, ტყვია წამალი და პურნი, რომელნიცა აქუნდათ ამბართა მხედრობისათჳს. მუნით შთავიდნენ ყარააღაჯს მძღუანველობითა მამაცის სვიმონ ბებურისშვილის პაპას ძისათა და მოადგნენ ყარახაჩს, და ლამოდნენ გამოყვანასა მათსა. შემჭირდნენ რუსნი და ლამოდნენ გამოსვლასა, გარნა ლეკით წარმოსრულმან ყაფლანმან ყაფლანისშვილმან მაიორმან მოუსწრა ვაკით ათასითა მხედრობითა და დაუწყო ტკბილი საუბარი და ვედრებაჲ, და ვედრებითა

მისით განერა ყარახაჩს მყოფნი რუსნი. მუნ მოკლეს სვიმონ ბებურიშვილი და ოთარ ონანაშვილი, ძე ასლანისა.

ჟამსა ამას გარდვიდნენ კახნი საგარეჯოს. მოკრბნენ საგარეჯოელნი და ბრძვეს პარტნეგინს ღიანარალსა, იძლიეა პარტნეგინი და მივიდა ხაშმსა, ხოლო კახთა მოჰსწვნეს სადგურნი მათნი და თივანიცა რუსთანი, და მიუხდნენ ხაშმზედან, იქმნა მუნ ბრძოლაჲ შორის მიშველებულსა მხედრობასა რუსთასა, რომელსაცა მიაშველა პარტნეგინსა ღიანარალ ბარონ კლოტმ:ნ ხუთასნი უკუსე მხედრობანი რუსთანი. მაშინ იძლიენენ რუსნი და მოსწყდნენ მრავალნი და დანაშთნი წარვიდნენ ტფილისად და კახნიცა აღვიდნენ ხაშმისა თავსა სამებას. ხოლო ყაფლანმანცა დაუტევა ყარაღაჯის ციხე და წარემართა ტფილისისა კერძ მხედრობითა თჳსითა, რომელ არღარა დაშთა რუსი ქიზიყისა სამფლობელოსა შინა. ესე იყო თჳსსა თებერვალსა 5-სა, 1812 წელსა, ქ^კს ფ.

ამავე წელს 1812, თებერვლის 29, ნაკში, გარდაიცუალა მეფის გიორგის ძე ჯიბრაილ, რომელსა ეწოდა გაბრიილ, ს.-პეტერბურხს და დაფლეს ნევცკის მონასტერსა შინა.

მაშინ მარკიზი მოსრულიყო ტფილისს ბაქუით. ჰსცნა რა ესე, მოიკრიფნა ყოველსა ადგილსა რუსნი, წარემართა და მივიდა ხაშმსა, შეესივა ხაშმსა, და მოასვრევინა უბრალონი ქრისტიანენი მარკიზმან ვიდრე ასადმდე ჩჩვილითურთ მსგავსად იროდისა, და მუნ მოკლეს ხიშტითა მონაზონი აბაშიძის ასული მარიამ, დედიდაშვილი მეფისა ირაკლისა, ოთხმეოცდაათისა წლისა დედაკაცი. ჰსცნეს რა კახთა, სამებას მყოფთა, ძალის მორთუა მარკიზისა, გარდვიდნენ მთასა და მიიქცნენ თჳსადვე და მარკიზი მივიდა პატარძეულსა, მოერთო პატარძეული, გარდვიდა საგარეჯოს, მოერთუა საგარეჯო, მანავი და კაკაბეთი; მუნით შთავიდა ქიზიყს წინამძღუანველობითა ენდრონიკაანთათა. მაშინ ყაფლანცა შეეყარა მხედრობითა თჳსითა ლაკბესა ზედან, და თანა წარიყვანა მან იგინი, ვინაჲთგან მათ ეპყრათ კერძოჲ რუსთა და ონანაანთაცა ეპყრათ კერძოჲ რუსთა. ხოლო გლეხთა კახელთა ჰსცნეს რა სიცბილი თა-

ვადთა, მოწვეს სახლი სეიმონ ანდრონიკაშვილისა და მოსტ-
ყვენეს სახლიცა სოლომან ანდრონიკაშვილისა. მუნ მოერთვენენ
ქიზიყელნიცა, უფროსნი კაცნი მუნებურნი და წარვიდა ქიზიყს.
მისრულმან ნუკრიანს, მუნ მოაშთო ორი კაცი ქიზიყელი, რო-
მელიცა ყარაღაჯს შეეპყრათ რუსთა. მხილველთა ხალხთა წი-
ნამბრძოლთა, შეშინებულთა, აღიყარნენ და მიმართეს ლეკთა.
მხილველი ამისი მარკიზი ფრიად შეშინდა და მსწრაფულ წა-
რუვლინა მოურავი მათი იოსებ ანდრონიკაშვილი, ძე მელქი-
სადეკისა, რათა დაამშვიდოს ხალხი იგი და უკუნაქციოს სახ-
ლადვე თვსად, რომელთაცა მისცა პირი მტკიცე უვნებელობი-
სა. მაშინ მისრულმან იოსებ უკუნ აქცივნა ხალხნი იგი და
დაამშვიდა ქიზიყი, ხოლო მარკიზი აღიყარა ქიზიყით და წარ-
ვიდა შიგნით კახეთსა; მივიდა ჩუმლაყს, იქმნა მუნ ბრძოლაჲ
კახთაგან, იძლიენენ რუსნი. მუნ მოკლეს ვახტანგ, სიძე მეფისა
ირაკლისა, ყაფლანისშვილი, მეუღლე თეკლასი, და დასჴრეს
მუხლსა შინა ალექსანდრე, ძე გარსევანისა, ჭავჭავაძე, ვინაითგან
მათ ეპყრათ კერძოჲ რუსთა და პირის პირ მამულისა თვსისა
იყვნენ მტერ. მაშინ დაჴმუნდა ამას ზედან მარკიზი. წარდგა
ზურაბის შვილი ნინია მოურავი მარტყოფისა და უთხრა მარ-
კიზსა: „ჴიჩვენოჲ მე გზაჲ ვაკე, უკეთუ მომცე ნიჭი რაიმეო“.
ამას ზედან მხიარულ იქმნა მარკიზი, გაუძღუა მინდერის გზით
და მიიყვანა ჩუმლაყს. მივიდა რა ჩუმლაყს, მუნ სოფელსა ში-
ნა შეიპყრნა კაცნი ხუთნი და დამოკიდნა ხეთა ზედა და მო-
აშთუნა. იხილეს რა კახთა ტირანული საქმე ესე, შეიპყრეს
მათცა ხუთნი სალდათნი და ერთი აფიცარი, და მათცა მოჴკი-
დნეს ძელსა და მოაშთუნეს იგინი პირის პირ მარკიზისა, რომელ-
საცა სჴვრეტდა თვალითა თვსითა. მაშინ გრიგოლცა, ძე იოვა-
ნესი, განვიდა ალაზანს, და მივიდა ნაუტარს ანწუხელთა ლეკ-
თა თანა, ვინაჲთგან მას თანა მყოფნი თავადნიცა განივლტნენ
მისგან, და მივიდნენ მარკიზისათანა. მაშინ ზაზა ზურაბიშვი-
ლი, ძმა ნინიასი, რომელიცა იყო მეფის ძის იოვანესი სალთ-
ხუცესი და მისრულიყო მასჯამს რუსეთით და იყო მარკიზის
თანა, შეუჩინა ესე გრიგოლსა, რათა მოიყვანოს იგი; მოაცთუნა

ზაზამ და მოიყვანა იგი მარკიზთანა, თუმცაღა ანწუხელთა არა სწადდათ განტეევება მისი მით, რამეთუ არიან იგინი ფრიად ერთგულ მეფეთა თჳსთა, ვითარცა თუშნი. იხილეს რა გლეხთა ღალატი თავადთაგან, განრისხნენ და დაეცნენ თავსა რუსთა ჩუმლაყის ბოლოსა. კუალად იძლივა მარკიზი, ხოლო გლეხნიცა შეეცალნენ ჩუმლაყისა სოფელსა. დღესა მეორესა მივიდა მარკიზი ჩუმლაყს. იქმნა სოფელსა შინა ბრძოლაჲ ძლიერი, იძლივნენ ჩუმლაყელნი, და მოწყვეს სრულიად ჩუმლაყი რუსთა. ხოლო იხილ› რა მარკიზმან, ვინაითგან ვერა ძალუცს პირის პირობაჲ კახთა, ეეედრა ზავსა და აღუთქუა კახთა, რომელ მოგვარიო მეფის ძეთა თქჳსნთაო რუსეთით. ამას ზედან მხიარულ იქმნენ კახნი და ჰყვეს ზავი და მოგუარეს გაღმა მხრელთა უმეტეს სამასისა სალდათნი, შეპყრობილნი აფიცრებითურთ, რომელნიცა შეიპყრეს აბოხსა ამას, აღპარსულნი თმათანი, მით რამეთუ კახთა აღპარსნეს პყრობილთა მათ თავნი კიცხევისა-თჳს. და მიუყუანასა ზედა მეფის ძეთასა არწმუნა რა გული მარკიზმან კახთა და დამყუდროვდნენ კახნი, მომლოდნელი აღთქმისა მისისანი, რომელ განჰრინებიან ხელთაგან მოსამართლეთა და კაპიტან ისპრავნიკთა რუსთასა, უკუნიქცა მარკიზი ტფილისს და მუნით წარავლინა გრიგოლ პეტერბურხს. მისრული გრიგოლ პეტერბურლს შეიპყრა იპერატორმან და პატიმრად წარავლინა ციხესა შინა პეტრეზაოდისასა და მუნ პატიმარ ჰყვეს წელი ერთი.

59. ხოლო წელსა ამასვე 1812, ქ̄კს ფ, გარდაყენებულ იქმნა მარკიზი საქართჳლოს მართებელობისაგან, და ნაცულად მისსა *) წარიგზავნა რტიშჩევი ღიანარალ ლეიტენანტი და მას თანა წარატანეს შემწედ ღიანარალ მაიორი ახვერდოვი, პირველ ყოფილი ტფილისს გუბერნატორი, გვარითა პუპულაშვილი, ქრცხინვალელი მოსახლე სომეხი.

წელსა 1812, ქ̄კს ფ, აპრილის 22, ღამეს ბრწყინვალის კვირიაკის ორშაბათს გამოჩნდა ვარსკულავი, ლახვრის მჰსგავსი;

*) მთავარ მართებლობა 6. ამან წელი იმთავრა 4.

სხივნი აქუნდეს გარს სისხლის ფერნი წიოლად (სახე ამისი იყო ესრეთ). კუალად წელსავე ამას აღიშალნენ რუსნი და ფრანცუცნი.

ხოლო წელსა 1812, ქ-კს ფ, წარმოემართა ნაპოლეონ, იმპერატორი ფრანციისა, ბირებითა პოლშელთათა, რომელთა თავად ჰყუათ კნიაზ პონეტოვეკი მუნებური, რათა განათავისუფლოს რუსთაგან პოლშაჲ, შემჭირვებული ფრიად. მივიდა და დადგა მდინარესა მას ზედა ვისლისასა, რომელ არს საზღუარი პოლშისა და ევროპიისა. ამა ნაპოლეონს იმპერატორს ახლდნენ თანა მხედრობითა. ფრანცუცთა კიდე, კოროლი ველსფალციისა, ძმა თვისი იერონიმე, კოროლი საქსონიისა, კოროლი ბავარიისა, კოროლი ღალანდიისა, ძმა თვისი იოსებ, კოროლი ბოღემიისა, კოროლი ვირტებერღისა და კეისრისა ფერთმარშალი კნიაზ შუარცანბერღ, და შეუდგნენცა პრუსიელნი მხედრობითა თჳსითა და კოროლითა ვილღემითა და სრულიად ევროპიისა მთავარნი და თავადნიცა, სრულიად ევროპიისა მხედრობანი აღდგნენ როსიასა ზედან, ხოლო რუსთა მხარესა ზედან დაშთა მხოლოდ შვეთი. ხოლო რიცხვი მხედრობისა ფრანცუცთა და ევროპიელთა იყო ოთხასი ათასი. ესე საკოროლენი ყოველნივე იყვნენ საბრძანებელსა ქუეშე მონაპარტე იმპერატრისასა. მაშინ იმპერატორმან როსიისამან ალექსანდრემ შეჰკრიბნა მხედრობანი თჳსნი და მივიდა პოლშას. ხოლო მონაპარტეცა აღიყარა, გამოვლო მდინარე ვისლის და შემოვიდა პოლშასა შინა. თუმცაღა ჰსწადდათ მუნ ბრძოლაჲ რუსთა, გარნა არა უვიდოდათ მრავლად მხედრობაჲ, რამეთუ დროსა ამას ოსმალნიცა იყვნენ აშლილ, და იყო ბრძოლა მოლდავასა შინაცა ოსმალთა მიერ. მაშინ იმპერატორმან ალექსანდრემ დაუტევა პოლშაჲ და წარმოემართა მოსკოვისა კერძ. ამისი მხილველი მონაპარტე წარმოემართა და აღიღო ქალაქი პოლშისა ვილნა. მოვიდა მოსკოვს იმპერატორი ალექსანდრე ივლისის 14-ს, შეკრიბნა მუნ მცხოვრებნი მოსკოვისანი, და აუწყა ყოველნივე ყოფილნი და ენუკფა შეწევნასა. მაშინ მთლად როსიისა იმპერიამან მიარ-

თვეს ათ სულზედ ერთი კაცი ჯარად; ამას უწოდეს რუსთა მილიცია, ესე იგი მორიგე. ამათ ეცუათ ტანსა ყორმრალი მაუდის ჩოხები, მჰსგავსად ყაზახთა, ხოლო თავსა ზედა ებურათ ქუდი მისივე მაუდისა, მჰსგავსი ყაზახურად, და ქუდთა მათ ზედა ეკერათ შუბლზევით თითბრისა ჯვარნი. იარაღი აქუნდათ ხმალი და გრძელნი შუბნი, ხოლო აფიცართა და ღენერალთა მათთავე ეცუათ ესრეთ. ორი წილი მათგანი იყვნენ ქვევითნი, ხოლო სხუანი მათგანი ცხენოსანი ხარჯითა და იარაღითა თჳსითა კეთილშობილთა, ხოლო ვაჭართა მიართვეს თეთრი მხედრობისათჳს. ხოლო ამისა შემდგომად გამოელო ვილნა მონაპარტემან, და წარმოემართა მოსკოვსა ზედა; განჰყო ორად მხედრობანი თჳსნი მონაპარტემ, ნახევარი წარგზავნა პეტერბურღსა ზედა, ხოლო ნახევრითა წარმოემართა სმოლენცკასა ზედა. თუმცაღა ჰსწადდა კნიაზ პეტრესა იოვანეს ძეს ნაიბისასა ბაგრატიონსა ღიანარალ შეფსა, რათამცა შეებას მუნ ფრანცუცთა, ვინაჲთგან იყო ესე რუსთა მეწინავე სარდალი, გარნა ძმამან ხელმწიფისამან კოსტანტინემ არა ჰსცა ნებაჲ (ამ ჟამად შერიგდნენ რუსნი და ოსმალნიცა). ამჟამს ღრაფი ვიტღინშტეინი ღიანარალ შეფი იპოებოდა რიგისა მხარესა რუსთა მხედრობითა და პეტერბურხის აპალჩენითა, ესე იგი მორიგითა ახლითა, რომელთა ეცუათ ყაზახურათ ტანთა, მუჟიკთა წვერიანთა). ვითარცა მოვიხსენეთ ზემოდ, ამის პირდაპირ იყო ფრანცუცთა მხარეს შუარცენბერღ ფერთმარშალი კეისრისა, და დაუ, მარშალი ფრანცუცთა. მისრულთა აღიღეს რიგა ქალაქი და მოწვეს, ხოლო ციხე რიგისა აქუნდათ გამაგრებული მარკიზსა.*) თუმცაღა ბრძო ვიტღინშტეინმან მუნ, გარნა ორთავე, ვერრის მყოფელთა, დადგნენ თჳსაგან. მაშინ მოლდავითცა მოვიდა მხედრობაჲ რუსთა და დადგა პოლოცკას წინაძღომითა ჩიჩაგოვისათა. მოსრული ნაპოლეონ მოადგა პოლოცკას, აღიღო იგი. თუმცაღა რუსთა ბრძვეს, გარნა ვინაჲთგან ვერ უძლეს პირისპირობაჲ, დაუტევეს პოლოცკა

*) ესე მარკიზ არს, რომელიცა იყო ქართლს უპირველეს მართებელად.

და წარვიდნენ სმოლენცკისა კერძო. ამათ უკანა შეუდგა მონაპარტე და მოვიდა სმოლენცკს. თუმცაღა უპირველესმან მართებელმან ღრაფმან ბარკლი დეტოლმან ბრძო და განამაგრა ციხეცა სმოლენცკისა, გარნა უქმ იქმნა შრომაჲ მისი მით, რამეთუ ძლივა იგი მუნ, და აღიღეს ფრანცუცთა ქალაქი სმოლენცკისა ციხითურთ თუ©სა აგვისტოსა 6-სა, დღესა ფერისცუალებისასა, წელსა 1812, ქ©კს ფ, და მოწვეს სრულიად ქალაქი სმოლენცკი, და იავარ ჰყვეს ყოველნივე ნაქონებნი. და წარმოემართა მონაპარტე მოსკოესა ზედან დასაპყრობელად. მსმენელთა ხალხთა მოსკოვისათა იწყეს აყრაჲ და დაცლა ქალაქისა და წარვიდნენ უშორესთა ღუბერნიათა რუსეთისათა.

ხოლო წელსა ამასვე 1812, ივლისის 16-სა ღამეს გამოჩნდა ვარსკულავი ბნელი, სისხლის მჰსგავსი, და ჰყრიდა სხივთა მჰსგავსად წვიმისა სისხლის ფრად.

ხოლო წელსა ამასვე 1812, ქ©კს ფ, გარდაყენებულ იქმნა კარისაგან როსიისა ღრაფი ბარკლეი დეტოლი, უპირველესი მართებელი რუსთა არმიისა, და განიწესა მოადგილედ მისსა ღიანარალ ანშეფი ილარიონ მიხაილიჩი კუტუზოვი, მოხუცებული, წლისა 70, მთელისა რუსეთის მხედრობის მბრძანებელად, რომელიცა იდგა პირის პირ ფრანცუცთა. ესე, წარსრული პეტერბურხით, მივიდა ქალაქსა ვიაზმას, რომელიცა შორავს მოსკოვს ას სამეოცდა ათითა ვერსითა. დახუდა მუნ მხედრობანიცა რუსთანი, გამოსრულნი სმოლენცკით. ამან ჰყარნა მხედრობანი რუსთანი მუნით და მოიყვანა სოფელსა ბოროდინ სახელდებილსა, რომელიცა შორავს მოსკოვს ასისა ვერსითა, და დაიბინავა მუნ. ამისი მხილველი იმპერატორი მონაპარტე შეუდგა უკანა და ესეცა მოვიდა და დაიბანაკა მახლობელ კუტუზოვისა ორისა ფარსანგითა. ხოლო წელსა ამასვე 1812, აგვისტოს 25-სა, დღესა კვირიაკესა დაბნელდა მზე, და გარს მოივლო ორი გრკალი, სისხლის მჰსგავსი ცისარტყელასავით, და იდგა ვიდრე მწუხრადმდე, რომელიცა ესე მოასწავებდა დღისა მეორისა ბრძოლასა დიდსა და სისხლთა დინებასა.

60. წელსა ამასვე 1812, ქ-კს ფ, დღესა ორშაბათსა, მეხუთე საათსა დილას იკრთნენ რუსნი და ფრანცუზნი სოფელსა მას ბოროდინისასა, რომელიც შორავს მოსკოვით 100 ვერსით. ესრეთ ძლიერად იძგერნენ, რომელ იმისთანა ბრძოლაჲ ისტორიათაცა შინა არა იპოების: რომელნიცა მხედრობანი იყვნენ, ორისავ მხრით, მებრძოლნი რიცხვით ხუთასნი ათასნი და ექვსი ათასი ზარბაზანი. დღესა ამას ფრიად მხნედ გამოჩნდა თავადი პეტრე ნაიბიშვილი ბაგრატიონი ღიანარალ შეფი და დაიკრაცა ფრიად მუხლსა შინა, რომელიცა შემდგომად 17 დღისა დაკრესა ამის მოკუდა სეკდემბრის 12-ს სოფელსა თავადის გალიცინის ბორის ანდრეევიჩისასა, და დაფლეს მუნვე. დღესა ამას მრავალნი მოსწყდნენ ორისავე მხრით ჩ-ნებულნი ღიანარალნი, და რიცხვი ვითარ აღირიცხვის სალდათთა და აფიცართა! და გაგრძელდა ბრძოლა ვიდრე სამს საათს ღამემდე, იძლივნენ რუსნი და დანაშთნი უკუნიქცნენ მოსკოვისა მხარეს. შეუდგა უკანა მონაპარტეცა, და მიერ დღით არღარა წაპოიშუა ბრძოლაჲ. ამა გრძოლასა შინა იყო მეფის გიორგის ძე ილია, ყრმა წლისა 17, ახლად გამოსული კორპუსით აფიცრად ლეიბ ეგერის პოლკში და იყო ფრიად მხნედ. ამისივე კაპიტნად იყო ძის ძე ბაქარისა იაკობის ძე პეტრე, და ესეც მოკუდა მუნ ბრძოლასა ამას შინა, ხოლო ილია დაშთა მშვიდობით. მოვიდა კუტუზოვი მოსკოვს, განვლო მოსკოვი და განვიდა მოსკოვით ათს ფარსანგსა და დადგა მუნ, ხოლო მოსკოვიცა დაჰსცალა უპირველესმან მუნებურმან მართებელმან ღრაფ რასტოფჩინმან და გაიტანა სენატიცა და წარვიდა ვლადიმერს. მაშინ მონაპარტემან მხილველმან ამისმან, შემოვიდა მოსკოვს და აღიღო იგი სეკდემბრის 2-ს*). 1812, ქ-კს ფ, დღესა ორშაბათსა, და არარაჲმე ავნო მუნ დანაშთთა მოსახლეთა, გარნა მოსკოვი მოწუა ცეცხლითა. და დადგა მოსკოვს კრემლის სასახლესა შინა ორ-

*) ამჟამს ჩვენ მოსკოვიდამ ავიყარენით ხეკდემბრის 1 და ნიენიგოროდს წავედით, და იქ ღავიხიზნენით. რომელიცა შორავს მოსკოვით 450 ვერსით,

მეოცი დღე. მაშინ შემჭირდნენ მხედრობანი ფრანცუცთანი უსაზრდელობით მოსკოვს, წარგზავნა კალუღას სიძე თვსი მურატ მხედრობითა რაოდენითამე, რათა აღიღონ კალუღა და მუნით მოიღონ აზუღაჲ მხედრობისათვს; რამეთუ მასჟამს მუნ აქუნდათ ფრიად აზუღაჲ მხედრობისათვს რუსთა. მსმენელჟან კუტუზოვმან ამისმან მოირთუა კუალად ძალი ახლად მოსრულითა მხედრობითა და შეუდგა უკანა მურადს. ეწია რა ტარუტინს სოფელსა შინა, მუნ მამასახლისმან მის სოფლისამან დაუწუა ფრანცუცთა ტყვია წამალი სრულიად თოფხანისა. მსმენელი ამისი კუტუზოვი შეება მურადს, იძლია მურად ესე ვითარისა შემთხვევისა გამო, უკუნ იქცნენ ფრანცუცნი კუალად მოსკოვადმდე. მსმენელი ამისი მონაპარტეცა აღიყარა ოკდომდომბრის 9, მისცა ნაღში მოსკოვის ციხეს და დაიქცევა კრემლი სასახლითურთ და ეკლესია სამრეკლოჲთურთ, განვიდა მოსკოვით და წარვიდა სმოლენწკის გზით. წელსა ამას იქმნა ესრეთი ყინული, რომელ არავისა ასმიეს ესე ვითარი მძაფრი ზამთარი. შეუდგნენ უკანა რუსნი ფრანცუცთა და მრავალნი მოსწყვიტნეს, ვინაჲთგან ფრანცუცთა არღარა ძალედვათ ბრძოლაჲ სიცივისაგამო და შიმშილისა, ვინაითგან ესრეთი იყვნენ მშიერ ფრანცუცნი, რომელ ჰსჭამდნენ ურთიერთსა, და მრავალნი ივლტოდიან და მივიდოდიან ბანაკსა რუსთასა შიმშილისაგამო. დაშთათ ყოველნივე ზარბაზანნი და ურემნი მათნი. მაშინ ტორმოსოვმანცა, რომელი იყო პირველ ქართლის უპირველესი მართებელი, ამან და ვიტღინშტეინმანც ჰძლიეს ფრანცუცთა და შუარცენბერღს და განსდევნეს ამათცა პოლოცკით და სსვის მხრით ფრანცუცნი სრულიად. და მიჰყვა კუალად კუტუზოვი ვილნაჲმდე და აღიღო ვილნაცა. მუნ მივიდა იმპერატორიცა ალექსანდრე კუტუზოვთანა. მხილველმან მონაპარტემან ესე ვითარისა შემთხვევისამან, წარვიდა პარიჟს და მოკრიფნა კუალად მხედრობანი, მოვიდა და დადგა მდინარესა ზედა რეინისასა. მაშინ კოროლმანცა პრუსიისამან ვილღეიმ დაუტევა მონაპარტე და შეურიგდა რუსთა და დაეზავნენ ურთიერთს.

61. წელსა 1812, ქ-კს ფ, მსმენელთა კახთა შემოსვლისათჳს ფრანცუცთა მხედრობისა როსიასა შინა და დაპყრობისათვის მოსკოვისა, რეცა გონეს-ყე განთავისუფლება თჳსი რუსთაგან, და მოუწოდეს ერევნით მეფის ირაკლის ძეს ალექსანდრეს, რომელიცა იყო მუნ დადრგენილი ბაბახან ყეენისაგან, და აღუთქუსს პირი მტკიცე, რათა ჰყონ მეფედ თჳსსა ზედან. მსმენელი ალექსანდრე და დამარწმუნებელი კახთა წარმოემართა ერევნით თჳსითა რაოდენითამე კაცითა, გარდმოვლო მთა თრიალეთისა, ჩამოვიდა ქსილისის მთაზედ; მუნ მიეგებნენ კავთის ხეველნი და მოურავი მათი ივანე შატბერაშვილი, განიყვანეს მტკუარსა კოწახურის ფონზედ, განვლეს მუხრანი, მივიდა ბულაჩაურს, და აღვიდა თიანეთს თუსსა აგვისტოს 10-სა. მუნ მოერთვნენ ფშავ ხევსურნი და კახთა თავადნი სრულიად და გლეხნი, შთავიდა მატანს, მუნით შთავიდა შილდას, მუნ მოერთო სრულიად გაღმა მხარნი და ანწუხელნი ლეკნი და ქიზიყელნიცა სრულიად. მაშინ იდგა თელავს ტიხანოვცკი ღიანარალი, განვიდა პოლკითა ერთითა ჭინჭრიანის ფონში ალაზანში, და მივიდა შილდის ბოლოს. მაშინ შილდა განამაგრეს კახთა მივიდა ტიხანოვცკი ვენახების ორლობით და რა შიგ შეევიდა ორლობეთა, ეკუსთნენ კახნი ვენახებითგამო, იქმნა ბრძოლა ძლიერი, იძლიენენ რუსნი და მოსწყდნენ ორასამდინ სალდათნი, და მოკლეს კაპიტანი ერთი და ოთხი აფიცარი. იხილა რა ესე ტიხანოვცკიმ — უკუნქცევი მხედრობისა თჳსისა, — განფიცხნა ფრიად, რამეთუ იყო ესე რუსთა შორის ყოველთა უმამაცესი, მოიკრიბნა კუალად მასვე დღესა მხედრობანი თჳსნი, ეკუსთა კუალად კახთა მუნვე შილდას, იძლიენენ კახნი და ლეკნი, მოკლეს რუსთა ლეკთა მძღუანი მისაილ ბელადი და დასჭრეს ერასტიშვილი ალექსანდრე მუხლში, აღიღეს რუსთა შილდა და მოწვეს სრულიად; ხოლო ალექსანდრე, ძლეული, მუნით მივიდა საბუეს და დადგა მუნ, ხოლო ტიხანოვცკიცა განვიდა შილდით მხედრობითა თჳსითა, მივიდა და დადგა ყვარელში, ვინაითგან კახნი იქმნენ ფრიად განძვნებულ დაწვისათჳს შილდისა, და

ეერლარა იკადრა ტიხანოვეკიმ ბრძოლაჲ, რამეთუ უვიდოდა მცირე მხედრობაჲ. მსმენელმან ამისმან რტიშჩევმან მიაშველა ტიხანოვეკის ღიანარალი დიმიტრი ყაფლანისშვილი. ათასითა-მხედრობითა მოვიდა ქიზიყს და დადგა ნუკრიანსა შინა ათს დღეს, და ეზრახოდა კახთა ზავსა და სთხოვდა ალექსანდრესაცა, რათა მიეცათ მისთჳს, და ვინაჲთგან კახთა არა უსმინეს მას და არც ქიზიყელთა, აღიყარა დიმიტრი ყაფლანიშვილი და წარვიდა შიგნით კახეთშია საბრძოლველად ალექსანდრესასა. მისრული გურჯაანის ბოლოს, ნორჩებში დაუხვდნენ კახნი, ეკუსთნენ მუნ ძლიერად, ხოლო ქიზიყელთაცა უკანით მისა უყვეს ზედა დასხმაჲ დიმიტრის, და მოჰსწყვიდნეს რუსნი ვიდრე ორასადმდე. მაშინ ბრძოლასა ამას შეიპყრეს რუსთა ქიზიყელი ქედური მამანიშვილი იოსებ და მიიყვანეს დიმიტრისა წინაშე, ხოლო მან მოჰკიდა იგი პირის პირ კახთა მხედრობისა და მოაშთუა იგი. მხილველნი ამისნი კახნი უფრორე განძკნდნენ, ხოლო დიმიტრიცა აღიყარა მუნით და წარვიდა ტყის გზით ველის ციხესა. მისრულს შავს ტყეში დახვდნენ კახნი, მუნცა დასძლეს რუსთა და მოჰსწყვიტნეს უმეტეს ასისა სალდათნი. მხილველმან ამისმან დიმიტრიმ დააგდო გზა ტყისა და წარემართა მინდვრით, მივიდა ველის ციხეს და მოწო იგი სრულიად და დადგა ღამესა მუნ, ხოლო დღესა მეორესა აღიყარა დიმიტრი და წარემართა შიგნით კახეთსა ზედან, მუნცა მრავალგზის დახვდნენ კახნი და ავნეს ფრიად რუსთა. მხილველი ამისი დიმიტრი, უღონო ქმნილი, მივიდა ალაზანზედ და განვიდა ფაშაანს, რათა შეერთდეს ტიხანოვეკის. მისრულმან ფაშაანს, დაწო სოფელი იგი სრულიად. მისრულსა კუის წყაროს, მუნ მოვიდა ტიხანოვეკიცა ყვარელით მხედრობითა თჳსითა, და შეიყარნენ ერთად, წარემართნენ ორნივე ესე და დადგნენ შილდის ბოლოს; ხოლო ალექსანდრე იდგა საბუეს, მუნ არა წარმოიშუა ომი, აღიყარა ალექსანდრე და აღვიდა შაქრიანში, და დიმიტრიცა შეუდგა უკანა ალექსანდრეს. დაადგა მუნ დიმიტრი, აღიყარა და გავიდა კალაურს და კალაურით მივიდა ველისციხეს და იდგა ერთს კვრას, აღიყარა მუ-

ნითცა და გარდვიდა ჩალაუბანსა. მუნ მოერთო ალექსანდრეს
დაღისტნის მხედრობითა ალისკანტი, დიდი ჩინებული ლეკთა
ვძღუანი, ხუთი ათასითა მხედრობითა ლეკთათა. მაშინ დიმიტრი
და ტიხანოვცკიც შჰთამოვიდნენ და დადგნენ ანაგის ბოლოსა
კოდაზედ. მაშინ ალექსანდრე წარმოემართა ჩალაუბნით, მო-
ვიდა და დადგა მაღაროს და ენება სიღნაღის აღება, რამეთუ
სიღნაღი აქუნდა გამაგრებული მაიორს, ძმასა დიმიტრისასა, ყაფ-
ლანს, რვაასითა რუსითა, და იყო მისთანა მოურავიცა ქიზი-
ყისა იოსებ ენდრონიკაშვილი და აფხაზიშვილი ნინია და სხვა-
ნი თავადნიცა მცირენი კახეთისანი. მხილველმან ამისმან დი-
მიტრიმ განვლო წინა მხარი, ამოვიდა ზურგით კერძო პრა-
სიანზედ, ამოვლო მირზან მაჩხაანი, და მოარბივნა იგი სრუ-
ლიად. თუმცაღა მხილველთ ამისთა ქიზიყელთაცა შეუკრნეს
გზანი და მოსწყვიტნეს მრავალნი სალდათნი, გარნა იძლივ-
ნენ რუსთაგან. მაშინ აქუნდათ ლეკთა მიტანილი იერიში სიღ-
ნაღსა ზედა და კნინღა დაიპყრეს სიღნაღიცა, გარნა ამა ჟამ-
სავე მივიდა უკანით დიმიტრი და ტიხანოვცკი და დაწო მა-
ღარო, და ქედელი, და ნუკრიანი. მხილველი ამისი ალექსანდრე
უკუნიქცა მხედრობითა თჳსითა და დადგა ჩალაუბანში კუა-
ლად, ვინაჲთგან არს ადგილი ესე ფრიად მაგარი. მხილველი
ამისი დიმიტრიცა უკანა შეუდგა. მისრულმან ჩალაუბნის ბო-
ლოს, გაჰყენა მხედრობანი თჳსნი ორად, წინა მხრით წარავ-
ლინა ღიანარალ ტიხანოვცკი მხედრობითა თჳსითა, რათა უყოს
ზედა დასხმაჲ ალექსანდრეს ჩალაუბანს, ხოლო თჳთ დიმიტრი
მივიდა უკანა მხრით. ეკუჲთნენ ლეკნი კახითურთ და იქმნა
ბრძოლა ძლიერი. თუმცაღა მხნედ უყვეს ზედა დასხმაჲ რუსთა,
გარნა იძლივნენ მუნ რუსნი ორსავე მხარესა, და მოსწყდნენ
უმეტეს საჴასისა რუსნი, ხოლო დიმიტრი, ვერა რისა მყოფელი,
უკუნიქცა და მოვიდა კელმეჩურს და დადგა მუნ, ხოლო ტი-
ხანოვცკიცა აღიყარა და დადგა ლაკბეზედან. მაშინ ალექსან-
ღრემ დაუტევა ჩალაუბანი და მოვიდა მანავს. მუნ მოერთვნენ
საგარეჯოთ ვიდრე მარტყოფამდე ძირობა იგი, სად აღა-
დგინეს ამათცა რუსთა ზედან აბოხი. მსმენელი ამისი ყაფ-

ლანიშვილი დიმიტრი შეუდგა უკანა ალექსანდრეს, მიეიდა და დადგა ჩაილურს. მაშინ წარმომართებულ იყო ღუბერნატორი ტფილისისა ღიანარალ სვიმოვიჩი მხედრობითა ათას ხუთასითა, მოვიდა და შეერთდა დიმიტრის ჩაილურსა შინა, იქმნა მუნ ბრძოლაჲ ძლიერი და მოჰსწყდნენ რუსნი ვიდრე ორასადმდე, და განიყარნენ ღამესა მას თჳს თჳსად. ღამესა ამას შეუჩინეს რუსთა კაცი ალისკანტის ბელადსა და მიჰსცეს ქრთამი დიდი და აღუთქუჱს უვნებელად მხედრობითა თჳსითა განტევება, რათა წარვიდეს იგი შინა. ხოლო ალისკანტიმაც დაუტევა ალექსანდრე და განიპარა ღამესა მას მხედრთბითა თჳსითა. მხილველთა კახთა ამისთა იწყეს განბნევა თჳს თჳსად სახლთა შინა. მაშინ ორგულ ექმნა ალექსანდრეს ბარძიმ ჩერქეზიშვილი, მოვიდა დიმიტრისათანა და უთხრა, უკეთუ მომცემთ ჯილდოსა, მიგიყვანთ-უე ტყის გზით და ხელთ გიგდებთ ალექსანდრეს. მსმენელმან დიმიტრიმ მისცა როტა ერთი და ზარბაზანი ორი. გაუძღუა ბარძიმ. მისრულთა უკანით უყვეს ზედა დასხჳაჲ კახთა და განაბნივნეს კახთა მხედრობანი, ხოლო დანაშთთაცა ლეკთა გარდავლეს მთა ჭერამისა. შთასრულნი ფაფრისა მინდორსა შინა მუნ დახვდა ტიხანოვეკი, რუსთა მხედრობითა, და მოსწყვიტნა მრავალნი ლეკნი. ხოლო კახთაცა, ურცხვინოებისა სამოსლისა შემმოსელთა, ამათცა მოსწყვიტნეს ლეკნი იგი, რომელნიცა გამოხსნ სათვის კახეთისა სისხლსა აქცევდნენ. მხილველი ამისი, ულონო ქმნილი კახთაგან ალექსანდრე წარვიდა მთის გზით, და აღვიდა ფშავშია, ხოლო მუნითცა ხევსურეთს და იყო ჟამი რაოდენიმე მუნ. მყოფობასა დიმიტრისასა მანავსა შინა, მაშინ ორნი მეცხვარენი თუშნი, მომავალნი იორის პირით, იხილა ერმიმ მუხრან ბატონისშვილმან, ძემან სვიმონ ნასახჩიბაშისამან. რომელთა აქუნდათ იარაღი თუშთა მათ კეთილი, შემკული ვერცხლითა. მიზეზისა ამისთვის შეიპყრნა იგინი, და მიგუარა დიმიტრის, და შეჰსწამა ტყუილად ფიცითა, ვითარმედ ესენი იყვნესო ალექსანდრესთან, და გვესროდენ თოფსაო; რომელსაცა ერმის არა ეხილვა ბრძოლა იგი. ოი უსჯულო სვინიდისი მის! ხოლო ჰკითხეს რა თუშთა მათ,

იწყეს ფიცილი, რომელ იგინი თჳნიერ ცხვრისა თჳსისა არა ოდეს სადმე ყოფილან, გარნა არა უსმინა დიმიტრიმ ტირანმან, და მოაშთუა იგინი და მერმე დაწუნა ცეცხლსა შიგან მანავს. მაშინ დიმიტრი უკუიქცა სვიმონოვიჩითურთ. მივიდა და დადგა ლაკბეს. მუნ არწმუნა თავადისშვილთა, ვინც ვინ ალექ. სანდრესთან იყვნენ, ფიცით უვნებელობაჲ, მიიტყუა და შეიპყრნა იგინი სრულიად, და წარგზავნა ციმბირს რტიშევმან. მივიდა დიმიტრი ქიზიყს და შეიპყრა ჯალია ჯალიაშვილი, უმამაცესი ყოველთა ქიზიყთა შორის, და მოაშთუა სიღნაღს. წარემართა მუნით, შევლო შიგნითი კახეთი, და იაკარ ჰყო ყოველნივე ნაქონებნი თავადთა და აზნაურთანი, რჩევითა ენდრონიკაშვილის იოსებ ქიზიყის მოურავისათა და ნინია ერასტიშვილისათა, რომელთაცა ამათა უფრო აიკლეს კახეთი, ესრეთ: რომელ ნინია ერასტიშვილმან ძმისა თჳსისა დიმიტრის ცოლს, რძალსა თჳსსა სალომეს, ესრეთი სირცხვილეულ ჰყო, რომელ ჩახადა ნიფხავი და განუჩრიკა, უკეთუ აქუს რაიმე დამალული მას შინა ნივთი, რათა მისტაცოს მას. და ეგრეთვე მოურავმან ქიზიყისამან იოსებმაცა უყო ცოლსა ნინია ზურაბაშვილისასა, ქალსა დავით სარდალისასა ბარბარეს. რომელთაცა არა შეტნოდათ ძმათა თჳსთა ესე ვითარისა უჳუანისა ქმნაჲ და უკეთუ წვრილად აღმეწერა მათ მიერ. ტირანობაჲ, დაკლებაჲ კახთა თავადთა სახლთასი, და გლეხთა, ფრიად გავრცელდებოდა ისტორია ესე, და სიგრძისათჳს დავიდუმე. ხოლო გლეხთაცა მრავალთა მიუღო მალიჯათი ფრიად, და ეგრეთვე ზუკაკიშვილმანცა კარის წინამძღუარმან ელევთერ შეიპყრნა რაოდენნიმე მღუდელნი და დიაკონნი უბრალონი, რომელთაც ხელითა თჳსითა ჰსცემდა და აგლეჯდა წვერთა, მიიყვანა ქალაქს მიტრაპოლიტს ვარლამის წინაშე, რომელნიცა გაკრიჴნეს და წარგზავნეს ციმბირს უბრალონი სულნი. ხოლო უკეთუ მღუდელმან, რომელმანმე მისცის ასი თუმანი მიტრაპოლიტსა ვარლამს ქრთამი, იგი განტევებულ იქმნებოდის აღვიდნენ სვიმონოვიჩითა და დადგნენ თიანეთს, თუმცაღა ალექსანდრეს აწვიეს მოსვლაჲ, გარნა არა მომდობმან რუსთა

მან, დადგა ხევსურეთს, შატილსა შინა. მაშინ ჩოლაყაშვილმან აბელ, ძემან ქაიხოსროს სალთხუცესამან, იჩემა რუსთა წინაშე — უკეთუ იგი ნიჭებულ იქმნების რუსთა მიერ, აღვალს იგი ხევსურეთს და შეიპყრობს ალექსანდრეს. მაშინ რუსთაცა, დამრწმუნებელთა, წარავლინეს იგი. აღვიდა რა მუნ, სცნა ესე ალექსანდრემ, შეიპყრა და ენება სიკუდილი მისი, და ვინაადგან მამა მისი ქაიხოსრო მოკუდა ერთგულად ნამსახური ტუსაღობასა შინა რუსთაგან ტფილისს, ამის გამო მისცა იგი ანწუხელთა ლეკთა, რომელნიცა მას თან ახლდნენ, ხოლო მათ დაასხნეევინეს თავი ორას თუმან თეთრ ფულად, და მიეცა სიცბილი თჳსი თავსა ზედა თჳსსა, და არცა რაადმე მისცეს რუსთა. მაშინ წარემართა დიმიტრი და სვიმონოვიჩი და აღვიდა ფშავში. მუნ მოერთვნენ ფშაველნი რუსთა, ხოლო მუნით წარემართნენ რუსნი ფშაკითურთ, და მივიდნენ ხევსურეთს. ეკუსთნენ ხევსურნი ძლიერად, და აენეს ფრიად რუსთა, და დაჰკოდეს ძმაჲ დიმიტრისა ყაფლან მაიორი, და ვერარაადმე მყოფელნი რუსნი უკუნიქცნენ კუალად თიანეთადვე ხოლო ალექსანდრემაც გარდავლო თუშეთი და ჰშთავიდა ჭურმუტს ლეკთა შორის, და შეიწყნარეს მათ ალექსანდრე, ვითარცა პატრონი მათი, და ყეენიცა ბაბახან უვლინებდა მას როკიკსა, რომელიცა აქუნდა ყეენისაგან წელიწადში ათას ორასი თუმანი თეთრი ალექსანდრეს, და ჰსძღენიდიან კახნიცა ალექსანდრეს ჩუმადა. ვინც თავადნი, ალექსანდრესთან მყოფნი, დაიკარგნენ ციმბირს ანუ აზნაურნი, მათი სახელი ზემოთ თავის ფურცელში იხილე.

62. ხოლო წელსა ამასვე 1812, ქ^კს ფ, ოკტომბრის 20, წარმოავლინა ბაბახან ყეენმან ძე თჳსი აბაზ მირზა, რათა მწე ეყოს ალექსანდრეს კახეთსა შინა, და ჰყვა თანა ექვსი ათასი ახლად გასწავლული რეგული, რომელსა სარბაზს უხმობენ და ცხენოსანიცა ყიზილბაშთა ოთხიათასი, და ზარბაზანნი ცამეტნი ინგლიზურნი. მოვიდა და დადგა არეზ გაღმა ასლანდუზზე და ვინაადგან ესმა ძლევაჲ რუსთაგან ალექსანდრესი და წარსვლა მისი დაღისტანსა შინა, მაშინ მიუწერა რტიშჩევმან ღიანარალ-მაიორს პეტრე სტეფანიჩს კიტლერევსკის, რომელიცა

იდგა ყარაბაღს ერთითა პოლკითა ღრუზინსკის ღრნადირითა, რათა ხანიცა მუნებური მეითი წარიყვანოს თანა, და დაესხას აბაზ მირზასა. მსმენელი ამისი კიტლერევეკი წარემართა, და თანა წარიტანა ხანიცა ყარაბაღის მხედრობით ცხენოსანი ორი ათასი; შთავიდა რა, არეზსა ზედა განსდგა ჯიშირი და განიყვანა მხედრობანი თჳსნი. ხოლო განიტანეს რა თოფხანა ჯარისა მას ზედა, ჩაჰსწყდა ჯიშირი და ჩაუარდათ ორი ზარბაზანი ბატარეიანი და დაშთათ ორი მსუბუქი ზარბაზანი. ამისმან არა მჴვრეტელმან კიტლერევეკიმ დაუტევა მუნ წყალთა შინა ზარბაზანნი იგი და თჳთ წარემართა მას ზედან. გაუძღვენ წინა ყარაბაღელნი, და თავრიზის გზით ღამით უგრძნეულად მიიყვანეს ვლაგირსა ზედა სპარსთასა. გათენდა რა დილა, დაესხნენ თავსა აბაზ-მირზასა. თუმცაღა მათცა ბრძოლს, გარნა ვინაჲთგან სპარსნი არა იყვნენ მზა ბრძოლისათჳს, ამად იძლიენენ სპარსნი, მაშინ რუსთა მიუღეს 13 ზარბაზანი მათი და შეიპყრეს სალდათნი მათნი სამასნი და დროშანი დიდნი სამნი და დაჰშთათ ბანაკი სპარ თა სრულიად. განივლტო აბაზმირზა და აღვიდა ბორცუსა ერთსა ზედა და იწყო მუნ მაგრება. მაშინ რუსთა მიმართეს მას და მუნცა ჰსძლეს რუსთა ყიზილბაშთა, და წარვიდა აბაზ-მირზა ძლეული თავრიზს. ხოლო კიტლერევეკი მოვიდა ძლევა შემოსილი ტფილისს, რომელსაცა ჯილდოდ მისცა ხელმწიფემან კიტლერევეკის ღიანარალ-ლეიტენანტობაჲ. ამა ბრძოლასა შინა მოკუდა რუსთა მხედრობთაგან ცხრა აფიცარი და ოთხმოცი სალდათი თვინიერ ყარაბაღელთა.

ხოლო წელსა ამასვე 1812, ქკს ფ, განდევნა ყეენმან ბაბახან ხანი ლანქარანისა მუსტაფა ციხით და დაადგინა მხედრობანი თჳსნი, თორმეტი ათასი სარბასნი და გაამაგრეს ამათ ციხე ლანქარანისა. რამეთუ ესე მუსტაფა-ხან შესრულიყო საფარველსა ქუჱშე რუსეთისასა, რომელიცა იყო ღიანარალ-მაიორი და აქუნდა როპიკიც ხუთასი თუმანი რუსთაგან; ესე ლტოლვილი მოვიდა და შეჰსჩივლა რტიშჩევსა. მაშინ რტიშოვმან წარატანა ამას ღიანარალ-ლეიტენანტი კიტლერევეკი

მხედრობითი თუსითა ორიათასითა. მივიდნენ და მოადგნენ გარს ციხესა ლანქარანისასა. მაშინ კიტლერევეკიმ უყო ზედა დასხმაჲ: მიუდგა კიბენი და აღვიდნენ რა სალდათნი, იძლიენენ რუსნი ყიზილბაშთაგან, და მოჰსწყლნენ მრავალნი რუსნი, ხოლო აფიცარნი ჩვიდმეტნი, და დაჰკოდეს ყბასა შინა ფრიად კიტლერევეკიცა. მაშინ მაიორმან აფხაზიშვილმან ივანემ, ძემან ნიკოლოზისმან, აღიყვანა მეორე ბატალიონი რუსთა, მივიდა სხვის მხარესა ზედა, აღვიდა კიბეზედ და შთავიდა ციხესა შინა და მიმართა კარსა ციხისასა, განახუნა კარნი ციხისანი, და შევიდნენ დანაშთნიცა სალდათნი, მოსრნეს მუნ რაოდენნიმე ყიზილბაშთა მხედრობანი, და სხვანი განივლტნენ მუნით, ხოლო რუსთა დაჰშთათ ყოველნივე მუნ თოფხანანი და ალაფი აზუღაჲურთ, და რაოდენნიმე ხაზინანი; მიიყვანეს მუსტაფა-ხანი და დასვეს კუალად ხანადვე, და დააყენეს მუნ რუსთა პოლკი ერთი, ვინაჲთგან არის ლანქარანი კასპიის ზღვის პირსა ზედან, ხოლო კიტლერევეკის ჯილდოდ ამისა ღბოძეს ჯუარი წმიდისა გიორგისა მეორე ხარისხისა, ხოლო ხანსა მას ლანქარანისასა დაჰსდუსს ხარკი რუსთა, ვითარცა სხვათა ხანებთა მებრ.

წელსა ამასვე 1812, ქ^კს ფ, ნოემბრის 28, ღამესა 9 საათსა მოწმენდილს ჰაერზედა გამოჩნდა მთოვარე ამ სახედ და ვიხილეთ ყოველთა. და ჰკვირობდნენ მთელნი ხალხნი მის ქალაქისანი, მოსკოვის აღების შემდგომად. დაბეჭდილარს ესე რუსთა მიერ (იუნო შესტვიის წიგნსა შინა). სახე ამა ხილვისა იყო ესრეთ.

მეორედ გამოცხადება მთოვარისა ცასა ზედან, რომელიცა იხილვებოდა მოსკოვით დეკემბრის 5, წელსა 1812, და ღამის 8 საათიდამ იხილვებოდა მოწმენდილს ცაზედ ვიდრე ათის საათის შესრულებამდე. სახე ამისი. ესეცა დაბეჭდილარს იმ იუნოშესტვის წიგნშია.

წელსა ამასვე ნოემბერში გარდაიცუალა მოსკოვის მიტროპოლიტი ბრძენი პლატონ, მოხუცებული ღრმად, ტროიცის ლავრასა შინა, და მოადგილედ მისსა ჰყვეს არხიეპისკოპოსი ალვისტინე. ხოლო წელსა ამას სრულიად განსდევნეს რუსთა

ფრანცუცნი სამზღუართა თჳსთაგან.. მივიდნენ და შეერთდნენ იმპერატორნი ალექსანდრე და პრუსიის კოროლი ვილღეიმ, და დაწინდა ძმა თჳსი იმპერატორმან ალექსანდრემ ნიკოლაოზ ასულსა ზედა პრუსიის კოროლისა ვილღეიმისასა ზედა შარლოტაზედ და ამით იქმნა უფროორე შეერთება მათი. ესე ორნივე წარემართნენ საქსონიასა ზედა მხედრობითა თჳსითა.

63. ხოლო წელსა ამას 1813, ქ-კს ფა, აპრილის 18 მოკუდა კუტუზოვი (რომელსაცა მისცეს უკანათლებულესი კნიაზობაჲ ტიტულად სმოლენცკისა) და ნაცვლად მისა მიიღო თჳთ იმპერატორმან ალექსანდრემ წინაძღომობაჲ და მართუა მხედრობისა თჳსისა. ხოლო ნაიბად თჳსსა ჰყო კუალად ბარკლიდეტოლიევ.

ხოლო წელსა ამასვე 1813, ქ-კს ფა, წარემართნენ რუსნი და პრუსიელნი, მივიდნენ და მოადგნენ საქსონიის ქალაქს დრეზდინს, ჴალიღეს იგი ბრძოლითა. თუმცაღა მრავალნი მოსწყდნენ მუნ მხედრობანი რუსთა და პრუსიელთანი, გარნა დაიპყრეს იგი იერიშითა თუჲსსა აპრილსა 13 დღესა წმიდისა აღდგომისასა. მუნითგან მონაპარტეცა მახლობელ საქსონიისა წარმოემართა მხედრობითა თჳსითა, მოვიდა საქსონიას, ეკუჲთა რუსთა და პრუსიელთა ძლიერად, იძლივნენ რუსნი და პრუსიელნი, და უკანა ჰსდია სამს მილზედა. გაბრუნდა მუნით მონაპარტე, მოადგა დრეზდინსა, და აღიღო ქალაქი დრეზდინი მონაპარტემ, ივლისის 5. უკუქცეულნი რუსნი და პრუსიელნი მოვიდნენ და დაიბანაკეს ლეიპციხს. მაშინ იმპერატორმან ჰსთხოვა შერიგება მონაპარტეს 40 დღის ჰეემანითა, რომელსაც დართო ნებაჲ. მაშინ იმპერატორი ალექსანდრე ეზრახოდა კეისარს ფრანცს, სიმამრსა მონაპარტესასა, რათა იგიცა შეერთდეს და განდევნონ მონაპარტე, და მიიღოს ადგილიცა თჳსი, რომელიცა აქუნდათ დაპყრობილი ფრანცუცთა. მსმენელი ამისი ეთანხმოვა რუსთა და შერიგდა რუსთა და პრუსიელთა, მოვიდა თჳთცა ლეიპციხს და ჰყო პირი თჳსი მტკიცეთ რუსთა და პრუსიელთა თანა, მიჰსცა მხედრობაჲ თჳსი. დადგნენ სამნივე ერთათ. მსმენელი ამისი მონაპარტე წარმოემართა მათ ზედა.

ეკუსთნენ ესენი ურთიერთს. იქმნა ბრძოლა ძლიერი და სასტიკი, თუსა ოკდომბერსა 19, და იყო ბრძოლა ესე უსასტიკესი ბოროდინისა. განგრძელდა ბრძოლა ესე სამს დღეს და ღამეს, იძლივა მონაპარტე. მაშინ სამნივე ხელმწიფენი იდგნენ — კეისარი ფრანც, იმპერატორი ალექსანდრე და კოროლი პრუსისა ვილღეიმ — ერთს მაღალს ბორცუსა ზედან და ჰსჰვრეტდენ ბრძოლასა ამას. მივიდა რა მახარობლად შუარცენბერღ, ფერთმარშალი კეისრისა, მაშინვე საჰნი ესენი გარდაჰხდნენ ცხენით და დაიჩოქეს მუხლზედ და თაყვანისცეს ღმერთსა, და აღიპყრეს ხელნი თჳსნი ზეცად მიმართ, და სთქვეს: „ჩუსნთანაარს ღმერთი“ სამგზის. და ესრეთი მადლობა შეჰსწირეს ღმერთსა ძლევისათჳს მონაპარტესა. მიზეზითა ამით, რამეთუ ყოველნივე ევროპიისა ღერცოლნი და კოროლნი, თჳნიერ ფრანციისა და საქსონისა, და რაოდენნიმე პოლშისა მხედრობანიცა იყვნენ მომხრე მონაპარტესი, ხოლო დანაშთნი ევროპელნი კეისარითურთ და პრუსით და რუსნი იყვნენ პირის პირ მონაპარტესა. ძლეული მონაპარტე წარვიდა ფრანციასა შინა, ხოლო იმპერატორთა და კოროლთა, შედგომილთა უკანა, მივიდნენ, დრეზდინს მოადგნენ. მუნ მოკლეს მორო ღიანარალი ფრანციისა, ჩინებული მძღუანი, რომელიცა განტოლვილი იყო მონაპარტესაგან და იყო ამერიკას, რომელიცა მუნით მოეყვანა იმპერატორს ალექსანდრეს და იყო მასთანა. აღიღეს დრეზდინიცა და სხვა ციხენიცა, რომელიცა ეპყრათ ფრანცუცთა, წარემართნენ მუნით და დაიბანაკეს მდინარესა ზედან რეინისასა, რომელიცა მდინარე ესე არს სამზღუარი ფრანცუცთა და ევროპიელთა.

64. წელსა ამას 1813, ქ-კს ფა, იძულებულმან ბაბახან ყეენმან წარმოავლინა ხანი თჳსი აბულ ჰასან ხან შირაზელი. ესე მოვიდა ყარაბაღს. და რტიშჩევიცა შთავიდა ტფილისით. შეიყარნენ ზებას გულისტაანზედ, მუნ დაზავდნენ სპარსნი და რუსნი, მიჰსცეს ურთიერთს ტრაკტატი შერიგებისა, განაწესეს სამზღუარნი ესრეთ: არეზის პირი, მილრი და შორაგალი, რომელიცა დაჰშთათ რუსთა; სახანონი: 1. ყარაბაღი 2. განჯა

3. შაქი და შირვანი, 4. ბაქუ, თალიში, ლანქორანი, დარბანდი და დაღისტანი სრულიად, 5. ყუბა. გარდა ამისა სრულიად საქართუ̆ლო 6. იმერეთი 7. მეგრელია 8. აფხაზეთი 9. გურია 10 სამზღუარით მათითურთ (რომელსაც ქუ̆ვით მოვიხსენებთ სახელდობრივ) წერილთა შინა მათთა აღთქმათა, ხოლო ყიზილბაშთა დაჰშთათ ერევანი და ეჩმიაძინი და არეზით ხურდა ფირინის ხიდს გაღმართ. რომლისა გამო იქმნა მშვიდობაჲ საქართუ̆ლოსა შინა და სპარსეთს. უკუნ იქცა მუნით აბულ ასან-ხან, ხოლო რტიშევიცა მოვიდა ტფილისს.

ხოლო წელსა ამასვე 1813, ქ̆კს ფა, ივნისის 1, დღესასწაულსა სულის წმინდის მოსვლისასა, მზემან 12 საათზედ შუადღისასა ორი მგურგალი გრკალი შემოიცვლო გარს ცისარტყელის მჰსგავსი, ხოლო ამას გარს ევლო მგურგული გრკალივე ნათლის ფერი, ხოლო ოთხსა კუთხესა ზედან აქუნდა ბურჯის მჰსგავსად ორი წითელი და ორი თეთრი ყოველსა კუთხესა ზედან, ჰაერი იყო ფრიად განწმენდილი, და იხილვებოლა ესე ნიჟნა ნეოგოროდის ქალაქიდამა და მოსკოვიდამანცა, და იდგა მზე ესე 12 საათიდამ ვიდრე მზის ჩასვლადმდე, ხოლო ოდეს შთავიდა მზე, ესეცა მათ თანა შთაყვა.

კუალად წელსა ამასვე 1813, ქ̆კს ფა, ივლისის 7, ღამეს, საათსა 11 კვირას აღმოსავლეთისა გამოჩნდა ვარსკულავი დიდი, სისხლის ფერი წითელი, და იდგა კჳრა ერთი.

65. წელსა 1814, ქ̆კს ფბ, იანვრის 1 იდღესასწაულა იმპერატორმან ალექსანდრემ დღესასწაულობა ახალწლისა მდინარესა ზედან რეინისასა, და ანიჭნა მხედართ მძღუანთა თჳსთა ღირსებისამებრ, ვითარცა სახელ̆ნი, ეგრეეე ნიჭნი და კავალერნი, ხოლო დღესასწაულსა წმიდისა განცხადებისასა, 6 იანვარს, აკურთხებინა მდინარე იგი რეინისა, რომელ არაოდესმე არა შესრულიყვნენ მუნ რუსთა მხედრობაჲ; რომელიცა დასდუე დღე იგი მოსახსენებლად როსიასა შინა; და განუცხადა მხედრობასა თჳსსა მუნ წასვლაჲ პარიჟსა ზედა, სადაცა მოსრულთა რუსთა იწყეს დღესასწაულობაჲ და აღუთქუ̆ს უკანასკნელ სისხლადმდე ბრძოლაჲ ფრანცუცთა. წარემართნენ რა ესენი ფრანციასა

ზედა, არა რაჲმე ავნეს სოფლებთა და შენობათა. მსმენელმა ამის მონაპარტემანცა შეკრიბნა დანაჰშთნი მხედრობანი თჳსნი და დადგა მახლობელ პარიჟისა, და სთხოვა სენატსა თჳსსა, რათა მოჰსცეს მწე ყოფაჲ და მხედრობანი ახალნი და აღუთ-ქუა ფიცით ძლევაჲ მტერთა თჳსთა. თუმცალა ჰსწადდა სენატსა მიცემა ჯარისა, გარნა ვინაჲთგან უშინაგანესი მისი მინისტრი ტალერან ეკმნა ორგულ მონაპარტეს, ამან არა აუფლა ფრან-ცუცთა შეწევნა მისი, ვინაჲთგან ერჩდნენ ამას ფრანცუცნი ფრიად. წარემართნენ რა სამნივე ხელმწიფენი ესე პარიჟსა ზე-და, მიიწივნენ რა ფარსანგსა ათსა პარიჟსა ზედან, მუნ მოეგება კუალად მონაპარტე დანაშთითა მხედრობითა თჳსითა. იკუსთ-ნენ მარტის 14 და მოსწყდნენ ორსავე მხარეს მხედრობანი მრაველად. იძლივა მუნ მონაპარტე და არღარა შეეიდა პარიჟსა შინა, ვინაჲთგან ქალაქი პარიჟი მოსცეს სენატმა იმპერატორ-თა (კაპიტულაციითა, ესე იგი პირობითა უენებლობისათჳს ქა-ლაქისა). ხოლო მონაპარტე სხვით გზით წარმსვლელი მივიდა ქალაქსა რომელსამე, რომელიცა შორავს პარიჟს სამოცითა მი-ლითა, დადგა მუნ მხოლოდ დანაშთითა მხედრობითა ცხრა ათა-სითა პოლშელითა, რამეთუ პოლშელნი ფრიად ჰსდგ'ენ ერთ-გულებასა ზედა მონაპარტესასა.

ხოლო წელსა 1814, ქ'კს ფებ, მარტის 19, დიდმარხჳს მეექვსე კვრის ხუთშაბათს დღესა შეეიდნენ პარიჟსა შინა დი-დისა დიდებითა და მხედრობითა თჳსითა სამნივე ესე ხელმწი-ფენი—იმპერატორი ავსტრიისა ფრანც, იმპერატორი როსიისა 1 ალექსანდრე, კოროლი პრუსიისა ვილღეიმ, და სხვანიცა შეერთებულნი ამათნი წერილნი კოროლნი და თავადნი ევრო-პიისანი. ხოლო ფრანცუცთაცა იდღესასწაულეს დღესასწაულო-ბაჲ შესვლისათჳს მუნ სამთა ამათ ხელმწიფეთათჳს. მაშინ სამ-თავე ამათ ხელმწიფეთა თანხმობითა ფრანცუცთათა მიუწერეს მონაპარტეს, რათა აღიხადოს ტიტული იმპერატორებისა, და განუწესეს წელიწადში ექვსი მილიონი თუმანისა სარჩოდ, და რათა იცხოვროს კუნძულსა შინა ᲔᲚᲑᲘᲘᲡᲐᲡ თავისუფლად, და მიჰსცეს კუნძულიცა იგი მას..

მსმენელი ამისი ნაბოლეონ მონაპარტე, ულონო ქმნილი, ეთანხმავა ამას, და წარვიდა კუნძულსა Ცელბისსა.

მაშინ წელსა ამასვე 1814, ქ^კს ფბ, მოიყვანეს სამთავე ამათ ხელმწიფეთა მემკვდრე ძეUლი ბორბონი ლუდოვიკ 17 ანკლიით, რომელიცა დროსა პარიჟის ბუნტისასა იყო მუნ გარდავარდნილი, ვინაჲთგან ძმა ამისი ლუდოვიკ, კოროლი მუნებური, მოკლეს ფრანცუცთა. მიეგებნენ სამნივე ესე ხელმწიფენი და წარჩინებულნი ფრანცუცთანი; შემოიყვანეს ლუდოვიკ პარიჟში და დასვეს კუალად კოროლადვე, აფიცეს ფრანცუცნი მხედრობითურთ ერთგულებასა ზედან მისსა. და მიუღეს ყოველთაე ხელმწიფეთაცა ადგილნი იგი შენაძენნი, რომელიცა დაეპყრა მონაპარტეს და დაიპყრეს თვისივე თვისად, და უკუნიქცნენ თვისადვე, ხოლო ჰოლშაჲ დაშთათ რუსთა სრულიად.

ხოლო წელსა ამასვე, ივნისის 14, შოვიდა ძლევა შემოსილი ფრანცუცთა ზედა იმპერატორი ალექსანდრე პეტერბურხს, ხოლო მოქალაქეთა შეუმზადეს კარი (ტრიუფალი), ესე იგი ძლევა შემოსისა, გარნა ხელმწიფე ამას არა მნებებელი დიდებით შემოსვლის. გარნა სენატმანცა შეუმზადა ტიტული და არც ესე მიიღო, და შემოვიდა უბრალოდ, მივიდა ყაზანის ეკლესიასა შინა, ახდევინა პარაკლისი მადლობისა და მივიდა სასახლესა თვისსა.

ხოლო წელსა 1814, ქ^კს ფბ, ყეენმან ბაბა ხან წარგზავნა კარსა ზედან როსიისასა მინისტრად აბულ ჰასან ხან შირაზელი, ნაიბი ვეზირისა და თანა წარატანა შერიგებისა (ტრაკტატიცა). და თანა წარატანა მოსაკითხავად და მისართმევად იმპერატორისად არმაღანნი ძვირფასსნი, და სპილო ორი აღკაზმული, და ცხენნი 14 საუკეთესონი. ესე მოსრული მოსკოვს, მიიღეს დიდისა დიდებითა, რომელიცა იდგა მოსკოვს თUს 4.

ხოლო წელსა 1814, ქ^კს ფბ, აგვისტოს 1, ღამეს შაბათსა, რომელიცა განთენდებოდა კვირა, ცისკრის ჟამს აღმოვიდა ვარსკულავი ერთი პეტერბურხს ცეცხლის მჰსგავსი, ხილვითა დიდი და ამ სახედ იხილვებოდა შეცვლითა: 1. იწვიმა

ცეცხლი წვიმის მჰსგაგსად, 2. შეიცუალა გრძელს ტახტსავით მჰსგავსად კანააფისა, 3. შეიცუალა სტოლის სახედ, 4. შეიცუალა სკამივით და კუალად ყ'ara ნაბერწკალი ცეცხლისა, 5. მთოვარის სახედა შეიცუალა, 6. განიფანტა და იქმნა კუალად ვარსკვლავადვე. ხოლო ამისა შემდგომად მეორეს ღამეს შემდგომად ამავე ღამესა აღმოვიდნენ ორნი ვარსკულავნი, ერთი აღმოსავლეთით და მეორე დასავლეთით, ცეცხლის მჰსგავსნი, რომელთაცა აქუნდათ კუდნი გრძელი, მჰსგავსი კომეტისა, და დაახლოვებულთა ერთი ერთისადმი, მიაბჯინეს თავი ერთმანეთსა, და იდგნენ ესენი ამ სახედ ერთ საათს ანუ უფრო მეტს. ხოლო ამათგან იხილვებოდა მრავალნი სხვა და სხვა ფერნი სახენი. ესე ვარსკულავი გამოჩნდა პეტერბურხსა შინა. მაშინ ყოველთა ასტრონომოსთა მუნებურთა იწყეს გამოძიებაჲ და ვერა ჰპოეს, რომელ ყოფილიყოს ოდესმე ესე ვითარი ვარსკულავი და ჰკვირვებდნენ ამას. ესე ნაცილ ნურავის ეგონოს, რომელ ნანდვილ იყო ესე და სრულიად ხალხმან მან ქალაქისამან იხილა იგი.

წელსა ამასვე აგვისტოს 25 ღამეს სამშაბათს დაბნელდა მთოვარე, და გარს გრკალი შემოივლო სისხლის ფერი, ესეცა პეტერბურხსა შინა. ხოლო წელსა 1814, ოკდომბრის 12, ღამესა ორშაბათს აღმოსავლეთის მხარეს გამოჩნდნენ სვეტნი ნათლისანი მრავალნი და აღიწეოდა სიმაღლე მათი ზეცადმდე და იხილვებოდა მათგან მრავალ სახედ ცულილებაჲ, და მრავალი რიგი ნაკუსთები, რომელიცა შეუძლებელ იყო თვითეულისა აღწერაჲ. ესეცა იყო საკთ-პეტერბურხსა შინა, და იხილეს ყოველთა მცხოვრებთა პეტერბურხისათა.

ხოლო წელსა ამასვე 1814, ქ'კს ფბ, ნოემბრის 2, ღამეს ორშაბათს გამოჩნდა ნათელი ალექსანდრეს ნევეკის მონასტერში პეტერბურხს წმიდის იოვანე ოქროპირის ეკლესიის გუნბათში შიგნით, და იდგა შვიდს ღამეს.

ხოლო წელსა 1814, ნოემბრის 12, ამავე წელს ღამესა 4 საათს შუალამისას აღმოვიდა თეთრათ მგურგლად ნათელი ერთი საკთ-პეტერბურხს აღმოსავლეთის მხრიდამ და განანათლა

სრულიად ცაჲ და აქუნდა გრგვინვა ვითარცა ზარბაზნისა. ღამე იგი იყო ფრიად ბნელ და ნისლიან, და განანათლა ცაჲ ვითარცა მზემან. რომელსაცა ზედა ჰკვირობდნენ ყოველნივე მუნ მცხოვრებნი წელსა ამისთვის ცისა პლანეტისა ცვლილებასა ზედან.

ხოლო წელსა ამასვე 1814, ქ^კს ფბ, ოკდოჰბრის 27, ღამესა ოთხშაბათს, საათსა 12, გარდაიცუალა მეფის ირაკლის ძე ვახტანგ პეტერბურხს და დაფლეს ნეოცკის მონასტერსა შინა, ხარების ეკლესიასა შინა.

კუალად წელსა ამასვე 1814, ქ^კს ფბ, აგვისტოს 30, იმპერატორმან ალექსანდრემ მიუღო მამული ქსნის ერისთჳს 'მვილებს—ქსანი, ლიახჳ და გვერდის ძირი, და ჰყო კუალად სახასოდვე, ვითარცა იყო პირველ ჟამსა შინა დროთა მეფისა ირაკლისათა და ძისა მისისა მეფისა გიორგისასა. ხოლო ამანვე იმპერატორმან დასო ალაევერდელად ფიცხელაური დოსითეოს, ძე არჯევნისა, და უწოდეს არხიეპისკოპოზად თელავისად და კავკასიისა; რომელიცა დიდისა ლიახჳთ-მოკიდებული მთა კავკასიისა და კახეთი, თჳნიერ ქიზიყისა, მიჰსცეს ეპარხიად და განაწესეს მოქცევისათჳს კავკასიელთა (კომისიაჲ), ესე იგი მართებლობაჲ, და არწმუნეს ამასვე დოსითეოსა საქმე ესე.

66. წელსა ამას 1815, ქ^კს ფგ, თებერვლის 14, კუალად უკუნ იქცნენ რა თჳს თჳსად ხელმწიფენი ფრანციით, შეკრბნენ წარჩინებულნი ფრანციისანი და მოუწოდეს კუალად მონაპარტეს იმპერატორსა კუნძულით Ѳელბით, რომელიცა ჰსცხოვრებდა მუნ, ვითარცა ზემოთ მოვიხსენეთ, – რათა მივიდეს და დაიპყრას ტახტი თჳსი. მსმენელი ამისი მონაპარტე გამოვიდა მუნით და მივიდა ქალაქსა ტულონს, რომელიცა სდგას ზღვისა კიდესა. შეკრბნენ მუნ მხედრობანიცა ფრანცუცთა და პოლშელთანი. წარმოემართა და დაიპყრა ფრანცია, მოვიდა და დადგა მახლობელ პარიჟისა. ხოლო წელსა ამასვე 1815, თებერვლის 15, გამოჩნდა კუალად კომეტა ვარსკულავი ფრანციისა კერძ. მოვიდა მონაპარტე მოადგა ქალაქსა ლიონს და აღიღო იგი იერიშითა, რომელიცა აქუნდა ბორბანსა გამაგრე-

ბული. მოვიდა პარიჟსა ზედა და მოადგა რა, შიშვნეულ იქმნა ბორბონი, კოროლი ლუდოვიკ, განიელტო პარიჟით და მივიდა ღალანდიასა შინა. და დაიპყრა მონაპარტემ კუალად პარიჟი და მოირთო ძალი და განძლიერდა უმეტეს პირველისა.

ხოლო წელსა ამასვე 1815, ქ-კს ფვ, თებერვლის 7 მოკუდა მეფე იმერთა სოლომან, არჩილის ძე, ლტოლვი-ი რუსთაგან ტრაპიზონს, და დაფლეს მუნვე. ამან წელი იმეფა იმერეთსა შინა 21.

ხოლო წელსა ა-ასვე თებერვლის 15 კუალად გამოჩნდა ფრანციის მხარეს ვარსკულავი კომეტა ხოლო წელსა ამასვე მარტის 9 ღამეს გამოჩნდა პეტერბურხს ვარსკულავი გრძელკუდა და არა კომეტა, ბნელი იყო ეს ვარსკულავი, და იყო ბნელ წითლად; ესე რუსთა გამოჰსცეს გაზეთსა შინა და ასტრონომოსთაგანცა იყო განზომილ, რომელსა სიგრძესა ამის კუდისასა სწერდნენ 2 ღრადუსად.

ხოლო წელსა ამასვე 1815, ქ-კს ფვ, სეკდემბერში კუალად წარემართა იმპერატორი ალექსანდრე მხედრობითა თჳსითა ფრანცუცსა ზედა; მივიდა რა სამძღვარსა ზედა ფრანცუცთასა, მოიწვია კეისარი და პრუსიის კოროლი, და მიუწერა ანგლიის კოროლსაც, რათა იგი მწე ეყოს, ხოლო მან წარმოავლინა ფელთმარშალი თჳსი ველინხტონ მხედრობითა ჴრავლითა. ესე ველიხტონ უწინ მივიდა ფრანცუცთა შინა. ხოლო პრუსიის კოროლმანცა წარავლინა მსწრაფლად მხედრობითა თჳსითა ფელთმარშალი თჳსი ბლუხერ, მივიდა ესეცა და შეერთდა ველიხტონს, ამათ უყვეს ზედა დასხმაჲ მონაპარტეს. იქმნა ბრძოლა ძლიერი და სასტიკი, იძლია მონაპარტე და განიბნივნენ მხედრობანიცა მისი. მხილველი მონაპარტე ესე ვითარისა უბედობისა თჳსისა, მივიდა თჳთ ველიხტონთან ანგლიის ფერთმარშალთანა, ხოლო მან შეიპყრა და წარავლინა ლონდონში. მაშინ სამნივე ხელმწიფენიცა მივიდნენ პარიჟსა შინა, დაამშვიდეს ფრანცუცნი. და მიუწერეს კოროლსა ანგლიისასა გიორგის, რათა მონაპარტე ჰყოს პყრობილად კუნძულსა შინა წმიდისა ელენესასა, რომელ არს კუნძული ესე უკიანისა

ზღვისა შუა გულობას, და მიიყვანეს კულად ლუდოვიკვე და დასვეს კოროლად, და დაუყენესცა მჩედრობანიცა თჳსნი წელს რაოდენსამე, ვინათგან განმტკიცდეს იგი ტახტსა თჳსსა ზედა, ხოლო ანგლელთაცა წარავლინეს მონაპარტე კუნძულსა მას შინა და განუწესეს როკიკი იგივე, ვითარცა აქუნდა ელბასა შინა, ხოლო კეისარმანცა წარიყვანა ქალი თვისი და ყრმა მონაპარტესი, სახელად მონაპარტეევე, და ზრდიდა თვით. უკუნიქცა ფრანცით იმპერატორი ალექსანდრე და განვიდა ლონდონში და იყო ჟამ რაოდენიმე, კუალად მუნით უკუნიქცა და მოვიდა პეტერბურღსავე.

ხოლო წელსა 1815, ქ-კს ფგ, მაისის 3, ღამესა ორშაბათს, საათსა 10, დასავლეთ-ს მხარითა წამოვიდა ფრენითა სიმაღლესა ზედა ქალაქისა 30 საჟენზედ; იხილვებოდა ვარსკულავი ერთი, რომელსა აქუნდა თავი გუსლისა, ხოლო ბოლო მისი იყო გრძელი და მჰსგავსი ცეცხლისა, რომელიცა აფრქჳსვდა ცეცხლსა. ესე ვარსკვლავი წარმოსრული მოვიდა პეტერბურხს, და შთავიდა ციხესა შინა პეტერბურხისასა, სადაც არს რუსთა იმპერატორთა სასაფლაო, და მუნ უჩინო იქმნა. ესე ტყუილი ნურვის ეგონება, სწორეთ ჭეშმარიტად ვნახეთ მუნ ყოველთა საზოგადოთა ხალხთა პეტერბურხისათა.

ხოლო წელსა ამასვე მაისის 15 პეტერბურხში იწვიმა ციდამ გოგირდი, რომელიცა არვის ასმიეს ესე ვითარი ნახვაჲ.

ხოლო წელსა ამასვე 1815, ქ-კს უგ, აგვისტოს 11 ღამეს გამოჩნდა კუალად აღმოსავლეთის მხარეს ვარსკულავი ერთი დიდი, მჰსგავსი ცეცხლის ფერისა.

წელსა ამასვე, აგვისტოს 15, კვირიაკესა, საათსა 10 ბმოლნის მონასტრისა ეკლესიასა შინა გუნბათზედ ზეცით ჩამოვიდა ნათელი მგურგულად, ვითარცა ბურთი. ესე ნათელი იდგა მას ზედა ვიდრე ორ საათამდე, ესე მრავალთა ხალხთ იხილეს, და ჭეშმარიტი არის ესე, ხოლო ამაღლდა კუალად ნათელივე იგი ზეცად.

ხოლო წელსა ამასვე 1815, აგვისტოს 4, იქმნა ესეცა საკჳფრო საქმეჲ, რომელიცა არაოდეს მომხდარა, რომელ

ეწვიმოს ცასა სეტყვა ქვსა, რომელიცა წელსა ამას, აგვსტოს 4, იწვიძა სეტყვა ქვისა რუსეთში თუ§რის გუბერნიაში, სიმ-ძიმით ფუნთამდინ, სოფელსა ერთსა და არა ყოველგან, და ვინცავინ ხალხნი იყვნენ გარე მას ჟამს, იგინი იქმნენ მოწყუ§-ტილ მისგან.

წელსა ამასვე 1815, დეკემბრის 20, მიიღო დიდის ცე-რემონიით მოსრული ელჩი სპარსეთიო აბულ ჰასან ხან შირა-ზელი იმპერატორმან ალექსანდრემ პეტერბურხს და არმაღანნი იგი წარმოგზავნილნი ბაბახან ყეენის მიერ (ამას უწოდებენ ფათალიშად). რომელიცა შემოყვანილი კარით ქალაქით იდგა ღვარდიისა ჯარი, ვიდრე სახლადმდე ელჩისა და მიაგებეს წი-ნა ღიანარალ ლეიტენანტი სვიმონ თავადი სოლაღაშვილი სა-ხელმწიფოისა კარეტითა, და სხვანიცა მრავალნი და შემოვიდა ამა დიდებითა. რომელსაცა ამა ელჩსა აბულ ჰასან ხანს აქუნდა დროშაჲ ხელმწიფისა თ§ვისა გაშლილი და მოსდევდა გვერდით და ესრეთ შემოვიდა ქალაქსა შინა. ხოლო შემდგომად დღე-თა რაოდენთამე მიართო ამან ელჩმან სპარსეთისამან წიგნი შერიგებისა ტრაკტატი, და ძღვენი ესე: სპილონი ორნი — ერთი მამალი და ერთი დედალი, ზედ ქოლგა დგმულნი ფარჩითა. 12 ბედაურნი ცხენნი საუკეთესონი თირმა შალ ხურვილნი ჩულითა, 14 თირმა შალნი ძვირფასნი, 14 დიბანი ფარჩა სპა-რსეთისა ძვრფასნი, სამი ასხმა კრიანესული მარგარიტისა, რო-მელი იყო. თითო თხილის გულის სიმსხო თითო მარცუა-ლი, ასასი თითო ძაფი, წვრილი მარგალიტი ერთი ჩარექი წო-ნითა, 2 ქუა ზურმუხტი თითო ყურუშის ტოლი, მწუანე უებ-რო, ერთი წყვილი საყურე მარგალიტი თითო თითოს ბუდე-შურის ყურძნის სიდიდე. უებრო, სამი ხმალი ძვირფასი — ერთი დარიოზ მეფისა, 2 ლანგ თემურისა და 3 დიდის შააბაზისა, მუმია საუცხოვონი, დაფაზარნი სხვა და სხვანი, ყუთნი ისპანიის მხატრობით, რომელში ერთ ყუთში იდუა სასწორი ოქროსი და მაკრატელი (იგავად), 2 ხორასანის დიდი ორხუა, ხალიჩა აბრეშუმისა, ფრიად საუცხოვო.

ხოლო მეუღლისათჳს ხელმწიფისა ელისაბედისა იყო ფეშქაშად ყეენისაგან ესენი: 6 თირმა შალი, 6 დიბა, ერთი კრიანესული მარგალიტისა ძჳრფასნი. ხოლო ხელმწიფის დედისათჳსცა იყო ესევე სახედ, და დიდებულთაცა კარის კაცთა თჳს რუსეთისათა თჳსცა იყო ყეენის მიერ წარმოგზავნილნი ფეშქაშნი სხვა და სხვანი ღირსებისამებრ მათისა, ხოლო ელჩი სპარსეთისა დაჰშთა კარსა ზედა როსიისასა წელი ერთი დიდისა პატივ ცემითა.

ხოლო წელსა ამასვე 1816, ქკს ფდ, იანვრის 12 აქორწინა დაჲ თჳსი იმპერატორმან ალექსანდრემ, ეკატირინა ქვრივი, რომელიცა ჰყვა პირველად პრინცს ოლდენბურღისას, და შერთო იგი ღვიძლს ბიძაშვილსა თჳსსა ვირტენბერღის პრინცს ფრიდერიკს, რომელიცა შემდგომად მამისა თჳსისა იქმნა კოროლად ვირტენბერღისა. პირველად დასწერეს ჯვარი ქრისტიანულად სასახლის ეკკლესიასა შინა, ხოლო მეორედ მასვე დღესა გამოსრულთ ეკლესიით დაჰსწერეს ჯვარი ნემეცურად სახლში, გარდაიხადეს დღე იგი პეტერბურხს დიდის დღესასწაულობითა. ხოლო წელსა ამასვე თებერვლის 14 იმპერატორმან ალექსანდრემ აქორწინა უნცროსი დაჲ თვისი ანნა პრინცსა ზედა ორენცკისასა, მემკვიდრესა ღალანდიისასა, და ამასაცა ასე დაჰსწერეს ჯვარი, ვითარცა დასა ამისსა ეკატერინეს და გარდაიხადეს დღესასწაულიცა ამის უფრო ვრცლად და მშვენიერად, სადაცა ამ დღესასწაულობაში დაესწრა ელჩი ბაბახან ყეენისა აბულ ჰასან ხანცა, რომელიცა განცვიფრდა ამა ფრიადსა დღესასწაულობასა და ცეცხლის სათამაშოთა მრავალ გუართა თვის შუშხუნათა.

წელსა ამასვე 1816, ქკს ფდ, ივნისის 3, უკუ აქცივა ელჩი სპარსეთისა სპარსეთადვე, რომელსაცა ანიჭნა ურიცხვნი საბოძვარი იმპერატორმან და უბოძა ბრილიანტის ჯიღაცა თავზედა, და ეგრეთვე მისთანა მყოფთ ამალათაცა უბოძეს ფრიადნი საბოძუარნი.

ამავე წელსა გარდაიყენა უპირველესი მართებელი რტიშჩევი ღიანარალ ან შეფი საქართულოით, და ნაცულად ამისა

განიწესა*) ღიანარალ ლეიტენანტი ერმალოვი ალექსეი პეტროვიჩი. ესე ერმალოვი დანიშნა ხ. ლმწიფემ ელჩად სპარსეთად, რათა წარვიდეს ქართლით ბაბახან ყეენთან და დაამტკიცოს საუკუნო შერიგებაჲ და განაჩინოს საზღვარი სპარსთა და ქართლისანი, და წარატანნა ამასვე მრავალნი არმაღანნი ძვირფასნი ბაბახან ყეენთან, ვითარცა მისთჳს, ეგრეთვე იმპერატრიცასთაცა ცოლებთან მისთა მოსაკითხნი არმაღანნი, და ძეთა მათთათჳს მამადალი მირზასთან, და აბაზ მირზასთანაცა, და დიდებულთა თანა სპარსეთისათა. მისრულმან ერმოლოვმან ტფილისს, დააქცია ციხე ტფილისისა, ვახტანგ გორგასლანის მიერ აღშენებული, და გარს გალავანიცა, მოვლებული როსტომ მეფისა მიერ.

ამან ტფილისს შეიპყრა თათარი ერთი, რომელსაცა ყრმაჲ განეხრწნა სოდომურითა ცოდვითა, სცა მათრახითა თათარსა მას ფრიად და მერმე დაასო ბეჭედი შუბლზედ, რომელიცა იყო დაწერილ ესრეთ თათრულად (გოთ სიქან), და განუტევა იგი.

ხოლო წელსა ამასვე 1816, ქ-კს ფდ, აგვისტოს 23, დღესა ოთხშაბათსა, საღამოს საათსა 8, გარდაიცუალა მეფის ირაკლის ძე იულონ წლისა 57, დამბლის სნეულებითა, რომელიცა იყო მდებარე სნეულ 4 წელი, და დაფლეს პეტერბურხს ნევსკის მონასტერსა შინა, წმიდის იოვანე ოქროპირის ეკლესიასა შინა.

ხოლო წელსა ამასვე 1816, ქ-კს ფდ, სეკდემბრის 19 იქმნა საკჳრველი ესე საცჳფრო სანახავი: ლიმპანიასა შინა, ქალაქსა მადრიტსა ღამესა 7 საათსა აღმოვიდა მზე ჩვეულებისა მებრ აღმოსავლეთზედა, და პირისპირ ამა მზისა აღმოვიდა ერთი სხვა მზე და დასდგა, და თანა აღმოჰყვა მას შვიდი ვარსკვლავი, შვიდნივე იგი ფრიად ბრწყინვალენი, ხოლო ქალაქი იგი მადრიტისა ესრეთ განათლდა, რომე მხილველთა მუნ მცხოვრებთა ეგონათ, რომე ცეცხლი ეკიდებაო, ესენი იდგნენ საათ-

*) მთავარ მართებლობა 7. ამან წელი იმთავრა.

ნახევარს ცაზედ გავრცომილნი, შემდგომად მზემან ესე შეიდ-ნივე ვარსკულავნი მიიტაცა და მიიყვანა თჳსთანა, და შეიცვა სხივთა შინა თჳსთა, და შთავიდა ისე ჩვეულებისამებრ. მრავალნი ფილასოფოსნი და ვარსკულავთ მრიცხველნი მხილველნი ამისნი, ფრიად განცვიფრებულნი, ამტკიცებენ, რომელ არაოდესმე ყოფილა ესეთი გამოჩენა მზისა და ვერცა ძველთა წერილთა შინა უპოვნიესთ.

წელსა ამასვე 1817 გამოჩნდნენ ევროპიასა შინა ლათინთა პატრნი, სახელად ლინდერ, და გოსნერ მწუალებელნი მოვიდნენ პეტერბურხს და ჰქადაგებდენ უარ ჰყოფასა ღვთის მშობელისასა ესრეთ, რომელ შემდგომად შობისა ქრისტესა კუალად ჰყუა სხუანიცა შვილნიო იოსებ დამწინდველისაგანო. რომელიცა წვალებასა ამას ზედა შეუდგნენ მრავალნი რუსნიცა. მსმენელი ამისი იმპერატორი ალექსანდრე განრისხნა მათზედა და ექსორია ჰყო რუსეთით. მისრულნი ესენი ვინასა შინა შეიწყნარა კეისარმა და დიდათ პატივი სცა მათ.

ხოლო წელსა ამასვე იქმნა ესრეთი ფრიად სიყმილი კერძოთა ქვეყანათა ნემეცისათა და ვირტენბერღის საკოროლოთა შინა, რომელ მცხოვრებნი მუნებურნი სჭამდნენ ხის ქერქთა და ქვემძრომთა და მრავალნი სულნი სიყმილითა მოისრნენ. გარნა იმპერატორმან ალექსანდრემ გამოზარდნა ხალხნი იგი პურითა, რომელმანცა ნება ჰსცა როსიასა შინა ყიდვა პურისა და ორს წელს გამოიზარდნენ რუსეთის პურითა მთელი საქსონია, პრუსია და ვირტენბერღი, და სხვანი წერილნი საღერცოღონი.

ხოლო წელსა ამას 1817 ქ̄კს ფე, აპრილის 17 წარვიდა მთავარ-მართებელი ერმალოვი ტფილისით სპარსეთს ელჩად ბაბახან ყეენთანა. მისრული სულთანიას, დახვდა მუნ ყეენი და მიიღო დიდის ცერემონიით ივლისის 20, ხოლო ერმოლოვმანცა მიართო არმაღანნი იგი, და დაამტკიცეს საზღუარნი და შერიგებანი რუსთა თანა, ვითარცა მოგვითხრობს მათი ტრაკტატი (ამა წიგნის ბოლოს იძიე). უკუნიქცა მუნით ერმალოვი და მოვიდა ქართლსავე.

მართებლობა 1 სასულიერო რუსთა, რომელიცა დასვეს თეოფილაკტე ეგზარხად, ამან 4 წელი იმთავრა და მოკუდა ქიზიყს, და მუნვე დაფლეს წმინდა ნინას

ხოლო წელსა ამასვე 1817, ქ^კს ფე, ივნისის 2, გარდაყენებულ იქმნა საქართველოს მიტრაპოლოტი ვარლაამ და დოსითეოს, არხიეპისკოპოზი თელავისა და კავკასიისა, და ნაცულად მათდა განიწესა არხიეპისკოპოსად რუსი თეოფილაკტე რეზანისა, გუარად რუსანოვი. ხოლო ვარლაამ მოიყვანეს პეტერბურხს და დასვეს სინოდის ჩლენათა, და დოსითეოს დააყენეს მოსკოვს· ამათ ორთა აქუნდათ ქართლსა ურთიერთარს შური და განხეთქილებაჲ და ამის მიზეზისათჳს გარდაყენებულ იქმნენ მუნით. მისრულმან· თეოფილაკტემ ტფილისს შემუსრა ეკლესია კარისა ნათლისმცემელისა, რომელსაც ეხმობდნენ (კოტეტისას), და დააყენაცა მრავალნი ეკლესიანი ტფილისს, ქართლს და კახეთსა შინა. ამან გაჰყო სოფელნი, და თითოს ეკლესიას მიაწერა 80 კომლი. ამან, რაჲცა იპოებოდა ნივთი ანუ სიმდიდრე ეკლესიათა, მიეღო ყოველივე და შთაიტანა ტფილისს. ესე არა იყო ფრიად ღვთისმოყვარე და ფილასოფოსი მსოფლიო. ესე იყო ფრიად მოძულე საქართველოს სამღვდელოთა და მდევნელი ფრიად. ამან გამართა რუსთა წესთამებრ სემინარია სამღვდელოთ წესისა. ამან დასდუა ხარკი ეკლესიისა გლეხთა თეთრად, რომელნიცა იქმნენ ფრიად შემჭირვებულნი გლეხნი ხარჯისა გამო. ამან მიუხვნა მონასტერთა ყმანი და ვენახნი, შეწირულებანი ვისგანვე, და შეამცირნა მონაზონნი მონასტერთა შინა.ამან აღხადა ქუათახევის წმიდას მონასტერს პატივი და ნაცულად მისსა გააკეთა ქაშოეთი ტფილისს მონასტრად. ამან აღიღო გალობა ქართული და ნაცულად მისსა მოაყოლა გალობა ქართულის ენით რუსთა და ლათინთ კილოზედა.

წელსა ამას 1817, ქ^კს ფე, შიმშილობისა მიზეზითა აღიყარნენ ხალხნი ევროპიისა, ნემეციით ქუჴყნით სხვათა და სხვათა საკოროლოთაგან და საღერცოლოთა და წარვიდნენ ქართლს მრავალნი კომლნი. ამათ სარწმუნოებით ეწოდებათ

კალონისტნი, და აქუთ მცირედ სარწმუნოება ქრისტიანეთა, უფრორე კალვინთა და რეფორმატთა. ესენი დაეშენნენ სახასოთა ადგილთა ქართლისათა, ესე იგი კერძოთა კახეთისათა, სანგორსა შინა, შანქორს და სომხითს, და სხვაგნით.

ამ წელს, ივნისის 6 მოვიდა ხაშმის სოფელსა სეტყვა ფრიად დიდი,ხოლო ამავე სეტყვაში ჩამოვარდა სეტყვა ერთი, რომელიცა იყო წონით ერთი ლიტრა,—დიახ საკვირველი იყო.

ამავე წელსა, ივლისის 16, ორშაბაოს, ღამეს საათსა 11 დაჰნელდა კუალად მთოარე სამხრეთის მხარეზედ. მთვარე იყო რიცხვით 14.

წელსა ამასვე 1817, ქ^კს ფე, ივლისის 1 დააქორწინა იმპერატორმან ალექსანდრემ რუსთამან ძმა თჳსი ნიკოლაოზ ასულსა ზედა პრუსიის კოროლის ვილღეიმისასა, რომელსა ქალსა ამასა ეწოდა ნემეცურად შარლოტა, ხოლო, რუსულად მონათლეს რა, უწოდეს ალექსანდრა, და იდღესასწაულეს დღე ესე ქორწილისა დიდისა დღესასწაულობითა და შექცევითა მრავალგუარითა პეტერბურხსა შინა.

ხოლო წელსა ამასვე 1817, სეკდემბრის 5 იქმნა ესე საკჳფრო შემთხვევაჲ როსიასა შინა: ბოროდინის უეზდში, სოფელსა ერთსა, საბატონის შვილოსა სოფელსა შინა შამუტსა იქ მცხოვრებელის გლეხის ცოლს ევდუკიას, სტეფანეს ასულს, ორსულს დროზედ შუა ოთხი ყრმა ერთად, სამი ვაჟი და ერთი ქალი, ორი ვაჟი კი მასვე დღესა მოკუდა, ხოლო ერთი ვაჟი და ქალი ცოცხალნი არიან მრთლად (ესე ამბავი სეევრნის გაზეთით გამოცხადდა, რომლისა რიცხვი ამ გაზეთისა № 76).

წელსა ამასვე 1817, ქ^კს ფე, ოკდომბერში აღიყუანა ღიანარალ-მაიორმან გიორგი ერისთჳს ძემ სამასნი რუსნი და ოთხასნი ქართუ^ლნი, აღვიდა ქსანზედ და იქიდამ ჟამურს. აღსრულთ ჟამურის თავს ტბაზედ, რომელთაც ენებათ აღოხრება მაღლა დორელთა ოსთა. მისრულთ ტბის ყურზედ მოუვიდათ წვიმა და ესეთი მძაფრი ყინელიც მასთანვე, რომელ განჰყინა რუსნი ორასნი და ქართუ^ლნი სამასნი, ხოლო ეს-

რეთი ქარიცა და ღელვა ტბისა ამის, რომელ ცხენიან კაცთა ისროდა ტბათა შინა. ჯი საკვირველი, რომელ ზეზე მდგომნიცა ცხენნი მრავალნი განიყინენ და მოსწყდნენ და მცირედნიღა განერნენ მშვიდობით, ხოლო დანაშთნი სრულიად მოსწყვიტნა ყინვამან მუნ; და დაშთნენ მკუდარნი მუნვე.

ხოლო წელსა ამასვე, აგვისტოს 15 ანგლიაში, ქალაქსა ლონდონს დოხტურის რიღბის ცოლს ეყოლა ამასაც ოთხი შვილი ერთათ, სამი ვაჟი და ერთი ქალი, რომელნიცა ესენი ოთხნივე ცოცხალნი არიან და იზრდებიან, და არიან ფრიად მშუკნიერნიცა სახითა. დოხტური ესე არის 72 წლისა, ხოლო ცოლი მისი, რომელმანცა შუა, არის წლისა 50; და არს ფრიად საცვიფრო ესეცა შემთხვევაჲ (ესეცა ანბავი ეწერა ჭეშმარიტად სეევერნი გაზეთში; ოკდომბრის 17 რიცხვში, ხოლო რიცხვი ამა გაზეთისა № 83).

69. წელსა ამას 1818, ქ^კს ფვ, აპრილის 15, ბრწყინვალე კკრისა ორშაბათს იყო დიდი ქუხილი და ელვა ჰეტერბურხს, იდვა ისევ თოვლი და ნევაც გაყინულ იყო. ჰკვირობდნენ მუნ მცხოვრებნი, რომელ არაოდეს ქმნილაო ესე. ხოლო შემდგომად მეორესა დღეს მოვიდა თოვლი, რომელ სანით დადიოდნენ მუნ მცხოვრებელნი.

თუჩსა ამასვე აპრილის 17, დღესა ოთხშაბათსა, დილის საათს მეშვიდეს იმპერატორის ალექსანდრეს ძმის მეუღლეს ნიკოლაოზ პავლიჩის ცოლს ეყოლა ვაჟი მოსკოვს. ამას უწოდეს სახელი ბიძისა თჳსისა ალექსანდრეევ.

წელსა ამას 1818, ქ^კს ფვ, აპრილის 30, დღესა ორშაბათსა გარდაიცუალა მეფის ირაკლის ასული ეკატირინა, მეუღლე გიორგი სალთხუცისა ჩოლაყაშვილისა, სნეულად მყოფი კავკასიის ქალაქსა გიორგისასა, და დაფლეს მუნვე სასაფლაოსა მათსა.

ხოლო წელსა ამასვე 1818 გარდაიყენა მიტროპოლიტი აბროსი პეტერბურხისა, და ნაცულად მისა დასვეს მიტროპოლიტად ჩერნიგოვის არხიეპისკოპოსი მიხაილ, მღუდელ-ყოფილი მოსკოვსა შინა, კაცი ღირსი და შესაფერი საყდრისა თჳ-

სისა. წარვიდა ამბროსი ნეოგოროდს და მისრული გარდაიცუალა მუნ

წელსა ამას 1818, ქ^კს ჟვ, მაისის 17 (სევერნის გაზეთ-ში ეწერა 48 ნუმერში): მოლდავიის ქალაქით ბუხარესტით იწერებიან ესრეთ: საბერძნეთიდამ მივიღეთო ესე სამწუხარო ამბავი, რომელ დიდი იგი ქალაქი ფილიპეპოლი, რომელშიაცა ჰსცხოვრებდნენ სულნი 100,009 ხალხთა იქმნა ესეთი ძვრაჲ, რომელ სრულიად დაიქცა შენებულები მის ქალაქისა, და მრავალნი ხალხნიცა მოჰსწყვიტნა, და გაოხრდა ქალაქისა მის შენობა ესრეთ, რომელ ემჰსგავსებისო ათ სის წლის დამხობილს ქალაქსაო.

ხოლო წელსა ამასა 1818, ქ^კს ფვ, აპრილში გარდმოვიდა ქარიოლით უპირველესი მართებელი ერმალოვი კავკასიის ღუბერნიაში და დადგა ნაურს; მუნით ეზრახა ჩაჩნელთა კავკასიისათა, რათა შევიდნენ უღელსა ქუშეშე მონებისასა, ხოლო მათ, არა მნებებელთა, იწყეს მაგრება. წარავლინა ერმალოვმან მხედრობანი და წარტყვენეს რაოდენნიმე ძირის სოფლებნი ჩაჩნელთანი და მოწვეს სოფლები იგი, გარნა ხალხი მუნებური ვერ იგდეს ხელთა, ვინათგან შევიდნენ მთათა დაღისტანსა. მაშინ ერმალოვმან, გამსვლელმან თერგს და მისრულმან ჩაჩნისა წყალსა ზედა, მუნ გააკეთა ჩაჩნისა მდინარესა ზედან, ადგილსა სუნჯას, ციხე თხრილისა და უწოდა სახელად ტროიცკისა, (ესე იგი სამებისა) და დადგა შიგა ივნისის 2 და იდღეასწაულა. ხოლო რაოდენ გზისცა აწვია ჩაჩნელთა მონებაჲ, არა ინებეს მათ და შეკრბნენ ჩაჩნელთა თანა დაღისტნელნიცა. წარავლინა მათ ზედან მხედრობითა ღიანარალ-მაიორი პესტელი. მისრულსა მუნ შეუკრნეს გზანი იწრონი ჩაჩნელთა და უყვეს ზედა დასხმაჲ. იძლივნენ რუსნი ჩაჩნელთაგან და უკუნ იქცნენ თჳსადვე. ამას ზედან გამოხდნენ ჩაჩნელნი, მოვიდნენ ღამესა ერთსა და დაეცნენ თავს ერმოლოვის ციხესა. მას შინა იქმნა მუნ ბრძოლა არა ეგრეთი, გარნა კუალად უკუნიქცნენ ჩაჩნელნი სახლად თჳსად და ერმალოვიცა დადგა მუნვე.

ხოლო ამავე ჟამსა აგვისტოს თვეში ჰარელთა ჩამოიყვანეს ალექსანდრე, მეფის ირაკლის ძე, ანწუხით, გაუძღვნენ ჩვიდმეტნი კაცნი ჰარელნი და გაიყვანეს იედი ბოლუქზედ მტკუარში. თუმცაღა რუსთ ყოველგან აქუნდათ შეკრულნი გზანი ალექსანდრესთჳს, გარნა ღმერთმან მშვიდობით განარინა იგი ხელთაგან მათთა; და აღიყვანეს ახალციხეს. ხოლო ერმალოვიცა ადგა ჩაჩანსა და მარადის ბრძოდა ვიდრე დეკემბრამდინ და ვინაჲთგან ვერღარა მრე ექმნა ჩაჩნელთა, აღიყარა მუნით და წარვიდა ქართლადვე, ვერა რაჲსამე საქმისა კავკასიელთასა სრულ მყოფელი, რომელმანცა ბრძოლასა მათსა წარაგო სამი ათასნი რუსთა მხედრობანი მუნ.

წელსა ამასვე, აგვისტოს 16, ჰყრობილნი ციბირს თავადნი კახნი და ქართუსლნი ყოველნივე განათავისუფლნა იმპერატორმან და მიიქცნენ სახიდ თჳსად.

ხოლო წელსა ამასვე 1818, ქკს ფვ, ივლისის 29, სმოლენცკის გუბერნიაში იუხნოვცკის უეზდში, სოფელსა შინა სლობოდისასა ერთის მუნ მცხოვრებელის გლეხის ეზოში ჩამოვარდა ჰაერი და ქუა ერთი, რომელიცა ჩაერჩო მიწაში 9 ვერშოკი, ხოლო, ამოიღეს რა ქუა ესე, ნაკუსთი აქუნდა სვეტისა მჰსგავსად და ბრჭყვინვიდა მეტალსავითა. წონა იყო ამა ქჳსა 7 ფუნთი და ჰქონდა სიმაღლე 3 ვერშოკი, ხოლო სიგანე 2 ვერშოკი (ესე ეწერა სეევერნი გაზეთში სეკდემბრის 7, ხოლო გაზეთისა ამის რიცხვი არს № 72).

ხოლო წელსა ამასვე 1818, ქკს ფვ, ოკდომბრის 29 იწერებიან კამენი პოდოლცკით ესრეთ: ღუბერნიასა ამას შინა, ლიტოვის მაზრაში, დაბასა შინა კაჩნოვსკის შეემთხვა ბუნების ჩვეულების გარეგან, რომელ ერთის გლეხის ცოლმან შვა წული, რომელსაცა ჰქონდა ოთხი ხელი და ოთხი ფეხი, რომლისა სხეულიცა, მკერდიდამ მოკიდებული, განიყოფოდა ორად, შეზრდილი ერთმანეთისადმი ბარძაყამდე, ხოლო ახალშ ჲბილი ესე შემდგომად მონათვლისა ორს დღეს უკან მოკუდა და მშობელი ამისი დაჰშთა მთლათ. (ესე ეწერა სეევერნი გაზეთში, რომლისა რიცხვი არის ამა გაზეთის № 94).

ხოლო წელსა ამასვე მოკუდა მდივანი ეგნატი თუმანი შვილი და დაფლეს სოფელსა მათსა ხელთუბანს, ეკლესიასა შინა და, რა ქუა დაადეს, რისხვითა ღვთისათა მეხი ეკვეთა ციდამ და მკუდარი იგი ამოაგდო საფლავით. ესე ჭეშმარიტად იყო და მრავალნი ამისა მხილველნი მომითხრობდნენ, რომელსაცა ამა ეგნატეს, სიჭაბუკესა შინა, განეხრწნა ღვიძლი და ჲ თჳსი და რისხვითა ღ̃ღ̃ვთისათა არა ღირსი იყო დაფლუად ეკლესიასა შინა, ამისთჳს იქმნა ესე სამხილებელად, რათა არ-ღარა ვინმე ქრისტიანეთაგანმან იკადროს ესე ვითარისა უსჯულოებისა მოქმედებაჲ.

წელსა ამასვე კუალად კრება ჰყვეს საქსონიასა შინა, ქალაქსა ახენს ორთა იმპერატორთა, რუსიისამან და კეისარმან, და პრუსიის კოროლი მუნ იყო, და ფრანცუეცის კოროლის ნაიბად მოვიდა დუკ დერიშელია და ინგლიზის კოროლის ნაიბად იყო ფერთმარშალი ველინხტონ: ამათ კუალად დაამტკიცეს ერთობავე და სიყვარული, და უკუნიქცნენ თჳს თჳსადვე.

ხოლო წელსა ამასვე 1818, ქ̃კს ფვ, მოკუდა კოროლი ანგლიისა გიორგი, წლისა 115.

ამავე წელსა მოვიდნენ ნავნი ალჟირიისანი ორმოცნი და მოადგნენ ელენეს ოსტროვს, სადაცა იყო პყრობილად მონაპარტე, ხოლო ოსტროველთაცა მუნ მცხოვრებთა იხილეს რა ესე უბედურება თჳსი ზედა მოსრული, აღადგინეს აბოხი და მოჰსწყვიტნეს მუნ მყოფნი ანგლელთ მხედრობანი, რომელნიცა ჰცვიდნენ მონაპარტეს. იქავ ელენეს ოსტროვში მოკუდა მონაპარტე წელსა 1821, თუსსა მაისის 5.

ხოლო წელსა ამასვე 1818, ქ̃კს ფვ, დეკემბრის 22, დღესაშაბათსა გარდაიცუალა მეფის ძის ფარნაოზის ასული ელისაბედ წლისა 19, ფრიად მშვენიერი და დაფლეს ესეცა ნევსკის მონასტერში წმიდის იოვანე ოქროპირის საყდარშია.

ამავე თუსსა დეკემბრის 28 გარდაიცუალა იმპერატორის ალექსანდრეს და ეკატირინა პავლოვნა, რომელიცა ჰყვა ცო-

ლად ღვიძლსა ბიძაშვილსა თჳსსა კოროლსა ვირტენბერღი-სასა.

წელსა ამასვე მოვიდა კუალად სპარსეთით წარმოვლენილი ბაბახან ყეენისაგან ხანი მაჰმად ასან ავშარი პეტერბურხსა შინა. ამან მოართო იმპერატორსა ალექსანდრეს ცამეტი ცხენი, წარმოგზავნილი სპარსეთის ყეენისაგან, საუკეთოვონი.

70. წელსა ამასვე 1819, ქ^კს ფზ: წელსა ამას ესრეთი იყო ყინვა საქართველოსა შინა, რომელ 17 ღრადუსზედ აღვიდა ყინვა, მტკუარი გაყინა სრულიად, რომელ ურმები ზედ გაჰქონდათ. არაოდეს ჟამს არავის ასმიეს, რომელ ესრეთი ყინვა ყოფილიყოს ოდესმე, და მოჰსწყდა მრავალი პირუტყვი და ცხვარი და განხმენ ხენიცა ნაყოფთაგანი სრულიად.

ხოლო ამავე თჳსსა, იანვარში 17, იყო ტფილისს ესრეთი ძვრა, რომელ არაოდეს ჟამს ყოფილა. და იყო ძვრა ესე განგრძელებული ჟამ რაოდენიმე და გვრგვინვიდა დედა მიწაჲ სრულიად ძვრისაგან. და დაიქცა მრავალი შენობაცა ტფილისს.

ამავე თჳსსა, იანვრის 16, მეინიხში, დაბასა შინა ტამმას, რომელიცა არს საკოროლო ვირტენბერღისა, ჩამოვარდა მეხი და ეცა სამრეკლოს ეკლესიისასა, და მოუკიდა ცეცხლი, და რაოდენიცა ეცადნენ გაქრობასა მისსა წყლის დასხმით, ვერ გააქრეს იგი, გარნა მოიძიეს ღონის ძიებაჲ, რათა დაასხან რძე და გააქრონ, და ოდეს დაასხეს რძე მეხსა მას, მაშინვე ჩაქრა იგი, გარნა სამრეკლო იგი სრულიად დაიწო. (ესე ეწერა გაზეთსა შინა სეევერნისასა, რომელიცა რიცხვი ამა გაზეთისა არის № 12, თებერვალს 8).

წელსა ამასვე 1819, მარტის 3 მოკუდა მოსკოვის არხიეპისკოპოსი აგვისტინე და მოადგილედ მისა დასო იმპერატორმან თჳსრის არხიეპისკოპთსი სერაფიმ და უბოძა მიტრაპოლიტობაჲ.

ამავე წელსა, მაისის 13, დღესა სამშაბათსა, ზატიკში მიიცუალა მეფის გიორგის ძე პირმშო და მესკვიდრე ქართლისა დავით წლისა 50, რომელიცა იყო რუსთა ღიანარალ-ლეიტენანტი

და სენატორი. ამას აქუნდა ნიშანნი: კავალერია ალექსანდრე ნევსკისა და ანნასი. ესე გარდაიცუალა საკთ-პეტერბურხსა შინა ვასილის ოსტროვში. ამას დავითს არა დაჰშთა შვილი, არცა ვაჟი და არცა ქალი. ამავე წელს იშუა, აპრილის 30, შუა ზატიკსა, ძმის წული მისი, ძე ბაგრატისა, და უწოდეს სახელი ბიძისა თჳსისა დავითივე.

ხოლო წელსა ამასვე, მაისში, უკუნიქცა პეტერბურხით ელჩი ბაბახან ყეენისა ეაჰმად ასან ხან ავშარი, სპარსეთადვე, ხოლო იმპერატორმან ალექსანდრემ წარუგზავნა ყეენსა ბაბა-ხანს ფეშქაშნი ესე ხელითა აფიცრის იზმირელის ავატიქასი: ჰაუზი ერთი საკვირველი ბროლისა, თლილი; ამას აქუნდა სიმ-რგვლე სამი ადლი, ხოლო სიმაღლე ერთი ადლი და იყო შუა შადრევანი, და რაჟამს აღივსის ჰაუზი იგი წყლითა, იწ-ყის შადრევანმან აღმოსვლა და აღარ გაჰსწყდის სვლა შადრე-ვანისა მიზეზითა ამით, რომელ სხვა წყალი არ მოძდინარეობ-და ჰაუზსა მას შინა, არამედ ერთხელ რა აღივსის, იგი აღმო-ვიდის შადრევანსა მას შინა და შთავიდის რა წყალი იგი, კუა-ლადვე ის წყალივე აღმოვიდის, და ამასთანავე სხვანიცა არ-მაღანნი, ვითარცა ჩინის სუფრის იარალი, ეგრეთვე ძვირფასნი ბროლის სარკენი და ჭურჭელნი. ხოლო იყო ფასი ამათი ათე-ქუსმეტი ათასის თუმანის შავის ფულისა.

წელსა ამასვე შეიმთხვა ჰრომსა შინა ესე საკვირველი საქმე ერთს ჩინებულს დედათაგანს, გუარად ველეტრის: მუცელ ქმნილმან ამან შუა ხუთნი ვაჟნი ერთათ ცოცხალნი, ორი შემ-დგომად შობისა მოკუდა, ხოლო სამნი იგი ცოცხალნი არიან, მრთელნი და უვნებელნი.

ხოლო წელსა ამასვე 1819, ქ-კს ფზ, მაისში აღადგინეს კუალად აბოხი ჩაჩნელთა და შეერთდნენ ვითარცა ჩერქეზთა, ეგრეთვე სრულიად დაღისტანთა თანა, მოვიდნენ უეცრად შეყრილობანი მათნი მხედრობანი ვიდრე ოცდაათი ათასამდე, მოადგნენ სუნჯის ციხესა, რომელიცა აღაშენა უპირველესმან მართებელმან ერმალოვმან. აღიღეს ციხე იგი და მოსწყვიტნეს მას შინა მხედრობანი რუსთანი ვიდრე ოთხასადმდე და შემუ-

სრეს ციხეცა იგი. მსმენელმა ამისმა ღიანარალ მაიორმა კარლი ფეოდორიჩმა შტალმან, რომელიცა იყო მართებელი კავკასიის ღუბერნიისა და იდგა იეგორევეცკის ქალაქსა შინა, შეიკრიბნა მხედრობანი მუნებურნი და წარემართა ჩაჩანსა ზედა ვიდრე ათი ათასითა კაცითა. მისრული მუნ, ეწყო ჩაჩნელთა მხედრობათა, გარნა ჩაჩნელნი ძრე ექმნენ რუსთა და დაკვეთეს ღიანარალი შტალი და ავნეს ფრიად. უკუნ ქცეულმან მუნით შტალმან აუწყა ესე უპირველეს მართებელს ქართლისასა ერმალოვს ტფილისს, ხოლო იგიცა, მსმენელმან ამისმან მოიკრიბნა მუნ მყოფნი რუსნი მხედრობანი საქართუელოსანი, თვინიერ სპარსეთის გრანიცის მცუელთა კიდენი, და წარმოემართა, გარდმოვიდა და დასდგა მოზდოკს, ივნისის 12, და აუწყა ესე ვითარი შემთხვეულობაჲ კავკასიელთაგან იმპერატორსა. მსმენელმან ამისმან იმპერატორმან ალექსანდრემ წარუვლინა შემწედ ერმალოვს თექუსმეტი პოლკი, განსწავლულნი. ამჟამად იყო ერთი პოლკი სამი ათასი კაცი განსწავლული. და მიუწერაცა დონისა ყაზახთა ათამანსა ღიანარალ ადუტანტსა თვისსა არლოვსა, რათა მოიკრიბოს სრულიად დონის ყაზახთა მხედრობანი და მწე ეყოს ერმალოვსა ჩაჩნელთა ზედან და სრულიად წარწყმინდონ ოგინი, და აზღვიონ სისხლნი მათნი და დაიმორჩილონ სრულიად კავკასიაჲ.

ხოლო წელსა ამასვე, მაისში, წარვიდა იმერეთს მიტრაპოლიტი ქართლისა რუსი თეოფილაკტე. გარდვიდა იმერეთს და ენება, რათა მუნებურნი ყოვლად სამღუდელონი, მიტრაპოლიტნი და ეპისკოპოსნი, გარდაეყენებინა, და თვთ დაეპყრა იმერეთიცა. შეკრბნენ ყოველნივე სამღვდელონი იმერთა და ოდიშ გურიით და შეკრიბნეს თვსთანა იმერნი კეთილშობილნიცა. მისრულსა მიტრაპოლიტსა თუმცაღა სცეს პატივი, გარნა იხილეს რაჲ მიტრაპოლიტისა მის უწესოებაჲ და არა სიმტკიცე მონაზონებისა, რომელმანცა ოთხშაბათს და პარასკევს ასაპიროვა მუნებურნი მღვდელ-მთავარნი, რათამცა ეჭამათ მათ მარხუა და თევზი მუნ, ვინაჲთგან იმერთა სამღვდელონი ფრიად მტკიცედ ჰსდგნენ სარწმუნოებასა ზედა, ამისთვს აიძულეს იგი

ვითარცა სამღვდელოთა, ეგრეთვე საეროთა. გარნა იწყო რა შლაჲ მღვდელთ-მთავართა, ამათ არა ინებეს და აღადგინეს აბოხი, და ზედა დასხმითა გამოჰსდევნეს მიტრაპოლიტი იგი რუსთა და გარდმოვიდა ქართლსავე, ვერა რისამე მყოფელი.

ამჟამს ესენი ისხდნენ მღვდელ-მთავარნი იმერეთს:

1. ქუთათელი დოსითეოს წერეთელი.
2. გენათელი ეფთვიმი, გურიის ერისთჳს ძე.
3. მთავარ ეპისკოპოსი ანტონი ჩიჩავაძე.
4. ნიკორწმინდელი სოფრონ წულუკიძე.

გურიისა მღუდელთ მთავარნი:

5. ხანო წმინდელი დავით წერეთელი, ძე ზურაბ სახლთ-ხუცისა.
6. შემოქმედელი სვიმონ, გურიის ერისთვის ძე.

ოდიშისა მღვდელთ-მთავარნი.

7. წყონდიდელი ბესარიონ, ძე კაკია დადიანისა.
8. ცაგერელი იოვანე, ესეცა ძე კაკია დადიანისა.
9. ჩაიშელი გრიგოლ, ჩიქოვანი.

ხოლო წელსა ამასვე აღადგინეს აბოხი თაბასარანელთა, ლეკთა და შეერთდენ ყადსა აჰხოშისასა და ანდელთა თავადთა თანა და დაესხნენ რუსთა და მოსწყვიტნეს მრავალნი. თუმცაღა თჳთ ერმოლოვსანცა ბრძო მათ, გარნა უქმ იქმნა ბრძოლაჲ მისი, რამეთუ მრავალ გზის იძლია მათგან და მოჰსწყდა რუსთა მხედრობანი მრავალნი და უქმი მიიქცა კუალად ქართლადვე.

ხოლო წელსა ამას ივლისში მოვიდა მკალი რუსეთში, ჩერქეზ, ქირმანში და მოსქამა მრავალს ალაგს მოსავალი და ავნო

წელსა ამას 1819, სეკდემბრის 12, მოკუდა თავადი ბლუხერ, სახელოვანი ფერთმარშალი პრუსიისა, წლისა 77, ხოლო კოროლმან პრუსიისამან ვილღეიმ უბრძანა ყოველთა მხედრობათა თჳისთა გლოვაჲ მისი 8 დღე და რათა შეიმოსონ ყოველთა შავნი ტანისამოსნი.

ხოლო წელსა ამასვე 1819, ოკტომბრის I, ღამესა ოთხშაბათს, საათსა 5, წმიდის სვეტიცხოვლის დღესასწაულსა, გამოჩნდა ციდამ სვეტი ორი ნათლისა ჩრდილოეთის მხარეს და შთამოვიდა ვიდრე მიწამდე, იდგა იგი ვიდრე განთიადამდე, და განთიადსა კუალად ამაღლდა ზეცადვე. ესე ხილვა ვნახეთ საკთ-პეტერბურღსა შინა, ხოლო ყოველნი ღამისა მის ყარაულნი აღიარებდნენ ესრეთ, რომელ ესრეთ ბრწყინვიდაო, რომ ქუჩა დავცვივდით ბრწყინვალებითა მისითაო და თუალი ვერ გაუმაგრეთო და დიდათაც შეეშინდითო.

წელსა ამასვე 1819, ქ-კს ფზ, თუჩსა სეკდემბერში კუალად შეკრბნენ დაღისტანელნი სრულიად და ყადიცა უცმისა მათ თანა ავარლებითურთ, და აღადგინეს აბოხი დაღისტანსა შინა, სადაცა შეკრბა ფრიად მხედრობანი ლეკთანი. და წარმოემართნენ ჩაჩნელთა მოსახმარებლად და რათა მიუღონ ცი ხენიცა რუსთა, ახლად აღშენებულნი, რომელნიცა აქუნდათ ჩაჩნისა პირთა შინა; და იდგა მუნ ყოველგან რუსთა მხედრობანიცა. მსმენელმან ამისმან ღიანარალ-ერმალოვმან, მყოფმან ტფილისსა შინა, მიუწერა ყარაბაღის მაზრის მართებელს ღიანარალს თავადს მადათოვს ავერიან გრიგოლიჩს სომეხს,—რომელიცა ესე მადათოვი იყო თვით ყარაბაღელივე მოსახლე, და სიყრმისა ჟამსა, წარსრულსა რუსეთს, ემსახურა მუნ მხედრობათა შინა. რამეთუ ესე იყო უმამაცესი ღიანარალი, —რათა მოკრიბოს რუსთა მხედრობანი და შაქის შირვანის ხალხნიცა და წარვიდეს დარბანდით, და მივიდეს ლეკთა ზედა უკანით კერძო, ხოლო თვით ერმალოვიცა წარვიდა ტფილისით. არაგვისა გზით, განვლო ანდრია და მივიდა მახლობელ დაღისტნისა, სადაცა იყო შეკრებულ ლეკთა მხედრობანი. მისრულსა მუნ ერმალოვს უყვეს ლეკთა ზედა დასხვაჲ, და იქმნა მუნ ბრძოლა ძლიერი, თვესა ოკტომბერსა. მოსრულმან მადათოვმან ყაზიყუმუხსა შინა ამანაცა ბრძო ლეკთა. იქმნა ორისავე მხრით ფრიადი ბრძოლაჲ, და მოსწყდნენ ლეკთა მხედრობთაგან უმრავლესნი ორიათასისა, ხოლო რუსნიცა ეგრეთვე და უკუნიცნენ ლეკნი. სადაცა შეიპყრნეს რუსთა მუნებურნი თა-

ვადნი დაღისტნისანი .რაოდენნიმე, და მათგანნი მოსწყვიტნეს რაოდენნიმე რუსთა, და სხვანი ექსორიად წარავლინეს ციმბირთა შინა; და რვა სოფელი ლეკთა ესრეთ მოჰსწყვიტნეს მუნ მცხოვრებნი ხალხნი, რომელ ძუძუთა ყრმათა ღალადებაჲ აღვიდოდა ცად მიმართ. ხოლო მუნით წარსრულმან ერმალოვმა ახყოშის ყადსა ზედა, თუმცაღა მრავალგზის ბრძვეს ლეკთა, გარნა რუსთაგან დაკვეთებულ იქმნნენ, ჰსძლეს ყადსა აჰყოშისასა, განდეგნეს მამულით თვისით, და მიუღეს ყოველივე ნაქონებიცა თვესა დეკემბერსა 19 და 20 და დასვეს მუნ შამხალი, მეითი სახელდებული, ხოლო ადგილიცა ჯონგათაისა შეიყვანა უღელსა ქვეშე მონებისასა, და სოფელი ფარაულიცა აღაოხრა სრულიად და წარემართა კუალად ბრძოლად შიგნით დაღისტანსა შინა. ხოლო რუსთა მხედრობათა, ძლევა შემოსილთა, მიმართეს დაღისტანსა შიგნით და შევიდნენ რაოდენთამე ლეკთა სიმაგრეთა შინა და დაიპყრნეს მრავალნი სოფლებნი და ღისტნელთანი, და იალაფეს ფრიად, ვითარცა ტყვითა, ეგრეთვე პირუტყვითა და ნივთითაცა; მასვე 19 დეკემბერს დაიპყრეს აჰყოშის ყადის სოფლები ესე: ლავაშა 20, ტაკსი და ხვენგიში და დაიპყრეს თვით ქალაქიცა აჰყოშა, ვინაჲთგან ცარიელ იყო, უბრძოლველად, ხოლო მხარეთ აამათ ადგილებთაგან განტოლვილნი ხალხნი მოვიდნენ წინაშე ერმალოვისა და იწყეს ვედრება, და შევიდნენ უღელსა ქუეშე მონებისასა.

წელსა ამასვე იქმნა ესე საკვირველი: ვარონიჟის ღუბერნიაში, უეზდის ქალაქსა ვალუცკას, დიდის ყინვისა მიერ შეყინულს წყალზედ იარეს ურმებით ექვს დღეს; ნოემბრის 11 გათბა ჰაერი და გაადნო წყალი სრულიად ხოლო ნოემბრის 12 იწყო მზგავსად ზაფხულისა ქუხილი, და ელვა და ჩამოვარდა მეხიცა, რომელიცა ელვასავით ვლიდა მიწასა ზედა და იყო ხანგრძლივი. ესე გამოცემული იქმნა პეტერბურხის გაზეთით სეევრნი ფოშტად სახელდებულით, ხოლო გაზეთისა ამის ნუმერი არის 99 და დაბეჭდილი დეკემბრის 10.

წელსა ამასვე 1820 მოკუდა კოროლი ანგლიისა გიორგი და სხეათაცა ევროპიისა მხარეთა მოსწყდნენ რაოდენნიმე ღერკოლნი და კურფისტრნიცა.

წელსა ამასვე 1820, თებერვლის 1 შეიმთხვა ესე საცვიფრო საქმე: ფრანციასა შინა, ქალაქსა პარიეს, თეატრსა შიგან მოკლა ღვარდიისა სალდათმან ლუველმან პრინცი ბორბონი შერრიე ხანჯლითა, მემკვიდრე ფრანციის კოროლისა, და აღისპო ბორბონის გუარი მეუფეთი ფრანციისა, ხოლო პრინცი იგი ეგოდენ კეთილი იყო გულითა, ოდეს ჯერეთ დაკოდილი არა მომკუდარიყო, მივიდა რა კოროლი ბიძა მისი ლუდოვიკ 17 სანახავად, ეკედრა პრინცი იგი, რათა მკვლელსა მისსა შეუნდოს, და ესრეთ აღსრულდა.

წელსა ამასვე 1820 განუტევა ცოლი თვისი ანნა ფეოდოროვნა, ჭირტებერღის ღერკოლის ასული, ველიკა კნიაზმან და ცესარევიჩმან როსიისამან კოსტანტინემ პავლეს ძემან.

ესე მანიფესტი მათი განშორებისა არის.

„წყალობითა ღეთისათა, ჩვენ ალექსანდრე პირველი, იმპერატორი და თვით მპყრობელი ყოველისა როსიისა, სხუათა, და სხუათა, და სხვათა, განუცხადებთ ყოველთა ჩვენთა სარწმუნოთა ყმათა.

„საყუარელმან ძმამან ჩვენმან ცესარევიჩმან და დიდმა თავადმან კოსტანტინე პავლეს ძემ, მორთმეეითა არზისათ უსაყვარელესის მშობლისა ჩვენისა იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნაჲსად და ჩემდამო მიაქცია გულის ხმის ყოფაჲ ჩვენი სახლისა მისისა მდგომარეობისადმი ესე ოდენ ხანდაზმულობითისა განშორებისა მეუღლისა მისისა დიდისა მთავრინაჲსა ანნა ფეოდოროვნასსა, რომელიცა წელსავე 1801 განეშორა უცხოსა მხარესა უმწვერვალესისა სნეულებისა გამო; და ვიდრე აქამომდე არღარა მოიქცა ქრმისამდე, აწცა თვთ პირად პირად ცხად ჰყოფისა მისისა მებრ არღარა შემძლებელ არს მოსვლად როსიასა შინა; სადა შედგომილი ვითარებისა ამის კოსტანტინე ცხად ჰყოფს სურვილსა თვისსა, რათა ქორწინებაჲ მისი მისთანა იქმნეს დარღუეულ; გულის ხმა ვჰყავთ თხო-

ვაჲ ესე, და ნებითა საყვარელისა დედისა ჩვენისათა მიეცით საქმე ესე განსახილველად უწმინდესსა სინოდსა, რომელმანცა შემოწმებითა ვითარებათა ამათ ეკლესიურის სჯულვილებისათანა ნანდვილსა საფუძველსა ზედა, პუნკთა შინა 35 სჯულის კანონისათა დიდისა ვასილისასა დასდვა, რომელ ქორწინებაჲ ცესარეეჩისა და დიდისა მთავრისა კოსტანტინესი ანნა ფეოდოროვნაჲსათანა იქმნეს დარღვეულ, და ეცესცა ნებაჲ მას კოსტანტინეს შესვლად ახალსა ქორწინებასა შინა, უკეთუ სუროდეს მას; ყოველთა გარემოებათა ამათ გამო განვიხილეთ ჩვენ და ვცანთ, რომელ უნაყოფო იყომცა ძალითად პყრობაჲ შენადგსა შინა საიმპერატოროჲსა სქესისა ჩვენისა ქორწინებითისა კავშირისა ამის ულლვაჲ, 19 წელს უკუნჱ განშორებულად მდგომოჲსა თჳნიერ ყოვლისა იმედოვნებისა ყოფად შეერთებულად. და ამისთჳს განვაცხადეთ ნებაჲ ჩვენი, ნანდვილის ძალისამებრ ეკლესიურის სჯულვებისა, რათა იქმნეს ზემო ნაწერი დადებულებაჲ უწმინდესისა სინოდისა მოყუანილ მოქმედებასა შინა, და ვბრძანებთ, რათა ყოველგან მიღებულ იქმნეს თჳსებითსა ძალსა თჳსსა შინა, ამასთანავე განვაცხადებთ საგულისხმოსა სხვათა და სხვათა შეეთხვევათა მათ, რომელნი შესაძლებელ იქმნნენ მიგებებად ქორწინებისა კავშირისა თანა წევრთა შორის საიმპერატოროჲსა სქესთასა, რომელთა უკუნჱ შედგომილებანი უკეთუ არა წინადვე განხილულიყო და განსაზღვრებულ ზოგადითა სჯულითა, იქმნებოდისმცა შეერთებულ ძნიადსა უგულის-ხმოებისადმი, და ამისთჳს ეჳსცნობთ ჩვენ კეთილად შეღრყეველისა დაცვისათვის ღირსებისა და განსვენებისა საიმპერატოროისა სქესისა, და თჳთ იმპერიისა ჩვენისათვისცა, შევაერთოთ უწინდელსა დადებულებასა საიმპერატოროთა სქესთა თჳს შემდგომიცა აღვსებაჲ: უკეთუ რომელიმე პირი საიმპერატოროისა სქესისა შევიდეს ქორწინებითსა კავშირსა შინა პირისა თანა, არა მექონისა რაჲსა მიმართობისა და ღირსებისა, ესე იგი რომელი არა ჱთჳს ეყოდა არა რომელსამე სამეფოსა ანუ მთავრობითსა სახლსა მაშინ, და ესე ვითარსა მიმთხუევასა შინა პირსა მას საიმპერა-

ტორიჟასა სქესისისასა ვერლარა ძალუცს შერთვად სხვასა მას სამართალი (ღირსება) თვისისა საყოფელ წევრთა საიმპერატორიჟასა სქესისა; და შობილთაცა ესე ვითარისა კავშირისაგან შვილთა არა ექმნებისთ სამართალი მემკვიდრეობითი ტახტისა.

„განუცხადებთ რა ნებასა ამას ჩვენსა ყოველთა აწ მყოფთა და მყობადთა წევრთა საიმპერატორიოისა სქესისათა და ყოველთა სარწმუნოთა ყმათა ჩვენთა ნანდვილისა სამართლისასა, რომელ არს 23-სა პუნკტსა. შინა საიმპერატორიჟასა წესდებულებისასა, შევჰკრავთცა წინაშე მეფისა მეფებელთასა ვისდაცა თჳს საყოფელ არს ესე, რათა დაიცუან აღმავსებელი წესდებულებაჲ ესე საუკუნოდ წმინდად და დაურღვეველად ყოველთა დროთა შინა. მიეცა სამეფოსა ქალაქსა შინა სანკთ-პეტერბურხს, მარტის 20. ხოლო წელსა შობითგან ქრისტესსა 1820, ხოლო მეფობასა ჩვენსა წელსა 20.

„ნანდვილზედ მოწერილ არს ხელი მისისა იმპერატორებისა დიდებულებისა ესრეთ: ალექსანდრეი (ბეჭდის ადგილი). ესე მანიფესტი დაბეჭდილ არს სანკთ-პეტერბურხის სენატის ტიპოგრაფიაში მარტის 31, წელს 1820.

ხოლო რუსულითგან გარდმოიღო ქართულს ენასა ზედა ინოსტრანის კოლეღიის პრეოთჩიკჰან ეფალმან ნადეორნი სოვეტნიკმან და კავალერმან გოდერძი ფირალოვმან.

წლიდამა 1817 ვიდრე ამ წლამდე 1820, წარსრულის სეკდემბრის თვიდამ ვიდრე ამ ახალწლადმდე, მოიქცნენ ქრისტიანედ ბერძენთ სარწმუნოებასა ზედა და ქართლში მამრი და მდედრი სული 865, ხოლო ოსეთსა შინა სული მამრი და მდედრი 22,436, ხოლო ხევსურეთს, ერწოს ხეობასა შინა სული ორისავე სქესისა 1543. ამათ ყოველთა ნათელ იღეს. ამ დროს იჯდა ტფილისს მიტრაპოლიტად და ეგზარხოსათ იბერთა და ყოველთა საქართველოს სასულიეროს გამგედ თეოფილაქტე რუსი. გუარად რუსანოვი. ხოლო ამჟამად თაგურ ქურთაულსაცა შინა შევიდა მცირედ ქრისტიანობაჲ, რომელნიცა იყენენ მახმედიანნი, და მოიქცნენ რაოდენნიმე თჳთ

უფროსნი კაცნი მათნი, თუმცაღა დროსაცა იმპერატრიცას ეკატერინეს 2 ყოფილიყო მცირედი ქრისტიანობაჲ, და ყოფილიყვნენცა მუნ მღვდელნი, და ჰქონებოდათ სამი საყდარი, გარნა მასჟამს არა ეგრე სრულ ექმნათ მოქცევა მათი და მღვდელთა დაეტევებინათ საყდარნიცა და კუალად უკუნქცეულ იყვნენ თჳსადვე.

ხოლო წელსა ამასვე 1820, 3 მარტს, დიდმარხვაში იმერთა მღვდელ მთავარნი,—ქუთათელი დოსითეოს წერეთელი და გენათელი ეფთვიმე ნებითა ხელმწიფესათა წარგზავნეს რუსეთს განპატიჟებულნი ექაორიად მიზეზისა ამისთვის, ვინაჲთგან დროსა გარდასელისა იმერეთს ტფილისის მიტროპოლიტ თეოფილაკტე ეგზარხოსსა ზედა იკადრეს უპატიოებაჲ მისი და გამოსდევნეს იმერეთით, რომელთაცა არა შეიწყნარეს ბრძანებანი ხელმწიფისა, რათამცა ემორჩილათ მისთვის საპღვდელოთა და აღადგინეს აბოხიცა იმერთა შორის.

ხოლო წელსა ამასვე მაისში იქმნა ესე საკვიფრო შემთხვევაჲ, რომელ ცარცკისსელოს სასახლესა შინა სასახლის ეკლესიისა გუნბათსა შინა მაღლა თვით თავით თვისით გაჩნდა ცეცხლი და დაიწო ვითარცა ეკლესია, ეგრეთვე ყოვლად შვენიერი იგი სასახლე, იმპერატრიცა ეკატირინას 2 მიერ აღშენებული ქარვისა სახლითურთ

ხოლო წელსა ამასვე 1820 კუალად აღადგინეს აბოხ იმერთა, ვინაჲთგან იყვნენ ფრიად შემჭირვებულნი რუსთაგან მბედრჴლთა ესე ვითარისა მწუხარებისა გამო შეკრბნენ ერთად სამღვდელონი იმერთანი, ვითარცა არს ჩვეულებაჲ მათი ესე იგი ქუთათელი მიტრაპოლიტი დოსითეოს წერეთელი და გენათელი მიტრაპოლიტი ეფთვიმი, ძე გურიის ერისთვისა, და რაოდენნიმე მათნი მიჰდგომნი თავადნი, აზნაურნი, გლეხნი და სამღვდელონ ნი. ამათ იწყეს რჩევაჲ, რათა ჰყონ მეფედ იმერთა შინა ძე ქაიხოსრო აბაშიძისა იოვანე. ესე იოვანე იყო ასულის წული დიდისა მეფის სოლომანისა, რომელსაცა დედასა ამისსა ერქუა დარეჯან, ხოლო გენათელსა და ზურაბ წერეთელსა ენება, რათა ჰყონ ბუშის შვილი დიდის მეფის სო

ლოვანის ძის ალექსანდრეს ძის გიორგის ძე ალექსანდრე, რამეთუ იყო ესე ძმის წულის შვილი გენათლისა და უყვარდა ფრიად ესენი. ამათ შეკრებულთა კუალად დაამტკიცეს, რათა ჰყონ აბაშიძეევე იოანე, ვინაჲთგან იყო ფრიად მკვირცხლი, და კეკელა და მამაცი, და ალექსანდრეცა იყო როსიასა შინა, და ამის გამო, ვინაჲთგან მეფეთა სქესისანი არღარაენ იყვნენ იმერეთს დაშთომილნი ბაგრატოვანნი თჳნიერ ძმისწულთაგანნი დიდისა მეფე სოლომანი ძის ბაგრატიონის ძენი, ხოლო ამათ ეპყრათ მხარე რუსთა მტკიცედ, და არცა ეძებდნენ მეფობასა, არამედ თვისითა მამულითა იყვნენ. ამათ შეკრებულთა მისწერეს კარსა სულთანისასა სტამბოლს, რათა ნწე ეყოს და განარინოს რუსთაგან იმერეთი, და კუალად აგოს თჳსადვე, ვითარცა პირველ, და დაუჭკიცოს აბაშიძესაც მეფობაჲ იმერთა. ჱსმენელთა რუსთა, მუნ მყოფთა, შეუკრნეს გზანი, და დაიპირეს კაცი იგი წერილითურთ, და აუწყეს ესე უპირველეს მართჱბელს ღიანარაღს ერმალოვს, რომელიცა იყო ამჟამს ყიზლარსა შინა. ამან მიუწერა ტფილისს მონაცვლესა თჳისსა ღიანარაღ ველიამინოვს, რათა გარდვიდეს იმერეთს და შეიპყრას ესენი და წარგზავნოს დიდისა მჴიდრობითა რუსეთად. გარდვიდა რა ველიამინოვი, ამან ღამესა ერთსა, მარტის 3, დიდმარხუაში შეიპყრნა ესენი ტიტველანი ღამე; ქუთათელს, და გენათელს და არქიმანდრიტს ცქიტიშვილს გრიგოლს თავს ჩამოაცვეს წელამდინ ტომრები და შეუკრეს ზევიდამ ხელნი და ჰგვემეს ფრიად ქუთათელს, და თავისის სახლიდამ თრევით ძირს ჩამოიტანეს, დაჰსტანჯნეს ესე ბერები უწყალოდ თჳნიერ ყოვლისა მიზეზისა, ვინაჲთგან სურდათ რუსთა, რათა აღეხოცათ საქართველოჲ-ლოჲთ და იმერეთით მღვდელთ მთავარნიცა, ვითარცა სამეფოჲ სახლი საქართველოს და იმერეთისა, ამისთვის მარადის მზირ იყვნენ შჰთანთქმად მათდა, რამეთუ აგო ღმერთმან პოლკოვნიკს პუზირევეცკის უსამართლოება ესე: რომელიცა ესე მოიკლა ერთისა თჳს შემდგომად გურიასა შინა, ვითარცა ქუჴმო მოვიხსენეთ, და ისე წარავლინეს.—ხოლო დიდის მეფის სოლომანის ქალი დარეჯან, დედა ივანესი აბაშიძისა, ფრიად მოხუცე-

ბული, ესეცა უპატიოდ წარგზავნეს შეპყრობილი. ხოლო ია-
ვანე განევლტო რუსთა, რომელმანცა მოკლა პოლკოვნიკი ერ-
თი, და წარვიდა ოსმალთა შინა. ესენი მოსრულნი ქართლს,
სურამს დაირჩო ტომარასა შინა ქუთათეთი დოსითეოს, რო-
მელიცა ბკუდარი წარმოიღეს სურამით და დაფლეს არაგუსა
ზედა ანანურს, ხოლო გენათელი წარყუანილი არქიმანდრიტით
ცქიტიშვილით გრიგოლ, მიიყვანეს ნევაგოროდს, და მუნით ნე-
ბითა ხელმწიფისათა მიუწოდეს პეტერბურხს, და ნახა თვით
ხელმწიფემან, და ჰსცა პატივი შემზგავსებული, დაჰყო მცი-
რე ხანი პეტერბურღსა შინა, ვითარცა პატიმარი, რომელ არა-
ვის გუაჩვენეს იგი,—მიზეზი მისი მხოლოდ ღმერთმან უწყის!—
და წარავლინეს შემდგომად სვირის მონასტერსა შინა, და დაა-
სადგურეს მუნ, რომელიცა შორავს პეტერბურხს 200 ვერსით;
ხოლო გარდაიცუალა მუნვე მონასტერსა შინა, ამა ზატიკში,
აპრილის 21, წელსა 1822, დღესა პარასკევსა და დაფლეს
მუნვე. ესე იყო წლისა 76. ხოლო რაჟამს შეასტუსნეს მო-
ნასტრისა ეკლესიასა შინა წმიდა გუამი გენათლისა და იწყეს
კრებულთა ანდერძის აგება, მაშინ კუბოდამ წამოჯდა ზეზედ
და დასწერა ჯუარი ვითარცა ცოცხალმან და კუალად მიწვა
კუბოსავე და მიიძინა. დაეცათ შიში დიდი მუნ მყოფთა ყოველ-
თავე, და აქებდეს ღმერთსა ამის წმიდისასა და დაიდუმეს ესე ში-
შითა რუსთათა. ხოლო დარეჯან მეფის ასული დაადგინეს პანძისა
ქალაქსა შინა, ხოლო სეხნია წულუკიძე, დავით მიქელაძე და
სხვანი თავადნი წარავლინეს პატიმარნი ციმბირსა შინა. გარნა
ღმერთმან ამხილა უსამართლოება მეფისა თვისისა მეორე სო-
ლომანისა ამა ორთა ძმათა წულუკიძეთა, რომელნიცა ესენი
იყვნენ ფრიად გლახაკნი და დავრდომილნი იმერთა შინა, ამა
მეფემან სოლომან აღიყუანნა ესენი დიდსა პატივსა შინა და
მისცა ამათ სოფელნი და აგარაკნი და ჰყო მისანდო თვისად
და უყვარდა ფრიად. რომელთაცა ორთავე ამათ ძმაო, ნაცუ
ლად კეთილობისა, მიუზღვეს ესე მეფესა: ესენი ეკმნნენ ორ
გულ და გამცემელ, ამათ შეჰფიცეს მეფესა, რუსთა მიერ მი
ბირებულთა, გენათელითურთ და ზურაბ წერეთლით, უვნებე

ლობა მეფისა რუსთა მიერ, და ამ ზაკვით შეაპყრობინეს მეფე თვისი დირბს, ქართლში, რუსთა. ოტია წულუკიძე მოკუდა საზარელის განსაცდელით, რომელსაცა მთელსა კაცსა გაუსქდა თავი ოთხად და მოკუდა მით. ხოლო სეხნია იქმნა დაკარგულ ციმბირსა შინა, ვითარცა ზემოდ მოვიხსენეთ, და სხვანიცა მრავალნი იმერნი იქმნენ დაკარგულ, ვითარცა საერონი, ეგრეთვე სამღვდელონი. ხოლო იმერეთსა შინა ჰყვეს მღვდელ მთავრად ნიკოლაოზ წმინდელი სოფრონ წულუკიძე და მიტრაპოლიტი დავით ხინოწმინდელი, ძე ზურაბ სალთხუცისა წერეთლისა, რომელთაცა დროსა იმერთა აღრეულებისასა ემსახურეს ამათ ოდეს საქართველოს მიტრაპოლიტი თეოფილაკტე გამოსდევნეს მუნ შეთასრული, რათამცა ეყო რუსთა წესთამებრ ეპარხია იმერთა, ესეცა გაუახლა მათ მეამბოხეთა ერმალოვმან, და ამა მიზეზისათვის ექსორიად ჰყო ესენი როსიასა შინა, ხოლო იმერთა შორის იქმნა დამყუდროებაჲ ჯერედ.

და აღსრულდა წინასწართქმული ქყოდინდლის ანტონის, ძისა ოტია დადიანისა. რამეთუ ესე ანტონი იყო დაყუდებით მცხოვრები მის მიერ აღშენებულსა ეკლესიასა შინა. რომელმანცა უწინასწარმეტყველა იმერთა სამღუდღლოთა ესე ეითარისა განსაცდელისა მოსვლაჲ, და თვით შეისვენა. ამა თქმასა შინა იქ დამსწრემ თვით ანტონი, რაჟის ერისთვის შვილმან გიორგის ძემან, მომითხრა, კაცმან სახიერმან და დიდმან ქრისტიანემან.

ხოლო წელსა ამასვე 1821, თებერვალსა ივლისსა 17, წარვიდა მიტრაპოლიტი ტფილისისა თეოფილაკტე მოხილვად კახეთისა. მისრულსა ქიზიყს წმიდა ნინოს, ეკლესიათა სენი საოფლისა და შემდგომად ცხრისა დღისა მოკუდა მუნ და დაფლა მუნვე ბოდბელმან იოვანე მაყაშვილმა. რომელსაცა ეგო პატიჟი, რაჲცა უყო მან საღვდელოთა იმერთა ანუ ქართველთა, და რაოდენნიმე გახლეოცენა ხატნი ძვირფასნი, და გაჰყიდნა ანუ მამულნი, ეგრეთვე და საუნჯენი ეკლესიისანი მიიხვეჭნა მან თვისთვის.

წელსა ამას მოვიდა მკალი განჯას და ვიდრე ტფილისის პირამდე მოსჭამა ფრიად მოსავალი.

ხოლო წელსა ამასვე იქმნა ქართლსა და კახეთსა შინა ფრიადი გოლვაჲ, რომელ მთელსა ზაფხულსა არა ყოფილა წვიმაჲ, და განხმა მთლად მოსავალი და ბალახი, იქმნა სიყმილი ფრიად, კოდი პური იყო ოთხ მინანთულად.

წელსა ამასვე 1820, ქ'კს ფO, იქმნა იმერთა შორის კვალად აღრეულებაჲ, შეჭირვებისა გამო რუსთა ზედა, ღუბერნატორის გამო პუზირევკისაგან, რომელ ესე იყო ახლად დასმული იმერეთსა შინა; რომელთაცა დაიწყეს ადგილ-ადგილ აბოხი და სრვაჲ რუსთა, ადგილ-ადგილ მდგომთა და გზასა ზედა მავალთა მოსაქმეთა (კურიელთა, ესე იგი ჩაფართა). ხოლო ჟამსა ამას განლტოლვილ იყო აბაშიძე იოვანე ძე ქაიხოსროსი, ვინაჲთგან დედა მისი დიდის მეფე სოლომანის ასული დარეჯან ჰყვეს ექსორიად როსიასა შინა და ძეცა მისი მცირე ყრმა მისთანა წარატანეს. ამან შემოიკრიბნა რაოდენიმე ზემო მხრისა თავადნი და აზნაურნი და იწყო აბოხი რუსთა ზედა. ხოლო ამჟამს გურიელი ქაიხოსროც უკუდგა რუსთაგან და შეერთდა ესეცა აბაშიძესა. იხილა რა საქმე ესე პოლკოვნიკმან რუსთამან პუზირევცკიმ, რომელ ესე პუზირევცკი იყო იმერეთსა შინა ღუბერნატორად, და სყვარელ იყო ფრიად ერმალოვისა და უსმენდის მას. გარნა იყო ესე ფრიად მოძულე ქართველთა და მაგინებელი თავადთა და აზნაურთა და ტირანი ფრიად. ამას სძულობდნენ ქართველნი და იმერნი.

წარემართა გურიასა ზედა, რათა დაიპყრას ციხენი გურიისანი, ვინაჲთგან ამა პოლკოვნიკსა აქუნდა რწმუნებული გურიაცა, რათა დააცხროს აბოხი გურიასა შინა. მისრული გურიას შეიპყრეს პოლკოვნიკი იგი პუზირევცკი ქაიხოსრომ და აბაშიძე ივანემ, და აბაშიძემ ფინეზიშვილმან ნიკოლოზ, და წარკუსთეს თავი, რომელსაცა ღვერთმან მართლ მსაჯულმან აგო შური იმ სახედ მოპყრობისათვის ღა ტანჯვისათვის მღვდელ მთავართა, ვითარცა ზემოთ მოვიხსენეთ შეპყრობა მათი. და აღადგინეს უძვირესი აბოხი. სცნა რა ესე ამბავი უპირველეს

ᲛᲐᲜ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲔᲚᲛᲐᲜ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲠᲛᲐᲚᲝᲕᲛᲐᲜ, ᲛᲘᲣᲬᲔᲠᲐ ᲛᲣᲜ ᲛᲧᲝᲤᲡ ᲛᲮᲔᲓᲠᲝᲑᲐᲗᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲘᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲒᲣᲠᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲰᲡᲬᲘᲢᲝᲜ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘ ᲥᲐᲘᲮᲝᲡᲠᲝ ᲪᲝᲚᲨᲕᲘᲚᲘᲗ, ᲓᲐ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲜᲘᲪᲐ, ᲓᲐ ᲐᲦᲐᲮᲠᲝᲜ ᲡᲐᲮᲚᲘ-ᲙᲐᲠᲘ ᲛᲐᲗᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲧᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲜᲘ ᲛᲐᲗᲜᲘ ᲛᲘᲣᲦᲝᲜ ᲓᲐ ᲰᲧᲝᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲓ, ᲮᲝᲚᲝ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲓᲐᲑᲐᲚᲗᲐ ᲐᲠᲐ ᲠᲐᲦᲛᲔ ᲨᲔᲡᲪᲝᲓᲝᲜ, ᲓᲐ ᲣᲙᲔᲗᲣ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲘᲙᲐᲓᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲗ, ᲘᲒᲘᲜᲘᲪᲐ ᲐᲦᲬᲣᲕᲘᲢᲝᲜ. ᲛᲘᲡᲠᲣᲚᲗᲐ ᲛᲮᲔᲓᲠᲝᲑᲜᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐ ᲕᲔᲠᲐ ᲠᲐᲦᲛᲔ ᲰᲧᲕᲔᲡ, ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲧᲕᲘᲓᲜᲔᲡ ᲠᲣᲡᲜᲘᲪᲐ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲝᲠᲐᲡᲐᲓᲛᲓᲔ, ᲓᲐ ᲣᲙᲣᲜᲘᲥᲪᲜᲔᲜ. ᲔᲡᲛᲐ ᲠᲐᲦ ᲔᲡᲔ ᲔᲠᲛᲐᲚᲝᲕᲡᲐ, ᲬᲐᲠᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲜᲐᲘᲑᲘ ᲗᲕᲘᲡᲘ ᲦᲘᲐᲜᲐᲠᲐᲚ ᲕᲔᲚᲘᲐᲛᲘᲜᲝᲕᲘ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ. ᲨᲔᲨᲘᲜᲓᲜᲔᲜ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲜᲘ, ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲕᲚᲢᲜᲔᲜ ᲛᲣᲜᲘᲗ. ᲗᲣᲛᲪᲐᲚᲐ ᲕᲔᲚᲘᲐᲛᲘᲜᲝᲕᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲨᲕᲘᲓᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲜᲘᲛᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲜᲘ ᲘᲛᲔᲠᲗᲐᲜᲘ, ᲒᲐᲠᲜᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲝ ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲐᲐ, ᲠᲐᲛᲔᲗᲣ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲐᲛᲐᲡᲕᲔ ᲬᲘᲜᲐ ᲐᲦᲣᲓᲒᲐ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲡ ᲚᲔᲝᲜᲡ ᲫᲛᲐ ᲗᲕᲘᲡᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲐ ᲨᲔᲤᲝᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲓᲘᲨᲡᲐᲪᲐ ᲨᲘᲜᲐ, ᲐᲛᲐᲜ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲛ ᲨᲔᲘᲞᲧᲠᲜᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲜᲘᲛᲔ ᲛᲝᲐᲡᲐᲯᲔᲜᲘ ᲗᲕᲘᲡᲜᲘ ᲓᲐ ᲘᲬᲧᲝ ᲒᲖᲐᲗᲐ ᲖᲔᲓᲐ ᲛᲔᲙᲝᲑᲠᲝᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲪᲐᲠᲪᲕᲐ ᲠᲣᲡᲗᲐ, ᲓᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲗᲘ. ᲗᲣᲛᲪᲐᲚᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲒᲖᲘᲡ ᲔᲪᲐᲓᲐ ᲕᲔᲚᲘᲐᲛᲘᲜᲝᲕᲘ ᲨᲔᲞᲧᲠᲝᲑᲐᲡᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡᲐᲡᲐ, ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲘᲒᲓᲝ ᲮᲔᲚᲗ. ᲔᲡᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲦᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ ᲐᲤᲘᲪᲐᲠᲘ, ᲓᲐ ᲐᲛᲯᲐᲛᲐᲗ ᲬᲐᲠᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲣᲜ. ᲮᲝᲚᲝ ᲯᲐᲛᲡᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲓᲔᲓᲐᲠᲐᲛᲐᲗᲘ ᲜᲘᲜᲝ, ᲬᲐᲠᲡᲠᲣᲚᲘ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲮᲘᲗ, ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲡᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡᲐᲡᲐ ᲔᲡᲔ ᲐᲦᲠᲔᲣᲚᲔ-ᲑᲐᲐ ᲐᲑᲠᲐᲚᲐ ᲓᲔᲓᲐᲡᲐ ᲗᲕᲘᲡᲡᲐ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲛᲐᲜ ᲚᲔᲝᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲡᲛᲘᲜᲐ ᲘᲒᲘ ᲔᲠᲛᲐᲚᲝᲕᲡᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲔᲠᲛᲐᲚᲝᲕᲛᲐᲜᲪᲐ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲡᲐ, ᲓᲐ ᲔᲥᲡᲝᲠᲘᲐᲓ ᲬᲐᲠᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ ᲜᲘᲜᲝ ᲨᲘᲒᲜᲘᲗ ᲠᲝᲡᲘᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ, ᲓᲐ ᲓᲐᲐᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲡ ᲠᲔᲖᲐᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪᲐ ᲐᲠᲐ ᲠᲐᲦᲛᲔ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲨᲔᲪᲝᲓᲔᲑᲐᲐ. ᲮᲝᲚᲝ ᲕᲔᲚᲘᲐᲛᲘᲜᲝᲕᲘ ᲓᲐᲨᲗᲐ ᲘᲛᲔᲠᲗᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲒᲐᲜᲛᲒᲔᲓ. ᲮᲝᲚᲝ ᲯᲐᲛᲡᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲧᲘᲠᲘᲛᲘᲗ ᲙᲣᲐᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐ ᲛᲮᲔᲓᲠᲝᲑᲐᲐ ᲖᲚᲕᲘᲗ ᲝᲗᲮᲘ ᲞᲝᲚᲙᲘ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ.

ᲮᲝᲚᲝ ᲬᲔᲚᲡᲐ ᲐᲛᲐᲡᲕᲔ, ᲘᲕᲜᲘᲡᲨᲘ, ᲦᲘᲐᲜᲐᲠᲐᲚ ᲛᲐᲘᲝᲠᲛᲐᲜ ᲙᲜᲘᲐᲖ ᲛᲐᲓᲐᲗᲝᲕᲛᲐᲜ ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲛᲐᲜ, ᲛᲘᲡᲠᲣᲚᲛᲐᲜ ᲧᲐᲖᲘᲙᲣᲛᲣᲮᲡ, ᲑᲠᲫᲝ ᲡᲣᲠᲮᲐᲕᲘᲡ ᲮᲐᲜᲡᲐ. ᲘᲫᲚᲘᲐ ᲡᲣᲠᲮᲐᲕᲘ, ᲓᲐ ᲓᲐᲘᲞᲧᲠᲔᲡ ᲠᲣᲡᲗᲐ ᲙᲐᲖᲘ ᲙᲣᲛᲣᲮᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ.

წელსა ამასვე იქმნა სტამოლსა შინა აღრეულებაჲ სომეხთა და ოსმანთა შორის. რომელ სომეხთ პატრიარქი გრიქულ, იქმნა ლათინთა სარწმუნოებისა. ამან აბირნა მუნებური სომეხნი რათა მიიღონ ლათინთა სარწმუნოება, ხოლო სომეხთა, არა ამის თავს მდებთა, უყვეს პატრიარხსა ამას ზედა დასხმაჲ. პატრიარქი განიელტო და მივიდა ვეზირთან, შეასმინნა სომეხნი, რეცა ბუნტისთვის, და მისცა ქრთამიცა. ამის გამო შეიპყრეს მრავალნი წარჩინებულნი სომეხნი და მოსწყვიტნეს ოსმალთა და იავარ ჰყვეს მონაქონი მათნი.

წელსა ამასვე იქმნა ფრიად აღრეულებაჲ ადგილ-ადგილ ევროპიასა შინა, და უფროს იტალიასა შინა, და ეგრეთვე ოსმალთა შინა, ფრიადი სისხლის ღვრაჲ, რომელ ალი ფაშა ვინმე იგანოღლი საბერძნეთისა იქმნა ქრისტიანე და იწოდა კოსტანტინედ. ამან დაიპყრა სრულიად მაკედონია და გარემოს ადგილნი მრავალნი. ამას მრავალ გზის ბრძეს ოსმალთა, გარნა იძლიენენ ოსმალნი მის მიერ, და მოიკლა ბრძოლასა ამას შინა ჩინებული მხედართ მძღვანი თურქთა ფალევან ფაშა სარასკარი.

წელსა ამასვე 1820, სეკდემბერში იქმნა ესე საკვირველი, რომელ ხეთა დაცვიდათ ფურცელნი და ხელმეორეთ შემოდგომაზედ გამოიღო ნაყოფი, და დამწიფდა, და ესე ოდენი თუთა მოვიდა და იყიდებოდა ტფილისსა შინა; ვითარცა მაისში არს ჩვეულება ამ სახედ. ხოლო ვარდნიცა და ყვავილნიცა განიშალნენ მრავალნი.

წელსა ამასვე, ოკდომბერში, კუალად იმპერატორი როსსიისა, კეისარი, პრუსიის კოროლი და სხვანი ღერცოლნი ევროპიისანი შეკრბნენ სილიზასა ტროპპაუ ქალაქსა შინა, და კრება ჰყვეს მიზეზით ა მით: ვინაჲთგან განვიდა მონაპარტე კუნძულით ელენესით პატიმარი და მივიდა ისპანიასა შინა.

ხოლო წელსა ამასვე განდევნეს შაქის ხანი მუსტაფა რუსთა შამახიით, და გახსნეს შაქში მართებლობა რუსეთისა, რომელ აქამომდე ეპყრა ხანსავე მუნებურსა, რომელსაცა აქუნდა რუსეთის სამხედროსი ღიანარალ-ლეიტენანტობაჲ კა-

ვალერიანურთ. ესე აძლევდა რუსთა ხარკსა წელიწადში ხუთი ათას ღალანდიის ოქროსა. ხოლო სხვაჲ ეპყრა მას და მართვიდა მუნეპურსა ადგილსა წესითა მით, ვითარცა არს ჩვეულება მათი, თუნიერ კაცის კვლისა და ნასაღისა, რომელიცა ესე ჰქონდა აღკრძალულ რუსთა მიერ.

წელსა ამასვე 1820 ვინაჲთგან იმერთა შინა იყო ფრიადი აღრეულებაჲ, ვითარცა ზემო მოვიხსენეთ, ამის გამო რუსნიცა ფრიად განძვინებულ იყვნენ მათ ზედა. სადაცა მთავარმართებელმან ქართლისამან ერეკლოვმან, წარგზავნა იმერეთზედ მხედრობითა მონაცველ თვისი ღიანარალ-ლეიტენანტი ველიამინოვი. ამან, შთასრულმან იმერეთსა შინა, თუმცაღა ეცადა დამშვიდება იმერეთისა, გარნა ვერ უძლო სრულიად დამშვიდებაჲ მათი, ხოლო კერძთა კაცთა მიერ შესმენითა, ვითარცა არს ჩვეულება იმერთა, და არღარა სწადდათ რუსთა, რომე მეფეთა შთამამავლობათაგანი ვინმე დაშთომილ იყვნენ იმერთა შინა, ვითარცა ჰყვეს საქართველოსა შინა. ამის გამო შეუჩინეს რუსთა კაცი დიდისა მეფის სოლომანის ძის წულსა, ძესა ბაგრატისასა დავითს, და მოკლეს იგი ღალატითა სოფელსა შინა თკისსა. ესე დავით მოკლა ყმამან მისმან ჭაჭიაშვილმან. რომელსაცა არა რაჲმე ჰქონდა რუსთა ზედა შეცოდებაჲ და მსახურაცა მრავალ გზის აღრეულებასა შინა იმერთასა რუსთა ერთგულად, ხოლო მათ, ნაცვლად წყალობისა, დასთხიეს სისხლი მართლისა მის, და შეირაცხა წმიდათა შორის, ხოლო ესეცა არა აკმარეს, და ცოლშვილნიცა ?ისნი წარავლინეს როსიასა შინა პატიმრად, ყოვლითურთ უნუგეშონი და უპოვარნი. ხოლო ესეცა ჰყვეს, რომელ მეფესა დავითს, გიორგის ძესა, იმერეთსა დაშთა ბუში ერთი, რომელსა ერქუა როსტომ. ესე იმყოფებოდა იმერთა შინა და აქუნდა მცირედი ყმაჲ და მამული, მიცემული მამისა თკსისაგან. ესე გარდაცვლილიყო იმერეთსა შინა, ხოლო ამას დაშთა რაოდენნიმე წვრილნი შვილნი; ესენიცა რუსთა ექსორიად წარგზავნეს დედითურთ თკსით როსიასა შინა. ხოლო ძე როსტომისა ვახტანგ განივლტო ოსმალთა შინა, და სხვანი ძმანი და ცოლ-

შვილი ამათი ტყვედ წარიყვანეს; ხოლო აბაშიძის ნიკოლოოზ ფინეზის შვილის ცოლშვილნიცა ამათთანვე. ჯი უკუდაო ღმერთო! და რომელმან ენამან გამოთქუას ანუ რომელმან ხელმან აღწეროს მაშინდელი ჭირი და ვაება, მოწევნილი იმერთა ზედა, ვითარცა თავადთა და აზნაურთა ზედა, ეგრეთვე სამღვდელოთაცა ზედა.

ხოლო ჟამსა ამ ას ალადგინეს აბოხი რაჭველთაცა ფრიად, სადაცა იმერეთით წარავლინა ველიამინოვმან მათ ზედა მხედრობანი რუსთანი, და წარტყვენნა რაოდენნიმე ადგილნი რაჭისანი, რომელიცა იქმნენ რაჭველნი ფრიად შემჭირვებულნი რუსთაგან და შეიპყრეს წულუკიძე გიორგი, ძე პაატასი, და ბიძაშვილი მისი დავით, ხოლო ლევან წულუკიძე მოკლეს შეპყრობისა ჟამს, რომელსაცა ენება ხლმითა განთავისუფლება მისი. ესე გიორგი მოკუდა პყრობილი ტფილისს, ხოლო გურიითცა განსდევნეს ერისთავი მუნებური დავით და ამისი ცოლი ჩიჩუას ქალი, შიშვნეული რუსთაგან, გარდიგდო კლდეზედ თავი და მოკუდა (ანუ გარდააგდეს). ხოლო ამის შემდგომად ვინაჲთგან დადიანის ძე გიორგი ლტოლვილი იყო ციხესა ფოტისასა ოსმალთა შინა და ოსმალთაცა არა უტევეს მუნ, ვინაჲთგან აქუნდათ შერიგება რუსთა თანა, მოსრული მუნით შეიპყრა ძმამან მისმან დადიანმან ლეონ, და წარუგზავნა რუსთა, ხოლო მათც პატიმარ ჰყოს ტფილისსა შინა და მისთანა მყოფნი თავადნი, აზნაურნი და გლეხნი დასაჯნეს სიკვდილითა, ხოლო გიორგი წარგზავნეს ციმბირსა შინა, და განაწესეს მუნ ჯარშია.

ხოლო წელსა ამასვე 1821 მოკლა ღალატით ძმამან მისმან უსეინ ბეგ შარვაშიძე გიორგი, მთავარი აფხაზთა, რომელიც ესე გიორგი იყო რუსთაგან პატივცემული და ღიანარალი რუსეთისა და ყმად ხმობილი, და მიუბოძა ხელმწიფემან ალექსანდრემ ადგილი მისი ძესა მისსა დიმიტრის, რომელსაცა ზრდიდა თვით ხელმწიფე პეტერბურხსა შინა. დღეს რომ ამ აგვისტოს 23 და ღღე სამშაბათი, ტერბურხიდამ წარვიდა დიმიტრი შარვაშიძე. ამას განატანეს თან კაპიტანი ღვარდიისა

ჩერქეზის თავადი ბექეჩი. ხოლო უსენ ბეგ შარვაშიძე, მკვლელი ძმისა თკსისა, შეიპყრეს აფხასთა და მოსცეს რუსთა, და ესე წარგზავნეს ( ) ომბირსა შინა. ამა უსეინ ბეგსაცა აქუნდა ჩინი რუსეთისა პოლკოვნიკობისა.

მისრულს დიმიტრის შემოება ბიძა მისი ასლან ბეგ. იძლიენენ რუსნი და მოკლეს ამ ბრძოლაში მიშკარბაშის იოსების შვილი ალექსანდრე. კუალად მიეშველა სხვა მხედრობა რუსთა. იძლია ასლან ბეგ, და დასვეს რუსთა დიმიტრი, რომელიცა ესე დიმიტრი მოკუდა მთავრობასა შინა წელსა 1822, დაჰყო მთავრობასა შინა 1 წელი და ათი თ[illegible], ფრიად შვენიერ და ყრმა ჰასაკითა, წლისა 20-ისა.

წელსა ამას 1821, მაისის 20, მოვიდა მკალი და მოჭამა ნაშრომი კახეთსა და ქიზიყსა შინა, ვიდრე ქალაქის პირადმდე, და ეგრეთვე სეტყვა ძლიერი, რომელმანცა წარახდინა ყოველნი ვენახნი და იქმნა სრულიად სიყმილი ფრიადი.

ხოლო წელსა ამასვე 1821, იკლისის 17, მოკუდა მიტტრაპოლიტი თეოფილაკტე და ხელმწიფემან დასო მოადგილეთ მისდა ასტარხნის არხიეპისკოპოზი იონა. ექსარხოსობა ქართლში 2, რუსთა სამღვდელოთა.

წელსა ამას 1821, იანვრ-ს 19, ქ-კს ფთ, გამოჩნდა კუალად ვარსკულავი კომეტა, ფრანკიასა შინა ქალაქსა სარმანს.

წელსა ამას 1821, მაისის 5, გარდაიცუალა მონაპარტე ტყვეობასა შინა, ოსტროვსა ელენესასა, და ოდეს სცნა სიკვდილი თვისი, მოითხოვა სამხედრო ტანისამოსი და ჩაიცუა სრულიად, დაწვა და მოკუდა.

წელსა ამას 1821, თებერვალში 21, გარდაიცუალა არხიეპისკოპოსი გაიოს, ქართველი, თაყაშვილი. ასტარხანს მისი ეპარხიელი იყო. ესე იყო ფრიად განსწავლულ რუსულსა, ქართულსა და სომხურს ენასა ზედა. ამანა თარგმნა რუსულიდ ამ უმრავლესნი წიგნნი, ვითარცა სამოქალაქო, ეგრეთვე საეკლესიონი ვიდრე 400-ამდე. ამან გამართა დაბადება რუსულისაგან და ლათინთა და ბერძენთაგან, რაიცა აკლდა ქარ-

თულსა დაბადებასა, შემატა. ესე მიიცუალა წლისა 75. ესე აღზრდილი და განსწავლული იყო კათალიკოზის ანტონის იესეს მეფის ძის მიერ. ესე ჟამსა ამას ძვირფასობდა ქვეყანასა საქართველოჲასასა და ამის შემდგომად, ღმერთმან უწყის, დაშთებაღა მჰსგავსი ამისი მეცნიერი ქვეყანასა ჩვენსა!

წელსა ამასვე 1821, მარტის 24, დღესა ხუთშაბათსა მიიცუალა მიტრაპოლიტი მიხაილ სანკთ-პეტერბურღისა და დასვეს მოსკოვის მიტრაპოლიტი სერაფიმ.

ხოლო წელსა ამასვე იქმნა ოსმანთა და ბერძენთა შორის ფრიად აღრეულება. ყადაც მოლდავით იასით და სერბით და ბოლღარით მოიკრიფნა მხედრობანი ღიანარალ მაიორმან იპსლანდიმ ალექსანდრემ, მივიდა, ეწყო ოსმალთა, აოტნა და სრულიად განდევნა ამა ადგილთაგან ოსმანნი, და სთხოვა იმპერატორსა და კეისარსა, რათა მწე ეყოს ბერძენთა, რომლისათვისცა არა ეთანხმნენ ესენი აშლასა ოსმანთა ზედა, ვინაჲთგან აქუნდათ ამჟამს შერიგებაჲ ოსმანთა თანა, ამისთვის ღიანარალ ისპლანდიაც შერისხულ იქმნა იმპერატორის მიერ, და განქევებულ ღიანარლობისაგან. მსმენელმან ამისმან სულთან მაჰმუდ— რუსთა არა მისცეს ბერძენთა შეწევნაჲ, არამედ განამტკიცეს კუალად შერიგებავე ოსმანთა თანა, ამის გამო ვინაჲთგან ჭალაკნიცა მრავალნი ბერძენთანი უკუდგნენ და განდევნეს თურქნი.

მსმენელთა ამისთა ომალთაც, ვინაითგან რუსთა პირიც აღარ მისცეს ბერძენთა, ბრძანებითა სულთან მახმედისათა მოსწყვიტნეს ექკსასნი ჩინებულნი მღვდელ მთავარნი კოსტანტინეპოლის სინოდისა ჩღენნი და მრავალნი ჩინებულნიცა ბერძენნი, ხოლო პატრიარქი გრიგოლი მოაშთუსს და მოშთობილი ურიათ ათრევინეს ქუჩათა შინა და მერე ურიათა მოაბეს ქუა და შთააგდეს ზღუად, ხოლო განგებითა ღვთისათა განწყდა ქუა იგი და მეექონი ზღვის მიერ გუამი მისი ემთხვია მენავეთა ბერძენთა მართლ-მადიდებელთა, მათ მოიღეს გუამი მისი და დაფლეს ყირიმს, ქალაქსა თეოდოსის და შეირაცხა წმიდათა შორის, და შემუსრნეს წმინდა ეკლესიანი სრულიად

კოსტანტინეპოლსა შინა, რომელნიცა ეპყრათ ბერძენთა და იავარ ჰყვეს ყოველნიეე ნივთნი მათნი და წმინდა სამსახურებელნი და ბერძენნიცა სრულიად მამაკაცნი მოსწყვიტნეს, თვინიერ დედათასა...

წელსა ამასვე იქმნა აღრეულება ევროპიასა შინა, ადგილსა ნიაპოლს და იტალიასა შინა. მივიდა იმპერატორი რუსთა ალექსანდრე და კეისარი ფრანც, დაამშვიდეს და უკუნიქცნენ თვისადვე.

ამის გამო აიძულა პატრიარხსა კოსტანტინეპოლისასა გრიგოლს სულთანმან, რათა მისწეროს ყოველთა საბერძნეთის ხალხთა შეჩვენებაჲ, რათა არა წინააღმდეგ იქმნას ბერძენნი სულთანისადმი; რომლისა გამო არა ერწმნებებელმან ამისმან პატრიარხმან დასდუა სული თვისი ცხოვართა თჳსთათჳს. ამის გამო განძვინდა სულთან მაჰმუდ და უბრძანა ვეზირსა თჳსსა, რათა მოაშთოს პატრიარხი იგი და მისთანა სხვანიცა სამღვდელონი ყოველნი, და მოსწყვიტონ ყოველნი ბერძენნი და ქრისტიანენი სხვანიცა, ვინცავინ იპოებოდეს კოსტანტინეპოლსა შინა. ამისა მსმენელმან პატრიარხმან აუწყა ხალხთა ქრისტიანეთა, რათა არა მოვიდნენ ეკლესიასა შინა დღესასწაულსა აღდგომისასა, რამეთუ ებრძანა სულთანს ᲐᲣᲜ დღეს მოწყვეტაჲ მათი ეკლესიათა შინა. მსმენელმან ამისმან სულთანმან განძვინდა და უარძანა ვეზირსა, რათა მოსწყიტნეს ბერძენნი. მსმენელმან ვეზირმან მოიკრიბნა მუნებურნი ენგიჩარნი და წარემართა მათ ზედა, მივიდა პატრიარხთან დღესა აღდგომისასა, 10 აპრილსა, და აღასრულა რა წმიდა ლიტურღია პატრიარხმან, დაესხა ეკლესიასა შინა, გამოიყვანა ეკლესიით და მოაშთუა შესამოსლითა შემოსილი, და მისთანა ექვსნი არხიერნი სხვანი ბერძენთა და ექვსი არხიმანდრიტნი, და მრავალნი მოხუცნი სამღვდელონი, და დიაკონნი აღაცუნა ანძალსა ზედა, და შემუსრეს წმინდანი ეკლესიანი ყოველნი კოსტანტინეპოლსა შინა და წმინდანი ხატნი და ჯუარნი იქმნენ მიტაცებულ და იავარ ყოველნი სამსახურებელნი მათნი. ხოლო წმინდა ესე პატრიარხი გრიგოლ იყო დამოკიდებულ წელსა ზედა სამს

დღეს ეკლესიისა კარსა ზედა და შემდგომად მისცეს ურიათა, და აათრიეს ქალაქსა შინა, ხოლო შემდგომად ამისა მოაბეს ქუა და შთააგდეს იგი ზღუასა შინა, სადაცა განგებითა ღვთისათა მოეხსნა ქუაჲ და ზღუამან განაგდო თავისის შესამოსლითა ყირიმსა, ქალაქსა აღესასა შინა და მუნ მცნობთა ბერძენთა დაკრძალეს წმიდა გუამი მისი მუნ. ხოლო ენგიჩარნი ესრეთ გაშმაგდნენ კოსტანტინეპოლსა შინა, რომელ სადაცა ბერძენთა ანუ სომეხთა, ანუ ფრანგთა, ანუ ევროპიელთა იხილვიდიან, უწყალოდა ჰკვლიდიან, ხოლო შორის ამათს მოჰსწყვიტნეს რაოდენნიმე ჩინებულნიცა თავადნი ბოლდავიანი, გუარად გავრი კარდატონი, კარსა ზედა მსახურნი პრეოთჩიკად ხმობილნი, ხოლო ჰირი ამა ჟამისა და ვაება მოწევნილი ვინმემ გამოთქუას ქრისტიანეთა ზედა ვითარცა არს და წარიგზავნაცა ფარმანი სულთანისა ყოველგან საფაშოსა შინა, რათა, სადაცა არიან ქრისტიანენნი, ყოველნი მოსწყვიტნონ. დღენი ესე გუანან დღეთა ნერონისთა და მაქსიმიანესთა: ვითარცა იყო მაშინ დევნულება ქრისტიანეთა, ეგრეთვე ჟამსა ამას უმეტეს მძვინვარებს ცოდვათა ჩვენთათვის. ხოლო ბერძენნიცა ყოველსა ადგილსა მძვინვარებენ და მხნედ იბრძვიან, ვითარცა კნიაზ იფსილანდი მოლდავის მხრით და უფრო ქალაკებითა შინანიცა. შემდგომად გრიგოლ პატრიარხისა ჰყვეს პატრიარქად კოსტანტინეპოლისა კირილე, ადრანა პოლისა არხიეპისკოპოსი, და ესე ვიდრემდის მოიწევოდა კოსტანტინეპოლად მოკლეს ესეცა წამებითა გზასა ზედა ოსმალთა, ხოლო პატრიარხიცა იერუსალიმისა პოლიკარპე დაშთა მშვიდობით, გარნა ესეცა იყო შამწყვდეულ თჳისსა მონასტერსა შინა თჳისითა კრებულითა, ხოლო სერბისა არხიეპისკოპოსიცა ათანასი მრავლისა სატანჯველისა შემდგომად პყრობილ იქმნა და მიგდებითა ძალლთათა გაბზარულ და ესე ვითართ შინა მრავალთა მიიღეს მოწამეობისა გვირგვინი. გარნა ბერძენნი სულითა ქრისტიანეპრითა განხურვებულნი, მარადის მრე ექმნებოდნეს განძვინებულთა თათართა ზედა. ხოლო წელსა ამასვე ივნისში ესრეთ განძვინდა უღთო სულთან მაჰმუდ, რო-

მელ სრულიად ხელ ჰყო აღწყვეტა ქრისტიანეთა, მცხოვრებელთა კოსტანტინეპოლსა შინა. ესრეთ მაჰრნი კაცნი მოსწყვიტნა და ჩვილნი ყრმანი, ხოლო მდედრნი ქუა კისერთ მიბმულნი შთაყარნა ზღუათა შინა. ესრეთ მწყურვალე იყო ქრისტიანეთა სისხლისა, რომელ მარადის ხოცდის უწყალოდ. ხოლო ამავე ჟამსა შინა კოსტანტინეპოლს კუალად მოსწყვიტნეს მღვდელთ-მთავარნი ოთხნი, და მღვდელნი ორმოცდა თერთმეტნი. მყოფნი ერთსა ბაღსა შინა, და მვედრებელნი ღვთისანი ლოცვისა მის, რათა დასცხრეს გულის წყრომა ღვთისა სამარჯულად მოსრული ქრისტიანეთა ზედა ცოდვათა მათთათვის. ამისა მხილველმან ელჩმან როსიისამან ბარონ სტროგუნოვმან, ვერღარა მომთმენმან მან ესე ვითარისა ტირანობისა გამო ქრისტიანეთა ზედა, თუმცღა მრავალ გზის აუწყა სულთანს, რათა დასცხრეს ქრისტიანეთა დევნულებისაგან, გარნა არა რაისა მსმენელმან სულთანმან ესეცა შეურაცხ ჰყო, და მანცა დაუტევა ყოველივე და გამოპარვით მოვიდა ყირიმსა შინა. ჟ საკვირველი!

წელსა ამასვე იგლოვა ცამან ესეოდენი უსამართლოებაჲ მოსრული: და არ გვიხილავს ზაფხულის ჰაერი, არცა სიცხე; ცაჲ ესრეთ შეიცვალა, რომელ ყოველსა ღრუბელსა შინა იპოებოდა ღრუბელი, ვითარცა ბნელი სისხლის მსგავსი, რომელიცა თუალითა ჩემითა ვიხილე იელისის 23 დღეს და მრავალთ სხვათაც, და უკვირდათ ამგუარის ღრუბლების გაჩოჩენაჲ.

წელსა ამასვე 1821, მაისის 25, ანგლიის საკოროლოში ეკრესტონტის (ესე გამოცემულ იქმნა გაზეთით, რომელსაც ჰქიან ინვალიდი. № 217, სეკდემბრის 18), რომელიცა არის ადგილი ესე ღრაფის ღლოსტერ-კომისა, მოვიდა წვიმა და წვიმისა მაგიერ იწვიმა სულ ლოკოკინა, რომელმანცა დაჰფარა მთლად საჰი დლიური მიწა; თითო იყო სიმაღლით თითო გოჯი, ხოლო სიდიდით თითო რაკის ტოლი, და აქუნდა ფერი ჭრელი.

ხოლო წელსა ამასვე აღიშალნენ სპარსნი და თურქნი, მიუღეს სპარსთა ბაღდადი, ვანი, აზრუმი და ტრაპიზონი. ამა სპარსთა წინამძღოლელი მხედართა იყო ძე ბაბახან ყეენისა მაჰმად ალი მირზა, უწარჩინებულესი მხედართ მძღუანი და მხნე მამაცი სპარსთა შორის. და კუალად დაზავდნენ სპარსნი და თურქნი შუამდგომელობითა ანგლიელთაგან. ხოლო ჟამსა ამასვე მოკუდა ძე ბაბახან ყეენისა მაჰმად ალი მირზა მუნვე ბაღდადსა შინა, უწარჩინებულესი მამაცი, რომელიცა ებრძოდა თურქთა და მისცა ფრიადი მოკლებაჲ ძალისა სიკვდილმან ამისმან სპარსთა მხედრობასა, გარნა ვერა დაამტკიცეს შერიგება; ამისთვის ბაბახან ყეენმა აღიღო ბაღდადი და ფაშა მისი იკმო, და დაიპყრა თვისად, თუმცალა ანგლელთა არა სათნო იყო ესე და წყინობდნენ. ამისთვის ბაბახან ყეენმან განჰყარნა ყოველის სპარსეთით შემოსრულნი ანგლიჩანნი.

ხოლო წელსა 1822, ქ-კს ფი, ესე გამოცემულ იქმნა პეტერბურღსა შინა (აკადემიის გაზეთი № 2, იანვრის 6, 1822 წელს): წარსრულის წლის 1821, აპრილის 1, ვიდრე ამ დეკემბრამდისინ, რაოდენიცა სულნი ქრისტიანენი მოჰსწყვიტნა საბერძნეთსა შინა და კოსტანტინეპოლის უღმრთომან და მტარვალმან სულთან მაჰმუდმან,—ეს არს სია მათი: 300,000 ხალხნი. ამათ შორის 1-ი პატრიარხი კოსტანტინეპოლისა გრიგოლი, და ამათივე სინოდის მწევრნი არქიერნი და არხიეპისკოპოსნი 12, ფრაკიელნი—3 მიტრაპოლიტი ეპირისა, 6 არქიერი ტრიპოლიისა. ამათ მიიღეს მღვდელ-მოწამეობაჲ, ესენი ეწამნენ ოკდომბრის თვეში, და ამათთანვე ეწამნენ 7 ბერძენნი; ესენი მოიკლნენ სერბიისა სარასკარისგან. ხოლო შემუსრეს ეკლესიანი და მონასტერნი 4,500 საბერძნეთსა შინა. ამასთანვე ბრავალნი დედანი მონაზონნი შთაჰყარეს წყალსა შინა და დაანთქეს.

ხოლო წელსა 1822 კუალად აღადგინეს ჰარელთა და კატეხელთა აბოხი დიდი რუსთა ზედა, აღვიდნენ და იწყეს მიგრება ზაქათალასა შინა. ჩსმენელმან ამისმან მთავარ მართებელმან ერმალოვმან წარგზავნა მათ ზედა მხედრობანი თვისნი.

მისრულთ მუნ მხედრობათა მათ ძლიერად ბრძოეს ლეკთა, გარნა იძლივნენ ლეკნი რუსთა მიერ, და აღიღეს ზაქათალაცა, და შემუსრეს მუნ ,,შენობანიცა, და მოსწყვიტნეს მრავალნი სულნიცა ლეკთანი, და ქონება მათი იავარ ჰყოეს, და ეგრეთვე კატეხიცა წარტყვენეს და მოსწვეს სრულიად, რომელ არღარა დაუტევეს მკვიდრი მათ შინა. ესე იყო მარტისა თვეში, დიდს მარხვაში.

ესე ანბავი მოეწერა ჩემთვის ტფილისიდამ სატეკის სოეეტნიკს და სინოდის კანტორის პროკურორს ვასილი ჭილაძეს წელსა 1822, მარტის 20.

ხოლო წელსა ამასვე 1822, ქ^კს ფი, აპრილის 5, ბრწყინვალის კვირის ოთხშაბათს დღეს, დილისას მერვე საათზედ, სამხრეთის მხარეს ერთი დიდი ვირსკულავი გამოჩნდა, და მთვარის ახლო მიკრული იყო; 8 საათიდამ დღისით მოწმენდილს ცაზედ იდგა 10 საათამდინ ვიდრე წირვამდინ. და ყოველი ხალხი ჰსჭვრეტდა ტფილისში. ესე ხილვა ტფილისიდამ მოეწერა ვასილი ჭილაძეს წერილით.

და კუალად იწყო ყეენმან ბრძოლად ბაღდადისა და ანატოლისა, რომელთაცა მხედრობათა სპარსთა, მოსრულთა აზრუმს, ეკუსთნენ ოსმალთა, და ძლიერსა ბრძოლასა შინა მოკლეს სპარსთა სამნი ფაშანი,— ერთი აზრუმისა, ყარსისა და ტრაპიზონისა, და არს ამ დრომდე ბრძოლა თურქთა და ყიზილბაშთა.

წელსა ამასვე 1822, ივლისის 21, ღამესა პარასკევს დაბნელდა მთოვარე. ჩეუნ პეტერლოფს ვიყავით და იქიდამ ვსჭვრეტდით.

წელსა ამასვე 1822, აგვისტოს 13, ღამეს 10-საათს იქმნა ფრიადი ძვრაჲ სირის მხარეს, ალაბის ქალაქი სრულიად შეიმუსრა, და ეგრეთვე გარემოს მისსა ცხრა სხუა ქალაქი და ყასაბინი, მრავალნი სულნი მოჰსწყდა.

ხოლო წელსა ამასვე განსდეენეს რუსთა ხანი ყარაბაღისა, ესე იგი რანისა, მეითი, ძე იბრაიმ ხანისა, სპარსეთს,—ესე იყო ღიანარალ მაიორი და კავალერი და აქუნდა ხანობა რუს-

თაგან ყარაბაღისა აქამომდე,—შესმენითა მუნებურის სომხის ლიანარალ მადათოვისათა და ჰყვეს რუსთა მუნ მართებლობა თვისი და უთავეს მადათოვი მუნ, ხოლო ძმისწული მისი ჯაფარ-ყული-აღა, ძე მამად ასან აღასი ძითა თვისითა შეიპყრეს და წარავლინეს 3 ტივრად როსიასა შინა, ქალაქსა ციბირკისასა.

ხოლო წელსა ამასვე 1823, ქ-კს ფია, იანვრის 14, დაბნელდა მთოვარე, ვითარცა წყვდიადი, და იყო ორს საათს ესრეთ, ხოლო მთოვარე იყო რიცხვით 11-სა.

წელსა 1823, ქ-კს ფია, სომეხნი შეიშალნენ აღვსებისაგან. ესე მომითხრა ტერტერამ ტერგეურქამ თელეთელმა, რომელიც ამჟამად აქ პეტერბურგს სცხოვრებს, კაცი განვითარებული და მეცნიერი ვითარცა სომხურზედ, ეგრეთვე ქართულს ენაზედ. ყოველს 80-ს წელიწადშე ერთხელ შეიშლებიან სომეხნი აღვსებისაგან.

ხოლო წელსა ამასვე 1823, თებსა ივლისსა აღადგინეს აბოხი ჩერქეზთა, შემჭირვებულთა რუსთაგან. მოუხდნენ ბეშთოვს რუსთა მჟავე წყალზედა. დილას დაესხნენ თავსა, მოსწყვიტნეს რუსთა მხედრობანი ათას ხუთასი და შეიპყრეს 4 ლიანარალი, ესენი: ოლტუხინი, საზანოვი და სხვანი, იავარ ჰყვეს სოფელი იგი, დაატყუებეს 700 სული და უკუნიქცნენ.

ხოლო წელსა ამასვე 1823 მოვიდა ქართლში მკალი და მოჰამა ნაშრომი ყოველთა, და ეგრეთვე რუსეთსა შინა ფრიადი მკალი მოვიდა, მოზდოკიდამ ვიდრე ვორონეჟამდე და ყირიმამდე.

ეს მკალის მოსვლა უფალმა მაიორმა ფედორ რამანიჩმა ნაზაროვმა ქართველმა მიამბო. ბაბა-ხანს ყენენს ხელმწიფისათვის 15 ცხენი გამოეგზავნა თავისის ხანის მამადალის ხელით. ამათ მიამბეს: ჩერქეზს ქირმანიდამ რა გავედითო ვარონეჟამდინ ამდენი მკალი იყო, რომ მინდორი სულ ყაროდა იმათგანაო, თითქმის ერთს ჩარექს სიმაღლეზე ეყარაო, კინაღამ სულმა არ დაგვარჩოო

ხოლო ზაფხულსა ამას შინა გაჩნდა სნეულება ერთი, რომელსაცა ჰქკიან ხოლერი, მთელსა სპარსეთსა შინა, მუცლის ყვანითა, რომელნიცა ხალხნი სამსა საათსა მეტსა ვერღარ ცოცხლობდნენ. ამა სენს ეწოდებდნენ ადოურს სენათ და მოსწყვიტნა მრავალნი ხალხნი, და მუნიდამ მოიტანეს ასტარხანს, და მუნცა მრავალნი ხალხნი მოსწყვიტნა. არავის ასმია სენი ამგვარი, არა ოდესმე, და არცა ყოფილა.

ხოლო წელსა ამასვე აღადგინეს კუალად აბოხი ჩაჩნელთა და დაღისტნელთა რუსთა ზედა. გარდმოვიდა ქართლით ერმალოვი, მივიდა მთასა ზედა დიდისა მხედრობითა. იძლივა ერმალოვი ფრიად მათგან, და უკუნიქცა თარღუს, შამხლისათანა მეითის, ვინაადგან შამხალი ფრიად ჰსდგა ერთგულებასა ზედა რუსთასა.

1824 ივნისში მოკლეს ოსთა თოფით დაყუდებული წმიდა მღვდელ-მონაზონი ბესარიონ ფაველენისშვილი, რომელიცა სცხოვრებდა ზემო ქართლის მთასა შინა, მცირესა ეკლესიასა შინა, მცხეთის ჯვარად წოდებულსა.

წელსა ამასვე მოკუდა წლისა 78 ფრანცუეის კოროლი ლუდოვიკ და დაჯდა ძმა მისი კარლოს. ამან იქეფა კუალად მოქცეულმან წელი 11.

წელსა ამას 1824, ნოემბრის 7 აღელდა ზღვა და გარდმოვარდა პეტერბურხსა შინა და მისცა ფრიად ვნებაჲ. და იყო ესე წყლით ღრღვნა მრავალთა ევროპიის და რუსეთის ქალაქთა შინა, და ეგრეთვე ბაღდადიცა წარირღვნა წყლისა მიერ შირაზითურთ.

ხოლო წელსა ამასვე 1825 აღადგინეს კუალად აბოხი ლეკთა, ჩამოვიდნენ შიგნით კახეთსა შინა, და მოაოხრეს ენისელი, და გრემი, და სხვანი წვრილნი სოფლებნი. კუალად ჩაჩანსა შინა გამოჩნდა მცბიერი ვინმე და იწოდა შიხად და რჯულის თავად მათდა; ამან შეიკრიბნა მხედრობანი ლეკთანი ვიდრე 30,000 კაცამდე; ესე დაესხა რუსთა სუნჯის ახალციხესა შინა, რუსთაგან აღშენებულსა. ამან აღილო ციხე იგი და მოსწყვიტნა მუნ მდგომნი მხედრობანნი რუსთანი, და მიუ-

ღო ზარბაზანნიცა რაოდენნი იყვნეს მუნ. ამან შემოუჩინა მოლა ერთი თუსი. ესე მოვიდა ღიანარალ ლეიტენანტის ლისანევიჩისთანა რეცა მოციქულად და ხანჯლითა განგმირა ღიანარალ ლისანევიჩი და მასთან ღიანარალ ღრეკოვიცა, რომელიცა მოკლა ორნივე. ხოლო ესეცა მოლა უკანასკნელ მოკლულ იქმნა მუნ. გამოჩნდა სეკდემბერში კომეტა ვარსკულავი მოსკოვს; ესე იყო მომასწავებელი ამა უბედურებისა.

ხოლო წელსა 1825, ქ-კს ფებ, ნოემბრის 19-ს. ღილით საათსა 10-ს და მინუტს 50-ს, დღესა ხუთშაბათსა გარდაიცვალა იმპერატორი ალექსანდრე პირველი პავლეს ძე, ციება შერთულის საოფლით ყვანითურთ, რომელითა იყო სნეულად დღე 15, ქალაქსა შინა ტაღანროღისასა, ყოვლით სათნოებით სრული და მამკობელი ეკლესიათა *) და აღმაშენებელი, რომლისა ქება და ღუწა მამულისა თვისისათვის აღურაცხელ არს აღწერად. საუკუნოდ ჰყოს ღვერთმან სახსენებელი მისი. რომელიცა ფრიად მწყალობდა მე, რომლის აღრიცხვა არა ძალმიძს, და ვმსახურებდი მე, თვისსა სასახლესა შინა კამარ ღერად. მეფის ძე ბაგრატი.

დაჯდა ძმა მისი კოსტანტინე 1-ლი იმპერატორად.

ხოლო ესე კოსტანტინე არა ინება დედამან მისმან იმპერატრიცა მარიამ ფეოდოროვნამ იმპერატორად წელსა 1825, დეკემბრის 15-სა, ს.-პეტერბურხსა შინა: ვინაიდგან პირველ განეტევებინა რჯულიერი ცოლი თვისი და შეერთო პოლშის აზნაურის ღრუზინოვის ქალი არა ნებითა დედისათა. ამის გამო მიიბირნა ყოველნი წარჩინებულნი პეტერბურხისანი, სინოდი და სოვეტი სენატითურთ, და გარდააგდეს კოსტანტინე, რომელიცა ჯერეთ ვარშავით არა მოსრულ იყო პეტერბურხსა შინა, ვინაადგან ვარშავის ქალაქსა შინა ჰსცხოვრებდა ცოლშვილით, და იმპერატორად აღიყვანეს უნცროსი ძმა მისი ნიკოლოზ პავლეს ძე. მსმენელთა ამისთა მხედრობათა ღვარ-

*) ამან იხელმწიფა წელი 24 ღ თვე 9, ხოლო იყო თვით წლისა 48-ისა, რომე მიიცვალა.

დიისათა, ვინაჲთგან ადრევე ეფუცათ საზოგადოდ ფიცითა სჯულიერთა კოსტანტინესთვის, ამის გამო მრავალთა არღარა უარ ჰყვეს ფიცი თვისი, თუმცაღა მიტრაპოლიტი სერაფიმ მივიდა შეშოსილი, რათა დააცხროს აბოხი, გარნა ხალხთა არა უსმინეს მას. და მდაბალთა ხალხთა პეტერბურხისა და მსოფლიოთა აღადგინეს აბოხი დიდი, რომელნიცა განიყვნენ ორად: ნახევარს ეპყრათ მხარე კოსტანტინესი და ნახევარსა ნიკოლოზისა. სადაცა სენატის მეიდანსა ზედა წარმოიშო ბრძოლაჲ და მოკლეს ამა ბრძოლასა შინა ღრაფ მილარადოვიჩი ღიანარალ ანშეფი, და მთავარ მართებელი პეტერბურხისა და ეგრეთვე მოსწყდნენ ვითარცა პირველნი მხედართ მძღვანნი, ეგრეთვე სალდათნი და მდაბალნი ხალხნი, სადაცა აწარმოვეს სროლა ზარბაზანთა. ხოლო უკანასკნელ იძლიენენ მხარენი კოსტანტინესნი და განიბნივნენ თვის თვისად და აღიყვანეს ნიკოლაოზ ტახტსა ზედა რუსეთისასა.

წელსა ამას გამოჩნდა წითელი ვარსკულავი აპრილის თჳსში, დიდი, მჰსგავსი ლახვრისა, სამხრეთის მხარეს და იდგა ერთი თჳსე მეტი. ამ წელს 1826, მაისის 4-ს, ღღესა სამშაბათს, ნაადგომევს მიიცუალა იმპერატრიცა ელისაბედ ალექსიღვნა, მეუღლე იმპერატორისა ალექსანდრე პავლეს ძისა მწუხარებითა შემდგომად მიცუალებისა ქრმისა მისისა 6 თვის შემდგომად წარმოსრული სნეული ტაგანროგის ქალაქიდამ ტულის ღუბერნიის მაზრის ქალაქსა შინა ბელეცკსა. ამავე წელს, მაისის 6, ღამე, ხუთშაბათს დაბნელდა ფრიად საშიშრად მთოვარე მოწმენდილს ცაზედ, მთოვარე იყო 11, ს.-პეტერბურღსა შინა.

ხოლო წელსა ამას 1826, თჳსსა ივლისსა, აღიშალნენ რუსნი და ყაზილბაშნი. ბაბახან ყეენმან წარმოაველინა მხედრობანი თჳსნი, ახალი რეგული გაწყობილი თოფხანით, და სალდათით, და ეგრეთვე ცხენოსნით, ვიდრე სამეოცდა ათასამდე. ამათ მოსრულთ სძღეს რუსთა მხედრობასა. შუშისა ციხე ვერ აღიღეს. პოლკოვნიკმა რეუტმა გაამაგრა იეგირის პოლკით. ფრიად მაგარი აღიღეს განჯა, შაქი და შირვანი და ბაქუს

შემოადგნენ, ვერ აღიღეს, მოვიდნენ და დადგნენ შამშადინსა შინა. ხოლო იმპერატორმან ნიკოლოოზ პაულეს ძემ წარგზავნა მხედრობანნი ოცდაათ ათასნი კაცნი შესაწევნელად ქართლისად ვითარცა შავზღვით იმერთსა ზედა, ეგრეთვე კასპიის ზღვით და კავკასიისა გზით. ამჟამს იყო ქართლში მთავარმარმართებელი რუსთა ღიანარალ ერმალოვი.

აგვისტოს 29 ღიანარალ ერმალოვმა წარგზავნა ტფილისით მეწინავედ კნიაზ მადათოვი ღიანარალ მაიორი სამიათასითა სალდათითა და მცირე ცხენოსანითა ქარაჯალთათა ყაზახსა შინა, რათა დაესხეს ყიზილბაშთა და გარეკოს მუნით. ამ დროს ერევნის სარდალი უსეინ ყული მოვიდა, დაიპყრა ყაზახი და შამშადინი. მეფის ძე ალექსანდრე ირაკლის ძე წარგზავნა კახეთის დასაპყრობელად ორი ათასითა ჯარითა ყიზილბაშითა; ამათ შეერთდენ ჭარელნი და ბელაქნელნი ლეკნიცა, ქიზიყს მიუხდნენ, გურჯაანამდისინ მოარბევეს ქიზიყი. სიღნაღში გამაგრდა, სიღნაღის ციხე ვერ აღიღეს, ალექსანდრე უკუნ იქცა და შამშადინში სარდალთან მივიდა. მადათოვმა ყაზახში მდგომი ყიზილბაშის ჯარი დაამარცხა, იქიდამ შამშადინში წავიდა. სარდალი შამშადინიდამ აიყარა, ზაგჰის თავს ავიდა და იქ დადგა ჯარით. ღიანარალ მადათოვი შამშადინიდამ წაემართა ორი ათასის კაცით და 4 ზარბაზნით და სამასის ქართველის ცხენოსნით განჯისა კერძო, განჯა ამჟამად ყიზილბაშებს ეჭირათ. იქ იდგა შაჰზადასა შვილი აბაზ მირზას შვილი მაჰმად მირზა და სარდალი ბიძა მისი ამირ ხან. მადათოვი შანქორზედ მივიდა. განჯიდამ გამოვიდა მაჰმად მირზა ორი ათასის რეგულის ჯარით, და ამათ აქვნდათ 4 ზარბაზანი და ზაბურაკნი 20, ცხენოსანი ჯარი ჰყვანდა რვა ათასი. შეებნენ შანქორში. იძლივნენ სპარსნი და მრავალნი სულნი მოსწყვიტნეს. რუსთ მხარეს მოკუდა ვაჟკაცი პოდპოლკოვნიკი ღრეკოვი და ორი აფიცარი, სალდათნი ორასამდე დაჭრილნი და დახოცილნი. ამ ბრძოლაში ყიზილბაშნი იქმნენ დახოცილნი: ორნი ხანნი და დაჭრილი 1000 და დახოცილი ათასამდინ კაცნი, 1 ზარბაზანი და 11 ზაბურაკი დარჩათ. ესე ბრძოლა იყო 2 სექდემბერს.

4 სეკდემბერს ღიანარალ მადათოვი მივიდა განჯასა ზედა. ამისი მისვლა ყიზილბაშთ რომ შეიტყვეს —15,000 კაცი იდგა განჯას ქალაქში და ციხეში,—აიკლეს და განცარცვეს განჯა, დაუტევეს ქალაქი და წავიდნენ. უომრად შეეიდა მადათოვი და დაიპყრა განჯა.

წელს 1826, სეკდემბრის 12, შაჰზადა აბაზ მირზა იდგა თართარის წყალზედ დიდის ჯარით. ამან რომ შეიტყო დამარცხება შვილისა თვისისა და განჯისა ისევ რუსთაგან დაჭერა, წარმოემართა დიდის ჯარითა. ყენის სიძე ალაიერხან ყაჯარიც მოვიდა შემწედ მისდა დიდის ჯარით. ღიანარალ მადათოვსაც შეერთდა ღიანარალ ადუტანტი პასკევიჩი რაოდენისამე ჯარითა და არტერელიითა განჯას 9 სეკდემბერს. ესენი რომ ქურამჩაის მივიდნენ, ისინიც იქ დახვდნენ. შეიბნენ მუნ, იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი. ამა ბრძოლაში დიდათ მხნედ იყვნენ ქართველნი, რომელნიცა იყვნენ რუსთა თანა ათას კაცამდე. ბრძოლა იყო 8 საათს. იძლია რუსთაგან შაჰზადა. აბაზ მირზასი ჯარი იყო 4,000 ათასი რეგულის სალდათი და 8,000 ათასი საუკეთესო ცხენოსანი, და 25 ზარბაზანი ჰქონდათ თავიანთი რეგულისა. ამ ბრძოლაში მოიკლა ამირ ხან, სარდალი სპარსთა, და სხუა დახოცილი და შეპყრობილნი სპარსნი იქმნენ ვიდრე 2,000 ათასამდე. უკუნ იქცა შაზადა და გარემოდგომილი შუშის ციხის კაცნიც შემოაცალა, აიყარა და არეზზედ დადგა. მტრისა დარჩათ რუსთა: 3 ზარბაზანი, ორი დიდი ბანაკი აზულათი სავსე, 4 ბაირახი, 1 ზაბურაკი, 80 ტყვია წამლის ყუთნი. ამ ბრძოლაში დაჭრილი და მკვდარი აეიცრებით და სალდათით არიან რუსნი 240.

ერევნის ციხის სარდლის მაჰმად უსენ ხანის ძმა აჰსან ხან წარმოემართა დიდის ჯარით. ამასა ჰყეანდა (სეკდემბრის 2-სა.) მხედრობა 10,000 კაცამდე. ესე მოვიდა, ლორეს გარეშემო მოარბივა, ეღები აიკლო, 3,000 კაცი ქალაქის პირის დასაკრავად გამოუსივა. ესენი მოვიდნენ, სამაჩვეთს მდგომს ახლად დასახლებულს ნემცებს კალონისტებს დაესხნენ, მოსწ-

ყვიტნეს და მრავალნი ტყვე ჰყვნეს, წარმოეპართნენ, სოლალლულამდისინ სომხითის სოფლები მოარბიეეს, წარვიდნენ უკან. მისრულნი მუნ ლორეს აღიყარა ჰასან ხან ღამე. ამას მოეწივნენ რუსის სამასნი კაცნი იეგირის სალდათი ერთის ზარბაზნით. ამათი მართებელი იყო ღიანარალ მაიორი კნიაზ ვენშიკოვი, ახლად მოსრული სპარსეთით, რომელიცა იყო ელჩად მუნ წარვლენილი ნიკოლოოზ იმპერატორისაგან. ამან შეუკრა ლორეს განსავალი ჯალალ ოღლისა. მუნ მცირესა ზედა სპარსთა მხედრობათა ზედა გაემარჯვა და დააყრევინა რაოდენიმე მოტაცებული ელისა პირუტყვნი საქონელნი. ესენი წარვიდნენ, აჰყარეს ფანბაკი და შორაგალი ყიზილბაშთა და წარგზავნეს ქვემოდ.

30 სეკდემბერს მივიდა პასკევიჩი მხედრობითა თვისითა და დადგა მახლობელ არეზის მდინარესთან. შაქი შირვანიდამაც განვიდნენ ყიზილბაშის ჯარნი. რა იხილეს შაზადას წასვლა, უკან დაბრუნება, ეს ჯარი განვიდა ფონზედ მტკუარს ჯავადსა შინა. ამასთან იყვნენ დაღისტნის ქვემო მხრის ჯარნიც შეერთებულნი, იგინიცა უკუნ იქცნენ და წარვიდნენ თავის სახლთა შინა. ამჟამ ყუბელთ დიდი ერთგულება აჩვენეს რუსთა. იქ ორის ბოლკით ღიანარალ მაიორი ფონკრეტი, რომელიც იდგა, შაქის და შირვანის მართებელთ ამათ შეიწყნარეს და დააყენეს დროსა აღრეულებისასა. ამან რომ ნახა ყიზილბაშნი შამახიდამ წასულნი, გამოვიდა თავის ოჯახით და ამას შეერთდენ შირვანელნიცა მხედრობანი, ეწივნენ უკანა ჯავადის ფონზედ ყიზილბაშთა და ავნეს დიდად. ღიანარალ ერმალოვიც აიყარა ქალაქიდან; ამან წარიყვანა ქართლისა და კახეთისა ჯარი და მთის კაცნი, ამას ჰყვანდა რუსის ჯარი 3,000 და 12 ზარბაზანი. ესე ჩავიდა ყაზახში და დადგა მუნ. ფენდოდა ერევნის სარდალს შებმოდა, რომელიცა იდგა შამშადინში. სარდალი აიყარა და შამშადინის მთაში დადგა.

იქიდამ ღიანარალ მაიორი დავიდოვი გაგზავნა ფანბაკის მხარეს; რუსის ჯარი, რომელიც იდგა ლორეს, ის გაატანა და ზემო ქართლის ჯარი და სომხით საბარათიანოს ჯარი, და

მრავალნი თავადნი და აზნაურნი ამას გაჰყვნენ, ესენი მივიდ-
ნენ აგარანს ფანბაკის თავზედ. იქ იდგა ჰასან ხან დიდის ჯა-
რით. ცოტაოდენი კონკლაობა მოუხდათ. აიყარნენ ყაზილბა-
შის ჯარი და ერევანს წარვიდნენ. ესენიც უკუნ იქცნენ და
თბილისს მოვიდნენ, რადგან შემოდგომა იყო და ცივდა ფრი-
ად, უსაზრდელობისათვის ველარ დადგენ მუნ.

1826-ს ნოემბრის 1-ს სპარსნი სულ არეზს გავიდნენ, ყარა-
ბაღის და შაქი-შირვანის ელები ბევრი აჰყარეს და წარიყვანეს
თანა. ამჟამს ყეენი ბაბახან, რომელსაცა უხმობენ ფათალიშაჰ,
ისიც დიდის ჯარით მოვიდა ყარადაღში, აჰარის ქალაქში და-
დგა.

ძე ყეენისა ალი ნაღი მირზაც, მდგომი შირვანს და შაქსა ში-
ნა მხედრობითა თვისითა, ამან დაიპყრა ესე ადგილნი და მოად-
გა ბაქუს. მუნ ბაქუს კამანდატმან ძალიან გაამაგრა, ვერ აიღო
და უკუნ იქცა. ესეც უქმი მოქმედი გაენვიდა მტკუარს და წარ-
ვიდა სპარსეთს. ღიანარალ ერმალოვი მთავარ მართებელი თა-
ვისის მხედრობითა და საქართველოს ჯარითა, თავისთან მყოფი-
თა, მივიდა კახეთს, ქიზიყს ჩაიარა, იქიდამ შაქში მივიდა, იქა-
ური შაქი შირვანის დაშლილი საქმეები განმართა, იქიდამ უკუნ
იქცა, მოვიდა და ჭარში დადგა. ჭარელთ აღრეულობის დროს
დაღისტნიდამ დიდი ლეკის ჯარი მოეყვანათ, გამოსულიყვნენ,
ქიზიყის წინამხრის სოფლები დაერბიათ ვიდრე გურჯაანამდე,
მრავალი საქონელი და ტყვე ეშოვნათ, წასულიყვნენ და ზა-
ქათალაში ასულიყვნენ. რუსთ შიშით, რადგან ყიზილბაშები ისევ
არეზს გასულიყვნენ, მოსრულს ერმალოვთან ჭარელნი ეევდ-
რნენ ისევ მონებასა და აღუთქვეს მიცემაც, რაიცა წაეხდინათ
კახეთსა შინა. მისცეს ჭარელთ მძევლები ერმალოვს, ერმა-
ლოვმა შეირიგა ისინი, უკუნ იქცა და თბილისს მოვიდა. ამჟა-
მად ყეენი ბაბახანც ყარადაღიდამ აიყარა და ისევ თავრიზს
მივიდა, სრული ჯარის ნება დაანება ძესა თვისსა აბაზ მირზა-
სა. აბაზ მირზა დადგა მხედრობითა თვისითა არეზის პირზე,
ხურდა ფირინის ხიდის სიახლოეს, ადგილსა ზედა, რომელსაცა
ეწოდების მახრიზი.

ღიანარალ ადუტანტი პასკევიჩიცა დადგა ყარაბაღში მხედრობითა თვისითა საშუალ ალმოღლანისა და არეზისა, მდინარესა ზედა ჩერკად წოდებულსა. ამა ბრძოლაში დაიკოდა ალიშას შაზადა შვილი სეიფულ მალექ მირზა.

7 სექტემბერს პოლკოვნიკი მეშინკოვი მოვიდა ყუბიჯგან მხედრობითა თვისითა ერთისა პოლკითა. ეკვეთა ძველ შამახიას მდგომს შირვანის ხანსა მუსტაფას, რომელიცა იდგა დიდის ჯარით ყიზილბაშითა, იძლივა მუსტაფახან და წარვიდა მულანისა კერძ, ამათ დაედევნენ რუსთა მხედრობანნი უკანა, მიეწიენენ მტკერის პირზედა, მუნ ეკვეთნენ ერომანეთსა, იძლივნენ კუალად ყიზილბაშნი, გარნა ხიდი ჯიშირისა ვერ მიუღეს ყიზილბაშთა. აქა ფრიად მხნედ გამოჩნდა მებრძოლად მუსტაფა ხანი. შირვანის ყიზილბაშნი გავიდნენ მტკუარსა, დარჩათ ყიზილბაშთა რაოდენნიმე ტყვია წამლის ყუთნი არტილერიის და ერთი ზარბაზანიცა. ხოლო რუსნიცა განვიდნენ მტკუარსა და წარემართნენ ყარაბაღისა კერძოთ.

ყიზილბაშთა მხედრობაჲ, მდგომი არეზზედა, გამოვიდნენ რაოდენნიმე ცხენოსანთა ნაწილნი მხედრობანნი და წარსტყვენნეს რაოდენნიმე ყარაბაღისა სოფლებნი, მდგომნი სამძღუაუთა ზედა, და უკუნიქცნენ.

ოკდომბერის 25 რუსთა მხედრობა განვიდნენ არეზსა შინა, ენებათ მუნ ბრძოლა შაჰზადასი, შაჰზადა აიყარა და არდეველს მივიდა. რუსთ დაიპყრეს სოფლები მარალიანი და სხუანი.

ოკდომბრის 27-სა რიცხვსა ღიანარალ პასკევიჩმა დაიბანაკა მდინარესა ზედა, წოდებულსა ყარაფაშალსა; მუნიდგან წარგზავნა ცხენოსანი ჯარნი კამანდობასა ქუეშე ღიანარალ შაბელსკისათა. ესე ეწივა აყრილთა ხალხთა ყარაბაღისათა. რომელიცა მიჰყვანდათ ყიზილბაშთა, წყაროსა თანა წოდებულსა ქალაქთარ ბულახსა, რომელიცა შორავს არეზით 20 ვერსითა. ამან დააყრევინა 200 კოჰლი კაცი. ამა შაბელსკიმ მეწინავეთ წარგზავნა 28 ვერსით წინა მაიორი პოლაკოვი. ესე ეწია მეუკანოესა მხედრობასა შაჰზადასასა, ადგილსა

დარაურდსა, ეკვეთა მუნ და დაამარცხა ყიზილბაშთა მხედრობანი მცირედისა ჯარითა. ამან შეიპყრა ტყვედ შირვანის ბეგი ნურალი, და მოკლეს მირზა ისმაილ, რომელსაცა უპოვნეს ბაირახის ფარჩანი და წერილნი აბაზ მირზასანი.

დღესა ამასვე სხვით კერძო შეეშეხვა მოულოდნელი ბრძოლა ღიანარალ შაბელსკის. ამას ეკვეთნენ ერთი დასტა ყიზილბაშთა ცხენოსანნი, იქმნა ბრძოლა, გარნა იძლიენენ რუსთაგან.

ხოლო პასკევიჩსა აღიყარა და წარემართა ყარადაღისა კერძო და დაიბანაკა ღამესა მას 28 ვერსით მდინარესა ზედა შაქარლისასა. ღიანარალ პასკევიჩმა მოაქცევა, ვინცა ვინ ჰპოვა აყრილნი ელნი შაქისა, შირვანისა და ყარაბაღისანი. ამანვე ჰსცნა რა განშორება მტრისა სამძღვართაგან სრულიად, რაცხა, რომ უსარგებლო იყო წასვლა მისი ყარადაღსა შინა, ვინათგან არს გზისა სიგიწროეე ფრიად კლდიანი და მთა გორანი, სადაცა ძნელად არს გარდატანაჲ თოფხანათა და ურემთა, აღიყარა და უკუნქცეულმან გამოვლო კუალად არეზი და დადგა მდინარესა ზედა ჩერეკისასა, ყარაბაღსა შინა. ესე იყო თვესა ოკტომბერსა 30.

წელსა 1826, დეკემბრის 28, ღიანარალ ლეიტენანტი კნიაზ მადათოვი თვისსა ნაწილისა მხედრობითა განვიდა მდინარესა არეზისასა და წარემართა ყარადაღისა კერძოდ დასაპყრობელად, და მიიწივნეს მთასა თანა დარაურდისასა, და დაიბანაკეს მდინარესა ზედა ზაბურისასა. მუნ მახლობელ იდგნენ ელნი შაისევნისანი. ამათ დაესხა თავს მადათოვი, წარსტყვენა იგინი ფრიად, მიუღო 15,000 სული ცხვარი, 2,000 აქლემი და პირუტყვი, 500 კომლი კაცი, აყრილნი ელნი და ყარაბაღისანნი, აღიყარა მუნით და წარემართა თალიშისაკერძ. ამისი მხილველნი, განლტოლვილნი ელნი სხუანი სპარსთანი, გაიქცნენ, და მივიდნენ ადგილსა მეტნიკს, და იწყეს მუნ მაგრება. ხოლო მადათოვმანცა დაუტეეა თალიშსა ზედა რაზმი და შეუდგა ელთა ამათ, რათა წარტყვენოს იგ-ნი სრულიად.

ხოლო წელსა 1827, იანვრის 1, მივიდა მეტნიკის სიახლოესა, აქედამ წარავლინა მადათოვმან მხედრობანი ცხენოსანთა, სომეხნი ყარაბაღელნი და შაქის შირვანისანი, რათა დაესხნენ თავსა ელთა მათ. მისრულთა ამათ უყვეს ზედა დასხმაჲ, წარმოიშო მათ შორის ბრძოლაჲ. მტრისა მოსწყვიტნეს 18 კაცნი. მადათოვის ჯარისა არავინ იქმნა მოკლული, გარნა დაიკოდნენ რაოდენიმე, იძლივნენ ელნი იგი და წარტყვენეს, დააყრევინეს აქაც 2,000 აქლემი და 10,000 სული ძროხა, 60,000 სული ცხვარი.

ლიანარალ მადათოვი ამისა შემდგომად წარემართა ყარადაღისა კერძო, და აღიღო მცირე ქალაქი ლარი და დაიბანაკა მუნ. ათახან, მართებელი მეტნიკის სამთავროსი, და ძმა მისი შუქურ ხან მოვიდნენ წინაშე მადათოვისა და ითხოვეს შენდობა შეცოდებისა და შევიდნენ ყმობასა ქუეშე იმპერატორისასა, რომელნიცა ივეღრნა ესენი მადათოვმან, დააფიცა ერთგულებასა ზედა ხელმწიფისასა, და კუალადვე მიანიჭნა ადგილნი თვისნი.

ამის შემდგომად კნიაზ ᲛᲐᲓᲐᲗᲝᲕᲘ აიყარა ქალაქით ლარით და წარემართა ყარადაღისა კერძო. ᲐᲛᲐᲜ გარდავლა დიდათ ავი გზანი, მთისა სალავად ირიჩისა, რომელიცა არს ძნელად გარდასასვლელი თოფხანათა და ურემთა. ამა კნიაზ მადათოვსა ჰყვანდა სრულ შემთხვევასა ამას შინა მხედრობანნი რეგულისა და ურეგულოსი 11,000 ათასნი და აქუნდა ზარბაზანნი 33 ქვეითისა და ცხენოსნისანი. 6 იანვარს მივიდა მახლობელ ჰარის ქალაქისა. იქ იყო სეიფულ მირზა შაზადა 15,000 კაცთ რეგულის ჯარით. მადათოვმა აღარ ამჯობინა აჰრის ქალაქზედ მისვლა, ვინათგან მხედრობანი მისნი იყვნენ ფრიად დაღალულნი გზის სიავის გამო, კუალად უკუნიქცა და მივიდა არეზზედა, გამოვიდა არეზსა შინა და მოვიდა ყარაბაღსა შინა ფრიად შოებული.

ხოლო შემდგომნი ანბავნი სპარსთა და რუსთანი, რაცა მოხდა, თვითეულად აღწერილი იხილე მეორესა ტომსა შინა ამის წიგნისასა.*)

წელსა ამას 1827, აპრილში, გარდააყენეს მთავარ მართებელი ერმალოვი**) ქართლით და მოადგილედ მისსა განაწესეს მთავარ მართებლათ ღიანარალ ადუტანტი პასკევიჩი. ხოლო ღიანარალ ღუბერნატორად განაწესეს თბილისსა შინა სამოქალაქო საქმის მართებლათ ღიანარალ ადუტანტი სეპეკინი, ესეცა ხელქვეევითად პასკევიჩისა.

მთავარ მართებლობა რუსთა საქართველოსა შინა 8, ღიანარალ ადუტანტისა ივან ფედოროვიჩისა პასკევიჩისა, ხოლო ღიანარალ ღუბერნატორად განაწესეს თბილისსა შინა სამოქალაქოს საქმისა თვით ღიანარალ ადუტანტი სეპეკინი; ესე პირველი არის. დაწყება საქართველოში დადგინება ღიანარალ ღუბერნატორისა საქართველოსა შინა მსგავსად მოსკოვის და პეტერბურხისა, რომელ სხუათა რუსეთისა სამფლობელოთა შინა არ არის, თვინიერ ამ ორს ადგილის გარდა.

წელსა ამას 1828 აღიშალნენ რუსნი და ოსმალნი.

მზე დაბნელდა აპრილის 14-ს, დღესა ხუთშაბათსა.

ამ წელს, მაისის 15 საქ რთველოს მთავარმართებელი ღრაფ პასკევიჩი წარვიდა ყარსზედ ახალციხის დასაპყრობელად. პასკევიჩი ყარსს შემოადგა, და აღიღო ბრძოლითა ყარსი ივნისის 30-სა დღესა.

წელსა ამასვე, ივლისის 15, რუსთ ფოტის ციხე აიღეს ბრძოლითა ღიანარალ ღესმა. წელსა ამასვე, ივლისის 14, აღიღო პასკევიჩმა ბრძოლითა ახალქალაქი ჯავახეთისა.

წელსა ამასვე, აგვისტოს 15, პასკევიჩმა ახალციხე აღიღო, დიდათ გამაგრებული და დაამარცხა ორი ფაშა, გარეთგან მომშველი. ახალციხისა ამის აღებაზედ მრავალი რუსი და ქართველი მოსწყდა.

---

*) საშწუხაროდ, ავტორის მიერ აღნიშნული „მეორე ტომი" მის თხზულებისა ხელნაწერში არ არის. მ. ჯ.

**) ერმალოვმა 12 წელი იმთავრა ქართლში.

წელსა ამასვე ერევნიდამ ღიანარალ მაიორი ჭავჭავაძე წარგზავნა ჯარით პასკევიჩან ბაიაზეთის დასაპყრობლად. მივიდა და ბაიაზეთი აღიღო ჭავჭავაძემ აგვისტოს 29.

წელსა ამასვე, აგვისტოს 28, პასკევიჩმა არტაანი აღიღო ბრძოლითა; აქ დაამარცხა მუშის ფაშა, მომშველი ახალციხისა 4000-ის კაცით.

წელსა ამასვე გაჩნდა მომსვრელი სენი საქართველოსა შინა.

ამავე წელს რუსთ დაიჭირეს ავარი, ომარხანის მამული დაღისტანშია, და განაწესეს თვისი მართებლობა.

წელსა 1829, იანვრის 31, სპარსეთსა შინა წარგზავნილი ელჩად სტატეკის სოვეტნიკი გრიბაიადოვი, მყოფი თეირანსა შინა ფეთალი შაჰ ყაჯრის კარზედ, თეირანის ხალხმა ბრუნტი უყვეს ცუდს მიზეზზედა, მოკლეს გრიბაიადოვი და მოსწყვიტნეს მისი ამალანიც სრულიად ვიდრე 54 სული. ამაში დაესწრა კახი მდივნის შვილი ქობულოვი სოლომან ევგენის ძე, და მოკლეს იგიცა მუნ და სხუანი ქართველნიცა.

წელსა ამას, თებერვლის 20, ახმადბეგ აპარელი ხიმშიაშვილი შემოადგა ახალციხეს, 20,000 კაცი ჰყვა, სულ დარჩეული, და აქუნდა თოფხანაცა. ახალციხე ჰქონდა გამაგრებული ღიანარალ მაიორს თავადს ბებუთოვსა ვასილს. 12 დღე ადგა გარს. ციხე ვერ ართო, გორიდამ ერთი პოლკი მიეშველა და 8 ზარბაზანი მივიდ'ენ. ოსმალნი შემოეცალნენ და წარვიდნენ.

წელსა 1827 რუსთ აბაზაბადის ციხე აიღეს და ნახჩევანი, შაზადა დაამარცხეს.

აგვისტოში აბაზირზა შაჰზადა მოვიდა ერევანს, ღიანარალ ლეიტენანტს კრასოვ-ცკის შეება. დიდი ბრძოლა მოუხდათ. ეჩმიაძინი რუსთ ეჭირათ, ყიზილბაშთ ვერ წაართვეს, კრასოვ-ცკი იქ ვამაგრდა. ამას მთავარ მართებელი პასკევიჩი მოეშველა ნახჩევნითგან. ეს რომ მოვიდა, შაჰზადა ეჩმიაძინს შემოეცალა, და დ-ვალუს დადგა, იქ მისი ძმაც აღი ნაღი მირზა ჯარით მოვიდა, აიყარნენ და ქვეით წავიდნენ. პასკევიჩმა სარდარ აბა-

დი აიღო 15 სეკდემბერს, მერე ერევნის ციხეს შემოადგა და 6 დღეს უკან აიღო. ჰასან ხანც დაიპირა საჰიათასის კაცითა.

წელსა ამას 1827, ოკდომბრის 8, დიდი ძრვა მოხდა ტფილისს, მრავალნი სახლნი დაიქცნენ, ახლად აშენებულნი რუსულს პლანზედა, სამი დღე იძროდა, ხალხი მშვიდობით მორჩ ნენ, მხოლოდ ექვსი რუსის სალდათნი დაიტ ნა კედელმან.

წელსა 1827, თუსა დეკემბერსა 21-ს დღესა ოთხშაბათსა, მიიცუალა კათალიკოზი ანტონი, წლისა 65-ს, ძე მეფისა ირაკლის 2-სა, როსიასა შინა, ნიჟნი ნოვოღოროდისა ქალაქსა შინა და დაფლეს მუნვე მონასტერსა შინა. ესე იყო შობილი წელსა 1762-ს იანვრის ზ-ს. ამას ეწოდა სახელი ერის კაცობასა შინა თეიმურაზ, ხოლო წელი იკათალიკოზა ქართლსა შინა 39, ხოლო იმპერატორმან ალექსანდრემ მოიყვანა ქართლით როსიასა შინა და მიიღო კათალიკოზობაჲ წელსა 1810-სა.

წელსა ამას 1829-სა, მაისის 1-ს ახმად ბეგ აკარელი და ქუ'ეუ ფაშა მოუხდენ ფოცხოს, ფოცხო დაიპირეს. აწყურიდან მიეშველა პოლკოვნიკი ბურცოვი, შეება, დაამარცხა ოსმალნი და დააგდებინა ფოცხო.

წელსა ამას 1829, თუსა აპრილსა მდინარე მტკვრისა ესრეთ ადიდდა, რომელ არავის სმენია არაოდეს: მოგლიჯა ავლაბრის ხიდი და აღმოვიდა ვიდრე თათრისა მოედნადმდე, რომელიცა შეიძლებოდა მოედანსა მას შინა ნავთა ვლა. მრავალი ზიანი მისცა ხალხთა, სხუათა და სხუათა ადგილთა შინა მდგომთა მოქალაქეთა, რომელნიცა იდგნენ კიდესა ზედა მტკვრისასა.

წელსა ამას 1830-სა, ივლისის 16, კუალად აღადგინეს ანბოხი ფრანციელთა ქალაქსა შინა პარიჟსა, კოროლსა ზედა თეისსა კარლოს ნ—ზედა ბორბონზედა, ვინათგან კოროლმან დაუდო რაოდენნიმე წესდებულებანნი ახალნი, რომელთაცა ამას ზედა არა ეთანხმენ ფრანციელნი. იქმნა ფრიადი აღრეულებაჲ მოქალაქეთა და მხედრობათა შინა, მოსწყდნენ მრავალნი ორისავე კერძოდ, და განამაგრა კოროლი სასახლესა შინა

ღიანარალმა მარმონტიმ შვეიცარულისა ღვარდიის მხედრობითა, ორი დღე და ღამე ძლიერი ბრძოლა იყო დაუცხრომელი, სასახლესა ზედა, შემდგომად აღიღეს ხალხთა იერიშითა სასახლეცა კოროლის, ხოლო კოროლი სახლეულითურთ თვისით განიყვანა ღიანარალ მარმონტიმ ხუთი ათასითა დანაშთენითა ღვარდის მხედრობისათა და მიიყვანა საზაფხულოსა სასახლესა შინა წოდებულად ვერსალად, და იყო მუნ რაოდენიმე დღე; შემდგომად ამისა ხალხთა ფრანციისათა მოსწყვიტნეს ყოველნი მინისტრნი და ჩინებულნი გუამნი, რომელთაცა ეპყრათ მხარე კოროლისა, სახლეულითურთ მათით, და იავარ ჰყუსს ნაქონები მათი, ამისა შემდგომად კუალადვე ხალხთა და დანაშთენთა დიდებულთა ფრანციისათა აღირჩიეს კოროლად თვისად ძმისწული მისი ლუდვიკ ძე ფილიპესი, ბორბონიე, რომელსაცა ამას ზედა ეთანხმავა კოროლი კარლოს, და წარუგზანა გვირგვინი თვისი, და სამეფონნი ნიშანნი და სრულიად უარ ჰყო კოროლობაჲ თვისი, და ამით დააცხრო რუდუნი ხალხთა შორის და თვით სახლეულითურთ თვისით და დანაშთენითა ნივთითა დაუტევა კოროლმან კარლოს ქუსეყანა თვისი და წარვიდა ზღვით ევროპიისა კერძო, ხოლო ფრანციელთა აღიყვანეს ტახტსა ზედა თვისსა ლუდოვიკ და ჰყუსეს მეფედ თვისად.

წელსა ამას 1830, ივნისის 27 გაჩნდა სენი მომსვრელი ინდოეთისა, რომელსაც ეწოდების ხოლერნი, ტფილისსა შინა და მრავალნი სულნი მოსწყვიტნა რისხვითა ღვთისათა ცოდუათა ჩუენთათვის, რომელიცა იქმნა გამოჩენაცა ღვთისმშობლის ხატისა ზედა სვენებულსა სომეხთა ეკლესიათა შინა წოდებულსა ნორაშნის ეკლესიასა შინა, რომელ ხატი იგი ღვთისმშობლისა იყო მოტირალი ცრემლითა, ვითარცა ცოცხლის მჰსგავსი. ამისი მხილველნი ხალხნი ტფილისისანნი და უცხონი მცხოვრებნი სრულიად ამტკიცებენ ჩვენებასა ამას მათის თუალით ნახულსა. და ეგრეთუსე რუსეთსა შინაცა გაჩნდა სენი ესე, ვითარცა ასტარხანსა შინა, ეგრეთვე მრავალთა ღუბერნიათა შინა.

წელსა ამასვე აგვისტოს 21, ღამეს ხუთშაბათს დაბნელდა დიდათ მთოვარეცა.

წელსა ამას 1830, ნოემბრის 17, ღამეს პოლშელთ ქალაქსა ვარშავას ჰქმნეს ბუნტი დიდი, მოსწყვიტნეს მრავალნი ჩინებულნი მხედრობანი რუსთანი, და გამოაძეს ცესარევიჩი კოსტანტინე პავლოვიჩი მუნით, და იავარ ჰყვეს სასახლეცა მისი და მრავალნი სახელოვანნი ღიანარალნი და აფიცარიც მოსწყვიტნეს. ესე ბუნტი გაგრძელდა 19 ნოემბრამდისინ, და შემდგომად ამისა ენება იმპერატორსა, რათა უსისხლოდ დამცხრალ იყო შფოთი ესე და მრავალ გზის მისწერა მშვიდობისა წერილიცა, გარნა პოლშელთა არა ინებეს. ამისა შემდგომად განაწესა ხელმწიფემ ფერთმარშალი ღრაფი დიბიჩი ნემენცი (სახელით ივან ივანიჩი) და წარატანა თანა რუსთა ღვარდიითურთ ორასი ათასი კაცნი და დიდძალი არტირელიაჲ.

მისრულმან დიბიჩმან მრავალ გზის აწვია კუალად მშვიდობით და მყუდროებასა ყოფნა, გარნა მათ არა ინებეს, და შეითქვნენ ფიცით, რათა ბრძონ რუსთა ვიდრე სრულიად აღფხვრადმდე პოლშისა. რომელთაცა მრავალნი სახელოვანნი ბრძოლანი აჩვენეს რუსთა, რომელ არს ღირს სახსოვარ ბრძოლანი მათნი, რომელსაცა სიგრძისათვის დავიდუმებ, და მოსწყდენ მრავალნი სულნი, მრავალნი ორგნითვე და უფრორე რუსთა მხედრობანნი. და ეგრეთვე სხვათაცა ძველთა პოლშისა მამულთაგანიცა ღუბერნიათა აღადგინეს ანბოხი რუსთა ზედა, და შეერთდენ პოლშელთა თანა. ხოლო ამჟამ გამოჩნდა დედაკაცი ერთი ღრაფინა, რომელმანცა მოიკრიფნა გარემოს სოფლებთაგან ხალხნი და აღადგინა ანბოხი დიდი და მოაჰშთვნა მრავალნი სულნი რუსთა მოხელეთანი, რომელნიცა იყვნენ მუნ განწესებულნი ღუბერნიათა შინა.

ხოლო ამისა შემდგომად მოკვდა ფერდმაშალი დიბიჩი, მაისის 29-სა, წელს 1831, და ნაცულად მისსა განაწესეს ღრაფი პასკევიჩი ფერდმაშალი, რომელიცა მოიყვანეს საქართველოიდამ და წარგზავნეს მუნ საბრძოლველად პოლშელთა ზედა.

წელსა ამასვე 1831, ივნისის 15-სა, დღესა ორშაბათსა მიიცუალა ცესარევიჩი კოსტანტინე პავლეს ძე,ხ ოლერის სნეულებითა ქალაქსა შინა ვიტებცკას, პოლშისა ღუბერნიასა შინა.

მისრული პასკევიჩი მახლობელ ვარშავსა დადგა თუსე ორი და აქუნდა მარადის ბრძოლა პოლმელთა თანა, უკანასკნელ მოუძლურდენ პოლშელნი და მისცეს ქალაქი ვარშავი პირობითა ამით, რათა ეგნენ პირველსავე მდგომარეობასა ზედა და აქუნდესთ თავისი კონს სტატუი, რომელზედაცა ეთანხმა პასკევიჩიცა. შესრულნი მუნ რუსნი, განვიდნენ მხედრობანი მათნი გარეგან ქალაქის და აღუთქვეს მოარჩილებაჲ. რომელნიცა წარავლინა ღრაფმა პასკევიჩმან პოლოცკის მხარესა ზედა. ხოლო რაოდენთამე ნაწილთა მხედრობათა პოლშელთათა კუალად იწყეს აღრეულობაჲ და ზედა დასხმა რუსთა მხედრობისა, ამაზედ განწყრა პასკევიჩი და წარავლინა ამათზედა ღიანარალი რედიღერი. სადაცა მისრულსა მხნედ დახვდნენ პოლაკნი, ხოლო უკანასკნელ გაემარჯვათ მათ ზედა რუსთა და განაბნივნეს იგინი ტყეთა შინა, და მოსწყვიტნეს მრავალნიცა. ხოლო ამის ნაცვლად ფერთმარშალს ღრაფს პასკევიჩს უბრძა იმპერატორმან ნიკოლაოზ პავლეს ძემ კნიაზობა ვარშავისა, რომელსაცა უწოდეს ესრეთ: კნიაზი ვარშავისა და ღრაფი ერევნისა. და დაიწყეს რუსთა მართებლობაჲ თვისი პოლშასა შინა.

ხოლო წელსა ამასვე კუალად აღადგინეს ანბოხი სრულიად კავკასის მცხოვრებთა. შეკრებულნი ესე მოვიდნენ და დეცნენ ყიზლარს, და გარემოს სოფლებთა მისთა, და მოსტყვენეს ვიდრე სტავრაპოლადმდე. მუნ შეება მათ ღლავნოკომანდუიუშჩი რუსთა ღიანარალ შეფი ემანიული, რომელიცა იძლია მათგან და მოიკლა იგიცა ბრძოლასა ამას შინა.

წელსა ამასვე ივნისში გაჩნდა სენი ხოლერისა სანკთ-პეტერბურხსა შინა და მრავალი სული მოისრა, სადაცა ამ სენითა მიიცუალა მეფის გიორგის რძალი ეკატირინა, მეუღლე მეფის ქის ბაგრატისა, ივნისის 30-სა, დღესა სამშაბათს, 1831 წელს.

ხოლო წელსა ამასვე 1831, სეკდემბრის 13 გარდააყენეს სრულიად საქართველოდამ მთავარ მართებელი კნიაზ პასკევიჩი და მონაცულ-ედ-მისსა განაწესეს ღიანარალ ოტინ ინფანტერი და ღიანარალ ატუტანტი ბარონ როზინი.*)

ხოლო წელსა ამას 1832, თფ(ლსა აგვისტოსა წარმოემართა სრულიად ქართველთ და რუსთა ჯარითა ბარონ როზინი და მოვიდა ვლადიკავკასს ბრძოლად დაღისტნელთა და ჩაჩანთა ზედა.

მხილველ-თა შიგნით დაღისტნელთა ლეკთა ბარონისა შორს მყოფობისასა შეკრბნენ და ითავეს მოლა ყაზი, მოვიდნენ და დაეცნენ რუსთა ჭარსა შინა მყოფთა, ხოლო რუსთაცა იწყეს მაგრება და ვინათგან ლეკთა ვერღარა შემუსრეს ციხე, რუსთა ჭარსა შინა, ამათ მოსტყვენეს ჭარი და ბელაქანი ვიდრე ბოლოდმდე სრულიად. თუმცაღა ქიზიყელთა მხედრობა მიეშველა მუნ რუსთა, გარნა ცუდ იქმნა შრომაჲ მათი, ვინათგან ლეკნი უკუნიქ-ნენ სახლად თვისად შოებულნი.

ხოლო წელსა ამასვე კუალად გამოჩნდა ხოლერის სნეულება, და მრავალნი სულნი მოსრა პეტერბურხსა შინა.

ხოლო წელსა ამასვე ოკდომბრის 17, ღამეს ორშაბათს გამოჩნდა კომეტი ვარსკულავი მგურგუალი და კ(ტდგრძელი ს.-პეტერბურღსა შინა.

ხოლო წელსა ამასვე 1832, ქართულს ქ-კს ფკა, თფ(ლსა ოკდომბერს, მისრულმან დაღისტანსა ზედა უპირველესმან საქართველს მართებელმან ღიანარალ შეფმან ვლადიმერ გრიგოლიჩმან როზინმან უქმნა ზედა დასხმაჲ ჩაჩნელთა და დაღისტნელთა ზედა. რომელიცა თავი ლეკთა იყო სახელოვანი მბრძოლი მოლა ყაზი. იქმნა ბრძოლა ძლიერი, იძლიენენ ლეკნი და მოიკლა მოლა ყაზი ოცდა ოთხითა ჩინებულითა თვისითა მხედართ მძლეანითა, და მიეცა ადგილი გემრი, უმაგრესი ყოველთა სიმაგრეთა კავკასიისა მთათა შინა. მხილველნი ლეკნი

*) მთავარ მართებლობა რუსთა 9 საქართველოსა შინა. ამან იმთავრა 6 წელი საქართველოსა შინა.

ესე ვითარისა ძლევისანი შეშინდნენ ფრიად და ეეედრენ მონებასა, ესე.იგი ხეობანი: 1) ოსოქოლელნი, 2) არაკუნულნი, 3) ქინძალელნი, 4) ანწუხელნი და მრავალნი სხვანი ხეობანი შინაგან დალისტნისა. ამან ანიჭნა მათ მშვიდობაჲ, მიუხვნა მძევალნი, გამოართვა ყოველნი ტყვენი, ყიზლარის ქალაქისაგან ნაალაფნი და მიუხვნა კომლზედ ჯურუმი თითო თუმანი თეთრი ფული, დასდუა ხარკი კომლზედ თითო რუბლი თეთრი ფული, აფუცა ერთგულებასა და ყმობასა ზედა ხელმწიფესასა და დაამშვიდნა მუნებურნი ავაზაკნი, რომელიცა არაოდეს არა ყოფილან ხალხნი ესე არავის მონებასა და მოხარკეობასა შინა, ხოლო ამ დღიდგან შიშვნეულნი შეეიდნენ უღელსა ქუეშე რუსთა მონებისასა. აქა იყვნენ მხედრობანნი მრავალნი ქართუელთა, იმერთა და ახალციხელთა, და სრულიად დარბანდიდამ მოკიდებულნი ვიდრე ყაზახადმდე მხედრობანი შეერთებულნი რუსთა თანა, რომელთაცა მრავალნი სახელოვანი საქმენნი ჰქმნეს.

ამა ბრძოლასა შინა დაიკოდა ფრიად თავადი ენდრონიკაშვილი იასე, ძე იოსებისა, და მოკუდა ამილახვარიშვილი ზაქარია ძე იოვანესი და დაიკოდა ყაფლანისშვილი და მცირედნი მოსწყდეს და დაიჭრნენ ქართუელთაგანნი. ხოლო რუსთაგანიცა მოსწყდენ ვიდრე ათასადმდე. შემდგომად ამისა უკუნიქცა როზინი საქართუელოდვე, ძლევა შემოსილი ჩავლო დარბანდი და ეგრეთ მოიქცა ტფილისსა შინა..

ხოლო წელსა ამასვე 1832 დეკემბრის ე ს*) შეითქვნენ ქართველნი თავადნი და აზნაურნი, რათა განდგნენ რუსთაგან და ჰყონ მეფედ ასული თამარ მეფის ძის იულონისა, რომელიც იყო ტფილისსა შინა, ხოლო ძმანიცა მისნი, მყოფნი პეტერბურხსა შინა, ლუარსაბ და დიმიტრიმ მოიბირეს რაოდენიმე მყოფნი რუსეთისა სამსახურსა შინა თავადნი და აზნაურნი, რომელნიცა ეთანხმნენ მას და წარავლინეს ქართლსა შინა. ამა შემთხვევასა შინა, შესწამეს ცილი მეფის გიორგის ძესაცა ოქ-

*) ე-ს თუ კ-ს, ღელანში გარჩევით არა სწერია.

როპირსა, რომელ ესეცა თანახმა არის ამათი. მცნობმან ამისმან ბარონ როზინმა შეიპყრა იგინი სრულიად ტფილისსა შინა და აქაცა პეტერბურხს შეიპყრეს მეფის ძე ოქროპირი და სხვანი, და შეაყენეს ციხესა შლუშინისასა, შემდგომად ამისა წარავლინეს ტფილისს, რათა მუნ განსაჯონ. შემდგომად განსჯისა, მეფის ძე ოქროპირი წარავლინეს ექსორიად კოსტრომისა ქალაქსა შინა, ხოლო ლუარსაბ და დიმიტრი ქალაქსა შინა სმოლენკისასა და და ამათი თამარ სიმბირკისა ქალაქსა შინა და მეფის ირაკლის ასული თეკლა ტულასა შინა: რომელ ამას ძეთა თვისთა შესწავეს, რომელ ესე იყო მიზეზი ამა აღრეულებისა; ხოლო ჰავეავაძე ალექსანდრეცა, ძე გარსევანისა, თანაზიარი მათი, ტანბოვსა ქალაქსა შინა თვისისა სახლეულობითა და სხუანი მრავალნი, თანა გამზრახნი მათნი, რომელნიმე ციხბირს, და რომელნიმე სხუათა და სხუათა ქალაქთა შინა ექსორია ჰყვეს, რომლისა თვისცა სიგრძისათვის დავიდუმებ. ხოლო ესე იქნა წელსა 1833, ნოემბრის 19 დღესა, გარდაჭრა მათი სასამართლოდამ, რომელიცა დაამტკიცა იმპერატორმა.

მღვდელთ-მთავრობა მე-5 რუსთა ქართლსა შინა.

ხოლო წელსა ამას 1834, ივლისის 13-ს, გარდაიცუალა არხიეპისკოპოსი და ეგზარხოსი ქართლისა მოსე ტფილისსა შინა, და ამის მონაცვლედ განაწესეს არხიეპისკოპოსი ევღენი, ზინკკის არხიერი.

ხოლო წელსა ამას 1834, ოკტომბრის 9, მოკუდა სპარსეთის ყეენი ბაბახან ყაჯარი, ისპაანსა შინა (ამას ეწოდა სახელი მეორე ზედ შესრული ფათალი შაჰი) და დასვეს სპარსთა ძე აბაზ მირზასი მაჰმად, შვილი შვილი ფათალიისა შაჰსა, ვინაჲთგან აბაზ მირზა იყო დანიშნულ მემკვიდრედ მისა. ესე მოკუდა ხორასანსა შინა წელსა ამასვე ივნისში, და სთხოვა ყეენმან როსიისა და ანგლიის კარსა, რათა ნებართვითა მათითა დასონ იგი მემკვიდრედ სპარსეთისა, რომელიცა დაუმტკიცეს მას. დროსა ამას იყო ესე მაჰმად მირზა განმგებელად ადრიბეჯანისა, და იდგა თავრიზსა შინა, და იყო რუსთა პასლენიკიცა ღრაფ სიმონიჩი და ანგლიის პასლანიკიცა მისთანა.

ამათ აღიყვანეს მუნ ხელმწიფედ, და წარემართნენ თერანსა ზედა. ამას წინა აღუდგა ბიძა თვისი აზაილ სულთანი, რომელიცა იყო დადრგენილ მამისა თვისისაგან განმგედ თერანისა, და არა ენება ხელმწიფობაჲ მისი, არამედ თვით უნდოდა აღსელა სპარსეთისა ტახტსა ზედა. ჰსცნა რა ესე მაჰმად შაჰმ მსწრაფლისა სიარულითა წარემართა მის ზედა მხედრობითა ადრიბეჯანელითა, და რეგულისა მხედრობითა და არტირელითა და თანა ჰყუჩესცა რუსთა და ანგლელთა პასლანიკიცა, და ვიდრე მიიწეოდა ყაზმინს, ჰსცნა რა ყაზმინისა გამგებელმან მაჰმად ბაღირ ხან ყაჯარმან მიმავალობაჲ მისი, შეიკრიბნა ხელსა ქუჩუშე თვისსა მყოფნი მხედრობანი და წარემართა თერანსა ზედა. მისრულმან მუნ დაიპყრა თერანი, და დაიჭირა აზაილ სულთანი და ცხრა პრინცნი სპარსეთისანი, და განმზრახნი მისნი სრულიად და შეაყენნა საპყრობილესა. აცნობა ესე მაჰმად შასა და მიიწვია თეირანსა შინა. ამაზედა ფრიად მადლობელ იქმნა ყეენი მაჰმად ბაღირ ხანზედ და მიუბოძა მრავალნი. მიახლოებასა თერანისადმი მოეგებნენ ყოველნი წარჩინებულნი სპარსეთისანი, და ევრეთვე ყაჯართანი; და შეიყვანეს დიდებითა დიდითა, და აღიყვანეს სპარსეთისა ტახტსა ზედა, ნებართვითა რუსთა, და ანგლელთა პასლანიკთაგან, და მიულოცეს ყოველთა ხელმწიფობაჲ. ხოლო დღესა მას იქმნა მათ შორის ფრიადნი დღესასწაულობანი და მხიარულებანი. ესე იყო დეკემბრის 21, 1834 წელს.

ამ მაჰმად შაჰმ დასთხარა თვალები ძმასა თვისთა ხოსრო მირზას, რომელი ესე იყო პაპისა თვისისაგან პასლენიკად წარსრული იმპერატორს ნიკოლოოზთანა როსიასა შინა, და მეორეს ძმასაც — აღმოსთხარა თუალნი, რომელიცა მოკუდა იგი.

ხოლო წელსა ამას 1835, თებერვლის 18, მოკუდა კეისარი ავსტრიისა ფრანცი პირველი, წლისა 67-ს, და დაჯდა ძე მისი მეკვიდრე მისი იოსეფ ფრანცი.

1835-ს, ოკდომბრის 1 გამოჩნდა კომეტა ვარკულავი კუდგრძელა, სამხრეთის მხარესა, სანკტ-პეტერბურხსა შინა ღამესა სამშაბათსა. ამასა აქვს კუდი გრძელი და ბორჯღლიანი.

წელსა 1836-სა, მაისის 3-ს, დღესა კვირიაკესა, 6 ზატიკისასა დაბნელდა მზე 4 საათზედ და 17 მინუტზედ შუადღის შემდგომად და იდგა ფრიად ბნელად ვიდრე 6 საათსა და 37 მინუტს სანკთ-პეტერბურსა შინა. ამჟამს მთოვარე იყო აპრილისა რიცხვით 29, ხოლო ჰაერი იყო ფრიად გაწმენდილი დღე.

წელსა 1837-სა, სეკდემბრის 26, ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძე წაბრძანდა შავის ზღვით საქართველოსა შინა. პირველად მიბრძანდა სადადიანოში. იქ ლევან დადიანმა ისტუმრა ზუგდიდს. ერთი ღამე მუნ დაჰყო, იქიდამ მობრძანდა ქუთაისს, ერთი ღამეც მუნ დაჰყო, იქიდამ სურამს მიბრძანდა. სურამიდამ ახალციხეს და ახალქალაქს, იქიდამ გუმბრს, გუმბრის ახალციხე აშენებული დიდათ მოიწონა, გუმბრს სახელად უწოდა ალექსანდრაპოლად. იქ მოეგება აზრუმის სარასკარი, ხონთქრისაგან გამოგზავნილი, და მოელოცა მშვიდობით მიბრძანება იმ მხარეზედა იქიდამ წაბრძანდა ერევანს. ეჩმიაძინს რომ მიბრძანდა, ოაჰნეზ ორქივატერმა დიდის პატივით და ცერემონიით შეიყვანა საყდარში თირდატ მეფის კარიდამ; ესე კარი დახშული აქუნდათ სომეხთა, და არაოდეს გაღებულა, რაც სომეხთ მეფობა დაეცა, ამას გაუღეს და მოართვეს თირდატ სომეხთ მეფისა გვირგვინი და ქაბარი. იქიდგან წარსრული ერევანს მიბრძანდა, დაჰყო ორი დღე მუნ. მუნ ყეენმა მაჰმად შაჰმან მოაგება ძე თვისი ველი მირზა, და მოელოცნა მშვიდობით მობრძანება. იქიდამ წამობრძანდა და ჩიბუხლის ლორეს მობრძანდა, ერთი ღამე მუნ დაჰყო, იქიდამ კოდაზედ მობრძანდა, ერთი ღამეც მუნ დაჰყო. იქიდამ 8 ოკდომბერს ტფილისში მობრძანდა, დიდი ბალი გარდაუხადეს საზოგადოებამ. სამი დღე ტფილისში ბრძანდებოდა. 11 ოკდომბერს რუსეთში წაბრძანდა, კაიშაურის მთა გარდაიარა, თოვლიანი, ცხენით და ვლადიკავკავს მიბრძანდა, იქ მოეგებენ ყოველნი თაგაურ ქურთაულნი და ჩერქეზის თავადნი, ერთი ღამე ვლადიკავკავს ბრძანდებოდა, მეორეს დღეს ეს ზემო ხსენებულნი თაგაურ ქურთაულნი და ჩერქეზნი თან იახლენ

და ლინიაზე მოიყვანეს, ეკატერინოგრადსა. ხოლო ყოველ-
მოგზაურობა მისი განგრძელდა ამა ვრცელთა ადგილებთა ში-
ნა დღენი 17, რომელმანცა ესე ოდენითა მოსწრაფებითა ვლო
ესე ოდენნი ადგილნი, ვითარცა მფრინველმან.

ხოლო წელსა 1837, ნოემბრის 7, გარდაყენებულ იქმნა
საქართველოს მთავარმართებელობისაგან როზინი და მოადგი-
ლედ მისა განიწესა ღიანარალ ლეიტენანტი გალოვინი, სახე-
ლად ევგენი ალექსანდრიჩი (მთავარმართებლობა 10 რუსთა
საქართველოსა შინა).

1837 წელს, დეკემბრის 18-სა, ღამეს, პარასკევს საათსა 8
საკტ-პეტერბურხსა შინა იქმნა განსაცდელი დიდი, რომელ ყო-
ველსა ქვეყანასა და სახელმწიფოთა შინა ქებული სასახლე
იმპერატორისა როსიისა, საზამთროდა წოდებული, დაიწო იგი
ცეცხლითა, თვნიერ არმიტაჟისა კიდე, ხოლო სასახლე ესე
იყო აღშენებულ წლითა 90, რომელნიცა განვლილ იყო ესე
ოდენნი წელნნი. ამავე ღამესა დასავლეთის მხრით გამოჩნდა
ცაზედ ორი დიდი სვეტი, მსგავსი ჯიგრის ფერი, და საშუალ
მათსა მგრგუალი შარი დიდი, რომელიცა ჰყრიდა ცეცხლისა
წინწკალთა, და მახლობელ მისსა ოთხი დიდი ვარსკულავი იყო
მოხვეული, და ბოლოთ კერძოდ მისსა იხილვებოდა ვარსკუ-
ლავი კომეტა კუდგრძელი, მჰსგავსი მისი, რომელიცა იყო უწი-
ნარეს წელსა 1811, თუჱსა აგვისტოსა 26-სა.

წელსა 1839, ივნისის 19, მოკუდა სულთან მაჰმუდ და
დაჯდა მის წილ ძე მისი აბდულ მეჩით სულთნათ წლისა 16.

წელსა 1839, ივლისის 2-ს, ხელმწიფე იმპერატორმა ნი-
კოლოზმა დააქორწილა ასული თვისი მარიამ ღერცოლს ლიხ-
ტენბერხის ძეზედ მაქსიმილიაზედ. დიდათ დიდებული და ყოვ-
ლად მშვენიერი ქორწილი იყო და დღესასწაულობა დიდი
სრულიად ერთ თვესა, სანკთ-პეტერბურხსა შინა.

წელსა 1839-სა, აგვისტოს 20-სა, რუსთა აიღეს დაღის-
ტანში უმაგრესი ციხე ახულისა. ამ ციხის აღებაშია მოსწყდ-
ნენ მრავალნი აფიცარნი და სალდათნი, ამათ რიცხვში მოკლეს

ძე გურიელისა მამიასი დავით და მოსწყდა ,თესლი მათი. ხოლო გურია ჰყვეს რუსთა უეზნის მაზრად.

წელსა ამას 1840-სა, მაისის თვესა 26-სა, დღესა კვირას მოკუდა პრუსიის კოროლი წლისა 70-სა ვილღელმი, სიმამრი იმპერატორის ნიკოლაოზისა სრულიად როსიისა. აწ შემდგომ მისის სიკუდილისა დაჯდა ძე მისი კოროლად ფრიდერიკ ვილღემ, წლისა 45-სა.